არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

თედო უთურგაიძე

ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთზემოქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში

გამომცემლობა „მერიდიანი"
თბილისი 2009

უაკ (UDC) 811.353.1
უ-309

ნაშრომი ეხება ქართული ენის განსხვავებულ დონეებს. არის ცდა – განისაზღვროს ენის ძირითადი მახასიათებლები დონეთა მიხედვით. ცალკეა გამოყოფილი შუალედური (მორფონოლოგიური და მორფოსინტაქსური) მოვლენების ანალიზი.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
პროფესორი ლალი ეზუგბაია

© თედო უთურგაიძე
© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009

ISBN 978-9941-10-194-6

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი არ არის შემოსაზღვრული ერთი რომელიმე დონის მოვლენათა ანალიზით. იგი ეხება ფონემატურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ სისტემებს და გლობალურ სისტემაში ამ დონეთა სისტემების ურთიერთზემოქმედების კანონზომიერებებს, რასაც ჩვენ ვუწოდებთ შუალედურ (მორფონოლოგიურ და მორფოსინტაქსურ) სისტემებს, რამდენადაც მათ აქვთ საკუთარი მიმართულებები და შედეგები. საჭიროა მათი გამიჯვნა ცალკეულ დონეთა სისტემებისგანაც და ერთიმეორისგანაც.

ხშირად მოვლენის აღწერა ხდება მხოლოდ ერთი დონის ფარგლებში და ტერმინებში, მაშინ როცა სრული აღწერა შესაძლებელია **მხოლოდ** მორფონოლოგიურ ან მორფოსინტაქსურ სისტემათა ფარგლებში, ასეთია მაგალითად: (1) მსაზღვრელისა და საზღვრულის ურთიერთობები ძველსა და თანამედროვე ქართულში; (2) S_4-ისა და O_3-ის ნიშანთა დისტრიბუცია ძველ ქართულსა და ზოგიერთ კილოში.

როგორც დასაწყისში ვთქვით, არ ვისაზღვრებით ერთი რომელიმე დონის საკითხებით. ვეხებით განსხვავებულ დონეთა იმ ცნობილ მოვლენებს, რომელთა კვალიფიკაცია, ჩვენი აზრით, სადავოა ან არადამაკმაყოფილებელი.

სისტემათა მიხედვით შუალედური სისტემების კვალიფიკაცია სათანადოდ ვერ მოხერხდება, თუ არ იქნა გათვალისწინებული ცალკეულ დონეთა სისტემებში მოქმედი განყენებული წესები. ამითაა გამოწვეული რიგი კონკრეტული საკითხის შემოტანა როგორც ფონოლოგიიდან, ისე მორფოლოგიიდან და სინტაქსიდან, რათა ამას შემდეგ მოჰყოლოდა მსჯელობა შუალედურ სისტემათა წესებზე.

ნაშრომი წარმოადგენს ცდას, გამოკვეთილად მიეჩინოს ადგილი შუალედურ სისტემებს ცალკეულ დონეთა სისტემებს შორის.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ენის ყოველი დონე ხასიათდება საკუთარი სისტემით, რომელსაც ქმნიან კონკრეტული დონის ელემენტები და მათთვის დამახასიათებელი სინტაგმატური წესები.

დონეთა მიხედვით განსხვავებულია როგორც სისტემის ელემენტები, ისე მათ ელემენტთა ურთიერთობის წესებიც.

წარმოდგენილ დებულებათა სრული რეალიზაცია მხოლოდ აბსტრაქტულად აგებულ სისტემებშია შესაძლებელი, რეალურად მოქმედ ენაში საქმე გვაქვს დონეთა სისტემების ურთიერთზემოქმედების უამრავ შემთხვევასთან — ეს არის ბრძოლა დონეთა მიერ საკუთარი წესების პრიმატის დამყარებისათვის ენის გლობალურ სისტემაში.

სამწერლობო ენასა და დიალექტებში იდეალური სისტემები იდენტურია, თუ სხვა ენა არ მძლავრობს რომელიმე მათგანზე, გლობალური სისტემები კი, შეიძლება თამამად ითქვას, ყველა ერთეულს, სამწერლობო ენასა თუ ამა თუ იმ დიალექტს, საკუთარი აქვს.

ენობრივ მოვლენათა ანალიზში არსებითია განყენებული სისტემების კანონზომიერების დადგენა და გამოვლენა იმისა, რამდენად ემთხვევიან ისინი ერთიმეორეს სამწერლობო ენასა და დიალექტებში. აუცილებელია განსხვავების მიზეზთა დადგენაც, როდესაც ასეთი არსებობს. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი რეალურად მოქმედი ენის მონაცემთა სათანადო ანალიზი მორფონოლოგიური და მორფოსინტაქსური მიმართულებით. ასეთმა მიდგომამ შეაპირობა წინამდებარე ნაშრომის აღნაგობაცა და ცალკეულ ნაწილთა კვლევის მეთოდიკაც.

კვლევის ასეთი მიმართულების გარეშე შეუძლებელია, მაგალითად, გარკვევა იმისა, საიდან გაჩნდა **მიცემით ბრუნვაში** კახური დიალექტის /კაც/ და ქვემოიმერულის /კაცის/ ფორმები; აგრეთვე გარკვევა იმისა, რომ გ ა ნ ყ უ ნ ე ბ უ ლ ს ი ს ტ ე მ ა ში ეს ფორმები იდენტურია სამწერლობო ქართულის /კაცს/ ფორმისა; ასევე შეუძლებელი იქნებოდა ძველი ქართულის /მცირემან დარბაზმან/ და თანამედროვე ქართულის /მცირე დარბაზმა/ შესიტყვებათა გრამატიკული კავშირის

იდენტიფიკაცია განყენებულ სისტემაში, რომელიც უცვლელად რჩება საუკუნეთა განმავლობაში, ხანმეტი პერიოდიდან დღემდე.

ნაშრომი შედგება ხუთი ნაწილისაგან: ფონოლოგიის, მორფოლოგიის, მორფონოლოგიის, სინტაქსისა და მორფოსინტაქსისაგან. არის ცდა — უკვე ცნობილი თუ ახლად გამოვლენილი მოვლენების ბაზაზე განხილულ იქნეს თითოეული ნაწილის კონკრეტული თუ ზოგადი საკითხები ზემოთ წარმოდგენილი მეთოდოლოგიური მიდგომით.

წინამდებარე ნაშრომში ვცდილობდით გვეკვლია ისეთი მოვლენები ან საკითხები, რომელთაც ადრე არ შევხებივართ. რამდენადაც შესაძლებელი იყო ვერიდებოდით ადრე ჩატარებული მსჯელობის განმეორებას, ამიტომ ზოგი მოვლენისა თუ საკითხის კვლევამ ფრაგმენტული სახე მიიღო, თუმცა ვცდილობდით ასეთი მოვლენებისა თუ საკითხებისთვის კონკრეტული მისამართი მიგვეცა.

ფონემატური სისტემა

1976 წელს გამოქვეყნდა ჩვენი ნაშრომი „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“, სადაც წარმოდგენილია ქართული ენის ხმოვანთა და თანხმოვანთა პარადიგმატული და სინტაგმატური ცხრილები შესაბამისი დებულებებით.

1978 წელს დაიბეჭდა ჩვენი „фонематическая структура грузинского языка“ (51). განსხვავებით ქართული ტექსტისგან, რუსულში დავუმატეთ, იკეწ-ის რედაქტორის მოთხოვნით, ერთი თავი (III), რომელიც ეხება ქართული ენის თანხმოვანთა სინტაგმატური ანალიზის ისტორიას. არის ცდა — ვაჩვენოთ ჩვენი თვალსაზრისის განსხვავება ჩვენამდე არსებული თვალსაზრისებისაგან.

1976-1978 წლების შემდეგ დაბეჭდილ რამდენიმე წერილში ვეხებოდით როგორც შესწავლის ისტორიას, ისე ფონემატური სისტემის სხვადასხვა საკითხებს. მოგვიხდა ზოგი ჩვენი დებულების უარყოფა, ზოგი დებულების დაცვა. ქვემოთ შევეხებით ამ დამატებებს. მათი გათვალისწინებით ვცდილობთ, ვაჩვენოთ ჩვენი ამჟამინდელი თვალსაზრისი ქართული ენის ფონოლოგიური სისტემის შესახებ.

ვოკალიზმი

ჩვენი „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურიდან“ (1976) პარადიგმატულ ნაწილს ძირითადად უცვლელად ვტოვებთ. უარყოფილია დებულება — „გრძელი ხმოვანი ფონემას წარმოადგენს თუშურში. ხმოვანთა სიგრძის ფონემიზაცია შედეგია თუშურის ნახურთან შერევისა“ (57, 13).

მსგავსად ქართული ენის სხვა დიალექტებისა, გრძელი ხმოვნები თუშურ დიალექტშიც ბიფონემატურ ერთეულად უნდა მივიჩნიოთ: (1) თუშურ დიალექტში ხმოვნები თავკიდურა პოზიციაში აშკარა ძლიერი შემართვით გამოითქმება, მაგ.: ɛაქ, ɛეხლ, ɛიქ; ɛოჭი „კევი“, ɛაღმიაɛ „აღმართი“ და სხვ. (2) დერივატიული -ა სუფიქსი ფუძის ბოლოს ɛ ბგერას დაირთავს უთუოდ და ძლიერი დამართვა უჩნდება: ბიჭაɛ (ერთ ბიჭაɛ ხყავ „ერთი ბიჭი ჰყავს“), ქალაɛ (ქალაɛ მოსვლი „ქალიშვილი მოსვლია“), ფერაɛ (ფერაɛ ყოფილ „მსგავსი ყოფილა“), უგონაɛ „სულელი“ (უგონაɛებ ყოფილან „სულელები ყოფილან“) და სხვ. განსხვავებით წარმოქმნის -ა სუფიქსისგან, ძირეულ /ა/-ს ძლიერი დამართვა არ უვითარდება: დედა (დედა ხყვანი „დედა ჰყოლია“), მთა (მთა ყოფილ „მთა ყოფილა); სამზეო, საძროხე, ჰუჰუ (ჰუჰუ მოხარშეს „სელის ხინკალი მოხარშეს“) და სხვ. (3) ექსპრესიულ სიტყვებში ძლიერი დამართვა ყველა ხმოვანს უჩნდება: ჰიɛ „დიახ“, ჰოɛ, რომელიც ჰო-სგან ექსპრესიულობით განსხვავდება; (4) [ɛ] ბგერა ჩნდება გრძელ ხმოვანთა მომდევნოდაც, რომელთაც ქმნიან ზმნისწინის ხმოვანი და გვარის ან ქცევის ხმოვანი პრეფიქსი, ესენია: ა̄ɛ, ე̄ɛ, ი̄ɛ და უ̄ɛ, მაგ.: წა̄ɛქვის (< წა-აქვის „მიაქვს“), წე̄ɛღრ (< წა-ეღრ „წაეღო“), წუ̄ɛღრ (< წა-უღრ „წაუღო“).

ძლიერი დამართვის მქონე ზემოთ მითითებული ფორმები გვიჩვენებს, რომ [ɛ] არის ტიპიური გლაიდი ხმოვნებს შორის და გრძელი ხმოვნების მომდევნოდ. მაგალითები VɛV კომპლექსთათვის: ɛაɛის „აი, ის“; ɛაɛიმას „აი იმას“; ɛაɛიქ „აი იქ“; ჯაɛოდ, ხიɛოდ მამაკაცთა ძველებური სახელები. ჯაɛოანები და ხიɛოანები

(გვარის განშტოებები) დღემდე არის შემონახული; ს ი ც ო დ ქალის ძველებური სახელი. ექსპრესიული სიგრძის მქონე ხმოვნები იხილეთ ზემოთ.

აც დაბოლოებით სახელი თანხმოვანფუძიანი ხდება და ამ ხმოვანს ძლიერი დამართვა ყველა ბრუნვაში გაჰყვება: ბიჭაც-მ, ბიჭაც-ს, ბიჭაცის, ბიჭაცით, ბიჭაცად || ბიჭაცდ.

უთუოდ დელიმიტაციის ფუნქცია ჰქონდა [ც]-ს შეთავსებული ზმნისწინის ხმოვანსა და მის მომდევნო ხმოვანს შორისაც ჰიატუსის მოშლასთან ერთად, მაგრამ ბ ი ჭ ა ც მ, ბ ი ჭ ა ც ს... ტიპის ფორმებში [ც]-ს მხოლოდ დელიმიტაციის ფუნქცია რჩება.

თუშური დიალექტის გრძელხმოვნიანი ფორმები ხმოვანთა სისტემის გაურთულებლად იდენტური ორი ხმოვნით უნდა წარმოვადგინოთ, ე. ი. [აც] ფონემატურად ჩაიწერება /ა-ა/ სახით, ფონეტიკურად [ა-აც]. ფონეტიკური ჩაწერით იდენტურ ხმოვანთაგან მეორეს ძლიერი დამართვა აქვს. ანალოგიური ანალიზი ჩატარდება სხვა გრძელ ხმოვნებთან, მაგ. ი̄ც (ბიჭი̄ც?! გაოცება-ჩაკითხვის ფორმაში) ფონემატურად ჩაწერება /ი-ი/ სახით, ფონეტიკურად კი [ი-იც] ან [ი̄ც] სახით.

— ვინ მოსვლი̄? „ვინ მოსვლია?“

— ბიჭი̄. „ბიჭი“ (ვაჟიშვილი)

— ბიჭი̄ც?! || ბიჭიც? „ბიჭი̄?“

ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტებისთვის უცვლელად ვტოვებთ 1976 წლის პარადიგმატულ სქემას (50, 11):

	აწეულობა		
	დაბალი	საშუალო	მაღალი
არაბაგისმიერი	ა	ე	ი
ბაგისმიერი	ო		უ

ხმოვანთა წარმოების ადგილი იცვლება იმის მიხედვით, რომელ თანხმოვანს მოსდევს: წინაწარმოების თანხმოვანთა (კბილისმიერთა და ნუნისმიერთა) მომდევნოდ ხმოვნები უფრო წინ წაწეულია, ვიდრე რბილსასისმიერთა და ხახისმიერთა მომდევნოდ. ამის გათვალისწინებით 1976 წელს შეიქმნა ხმოვანთა აქ წარმოდგენილი სქემა მხო-

ლოდ ორი ნიშნის მიხედვით. სქემაში /ო/-სთვის გამორიცხულია მხოლოდ მაღალი აწეულობა. დაბალი აწეულობის დროს კი უკანაწარმოების /ა/-სგან განსხვავდება ბაგისმიერობის ნიშნით (უფრო ვრცლად ამის შესახებ 50, 4-12). სქემას უცვლელად ვტოვებთ და მას უფრო მეტად ვითვალისწინებთ ხმოვანთა ახლანდელ სინტაგმატურ ანალიზში.

ძირითადი დებულება, რომელიც ასახავს ხმოვანთა სინტაგმატურ მიმართებას: ხმოვანთა კომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში იკრძალება (50, 31); ეს ქართული ენის გენეტიკური თვისებაა (შეიძლება ითქვას — ქართველური ენების), რაც საფუძვლად ედება მორფონოლოგიურ პროცესებს მორფემათა საზღვრებზე. ამ პროცესებს განვიხილავთ III ნაწილში.

კონსონანტიზმი

უცვლელად ვტოვებთ პარადიგმატულ ცხრილს (50, 74). ვიძლევით მის ახალ რედაქციას /ჴ/ ფონემის დამატებით.

		ჩქამიერები						სონორები			
		ხშულები			ნაპრალოვნები						
		პირისმიერები									ცხვირისმიერები
		ბგერითი	ყრუ		ბგერითი	ყრუ					
			შეწინველი	მკვეთრი		შეწინველი	მკვეთრი		გვერდითი	მთრთოლი	
წყვილბაგისმიერი		ბ	ფ	პ				ვ			მ
წინაენისმიერები	კბილისმიერები	დ	თ	ტ							
	წინანუნისმიერები	ძ	ც	წ	ზ	ს			ლ	რ	ნ
	უკანანუნისმიერები	ჯ	ჩ	ჭ	ჟ	შ					
უკანაენისმიერები	რბილსასიმიერები	გ	ქ	კ	ღ	ხ	ყ				
	ხახისმიერები		ჰ								
ხორხისმიერები						ჰ					

ქართული ენის თანხმოვანთა პარადიგმატული ცხრილი

ორი ფონემის /ვ/-სა და /ჴ/-ს კვალიფიკაცია გახდა სადავო დიაქრონიულ და სინქრონიულ დონეებზე.

/ვ/-სა და /ჴ/-ს პარადიგმატული იდენტიფიკაცია არ არის მხოლოდ დიაქრონიული ძიების საკითხი, რამდენადაც ძველი ქართულისებური ვარიანტებითა და დისტრიბუციით მათ ახლაც ვხვდებით ქართული ენის თანამედროვე დიალექტებში.

დავას იწვევს ძველ ქართულ ტექსტებში **უ**(Ⴓ) და **ვ**(Ⴕ) ნიშნებით გამოხატული თანხმოვნების ([უ]-სა* და [ვ]=ს ფონემატური

* უ (Ⴓ) თანხმოვანს ანტონ პირველმა დაასვა თავზე უმარცვლობის დიაკრიტიკული ნიშანი (დაწვრილებით იხ. თ. უთურგაიძე, ქართ. ენის შესწავლის ისტორია,

კვალიფიკაცია. ამ ბგერათა გამომხატველი ამომწურავი დისტრიბუციული ანალიზი მოცემულია თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ერთობლივ ნაშრომში (10, 38). დისტრიბუციულ ანალიზში განსხვავებული პოზიციების გვერდით გადამკვეთი პოზიციებიც არის ნაჩვენები; ახსნილია პოზიციური დამთხვევის მიზეზებიც, რაც უკავშირდება ფუძეთა კუმშვას — /ვ/-ს წინამავალი ხმოვნის რედუქციას (ჰ-**ყვ**-ს, შდრ. ჰ-**ყვ**-ან-ან; შე-**ყავ**, შდრ. **ყვ**-ელ-ი და სხვ.), ზოგ შემთხვევაში კი ვ > უ პროცესის გასამართლებლად დაშვებულია „ძველი ქართულის თვალსაზრისით ანომალიური ფორმების“ კუმშვა უფრო ადრეულ, ძველქართულამდელ, პერიოდში. კერძოდ, **თავი** არსებითი სახელი ძველ ქართულში უკუმშველია, მაგრამ მისგან მიღებულია **-თჳს** თანდებული (იგივე **-თუის**), რაც თ ა ვ ფუძის კუმშვის გარეშე შეუძლებელი იყო. ამ ვითარების გათვალისწინებით კეთდება დასკვნა: „უფრო ადრე ეს ფუძე „კუმშვადი“ უნდა ყოფილიყო და მაშინ ადგილი ექნებოდა პოზიციურ მონაცვლეობას ვ/უ ([ვ] ხმოვნის შემდეგ, [უ] თანხმოვნის შემდეგ; სახ. [თავი]; ნათ. [*თუ-ის-/ა] (ისე როგორც სახ. [წყალი]: ნათ. [წყლ-ის-ა]“ (10, 42).

წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე ავტორები ვარაუდობენ, რომ პოზიციური დაპირისპირება მეორეულია [ვ]-სა და [უ]-ს შორის — მათ შეექმნათ გადამკვეთი პოზიციები (C_N—V და C—C) მორფონოლოგიურ ცვლილებათა საფუძველზე (10, 40) და მოხდა მათი ფონემიზაცია: „ძველი ქართულის დონეზე [ვ] და [უ] სეგმენტები ორი დამოუკიდებელი ფონემის რეალიზაციას წარმოადგენენ, თუმცა /ვ/:/უ/ ოპოზიციის ფუნქციონალური დატვირთვა ფრიად უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო“ (10, 41). აქვე კეთდება შენიშვნა: „ძველ ქართულში არ დასტურდება მორფემათა (resp. სიტყვათა) ისეთი წყვილები, რომელთა შემადგენელი ერთეულების სხვაობა მხოლოდ [უ:ვ] ოპოზიციით ყოფილიყო გამოხატული, თუმცა ამგვარი შესაძლებლობა პრინციპში გამორიცხული არ არის“ (10, 41).

ამ ბგერათა დისტრიბუციას, წინა მკვლევართაგან განსხვავებით, განვიხილავდით მორფემათა ფარგლებში, მორფემათა საზღვრებზე

1999, 195). უ ანტონის შემდეგ მისმა მიმდევრებმაც გამოიყენეს. ამ ნიშანს დღეს იყენებენ ქართველური დიალექტების ტექსტებში.

მათ მონაცვლეობას კი ვაანალიზებდით მორფემათა შიდამიმართებების ფონზე. 1969 წელს ძველი ქართულის დონეზე [ვ] და [უ] ერთი ფონემის ვარიანტებად მივიჩნიეთ მათი თავისუფალი მონაცვლეობის გამო: ცვალება/ცუალება, ქვა/ქუა... მინიმალური წყვილები /ვ/:/უ/ დაპირისპირებისათვის არ არსებობს, მათი თავისუფალი შენაცვლება კი უდავოა ძველ ძეგლებში (იყვნეს / იყუნეს, ფქვილი / წისქუილი...), რაც საფუძველი გახდა ჩვენი დასკვნისათვის.

თავ ფუძის -თჳს (=თუის) თანდებულთან შეპირისპირების საფუძველზე (სახ. ~ ნათ.) მიღებული დასკვნაც — თითქოს უფრო ადრეულ, ძველქართულამდელ, ქართულში ეს ფუძე კუმშვადი იყო, არ მიგვაჩნია გამართლებულად: **თავ** ფუძე ქართულ ენაში მუდამ უკუმშველი იყო და არის. საერთოდ, CVC ტიპის ფუძეთაგან სულ სამი ფუძეა (წელ-, ხან-, ბალ-), კუმშვას რომ განიცდის თანამედროვე ქართულში. ადრე ისინიც უკუმშველი იყო. **თავ** ფუძის კუმშვა მოჰყვა მის სარედუქციო პოზიციაში მოხვედრას, სადაც ის თანდებულად იქცა. ანალოგიური გზით მოხდა CVC ტიპის ზემოთ ჩამოთვლილ ფუძეთა კუმშვა, მაგალითად **წელ**ით**წად** რთულ ფუძეში პირველი მარცვლის **წელ** უკუმშველია, კუმშვა ხდება მხოლოდ მესამე მარცვალში (წელ+(ითი)წლ+ად < *წელ-ითი წელად), რაც CVC ტიპის მორფემათა კუმშვას დამოკიდებულს ხდის მათ ადგილზე მარცვალთმიმდევრობაში: მარედუცირებელი მარცვლის წინ ფუძისეული მეორე და ამის მომდევნო მარცვლებში კუმშვა ჩვეულებრივია ქართულში, რომლის ფონემატური მახასიათებელია ერთ- ან ორმარცვლიანი ფუძეები.

დამოუკიდებელ სიტყვათა ფორმაცვალების მონაცემები ძველ ქართულში გვავარაუდებინებს, რომ [უ] ბგერასთან დაკავშირებით ორთოეპიას ყოველთვის არ შეესაბამებოდა სამწერლობო ენის ორთოგრაფია. ამის მიზეზი, როგორც სამართლიანადაა აღნიშნული, არის ნარედუქციალი ფორმების სიახლოვე ურედუქციო ფორმებთან: „[ვ] პოზიციაში თანხმოვანსა და ხმოვანს (ან თანხმოვანს) შორის გვაქვს ჩვეულებრივ ისეთ „ნარედუქციალ“ ფორმებში, რომელთა კავშირი „ურედუქციო“ ფორმებთან ძველი ქართულის დონეზე ჯერ კიდევ ნათელია და რომელთა წარმოება ძველი ქართულის თვალსაზრისით პროდუქციული მოდელების მიხედვით ხდება. ასეთია ყველა ზე-

მოთგანხილული მაგალითი: ხედ-ავ-ს ~ ხედ-ვ-ა, ვ-შევ ~ შვ-ა ~ შვ-ილ-ი და სხვ." (10, 42).

ძველი ქართულის ანალოგიურია ვითარება მოხეურ დიალექტში. ოღონდ აქ თავისუფალი მონაცვლეობა [ვ]-სა და [უ]-ს შორის უფრო ფართოდაა წარმოდგენილი. ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიასა და ი. ქავთარაძის „ქართული დიალექტოლოგიის" (I, 1961) მოჯეური ტექსტების მიხედვით წყვილბაგისმიერი [უ] ხშირად გვხვდება ჩქამიერი თანხმოვნების მომდევნოდ, ასეთებია: სუ, გუ, თუ, ჩუ, კუ, ქუ, ტუ, წუ, ხუ, შუ, ცუ, ყუ*. ასევე ხშირია [ვ]-სა და [უ]-ს თავისუფალი მონაცვლეობა. გვხვდება, ერთი მხრით, იუ**უ**ნეს (36, ბ.5) და ვიუ**უ**ენით (37, ბ.6), მეორე მხრით, ვი**უგ**ენთო (34, 25) და ი**უგ**ისკე (28, 16), ასევე ს**თ**ე**უ**ელზე (28, 14) და ს**თგ**ლობისკე (30, 167), ს**უ**ელი (29, 37) და დავა**სგ**ელებ (31, 7) და სხვ. ბუნებრივია, ანალოგიური ვითარება ვივარაუდოთ სხვა ჩქამიერთა მომდევნოდაც. [უ] / [ვ] მონაცვლეობა მოხევეთა წარმოთქმაში შეპირობებულია სალიტერატურო ენის კოდთან შერევით. ეს ფაქტია და ფიქსირებულია სათანადო ტექსტებში.

რაც შეეხება სონორებს, მათ მხოლოდ [ვ] მოსდევს, როგორც ძველ ქართულში, მაგ.: ა**რვ**ინ, ჴ**ნვ**ა, გამონაკლისია პალ**უ**ები, რომელშიც [**უ**] მიღებულია /ო/-ს რედუქციით (პალოები > პალუები), ე. ი. /ო/-ს ვარიანტია ხმოვნის წინ და არა /ვ/ ფონემისა სონორის მომდევნოდ.

მოხეურშიც არ მოიპოვება მინიმალური წყვილები /ვ/ : /უ/ დაპირისპირებით, ამიტომ ისინი აქაც /ვ/ ფონემის ალოფონებად უნდა მივიჩნიოთ.

არსებობს ძველ ქართულში /ვ/:/უ/ ფონემათა არსებობისა და დაპირისპირების განსხვავებული მტკიცების ცდა მეგრულის ჩვენებათა მიხედვით.

გ. კარტოზიას მტკიცებით, „რომ ძველი ქართული ტექსტები C—V პოზიციაში ნახმარი ორი — **ვ** და **უ** — გრაფემით ორ განსხვავებულ ფონემას წარმოგვიდგენდნენ და ძველი ქართულის ორთოგრა-

* მითითება ყველგან ხდება „ქართული დიალექტოლოგიის (I)" მიხედვით.

ფიულსა და ორთოეპიულ ნორმებს შორის წინააღმდეგობა არ იყო, ამას, ვფიქრობ, მეგრულის მონაცემები ადასტურებენ. საქმე ის არის, რომ ძველ ქართულ ტექსტებში C–V პოზიციაში **ვ** და **უ** გრაფემებით გადმოცემულ ბგერებს მეგრულში სხვადასხვა შესატყვისები აქვთ: უ გრაფემით გადმოცემულ ბგერას (ანუ /უ/ ფონემას) მეგრულის [ვ] და [უ] სპირანტები შეესატყვისება, ვ გრაფემით გადმოცემულ ბგერას (ანუ /ვ/ ფონემას) კი — მეგრულის უ ხმოვანი, რაც შეეხება ლაზურს, აქ ძველი ქართული ორივე ფონემის შესატყვისად [ვ] და [უ] სპირანტები (ანუ ერთი და იმავე ფონემის ალოფონები) გვაქვს“ (26, 94).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ენის გენეტიკური ფონემატური თვისება ხორციელდება მორფემის ფარგლებში, ქართველურ ენათა ჩვენების მიხედვით ჩქამიერ თანხმოვანთა მომდევნოდ */ვ/-ს მხოლოდ /უ/ ალოფონი ექნებოდა, სხვა პოზიციებში კი — [ვ].

მორფონოლოგიურ ცვლილებათა საფუძველზე [ვ]-ს პოზიცია ადვილად იცვლებოდა მის წინ იმ ხმოვნის ჩავარდნის შემდეგ, რომელიც თავის მხრივ ჩქამიერ თანხმოვანს მოსდევდა. ასეთ შემთხვევებში მორფემათა იდენტიფიკაციის წესი გამძლეობას სძენდა [**ვ**] ვარიანტს საწინააღმდეგოდ ფონემატური მოთხოვნილებისა (მარხ-**ავ**-ს – მარხ-ვ-ა, ვ-შ**ევ** – შვ-ა...), მაშინ როცა ფონემატური მოთხოვნით ხმოვნის ჩავარდნის შემდეგ [ხ]-სა და [შ]-ს მომდევნოდ მოსალოდნელი იყო [უ] : [მარხუა], [შუა]).

[ვ]/[უ] თავისუფალი მონაცვლეობა არსებითად ხდება მორფემათა საზღვრებზე: ფონემატური დაწოლით /-ვ/ ალომორფი ჩქამიერთა მომდევნოდ მოიქცეოდა [უ] ბგერად (იყა**ვ** ~ იყუის) და ეს ორთოგრაფიაშიც აისახებოდა. ასეთი შემთხვევები მრავლად დასტურდება ძველ ქართულში; მეორე მხრით, რედუცირებული მორფემის /-ვ/ ალომორფმა თავისი წარმომავლობის მიხედვით ({-**ავ**} — /-ავ/ – /-ვ/) შეიძლება შეინარჩუნოს ორთოგრაფიული სახე (იყა**ვ** ~ იყ**ვ**ის), მიუხედავად იმისა, რომ ორთოეპიაში ჩქამიერთა მომდევნოდ უთუოდ [უ] ითქმებოდა. ასეთი ვარაუდი ემყარება იმ ფორმებს, რომლებშიც მოხდა /-ვ/-ს გარდაქცევა /-უ/-დ.

ზემოთ აღწერილი ვითარებიდან ამოსვლით უნდა დავასკვნათ, რომ ჩქამიერთა მომდევნოდ ძირეული [უ] თავის სახეს ინარჩუნებს ქართველურ ენებად დიფერენცირების შემდეგაც: ძვ. ქართ. სხუა: მეგრ.-ლაზ. შხუა. ამათ ადგილზე **სხვა** ან **შხვა** მეორეულია, როგორც თავისუფალი მონაცვლეობის წესის ნორმების გვიანდელი შედეგი. არსებითია, რომ ამ პოზიციაში უ-ს ადგილზე ხმოვნის გაჩენა არ ხდება მეგრულშიც, როგორც გ. კარტოზიას ნაშრომიდან (26) ჩანს, მორფემათა საზღვარზე კი, სადაც თავდაპირველად [ვ] ივარაუდება ჩქამიერთა მომდევნოდ ხმოვნის ჩავარდნის შედეგად (მარხ-ვ-ა, შვ-ა), იქმნებოდა რა არაბუნებრივი კომპლექსები (ჩქამიერი თანხმოვანი + [ვ]), საჭირო იყო მათი დაძლევა ან [ვ>უ] გარდაქმნით, რაც მოხდა კიდეც ქართულსა და ლაზურში, ან ძლიერი პოზიციის შექმნით C+ვ კომპლექსში, რაც განხორციელდა მეგრულში ირაციონალური ხმოვნის განვითარებით. მეგრულში მოხდა ამ ირაციონალური ხმოვნის ლაბიალიზება **ვ**-ს წინ, რაც დამთავრდა **უ**-ს (ხმოვნის) შექმნით: გვ>უ. ავიღოთ საერთოქართველური ძირი **შვ** (<შევ) — ქართ. შვას ‖ შუას (შდრ. ძვ. ქართ. შვილი ‖ შჯლი), ლაზ. სქვას ‖ სქუას; მეგრ. *სქვას > *სქგვას >სქუას; ასევე ქართ. მშუე (>მშო), მეგრ. *მსქვა >*მსქგვა > სქუა. ამ მხრივ საყურადღებოა ამოსავალი *სუ ძირის ვარიანტები მეგრულის წყვეტილის მწკრივისა და საწყისის ფორმებში: მეგრ. ოშუეს: ქართ. შესუეს. რაც შეეხება საწყისებს ქართულსა და მეგრულში (ქართ. სმა, მეგრ. შუმა), ისინი ფონეტიკური გარდაქმნით არიან მიღებული: ქართულში პაუზის მომდევნოდ ანლაუტში ლაბიალური კომპლექსიდან ამოვარდნილია უ (სუმა > სმა, შდრ. სუამს), მეგრულში კი [ო]-ს წინ ხდება [უ]-ს გაუჩინარება (შუომა > შომა > შუმა). [ო]-ს გადასვლა [უ]-ში ხდება თემის ნიშნის /მ/-ს გავლენით.

სონორთა მომდევნოდ /ვ/ არ არის ბუნებრივი ერთი მორფემის ფარგლებში, ამიტომ ვერ ხდება სონორი+ვ კომპლექსთა (*ლვ, *ნვ, *რვ) რეკონსტრუირება საერთოქართველურ დონეზე. ამ ტიპის კომბინაციებს შევხვდებით ან მორფემათა საზღვარზე, ან ნასესხებ ლექსიკაში. ქართულსა და ლაზურში აქაც სართო წესი მოქმედებს, კომპლექსი არ იცვლება: წილ-ვ-ა (ქართ., ლაზ.), ქართ. რვა, ლაზ. ორ-

ვო, მეგრულში კი ამ შემთხვევაშიც [უ] ხმოვანი გვაქვს ამოსავალი [ვ] თანხმოვნის ადგილზე: წილ-უ-ა, ბრუო. აქაც სონორი + ვ კომპლექსში ირაციონალური ხმოვნის გაჩენაა სავარაუდებელი: *წილ-ვ-ა > *წილგვ-ა > წილ-უ-ა, ე. ი; სინტაგმატური წინააღმდეგობის დაძლევისათვის, ქართულისა და ლაზურისაგან განსხვავებით, მეგრულს სხვა გზა აურჩევია — იყენებს ირაციონალურ ხმოვანს, რათა შექმნას ძლიერი პოზიცია არაბუნებრივი კომპლექსის დასაძლევად.

მოხეურშიც, როგორც ვნახეთ, სონორთა მომდევნოდ მხოლოდ [ვ] ვარიანტით არის /ვ/ წარმოდგენილი.

/ჳ/-ს ფონემატური სტატუსისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში ფონემატური თვალსაზრისით /ჳ/ ხშულადაც არის მიჩნეული და ნაპრალოვნადაც. ფონეტიკური ძიებით იგი ორივე ნიშანს ატარებს — სპირანტოიდია (4, 310). ბუნებრივია, ინტერესს იწვევს [ჳ] ბგერის განსხვავებული ფონემატური კვალიფიკაცია ხშულობისა და ნაპრალოვნობის დიფერენციალურ ნიშანთა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით.

პარადიგმატულ ცხრილებში ხშულთა სამეულების დაპირისპირება ჰომორგანულ ნაპრალოვნებთან „ხშულობასა“ და „ნაპრალოვნობას“ აქცევს თანხმოვანთა დიფერენციალურ ნიშნებად სხვა ტემბრალურ ნიშნებთან ერთად. ესენი ურთიერთდაპირისპირებული ნიშნებია და ქართული თანხმოვნების დიფერენციალურ ნიშანთა კონების აუცილებელი ელემენტები: როდესაც ნ. მარი წინაენისმიერთა **ენა-სასის** ჯგუფში ერთიმეორის გვერდით ათავსებს **თ** და **შ** თანხმოვნებს (33, 027), მათი ერთიმეორისაგან განსხვავება მთლიანად ემყარება ხშულობისა და ნაპრალოვნობის ნიშანთა დაპირისპირებას: გ. ახვლედიანის „ქართულ თანხმოვანთა ცხრილშიც“ (4, 91) **დ:ზ**, **თ:ს**, **დ:ჯ**... ფონემათა დაპირისპირება ხდება ხშულობისა და ნაპრალოვნობის ნიშნებით: /**დ თ ტ**/ განეკუთვნებიან „ხშულებს“, /**ზ ს ჟ**/ კი — „არახშულებს“, ანუ ნაპრალოვნებს; დაპირისპირებულ ფონემებს სხვა ნიშნები საერთო აქვთ.

ქართულ ენაში ექსპერიმენტული ძიებით გამოიყო ისეთი თანხმოვნებიც, რომლებიც ფონეტიკურად აღნიშნულ ორივე ნიშანს ატარებენ (4, 41; 42, 35; 4, 310 და შემდეგ): აქვთ როგორც ხშვა, ისე ნაპრალი. ასეთ თანხმოვანთა სამი ჯგუფი გამოიყოფა, კერძოდ: **აფრიკატები, სპირანტოიდები** და **შერეული რაგვარობის სონორები**. აფრიკატთა წარმოთქმაში ხშვას მოსდევს ნაპრალი, სპირანტოიდთა წარმოთქმაში ნაპრალი უსწრებს ხშვას; შერეული რაგვარობის სონორებში ხშვა და ნაპრალი ერთდროულად ხორციელდება.

აფრიკატები: /ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჭ/

სპირანტოიდები: /ჳ, ყ/

შერეული რაგვარობის სონორები: /მ, ნ, ლ/

ურთიერთდაპირისპირებულ ნიშანთა არსებობა ერთი ბგერის ფარგლებში ყოველთვის აყენებდა ამ ბგერათა ფონოლოგიური ინტერპრეტაციის საკითხს, რაც არც იყო და არც ახლა არის ერთგვაროვანი.

ზემოთ დასახელებულ „ქართულ თანხმოვანთა ცხრილში“ აფრიკატები განეკუთვნებიან „რთულ ხშულებს“, სპირანტოიდები კი — „მარტივ ხშულებს“. ადვილი მისახვედრია, რატომ ხდება ასე: გ. ახვლედიანის თვალსაზრისით, აფრიკატი შეიცავს ჰომორგანულ ხშულსა და ნაპრალოვანს, მაგალითად, ხშული /თ/ და ნაპრალოვანი /ს/ კბილისმიერებია, ბუნებრივია, ცხრილში ამ კომპონენტთა ჰომორგანულია მათი შემცველი /ც/ აფრიკატიც (თს>ც)... ანალოგიური მსჯელობა ჩატარდება სხვა აფრიკატთა და მათ კომპონენტთა მიმართ. ბუნებრივია, მოვლენათა ურთიერთობის ასეთი ლოგიკა განაპირობებდა „რთული ხშული“ ნიშნის შემოტანას ცხრილში: რადგან **თ**, **ხ** და **ც** კბილისმიერებად იქნენ მიჩნეული, /ც/ მხოლოდ „რთული ხშულობით“ დაუპირისპირდებოდა „მარტივ ხშულ“ /თ/-ს. მაგრამ ასეთი დასკვნა მაშინვე საეჭვო ხდება, როგორც კი /თ/ და /ც/ სხვადასხვა ლოკალურ რიგებში აღმოჩნდებიან, როგორც ეს სხვათა ცხრილებშია (62, 17; 59, 10; 43, 148; 36, 11): რადგან /თ/ და /ც/ სხვადასხვა ლოკალურ რიგს განეკუთვნებიან, „რთული ხშული“ მათთვის ზედმეტი ნიშანია ფონოლოგიურად, გინდაც /ც/ ფონეტიკურად რთულ ბგერად მივიჩნიოთ (ე. ი. ხშვისა და ნაპრალის შემცველად). „ქარ-

თულ თანხმოვანთა ცხრილში“ სწორედ ლოკალური რიგების მიხედვით განსხვავებამ, ჩვენი აზრით, ააცილა სპირანტოიდები „რთული ხშულის“ ნიშანს /გ, კ, ქ/-სთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა, რომ ფონეტიკურად სპირანტოიდებიც რთული არიან.

რადგან ენაში არსებობს გამოკვეთილი „ხშულებიცა“ და „ნაპრალოვნებიც“ (ფონეტიკურად შეურეველი ხშული და ნაპრალოვანი ბგერები), რომელთა ფონოლოგიური ინტერპრეტაცია „ხშულებად“ და „ნაპრალოვნებად“ დავას არ იწვევს, სინტაგმატურ პლანში მათი განსხვავებული ქცევის მიხედვით შეგვიძლია შევამოწმოთ „რთულ თანხმოვანთა“ ფონოლოგიურ „ხშულად“ ან „ნაპრალოვნად“ მიჩნევის სისწორე. ასე, მაგალითად, „ქართულ თანხმოვანთა ცხრილში“ არახშულად მიჩნეული /ლ/ #—V პოზიციაში არ უსწრებს წინ /ზ, ს, ჟ, შ/ სპირანტებს ერთი მორფემის ფარგლებში, შებრუნებული რიგი კი დაშვებულია ამავე პირობებში, ე. ი. #—V პოზიციაში არ გვხვდება **ლზ-, ლს-, ლშ-, ლჟ-** კომპლექსები, დასაშვებია **ზლ-, სლ-, შლ-, ჟლ-**. თუ /ლ/-ს ანალოგიურად იქცევა „ქართულ თანხმოვანთა ცხრილში“ ხშულად მიჩნეული /ნ/, რა თქმა უნდა, /ნ/-ც ნაპრალოვნად უნდა მივიჩნიოთ[1]; მართლაც, ბუნებრივია **ზნ-, სნ-, შნ-, ჟნ-**, არ გვხვდება თავკიდურად **ნზ-, ნს-, ნჟ-, ნშ-**. **ეს მოსაზრებაც იყო,** რადგან /ნ/-ს წარმოთქმას არ სჭირდება სკდომა, რაც აუცილებელია ხშულთა წარმოსათქმელად. ამავე დროს /ნ/-ს ენის ხშვის განბნევის ზონა ვრცელია: შესაძლებელია როგორც კბილებთან, ისე ნუნის ნებისმიერ ადგილზე (წინ, შუაზე, უკან). ეს იმიტომ ხდება, რომ **წინა ენის მოქმედების არეში /ნ/ ერთადერთი ნაზალური თანხმოვანია,** ნაზალობის ნიშანი კი ღიაობის ნიშანია, რადგან ამ ნიშნის რეალიზაცია ხდება განხსნილ ცხვირის ღრუში (ნაქი დაშვებულია), სკდომასაც ამიტომ არ საჭიროებს.

რაც შეეხება /მ/-ს, ისიც განხილულ სონორთა ბუნებისაა ფონოლოგიურად, მაგრამ მასუბსტანტივებელი ელემენტია და ამიტომ მორფოლოგიური სტრატუმის მოთხოვნით არღვევს ზემოთ მითითებულ წესს, **თუმცა დიაქრონიული ძიებით არ ჭირს მორფოლოგიური საზღვრის აღდგენა /მ/-ს მომდევნოდ** (მ-ჟავე, მ-სახური, მ-ზე, მ-შიერი და სხვ.). **/მ/-ს ფონეტიკური ცვლილებები, რომლებსაც ადგი-**

[1] გ. ახვლედიანი /მ, ნ/ სონორებს ხშულ თანხმოვნებად მიიჩნევს (იხ. „ქართულ თანხმოვანთა ცხრილი“).

ლი აქვს ქართულში (resp. ქართველურ ენებში), საერთოდ ჩქამიერ ნაპრალოვანთა წინ, ზემოთ ჩამოყალიბებული წესების დადასტურებაა: მხედველობაში გვაქვს შემდეგი ფონეტიკური ცვლილებები სიტყვის თავკიდურად:

მს>ფს: მსუენი>ფსვენი, მსხალი>ფსხალი, მსხილი>ფსხილი...

მზ>ბზ: მზე>ბზე, მზითი>ბზითი, მზირი>ბზირი...

მჟ>ბჟ: მჟავე>ბჟავე...

მშ>ფშ: მშუინვა>ფშვინვა, მშვილდი>ფშვილდი...

გასათვალისწინებელია ისიც, რომ **/მ/ — ამ პოზიციაში თუ არ გარდაიქმნა თავისი ლოკალური რიგის რომელიმე ხშულად (რაც გარკვეულ წესებს ემორჩილება), იკარგება, მაგალითად, მსხალი>სხალი, მშობელი>შობელი** და სხვ. ამის საპირისპიროდ ფონეტიკური ცვლილება არ ხდება, როდესაც ჩქამიერ ნაპრალოვნებს მოსდევს სონორი ნაპრალოვნები, მათ შორის **სმ-, ზმ-, შმ-, ჟმ-** რაიმე ცვლილებას არ განიცდიან. ასეთსავე მიმართებას გვიჩვენებს ხშულთა და ნაპრალოვანთა კომპლექსები (ხშული+ნაპრალოვანი და ნაპრალოვანი+ხშული). მსჯელობას აღარ განვაგრძობთ, რეალური ვითარებისთვის მივუთითებთ ჩვენს ნაშრომზე (50, 91-93, 97-99), სადაც ნაჩვენებია, რომ მარტივი ხშულები და აფრიკატები („რთული ხშულები") ერთნაირ მიმართებას ამჟღავნებენ სონორებთან და ჩქამიერ ნაპრალოვნებთან, რის საფუძველზეც აფრიკატების მიჩნევა ხშულებად გამართლებულია — **სინტაგმატურ მიმართებაში ისე იქცევიან, როგორც მარტივი ხშულები**. მხოლოდ ჰ. ფოგტმა სცადა ეჩვენებინა ქართულ აფრიკატთა მარტივ ხშულთაგან განსხვავებული ქცევა რთულ კომპლექსებში, მაგრამ მისი დებულება — ოთხწევრა კომპლექსებში თავკიდურად ყოველთვის ნახევრადხშულია (=აფრიკატს), ბოლოკიდურად კი — წმინდა დენტალური (=მარტივ ხშულს) (59, 71), რეალურ ვითარებას ვერ ასახავს: **დრტვინვა, ტკრციალი, ძრწოლა, თრთოლა** სიტყვათა დასაწყისი კომპლექსები ჰ. ფოგტის საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევიან (50, 91-93, 97-98).

ახლა შეიძლება დაისვას თეორიული ხასიათის კითხვა: რამდენად მისაღებია პარადიგმატული ნიშნების (ჩვენ შემთხვევაში „ხშულობა" და „ნაპრალოვნობა") საბოლოო განსაზღვრა (უკეთ ვერიფიკაცია) სინტაგმატური მიმართებებით? „საბოლოო" იმიტომ, რომ

პირველი გადაწყვეტა მაინც პარადიგმატული იდენტიფიკაციის წესებით ხდება. პირველი ნაბიჯი ამ თვალსაზრისით ჰ. ფოგტს ეკუთვნის, როდესაც მან სცადა ფუნქციურად განესხვავებინა „წმინდა ხშული“ და „ნახევრად ხშული“. ვფიქრობთ, ეს მეთოდურად გამართლებულია, რადგან სინტაგმატური მიმართებები პარადიგმატულ მონაცემებზე დამყარებით დგინდება. ავიღოთ თუნდაც ჰარმონიულ კომპლექსთა ნ. მარისეული დახასიათება: „Согласные переднеязычные... при стечении с заднеязычными... сочетаются всегда глухие (წ, ჭ, ტ, ს, შ) или средние (ც, ჩ, თ) безразлично с глухими (ყ, კ) и средними (ხ, ჯ, ქ), звонкие (ზ, ძ, ჯ, დ, ზ, ჟ) со звонкими“ (33, 023). ნ. მარის მიერ გამოყვანილი სინტაგმატური წესი ჩამოყალიბებულია პარადიგმატულ ტერმინებში, როგორიცაა: წინაენისმიერი, უკანაენისმიერი, მკვეთრი (глухой), ფშვინვიერი (средний) და მჟღერი (звонкий).

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ურთიერთგამომრიცხავი ფონეტიკური მახასიათებლების ერთი ბგერის ფარგლებში არსებობის შემთხვევაში (აფრიკატები, სპირანტოიდები, შერეული გვარობის სონორები) ფონოლოგიური ინტერპრეტაციის შემოწმების სხვა გზა არც არსებობს.

რაც შეეხება /ყ, ჯ/ „სპირანტოიდებს“, მათ მიიჩნევდნენ **უკანაენისმიერ** ან **ენისძირისმიერ** ხშულებად, შესაბამისად უწოდებდნენ **ველარულ** ან **ფარინგალურ** ხშულებს, მაგ., ჰ. ფოგტი და გ. ახვლედიანი ამ თანხმოვნებს ფონოლოგიურად ორივე ხშულებად მიიჩნევდა, მიუხედავად შემართვაში ნაპრალის არსებობისა (42, 35). ამის მიზეზი, უნდა ვივარაუდოთ, იყო ის, რომ /ყ, ჯ/-ს ლოკალური რიგით განასხვავებდნენ /გ, კ, ქ/ ხშულებისგან, კერძოდ: ჰ. ფოგტი /გ, კ, ქ/-ს მიიჩნევდა პოსტპალატალურად, /ყ, ჯ/-ს კი — ველარულად; გ. ახვლედლიანი /გ, კ, ქ/-ს უკანაენისმიერად (ანუ ველარულად, ხოლო /ყ, ჯ/-ს ხახისმიერად (ანუ ენისძირისმიერად აქტიური ორგანოს მიხედვით).

საერთო აზრით, ნ. მარიდან მოყოლებული, /ჰ, ჟ/ ხშული თანხმოვნებია. მხოლოდ ნ. იუშმანოვმა გამოთქვა აზრი ქართული /ჟ/-ს ნაპრალოვნობის შესახებ, რაც არ იქნა გაზიარებული ქართულ ენათმეცნიერებაში. ასე, მაგალითად გ. ახვლედიანი ამასთან დაკავშირებით წერდა: „ნ. იუშმანოვი ქართულ ჟ-ს მიიჩნევს „ყელხშულ ღრმად

უკანაენისმიერ სპირანტად“ და, მაშასადამე, რაგვარობით უთანასწორებს ⊂-ɛ-ს (ჰ — ჸ-ს — თ. უ.), როგორც სპირანტებს. ამას შეუძლია გამოიწვიოს გაუგებრობა, რადგანაც სრულიად აშკარაა, რომ **ჳ** ხშულია“ (4, 322).

ჩვენ სამოციანი წლებიდან მოყოლებული ვამტკიცებთ, რომ ჳ ყელხშული ნაპრალოვანია ფონეტიკურადაც და ფონოლოგიურადაც, მას შეუძლია რეალიზდებოდეს როგორც ველარული, ისე ფარინგალური ალოფონებით (50, 65). მივმართოთ ზემოთ აპრობირებულ სინტაგმატურ პლანს: როგორც მოსალოდნელი იყო, ჰარმონიულ კომპლექსებში **ჳ** მოსდევს ჰომოგენურ და ჰეტეროორგანულ ხშულებს და არ უძღვის წინ ერთი მორფემის ფარგლებში, ე. ი. ბუნებრივია **აჳ-, ეტ-, ნჳ-, ჰჳ-**, არ არის ბუნებრივი შებრუნებული რიგი: **ჳა-, ტე-, ჳნ-, ჳჰ-**. ფონეტიკური გარდაქმნებიც ამაზე მიუთითებენ, რაც ადრევე იქნა შემჩნეული (ტხ>ტჳ: ტეხს ~ტჳდების — ვ. თოფურია).

ახლახან ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა თ. გამყრელიძემ (9, 2000), რაც, ბუნებრივია, მისაღებია ჩვენთვის, ოღონდ ვერ დავეთანხმებით გ. ახვლედიანისა და ჩვენი თვალსაზრისის ურთიერთმიმართების გაგებაში. თ. გამყრელიძე წერს: „თვით გ. ახვლედიანი ერთგან აღნიშნავს: „მაშასადამე, **ჳ** ფონეტიკურად აბრუპტივია, ფონოლოგიურად — ნაპრალოვანი, ამას ხელს უწყობს, ალბათ, ჳ-ს სპირანტოიდობა“ (4, 294) და იქვე განაგრძობს: „არსებითად ამავე თვალსაზრისს გამოთქვამს თ. უთურგაიძე, რომელიც თვლის, რომ [ჳ] ყელხშული ნაპრალოვანი ბგერაა“ (9, 250₃) (მითითებულია ჩვენი ნაშრომის ის ადგილები, რომლებიც ეხება [ჳ]-ს ფიზიოლოგიას, მის რეალიზაციას ნაპრალოვან ბგერად (50, 43, 67). ჩვენი ნაშრომის სხვა ადგილზე **ჳ** ფონემაზე მსჯელობისას გ. ახვლედიანის ციტირებულ ადგილთან დაკავშირებით ვწერდით: „გ. ახვლედიანის ვარაუდში უხერხულობა მინიმუმამდეა დაყვანილი, კერძოდ, როგორც ზემოთ ვნახეთ, არ არის სწორი, რომ /ჳ/ ხშულია ფონეტიკურად. ფონოლოგიური კვალიფიკაციის მიხედვით უთუოდ სწორია: /ჳ/ ნაპრალოვანია **ღ ხ**-სთან ერთად, მაშასადამე, უხერხულობა იქნება იმ მხრივ, რომ ბგერათა ფიზიოლოგიურ სპეციფიკაზე დამყარებულ ფონოლოგიურ სისტემაში შეუსაბამობაა — ხშული გამოდის არახშული“ (50, 69).

შემდეგ იქვე განხილული გვაქვს ველარულ თანხმოვანთა ფონოლოგიური მიმართებები მათი ჯგუფის /ყ/-სთან: ა) /ყ/ უპირისპირდება /ღ ხ/-ს როგორც ყელხშული ნაპრალოვანი არაყელხშულ ნაპრალოვნებს, /ჯ/-ს კი — როგორც ყელხშული ნაპრალოვანი ყელხშულ არანაპრალოვანს და ა. შ.

/ყ/-ზე მსჯელობა ამით არ დაგვიმთავრებია: 1971 წ. განვიხილეთ ჰარმონიულ კომპლექსთა A და B ჯგუფების დიაქრონიული მიმართება. გ. ახვლედიანმა, რადგან /ყ/ ხშულად მიაჩნდა, B ჯგუფის ჰარმონიული კომპლექსები მეორეულად მიიჩნია A ჯგუფთან შედარებით. მისი აზრით, მოხდა A ჯგუფის ველარ კომპონენტთა განაპრალოვნება (ბგ>ბღ, ფქ>ფხ...); ვარაუდობდა, რომ განაპრალოვნებას გადაურჩა მხოლოდ /ყ/ კომპონენტიანი კომპლექსები (პყ, ტყ...), რომლებიც, როგორც A ჯგუფის კომპლექსები, ახლაც ხშულთა კომბინაციებს წარმოადგენენ. ჩვენ, საპირისპიროდ ამ თვალსაზრისისა, B ჯგუფის კომპლექსები მივიჩნიეთ დიაქრონიულად უწინარესად A ჯგუფთან მიმართებით. სიმოკლისათვის მოვიყვანთ ერთ ადგილს რეზიუმედან: „Комплексы неосновных моделей (сюда входят и гармонические комплексы со смычными компонентами) вторичны“ (53, 125).

/ყ/-ზე მსჯელობას დავამთავრებთ იმით, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ გამოვყავით /ყ/-ს ორი ალოფონი: ველარული [ყ] და ფარინგალური [ყ] (ე. ი. ამ ბგერის წარმოება შესაძლებელია რბილ სასასთანაც და ხახაშიც). /ყ/-ს დისპერსიის გაფართოება შესაძლებელია იმიტომ, რომ ამ ზონაში არ არის სხვა ყელხშული ნაპრალოვანი.

/ყ/-ს გვერდით თ. გამყრელიძე შეეხო /ჯ/ ფონემასაც. განსხვავებით სხვა მკვლევართაგან, მისი კვალიფიკაციით, /ჯ/ პოსტველარული ნაპრალოვანია. მკვლევარი ვარაუდობს, რომ სწორედ ამის გამო მოხდა მისი შერწყმა /ხ/-სთან; /ჯ/-ს ნაპრალოვნობის დამადასტურებლად მიიჩნია მისი დისტრიბუციული ქცევა.

დისტრიბუციულ ქცევაზე, როგორც ნაპრალოვნობა-ხშულობის ერთ-ერთ კრიტერიუმზე, ზემოთ გვქონდა მსჯელობა. ახლა კი გვინდა განვაცხადოთ, რომ სწორედ ამ საფუძველზე ვერ ჩაითვლება /ჯ/ ნაპრალოვან თანხმოვნად.

ვ. თოფურიას მიერ დადგენილი წესით, ძველ ქართულში ბუნებრივია **ჳს, ჳშ, ჳც** კომპლექსები, ერთი მხრით, და **სხ, ცხ, შხ, ჩხ,** მეორე მხრით. ამასთან დაკავშირებით თ. გამყრელიძე ვარაუდობს, რომ „ჳ და ხ ფონემათა ამგვარი დისტრიბუციული ქცევა ჰომოგენურ (ყრუ) სპირანტებსა და აფრიკატებთან მიმართებაში ავლენს მათ ჰომოგენურ სპირანტულ ბუნებას და ასხვავებს მათ შესაბამისი ხშულებისაგან. დაპირისპირებას მათ შორის, როგორც ჩანს, მხოლოდ წარმოების ადგილი ქმნის (ველარი **ხ**˝ საპირისპიროდ პოსტველარი ჳ სპირანტისა); ამის შესაბამისად ჳ სპირანტი დისტრიბუციულად უკავშირდება ჰომოგენურ სიბილანტურ სპირანტებსა და აფრიკატებს აქცესიური **-ჳს-, -ჳშ-, -ჳც-** კომპლექსების შესაქმნელად; ამისგან განსხვავებით, **ხ** სპირანტი შესაბამის ჰომოგენურ სპირანტებსა და აფრიკატებთან დეცესიურ **-სხ-, -შხ-, -ცხ-, -ჩხ-** კომპლექსებს ქმნის. ამ კომპლექსებშიც, ისევე, როგორც A და B სისტემების ჰარმონიულ კომპლექსებში, სათანადო ფონემური დაპირისპირების (ამ შემთხვევაში) ჳ–ხ ფონემური დაპირისპირების) ნეიტრალიზაცია ხდება“ (9, 253).

ამ ვრცელ ციტატაში საკვლევ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვანი დებულებაა ერთიმეორესთან დაკავშირებული, რასაც შემდეგ ეფუძნება ავტორის საბოლოო დასკვნა; ამიტომ საჭიროა მათი ცალ-ცალკე განხილვა: (1) დავიწყოთ იმით, რომ ვ. თოფურიამ ზემოთ აღნიშნული აქცესიურ და დეცესიურ კომპლექსთა რიგები რეალიზაციის წესთა მიხედვით ბოლომდე შეავსო და ასეთი დასკვნა გააკეთა: „ყველა ზემოთქმულისდა კვალად გამოდის, რომ უძველეს პერიოდში ქართველური ენები

1. **ს შ ც ჩ** ციშლაუტ-აფრიკატებისა და წინაენისმიერი თ'ს მეზობლად ხ'ს, [დ] ზ ჟ ძ ჯ'სთან ღ'სა და [ტ] წ ჭ'ს გვერდით ყ'ს ატარებდნენ და ქმნიდნენ სხ, შხ, ცხ, ჩხ, თხ; [დღ], ზღ, ჟღ, ძღ, ჯღ; [ტყ], წყ, ჭყ კომპლექსებს, ხოლო

2. ხსენებული ბგერების წინ კი ჳ'ს და გვქონდა ჳს, ჳშ; ჳც, ჳჩ; [ჳდ, **ჳზ, ჳჟ; ჳძ, ჳჯ, ჳწ, ჳჭ] ჯგუფები. ვარსკვლავქვეშ მოქცეულთათვის მაგალითი არ მოიპოვება“ (17, 47).

თეორიული განზოგადებით, რა თქმა უნდა, **ჳს, ჳშ**; **ჴც, ჴჩ** კომპლექსების გვერდით **ჳფ, ჳთ** კომპლექსებიც უნდა ვივარაუდოთ. სწორედ ამას შეეხება ვ. თოფურიას შენიშვნა **ჳს, ჴც** რიგის კომპლექსებთან დაკავშირებით: „მსგავსივე წესი, გვგონია, უნდა ყოფილიყო დაცული სხვა სამეულ (დ თ ტ; ბ ფ პ) თანხმოვნებთან“ (ვ. თოფურია, 1979, გვ,. 47₃). ამ შენიშვნაში ნაგულისხმები კომპლექსებიდან ქართველურ ენებში დადასტურებულ კომპლექსებს მხოლოდ ფშვინვიერთა **ჳფ** და **ჳთ** კომპლექსებს დავუმატებთ და ერთად წარმოვადგენთ /ხ/ და /ჳ/ ფონემათა შემცველ კომპლექსებს ორ რიგად, თითოეულს — ორ-ორი ქვეჯგუფით:

I. (ა) ფხ, თხ, ცხ, ჩხ; სხ, შხ ~ (ბ) ხფ, ხთ, ხც, ხჩ; ხს, ხშ

II. (ა) ფჳ, თჳ, ცჳ, ჩჳ; სჳ, შჳ ~ (ბ) ჳფ, ჳთ, ჳც, ჳჩ; ჳს, ჳშ

(ბ) ქვეჯგუფებში (ა)-ს შებრუნებული თანამიმდევრობით ლაგდება კომპლექსთა კომპონენტები ორსავე რიგში. ამის შემდეგ შეიძლება დავსვათ კითხვა მოცემულ რიგთა მიხედვით: ავლენენ ხ და ჳ, როგორც თ. გამყრელიძე ვარაუდობს, „ჰომოგენურ (ყრუ) სპირანტულ ბუნებას“? ამ მონაცემთა მიხედვით პასუხი უარყოფითია, რადგან ქართველური ენებისთვის მიუღებელია I რიგის (ბ) ჯგუფის, II რიგის (ა) ჯგუფისა და II რიგის (ბ) ჯგუფის ჳ + ხშული კომპლექსები, მაშინ როცა ბუნებრივია, I რიგის (ა) ჯგუფის ყველა კომპლექსი და II რიგის ჳ + წინაენისმიერი ნაპრალოვანი კომპლექსები, ე. ი. ჳს, ჳშ კომპლექსები მხარს უბამს ხშული + ნაპრალოვანი თანამიმდევრობას და, მეორე მხრით, არ უბამს მხარს წინაენისმიერი ნაპრალოვანი + ხ (სხ-, შხ-) თანამიმდევრობას (არ არსებობს სჳ და შჳ), რაც იმას ნიშნავს, რომ /ხ/ და /ჳ/ ერთი რაგვარობის ფონემები არ არის: /ხ/ უდავო ნაპრალოვანია, /ჳ/ კი იქცევა ხშულთა მსგავსად (ჳს-, ჳშ-; შდრ. ფს-, ფშ-). დისტრიბუციულ საფუძველზეც, ამრიგად, /ჳ/ ხშული ფონემაა.

როცა ვლაპარაკობთ ფს-, ფშ-; ჳს-, ჳშ- (ხშული + ნაპრალოვანი) იზომორფულ კომპლექსებზე, ბუნებრივია, ვერ შევეხებით /ს, შ/ ნაპრალოვანთა კომბინაციებს /თ, ც, ჩ/ ფშვინვიერ ხშულებთან, რადგან ისინი (თ, ც, ჩ; ს, შ) განეკუთვნებიან ერთ (წინაენისმიერ თანხმოვანთა) კლასს და დაუშვებელია მათი უშუალო თანამიმდევრობა ერთი

მორფემის ფარგლებში #—V პოზიციაში: **თს, თშ; ცს, ცშ**... ისევე დაუშვებელია, როგორც უკანაენისმიერთა კლასის წევრთა კომბინაცია (**ქყ-** ან **კყ**) ამავე პირობებში.

ჩვენს მსჯელობაში ცალკე არ გამოიყო **ჳც** (ძველი ქართული მჳცე), რომელიც ერთადერთ გამონაკლის რეალიზაციას წარმოადგენს **ჳ + ხშული** კომბინაციებში. **ჳც-** მოულოდნელია, როცა არა გვაქვს **ჳფ-, ჳთ-, ჳჩ-**. /ჳ/-ს დისტრიბუციული წესი უნდა ჩამოყალიბდეს ამ უკანასკნელ კომპლექსთა ჩვენების ნიადაგზე: **ჳ/ ხშული დაუშვებელია ბაგისმიერ და წინაენისმიერ ჰომოგენურ ხშულთა წინ ერთი მორფემის ფარგლებში #—V პოზიციაში.** ეს წესი უფრო განზოგადდება, როცა უკანაენისმიერი ხშული /ქ/ ანალოგიურად იქცევა: ისიც, /ჳ/-ს მსგავსად, არ უძღვის წინ ბაგისმიერ და წინაენისმიერ ფშვინვიერ ხშულებს **-ქფ-, ქთ-, ქც-, ქჩ-** არ გვხვდება ერთი მორფემის ფარგლებში #—V პოზიციაში (ქც- მორფონოლოგიური ცვლილების შედეგია: ქეც > ქც-, სადაც არ არის გამორიცხული -ეც ცალკე მორფემა იყოს). ამრიგად, ასეთ ვითარებაში ჳც- აკრძალული კომპლექსია სისტემის ჩვენებით და უნდა აიხსნას ან თანხმოვანთა შორის ხმოვნის ჩავარდნით და შესაძლო მორფოლოგიური საზღვრით (ჳ-Vც; შდრ. ჳ-ედ /ჳ-ად, სხ-ედ — (და)სხ-ნ-ეს, წყუ-ედ, კუ-ედ და სხვ.), ანდა სესხებით.

უთუოდ ისიც სიმპტომატურია, რომ საერთო-ქართველურ ან ორი ქართველური ენის დონეზე რეკონსტრუირდება *ფს-, *ფშ-, *ჳს-, *ჳშ მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსები, სადაც /ჳ/ იკავებს ხშული თანხმოვნის ადგილს სისტემაში და არ რეკონსტრუირდება *ცჳ-, *ჩჳ-, *ფჳ-, *თჳ-, სადაც /ჳ/ დაიკავებდა ნაპრალოვანი ჩქამიერის ადგილს, შდრ. რეალიზებული *ფხ-, *თხ-, *ცხ-, *ჩხ-, სადაც უკანაენისმიერის ნაპრალოვნობა ეჭვს არ იწვევს.

(2) თუ სწორია, რომ /ხ/ ნაპრალოვანია, /ჳ/ კი — ხშული, ბუნებრივია, ვერ ვილაპარაკებთ მათი დაპირისპირების ნეიტრალიზაციაზე, როგორც ამას ადგილი აქვს ხ ~ ღ დაპირისპირებაში.

ქართული ენის თანხმოვანთა სინტაგმატური ანალიზი

ენები ხასიათდებიან თანხმოვანთა მათთვის დამახასიათებელი სპეციალური კომბინაციებით, რომლებიც ასახავენ ენათა გენეტიკურ თვისებებს. ესენი ბუნებრივი კომპლექსებია. ამათ გვერდით ენათა არსებობის გრძელ მანძილზე ჩნდება განსხვავებული (არაგენეტიკური) კომბინაციებიც სესხების, მორფემათა შეხორცებისა თუ სხვა ამ რიგის მოვლენათა გავლენით.

გენეტიკური თვისება ვლინდება მორფემის ფარგლებში — „მნიშვნელობის მჭონე უმცირეს ელემენტში". მორფემა უჯრედია, რომელიც ენის არსებობის მთელ მანძილზე ატარებს მის ფონემატურ და მორფოლოგიურ თვისებებს.

ჩვენი თვალსაზრისით, ქართული ენისთვის ბუნებრივია თანხმოვანთა მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსები, რაც განისაზღვრება შემდეგი ფორმულით: კომპლექსის ყოველი მომდევნო თანხმოვანი განეკუთვნება თანხმოვანთა სხვა კლასს და წინას აღემატება ნაპრალოვნობით (50, 103). ფორმულაში შეზღუდვა ედება ჩქამიერთა კომბინაციებს — კომპონენტები ჰომოგენურია, ანუ მომდევნო ნაპრალოვანი სახმო სიმთა მოქმედებით უთუოდ იდენტურია წინ მდგომისა, სონორთა წინ კი ეს შეზღუდვა მოხსნილია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი „კეთილხმოვანი კომპლექსების" ნაწილი და „ჰარმონიული კომპლექსების" B ჯგუფი ბუნებრივ კომპლექსებს განეკუთვნებიან. ამ ჯგუფებში გაერთიანებულია მზარდი ნაპრალოვნობის (ხშული + ნაპრალოვანი) კომპლექსები. მათი რეკონსტრუქცია საერთოქართველურ დონეზეც ხერხდება (36), მაშინ როცა გ. ახვლედიანის A ჯგუფების კომპლექსთა არსებობა ამავე ქრონოლოგიურ დონეზე თეორიულად დაშვებულია მხოლოდ B და A ჯგუფების იზომორფიზმის საფუძველზე. შევნიშნავთ, რომ იზომორფიზმზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ორი ნიშნის: დეცესიური რიგისა და კომპონენტთა ჰომოგენურობის მიხედვით. **ხშულ + ხშულ** კომბინაცია, ბუნებრივია, **ხშული + ნაპრალოვანი** კომბინაციის

იზომორფული ვერ იქნება. აღნიშნული ორი ნიშანი არასაკმარისია მოდელის დონეზე. ჰარმონიულ კომპლექსებთან დაკავშირებულ მიმოხილვას ვაგრძელებთ ჩვენი წერილით, რომელიც მიეძღვნა ა. შანიძის 100 წლის თავს (54). ვითვალისწინებთ ჟაკ ვან გინეკენის თვალსაზრისსაც ქართული ენის თანხმოვანთა ბუნებრივ კომპლექსებში კომპონენტთა „დამავალი სიძლიერის“ მიხედვით განაწილების შესახებ. ჟ. ვან გინეკენი აქვე მიუთითებს არაბუნებრივ კომპლექსებზეც ქართულ ენაში.

კომპლექსებში ფონემათა ურთიერთმიმართების შესახებ მსჯელობა ორი თვალსაზრისით არის აუცილებელი: (1) ბუნებრივი და არაბუნებრივი კომპლექსების გამოვლენა შესაძლებლობას იძლევა გამოვთქვათ (ვიქონიოთ) თვალსაზრისი ენის მრავალსაუკუნოვან გენეტიკურ თვისებაზე; (2) ავხსნათ მორფონოლოგიური ცვლილებები გრამატიკულ მოდელში: დავადგინოთ ცვლილებათა მიზეზი და გარდაქმნის მიმართულება.

ჰარმონიულ კომპლექსთა განსაზღვრისათვის ქართულში

1.0. „ჰარმონიულ კომპლექსთა“ შესწავლას თითქმის ერთი საუკუნის ისტორია აქვს ქართულ ენათმეცნიერებაში. მკვლევარნი ამ კომპლექსებს ახასიათებდნენ გარკვეული სტრუქტურული ნიშნებით, რომლებიც არსებითად ემთხვეოდნენ, მაგრამ ზოგი ნიშნის (ნიშნების) მიხედვით განსხვავდებოდნენ კიდეც.

1.1. სხვადასხვა დროს მკვლევართა მიერ „ჰარმონიულ“ (resp. „კეთილხმოვან“) კომპლექსად მიჩნეულია თანხმოვანთა **ექვსი** ტიპის კომბინაცია წყვილებში.

განსხვავებული ჰარმონიული ჯგუფებისათვის გ. ახვლედიანის მიერ გამოყენებული პირობითი A და B აღნიშვნების კვალობაზე დანარჩენ ჯგუფებსაც ლათინური ლიტერებით გამოვხატავთ (C,D,E და F-ით).

1.1.1. **ს. ხუნდაძის** ცხრილის მიხედვით „კეთილხმოვან“ კომპლექსთა **ოთხი** ჯგუფი გამოიყოფა.

ცხრილი

ბაგისმიერნი	ხორხის-მიერნი	კბილის-მიერნი	სასის-მიერნი	სსისინა და შიშინა	
ბ	გ	დ	„	ვ ჯ	მაგარი და სხვილი
პ	კ	ტ	„	წ ძ	მაგარი და წმინდა
ფ ვ(ბაგეკბილის)	ქ ღ ხ ყ ჰ	თ	რ	ჟ შ ჩ ც	რბილი და სხვილი
	„		ლ ნ	ზ ს	რბილი და წმინდა (76, 96)

კეთილხმოვან კომპლექსთა ჯგუფები:

A			B		C		D
ბგ	ფქ	პკ	ფხ-	—	სხ	ზღ	ფს-
დგ	თქ	ტკ	თხ-	—	შხ	ჟღ	ფშ-
ძგ	ცქ	წკ	ცხ-	—	სყ		(იხ. ქვემოთ
ჯგ	ჩქ	ჭკ	ჩხ-	—	შყ		2.1)

აქაც და ქვემოთაც ჯგუფების შიგნით კომპლექსთა ადგილზე ჩასმული ტირე მიუთითებს იმაზე, რომ ცხრილი ვერ იძლევა სათანადო კომპლექსებს ან, მიუხედავად ცხრილის მოთხოვნილებისა, თვით ავტორი არ ვარაუდობს მას; აღუნიშნავი, ე. ი. ცარიელი უჯრები კი (მაგალითად, აქ C ჯგუფში) მიუთითებს იმაზე, რომ ამ ადგილზე რაიმე კომპლექსი გამორიცხულია თეორიულად.

რაგვარობის ტერმინები: „მაგარი“, „რბილი“, „სხვილი“, „წმინდა“, რომელთაც ს. ხუნდაძე ხმარობს, ანტიკური ხანიდან მოდის, ოღონდ მათ განსხვავებული გაგება აქვთ სხვადასხვა ენისა და სხვადასხვა დროის მკვლევრებთან. ს. ხუნდაძის ცხრილში **„მაგარია“ მეღერი და მკვეთრი ხშულები**; ყველა **ნაპრალოვანი** და **ფშვინვიერი ხშული „რბილია“**. აქ არ ვიხილავთ „სხვილი“ და „წმინდა“ ნიშნებს, რადგან თანხმოვანთა სინტაგმატურ ანალიზში მათ არ იყენებს ს. ხუნდაძე.

1.1.2. ნ. მარმა ქართული ენის წყვილ თანხმოვანთა კომპლექსებში კომპონენტთა ბუნებრივი მიმართებები აღწერა რაგვარობის სხვა ტერმინებში და უწოდა „ჰარმონიული“, შესაბამისად წყვილებიც იწოდება ჰარმონიულ კომპლექსებად. წარმოვადგენთ ნ. მარის ტერმინებს თანამედროვე შესატყვისებით:

„მჟღერი“ — მჟღერი
„საშუალო“ — ფშვინვიერი
„ყრუ“ — მკვეთრი (33, 023).

„ძლიერი“ — ხშული. **„ძლიერია“ მარტივი ხშულები და აფრიკატები.** გასათვალისწინებელია, რომ ნ. მარის „ბგერათა კლასიფიკაციაში“, გარდა /ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჳ/-სი აფრიკატებია /ღ, ხ, ყ, ჴ/-ც. მაშასადამე, „ძლიერია“ ყველა მარტივი და რთული ბგერა, რომლებიც ხშულია ან შეიცავენ ხშულ კომპონენტს. წმინდა ხშული აფრიკატთან შედარებით უფრო ძლიერია.

„სუსტი“ — ნაპრალოვანი ბგერა: „სონორები“, „სპირანტები“ და „სიბილანტები“.

ნ. მარმა თავისი ცხრილის მიხედვით (33, 030) გამოყო ჰარმონიულ კომპლექსთა სამი ჯგუფი:

A			B			C	
—	—	—	—	—	—	სყ	—
დგ	თქ	ტკ	დღ	თხ	ტყ	სხ	ზღ
ძგ	ცქ	წკ	ძღ	ცხ	წყ	—	—
—	—	—	ჯღ	ჩხ	ჳყ		

ნ. მარის „ჰარმონიულ კომპლექსებში“ ვერ მოხვდა, მიუხედავად ცხრილის მოთხოვნილებისა, ბაგისმიერთა კომბინაციები უკანაენისმიერებთან. B ჯგუფში ისინი შემოაქვს ა. შანიძეს 1930 წელს (65, 12).

C ჯგუფში **სხ, ზღ** კომპლექსების არსებობა თეორიულად ვარაუდობს **შხ, ჟღ** კომპლექსებსაც, რომლებიც ნ. მარს არ წარმოუდგენია ამ ჯგუფში.

ქართული ენის თანხმოვანთა მიმართებაზე მსჯელობდა ჟ. ვან გინეკენი (12) XX საუკუნის 30-იან წლებში. მისი გამოკვლევა ემყარება ნ. მარისა და ნ. მარ-მ.ბრიერის ერთობლივ ნაშრომს. სინტაგმატურ მიმართებათა არსებით ნიშნებად გამოყოფილია შემდეგი თვისებები: **ჰომოგენურობა** ხშულთა და ფრიკატივთა კომპლექსებში, **დეცესიური რიგი** კომპონენტთა შორის და კომპონენტთა დამავალი თანამიმდევრობა. ამ თვისებათაგან გასარკვევია ტერმინი „დამავალი თანამიმდევრობა“ (12, 32). ეს ტერმინი ემყარება თანხმოვანთა ნ. მარისეულ კლასიფიკაციას „ძლიერებად“ და

„სუსტებად“: **სუსტია** სონორები, სიბილანტები და სპირანტები, დანარჩენი **ძლიერი** თანხმოვნებია.

როგორც სუსტ, ისე ძლიერ თანხმოვანთა შორის არსებობს შიდა იერარქია სისუსტისა და სიძლიერის მიხედვით. ამ ტერმინთა მნიშვნელობა ნ. მარმა განსაზღვრა „აფხაზურ ანალიზურ ანბანში“: სუსტია ის თანხმოვნები, რომლებიც ადვილად ემორჩილებიან ცვლილებას, შეიძლება დაიკარგონ კიდეც (34, 29).

ქართული ენის თანხმოვანთა სიძლიერე-სისუსტე ნ. მარმა ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკის (33) 030-ე გვერდზე წარმოადგინა სპეციალური სქემით, რომლის კვადრატში განთავსებულია აფრიკატები, კვადრატის გარეთ, მარცხნივ ორ ვერტიკალურ სვეტში სონორები (რ, ლ, მ, ნ, ჳ) და სპირანტები (ჰ, ჲ), კვადრატის მარჯვნივ სვეტში — სიბილანტები (ს, ზ, შ, ჟ). მარტივი ხშულები (კვადრატის თავზე და ბოლოში) და აფრიკატები განეკუთვნებიან ძლიერ თანხმოვანთა ჯგუფს. აფრიკატები მარტივ ხშულებზე ნაკლები სიძლიერისაა, რადგან მათ სიბილანტური ელემენტიც ურევია (ძ < დზ, ც < თს, ჯ < დჟ, ჩ < თშ, ჭ < ტშ). ცხრილის ბოლოს ხშულთა გრაფაში მეორე **მ**-ც არის ყრუთა რიგში წარმოდგენილი, აქვეა მჟღერი ძლიერი თანხმოვანი **ვ**. უფრო გვიან ნ. მარმა მ. ბრიერთან ერთად დაწერილ ნაშრომში **მ** და **ვ** ჳ-სთან ერთად სუსტ ბგერებში (ანუ სონორებში) შეიტანა. ჟ. ვან გინეკენი ამ ნაშრომს ემყარებოდა.

ახლა ტერმინი **დამავალი** გასაგებია — იგი მიუთითებს ისეთ კომპლექსებზე, რომლებშიც ყოველი მომდევნო თანხმოვანი მის წინ მდგომზე ნაკლები სიძლიერისაა. ქვემოთ წარმოვადგენთ თანხმოვანთა ჯგუფებს სიძლიერის ხარისხის მიხედვით:

1. მარტივი ხშულ-მსკდომები
2. აფრიკატები
3. აფრიკატები
4. სიბილანტები
5. სონორები

↓ სიძლიერის კლება ხდება ისრის მიმართულებით

ნ. მარის ამ სქემაში აფრიკატთა ორი რიგია წარმოდგენილი, რომელთაგან ზოგი არ შემონახულა ან სხვა ჯგუფშია გადასული, ასე მაგალითად ყ აფრიკატია, მიღებულია კჰ კომბინაციით, ღ-ც აფრიკატია, მიღებულია გძ კომპლექსისგან, ჴ მიღებულია ქ-ს და ხ შერწყმით და ა. შ.

ჟ. ვან გინეკენი თანამედროვე ქართულში ბუნებრივ კომპლექსებად მიიჩნევს ორკომპონენტიან თანხმოვანთა კომბინაციებს ჩქამიერი + სონორი შემადგენლობით (ყრ, ჭრ, ჩლ, შრ, გრ და სხვ.); სამკომპონენტიან კომპლექსთა ბოლოშიც სონორები დგას, მათ წინ შეიძლება უძღოდეს დეცესიური რიგის ჰომოგენურ ხშულთა წყვილი, რომელთაც ნ. მარი ჰარმონიულ კომპლექსებს უწოდებდა (წკლ, ჭკვ, ტკლ, ტყვ...) ან ჩქამიერი ხშულისა და ნაპრალოვნის წყვილი (ჩხლ, თხრ, დღვ და სხვ.). ამავე ჯგუფში ერთიანდება ჩქამიერი და სონორთა წყვილებით შექმნილი სამწევრიანი კომპლექსები (ცვლ, ცვრ, ჩვრ, ძვნ, ქვრ და სხვ.).

თუმცა, უნდა შევნიშნოთ, აქ ისეთი კომბინაციებიც მოჰყვა, რომელთაც „დამავალი სიძლიერის“ კომპლექსს ვერ ვუწოდებთ საკლასიფიკაციო წესების მიხედვით, ესენია: ჩქვ, ჩქმ, ცქლ, ცქვ, ჩქლ... ამ კომპლექსებში აფრიკატს მოსდევს მარტივი ხშული, ე. ი. ისინი აღმავალი სიძლიერის კომპლექსებია და არა დამავალისა. ვფიქრობთ, ისინი დისტრიბუციული ანალიზის შედეგად მოჰყვნენ დამავალი სიძლიერის კომპლექსთა ჯგუფში.

ჟ. ვან გინეკენი აღმავალი სიძლიერის სქ, შქ, სთ, შთ, სფ, შფ კომპლექსებს გამონაკლისებად მიიჩნევს, ბუნებრივად არ მიაჩნია ქართული ენისთვის.

1.1.3. გ. ახვლედიანმა A და B სისტემები წარმოადგინა სრულად. მანვე A სისტემა შეავსო ჯგ, ჩქ, ჭკ კომპლექსებით (5, 124). გ. ახვლედიანს ბგ, ფქ, პკ გვიან შემოაქვს A სისტემაში (6). წარმოვადგენთ ამ სისტემებს:

A			B		
ბგ	ფქ	პკ	ბღ	ფხ	პყ
დგ	თქ	ტკ	დღ	თხ	ტყ
ძგ	ცქ	წკ	ძღ	ცხ	წყ
ჯგ	ჩქ	ჭკ	ჯღ	ჩხ	ჭყ

1.1.4. ჰარმონიული კომპლექსების მკვლევართაგან უთუოდ უნდა აღინიშნოს გ. მაჭავარიანი, რომელმაც საერთო-ქართველურ დონეზე, გარდა ჩვენთვის უკვე ცნობილი A, B, C, D ჯგუფებისა, გამოყო კიდევ E, F ჯგუფებიც, სულ ექვსი ჯგუფი (36, 81).

A					B					C
ზღ	დღ	ძღ	ძ₁ღ	ჯღ	ბგ	დგ	ძგ	ძ₁გ	ჯგ	სხ ზღ	ს₁ხ
ფხ	თხ	ცხ	ც₁ხ	ჩხ	ფქ	თქ	ცქ	ც₁ქ	ჩქ	—/—/	
პყ	ტყ	წყ	წ₁ყ	ჭყ	პკ	ტკ	წკ	წ₁კ	ჭკ		

D		E	F	
ფს	ფშ	სკ ს₁კ	სთ	ს₁თ
ბზ	ბჟ/?/		სტ	
			სწ	

გ. ახვლედიანის A ჯგუფი გ. მაჭავარიანის ნაშრომში B-ს სახელით არის წარმოდგენილი, ხოლო B ჯგუფი — A-ს სახელით. ამ ჯგუფთა A-თი თუ B-თი აღნიშვნა შემთხვევითი არ ჩანს: გ. ახვლედიანის ვარაუდით, სადაც გვაქვს ხშულთა კომპლექსები, ის ჯგუფი პირველადია, B ჯგუფის კომპლექსები (ხშული + ნაპრალოვანი) კი მეორეული, მიღებული მეორე კომპონენტის განაპრალოვნებით. გ. მაჭავარიანი A და B ჯგუფებს არ ასხვავებს ქრონოლოგიურად და არც ერთიმეორისაგან გამოჰყავს, მისი აზრით, ორივე ჯგუფი „მარკირებულია საერთო-ქართველური ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით“ (36, 82): ხოლო ხშული + ნაპრალოვანი შედგენილობის კომპლექსთათვის A-ს დარქმევა, უნდა ვივარაუდოთ, განპირობებულია იმით, რომ გ. მაჭავარიანს უდავოდ მიაჩნია *ძღ *ც₁ხ *წ₁ყ კომპლექსების რეკონსტრუქცია საერთო-ქართველურ დონეზე, მაშინ როცა ხშულკომპონენტებიანი კომპლექსების (*ძგ, *ცქ, *წკ...) რეკონსტრუქცია აღნიშნულ ქრონოლოგიურ დონეზე მხოლოდ ამ ორი ჯგუფის კომპლექსთა იზომორფიზმს ემყარება (36,87). ქვემოთ ამ პირობით აღნიშვნებს ვიყენებთ გ. ახვლედიანის მიხედვით.

1.1.5. ა. შ ა ნ ი ძ ე ჰარმონიულად მიიჩნევს მხოლოდ B ჯგუფის კომპლექსებს. სპეციალური მსჯელობა მას ამ ჯგუფებზე არ ჰქონია (62).

1.1.6. ზემოთ წარმოდგენილი ცნობების მიხედვით, თუ ქრონოლოგიას მხედველობაში არ მივიღებთ, სხვადასხვა მკვლევართან ჰარმონიული კომპლექსები წარმოდგენილია განსხვავებული რაოდენობის ჯგუფებით: ა. შანიძე მხოლოდ B ჯგუფს მიიჩნევს ჰარმონიულად, გ. ახვლედიანი — A და B ჯგუფებს, ნ. მარი — A, B, C-ს, ს. ხუნდაძე — A, B, C, D-ს. ხოლო გ. მაჭავარიანი — A, B, C, D, E, F ჯგუფებს.

2.0. ჰარმონიულობის (resp. კეთილხმოვნობის) გაგება, დასახელებულ ავტორებთან, ზოგადი საერთო პრინციპების გარდა, განსხვავებული პრინციპების შემოტანითაც ხასიათდება: **საერთოა** კომპლექსებში კომპონენტთა წარმოება განსხვავებულ ადგილებზე (ჰეტეროორგანულობის პრინციპი) და ერთგვარობა რაგვარობის გარკვეული ნიშნის / ნიშნების მიხედვით (ჰომოგენურობის პრინციპი). მცირე გადახრები ამ ნიშნების გაგებაშიც არის. **სხვაობას** ქმნის დამატებითი პრინციპები, რომლებიც შემოაქვთ ავტორებს კომპლექსთა რაგვარობის მიხედვით დახასიათებაში და ჰეტეროორგანულ კომპონენტთა რიგის განსაზღვრაში (პირველ ან მეორე ადგილზე) კომპლექსის შიგნით.

2.1. ს. ხუნდაძე კეთილხმოვან კომპლექსთა მისაღებად ორ პრინციპს მიიჩნევს არსებითად: (ა) **ჰეტეროორგანულობას** („ძირეულ სიტყვაში ერთათ არ მოხვდება ერთი ორგანოს ხმები“ (76,96) და (ბ) **ჰომოგენურობას სიმაგრე-სირბილის** მიხედვით („მაგარ ხმას მისდევს მაგარი, რბილს — რბილი“ (76, 96).

ს. ხუნდაძე ქართული ენის წყვილთანხმოვნიან კეთილხმოვან კომპლექსებს არ ზღუდავს დეცესიურობის პრინციპით (ასევე იქცევა გ. მაჭავარიანი, იხ. ქვემოთ), დგ კომპლექსის გვერდით კეთილხმოვნურად არის ჩათვლილი გდ-ც და სხვ. ამით ის განსხვავდება ნ. მარის, გ. ახვლედიანისა და ა. შანიძისაგან, რომელთა ჰარმონიული კომპლექსები უთუოდ დეცესიურია (იხ. ქვემოთ).

ტერმინი უნდა უკავშირდებოდეს თ. ბუსლაევის კეთილხმოვნებას (**благозвучие**). კეთილხმოვნობის პრინციპი თანხმოვანთა განაწილებაში გამოიხატება არაბუნებრივი კომპლექსების მისწრაფებით ბუნებრივი შეთანხმებისაკენ ფონეტიკურ გარდაქმნათა გზით (7, 64); ბუნებრიობისკენ მისწრაფებით ხსნის ს. ხუნდაძეც კზ > გზ, კც > ქც,

კს > ქს (ეკზამენი > ეგზამენი, რედაკცია > რედაქცია, ალეკსანდრე > ალექსანდრე) ცვლილებებს (76, 97).

ს. ხუნდაძეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კეთილხმოვნობისათვის აქვს მეცნიერული კრიტერიუმები: კომპონენტთა ჰეტეროორგანულობა და ჰომოგენურობა. ეს პრინციპები კარგად იყო ცნობილი რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. ჰომოგენურობის პრინციპზე შეიძლება მივუთითოთ ვ. ტრედიაკოვსკის 1748 წლის ნაშრომზე რუსული ორთოგრაფიის შესახებ (48, 485). ხოლო **ჰეტეროორგანულობის** შესახებ — ფ. ბუსლაევის ისტორიულ გრამატიკაზე (7, 85). ამ ნაშრომზე უთითებს გ. წერეთელი 1872 წელს (ამ დროისთვის არსებობდა ამ ნაშრომის ოთხი გამოცემა) და სხვ.

ქართველთაგან ჰეტეროორგანულობის პრინციპს ქართული ენის თანხმოვანთა ბუნებრივ კომპლექსებში პირველად შეეხო მწერალი გ. წერეთელი (გ. გორისელის ფსევდონიმით). მან წარმოების ადგილის მიხედვით გამოყო სამი „გვარის“ თანხმოვნები: **ბაგური ხმები** (ბაგისმიერები), **კბილური ხმები** (კბილისმიერები), **საოხრავი ხმები** (უკანაენისმიერები, ჰ ლარინგალურთან ერთად). წესი ჩამოყალიბებულია ამ ჯგუფების მიხედვით: „სხვადასხვაგვარი ასოები (ივარაუდება ბგერები — თ. უ.) შეერთდებიან ხოლმე ერთად და ერთგვარნი კი სულ არა“ (72, 43).

აქვეა მეორე საყურადღებო დებულებაც, სადაც უკვე მსჯელობა ხდება ბგერათა რაგვარობის მიხედვით: „ყველაზე უფრო ადვილად შეერთდება სხვადასხვაგვარის უხმო ასოებთან ხმოვანი და ცალხმა (ივარაუდება სონორი — თ. უ.) ასოები“ (72, 42). ზემოთ აღნიშნულ რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ეს დებულებაც წინა პლანზეა წამოწეული და ჩვეულებრივ გადადის სახელმძღვანელოდან სახელმძღვანელოში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ნ. მარი სწორედ ამ ჩვეულებრიობის გამო არ უთითებს ს. ხუნდაძეზე ჰარმონიულ კომპლექსებზე მსჯელობის დროს, რომელთაც პირველად 1908 წელს შეეხო „ძირითად ტაბულებში“.

2.2. ნ. მარი A და B ჯგუფებს სამი პრინციპის მიხედვით აყალიბებს: (ა) ჰეტეროორგანულობით (დეცესიური თანა-

მიმდევრობით: წინაენისმიერს მოსდევს უკანაენისმიერი);

(ბ) ჰომოგენურობით თანხმოვანთა სიძლიერის მიხედვით (აუცილებელია შემდეგი კომბინაციები: მარტივი ხშული + მარტივი ხშული ან მარტივი ხშული + აფრიკატი ან აფრიკატი + აფრიკატი);

(გ) ჰომოგენურობით სახმო სიმების მოქმედების მიხედვით (მჟღერთან დგას მჟღერი, ფშვინვიერთან — ფშვინვიერი, მკვეთრთან — მკვეთრი). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პრინციპებს ნ. მარი C ჯგუფში ბოლომდე ვერ იცავს. ბოლომდე დაცულია მხოლოდ დეცესიურობის პრინციპი, დანარჩენი ორი პრინციპი კი დარღვეულია, კერძოდ, (ა) დარღვეულია ჰომოგენურობის პრინციპი სიძლიერე-სისუსტის მიხედვით — ცხრილის მიხედვით ყ, ხ, ღ თანხმოვნები აფრიკატებია, მაშასადამე, ძლიერებიც, C ჯგუფში ისინი სუსტებს (ს, ზ ნაპრალოვნებს) მოსდევენ, რაც არ ხდება A და B ჯგუფებში, იქ მხოლოდ ძლიერ თანხმოვანთა კომბინაციებია; (ბ) დარღვეულია ჰომოგენურობის პრინციპი სახმო სიმების მოქმედების მიხედვითაც ერთ შემთხვევაში, კერძოდ, **სყ** კომპლექსში ფშვინვიერს მოსდევს მკვეთრი თანხმოვანი (ნ. მარის ტერმინოლოგიით: „საშუალოს“ მოსდევს „ყრუ“)*.

2.3. ა. შანიძისა და გ. ახვლედიანისათვის ჰარმონიულობის განსაზღვრაში არსებითია წინაწარმოების (ბაგისმიერებისა და წინაენისმიერების) თანხმოვანთა **ჰომოგენური კავშირი სახმო სიმების** მოქმედების მიხედვით უკანაენისმიერებთან **დეცესიური** თანამიმდევრობით.

2.4. გ. მაჭავარიანი ჰარმონიულობის ფრიად თავისებურ განსაზღვრას იძლევა. უპირველეს ყოვლისა, ის ჰარმონიულ კომპლექსებს არ ზღუდავს დეცესიურობის პრინციპით („ჰარმონიული ჯგუფი შეიძლება იყოს დეცესიურიცა და არადეცესიურიც“ (36, 79). მის

* ამ მსჯელობაში „ყრუ“ ფარავს „ფშვინვიერს“. შენაცვლება ემყარება იმას, რომ, გ. მაჭავარიანის აზრით, ქართულში (resp. ქართველურ ენებში და ამდენად საერთოქართველურშიც) ყრუებთან მიმართებაში მარკირებულია მჟღერი და მკვეთრი თანხმოვნები (33,12).

გამოკვლევაში **თავისებურად** არის წარმოდგენილი სახმო სიმების მოქმედების მიხედვით ჰომოგენურობის პრინციპი ნაპრალოვანთა და ხშულთა კომბინაციებში, კერძოდ, ჰომოგენურად არის გამოცხადებული ფშვინვიერი ნაპრალოვნისა და მკვეთრი ხშულის კომბინაცია იმ საბაბით, რომ „ნაპრალოვანთა კლასის თანხმოვნებისათვის არაარსებითია დაპირისპირება ყრუთა და მკვეთრთა სერიებს შორის, ყრუ სპირანტისა და მკვეთრი თანხმოვნისაგან შემდგარი ჯგუფები თანახმად დეფინიციისა ჰომოგენურ ჯგუფად ჩაითვლება“ (36, 79).

აქვე წარმოდგენილია ჰარმონიულობის ორიგინალური დეფინიცია: „ჰარმონიულის სახელწოდებით აღვნიშნავთ ისეთ ჰომოგენურ ჯგუფებს, რომელთაც აქვთ უნარი დაიკავონ ცალი თანხმოვნის ადგილი ერთი მორფემის ფარგლებში ნებისმიერ გარემოცვაში“ (36, 79). როგორც ვნახეთ, გ. მაჭავარიანის ნაშრომში ჰომოგენურობა ერთი რიგის კომპლექსებში თავისებურად არის გაგებული; ამავე დროს ერთი **ახალი** პრინციპიც შემოვიდა მის განსაზღვრაში — ჰარმონიულ კომპლექსთა მიერ ცალი თანხმოვნის მსგავსი ქცევა ნებისმიერ პოზიციაში.

ამ ნაშრომში უთუოდ თავისებურია ისიც, რომ ჰარმონიულ კომპლექსებს F კლასში ქმნიან წინაენისმიერი თანხმოვნებიც (სთ, სᵢთ, სტ, სწ), რაც სხვა მკვლევრებთან, როგორც ვნახეთ, გამორიცხულია. შეიძლება დავსძინოთ ამას: თუ **სთ, სᵢთ, სტ** კომპლექსებში ასე თუ ისე დაცულია კომპონენტთა განსხვავებული ლოკალური რიგი, **სწ** კომპლექსში ესეც დარღვეულია, რადგან /ს/-ც და /წ/-ც ნაშრომში მე-3 ლოკალურ რიგში არიან წარმოდგენილი (36, 11).

3.0. თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსების ზემოთ წარმოდგენილი თეორიის თვალსაზრისით განხილული ჯგუფებიდან უნდა გამოვრიცხოთ ცალკეული კომპლექსები და მთლიანად ჯგუფებიც როგორც არაჰარმონიული, კერძოდ: /სყ/ კომპლექსი ნ. მარის ჯგუფიდან, E და F ჯგუფები გ. მაჭავარიანის მიერ ჩამოყალიბებული ექვსი ჯგუფიდან.

/სყ/ კომპლექსი **სყიდა** საწყისში გვხვდება მორფემათა შესაყარზე: ს-ყიდ-ა, ამდენად, ეს კომპლექსი ფონემატური სტრუქტურის ფაქტი არც არის, თავი რომ დავანებოთ ფშვინვიერი /ს/-სა და მკვეთრი /ყ/-ს შეუთავსებლობას ჰომოგენურობის თვალსაზრისით. აქვე უნდა განვიხილოთ /სკ/-ც, რომელიც გ. მაჭავარიანმა მაინც ჰომოგენურ კომპლექსად მიიჩნია, რადგან ნაპრალოვანი ფონემებისათვის არარელევანტურად ჩათვალა დაპირისპირება ფშვინვიერობისა და მკვეთრობის მიხედვით (ეს არგუმენტი თუ მისაღები აღმოჩნდება, ნ. მარის /სყ/ კომპლექსისთვისაც გამოდგება). ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: ჯერ ერთი, აღნიშნული დაპირისპირება არსებითია მეორე წევრისთვის, /კ/-სთვის, რომელიც მკვეთრობით უპირისპირდება როგორც მჟღერ /გ/-ს, ისე ფშვინვიერ /ქ/-ს; მეორეც, /სკ/ მოსალოდნელი არ არის სტრუქტურულად, როცა სისტემაში არ არის /ზგ/ და /სქ/ უდავოდ ჰომოგენური კომპლექსები: /ზგ/ საერთოდ არ გვხვდება, /სქ/ კი მეორეულია (ან სესხების გზით შემოსულ სიტყვებში დასტურდება, ან ფონეტიკური გარდაქმნებით არის მიღებული: **სქემა**, **სქესი**... ნასესხები სიტყვებია, **სქელი** მეორეულია, შდრ. ძვ. ქართულის **ზრქელი**; **სქდება**, შდრ. **ხეთქა**, ძვ. ქართ. **განჰთქდა** და **განსთქდომა**).

რაც შეეხება სთ, სტ, სწ კომპლექსებს, გარდა იმისა, რომ ერთი აქტიური ორგანოს თანხმოვნებია კომპლექსებში გაერთიანებული, რასაც ადგილი არა აქვს სხვაგან (ბაგისმიერებსა და უკანაენისმიერებში), სტრუქტურულად ეს კომპლექსებიც მიუღებელი ჩანს, რადგან ენაში არ გვხვდება ზდ, ზძ, ზჯ, სც, სჩ, რომლებშიც ჰომოგენურობის პრინციპი დაცულია, რაც ჰარმონიულ კომპლექსთა ძირითად თვისებად არის მიჩნეული და ლოკალურად ისეთივე მიმართებაა, როგორიც სთ, სტ, სწ კომპლექსებში.

აქვე უნდა აღინიშნოს უთუოდ, რომ „ჰარმონიული კომპლექსები“ ვერ დაიკავებენ ცალი თანხმოვნის ადგილს ერთი მორფემის ფარგლებში „ნებისმიერ გარემოცვაში“, როგორც გ. მაჭავარიანი ვარაუდობს. საქმე ის არის, რომ ამის შესაძლებლობას არ იძლევა ქართული ენის თანხმოვანთა სინტაგმატური კანონზომიერებები: ჰარმონიული კომპლექსები უბრალოდ იკრძალება, სრულიად გამორი-

ცხულია გარკვეულ თანამიმდევრობაში, სადაც თავისუფლად ჯდება ცალი თანხმოვანი, ასე მაგალითად: (ბზა) სიტყვაში /ბ/-ს ჩანაცვლება შეუძლებელია **ბღ, დღ, ძღ, ჯღ** ჰარმონიული კომპლექსებით იმ მიზეზით, რომ #—V პოზიციაში დაუშვებელია თანამიმდევრობა **ღზ**, მაშასადამე, დაუშვებელია **ბღზ, დღზ, ძღზ, ჯღზ** მიმდევრობებით დაწყებული სიტყვებიც: ასევე /ზღარბი/ ფორმაში /ღ/-ს ვერ ჩავანაცვლებთ **ბღ, დღ, ძღ, ჯღ** კომპლექსებით, რადგან იმავე #—V პოზიციაში ქართულის ნებისმიერ ქვესისტემაში აკრძალულია **ზბ, ზდ, ზძ, ზჯ** თანამიმდევრობანი, მაშასადამე არ გვექნება სიტყვები, რომლებიც დაიწყება ბზღ, ზდღ, ზძღ, ზჯღ თანამიმდევრობებით და ა. შ.

აქვე გვინდა მოვიყვანოთ აკრძალვის ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც თითქოს მოულოდნელია, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, სინამდვილეში იგი განპირობებულია ქართული ენის თანხმოვანთა ფონემატური სტრუქტურის კანონზომიერებებით. ამოვიდეთ ზოგადი დებულებიდან, რომელიც ბუნებრივია ყველა ენისთვის და კარგად არის ცნობილი; თუ ენას აქვს xy თანამიმდევრობა და yz თანამიმდევრობაც გარკვეულ პოზიციაში, აქვე უთუოდ იქნება xyz თანამიმდევრობაც.

ქართულ ენაში დღეს #—V პოზიციაში ბუნებრივია **ფხ, თხ, ცხ, ჩხ** ჰარმონიული კომპლექსები, ასევე დასტურდება **ხშ** და **ხს** კომპლექსებიც ამ პოზიციაში (ხშირი, ხშვა; ხსნა, ხსოვნა და ა. შ.), მაშასადამე, სიტყვის დასაწყისში უნდა ველოდეთ **ფხშ, თხშ, ცხშ, ჩხშ**; **ფხს, თხს, ცხს, ჩხს** კომპლექსებსაც, ქართულ ენაში კი არც ერთი ამათგანი არ დასტურდება, ე. ი. (ფშა) სიტყვაში ცალი თანხმოვანი (ფ) ვერ იქნება ჩანაცვლებული ჰარმონიული ფხ, თხ, ცხ, ჩხ თანხმოვნებით და ა. შ.

ეს არ არის შემთხვევითობა. აქ საქმე გვაქვს მკაცრ კანონზომიერებასთან: **ხშ** და **ხს** ქართულ ენაში მეორეული კომპლექსებია, შედეგი პარადიგმატულ სისტემაში მომხდარი ცვლილებებისა, კერძოდ ჯ/ხ მონაცვლეობისა, რაც ბოლომდე განხორციელდა სალიტერატურო ქვესისტემაში და ქართული ენის მრავალ დიალექტში (სულ რამდენიმე კილოში შემოგვრჩა /ჯ/ თანხმოვანი). ამ ცვლილების (ჯ/ხ) საფუძველზე მივიღეთ ძველი ქართული ენისთვის

მიუღებელი წყვილები: **ხშ, ხს** (შდრ. ძვ. ქართულის ჴშ, ჴს) და ენაში გაჩნდა ფონემატური სტრუქტურის საწინააღმდეგო წყვილები ბუნებრივი (სტრუქტურით დაშვებული) **სხ, შხ** წყვილების გვერდით (/ჴ/-ს მქონე დიალექტებში ვითარება ძველი ქართულის ნაირია)*. სწორედ ამ მიზეზით ქართული ენის თანამედროვე სისტემაში მეორეულობისა და ბუნებრივი სტრუქტურული მოდელის საწინააღმდეგო თვისებათა გამო **ხშ** და **ხს** არ გვხვდება ზემოთ ჩამოთვლილ სამკომპონენტიან კომპლექსებში (ფხშ, თხშ, ცხშ...).

აქ წარმოდგენილი ვითარების მიხედვით ერთადერთი ჯგუფი (**ბღ, ფხ, პყ**...) არ იწვევს მკვლევართა დაეჭვებას — იგი ყველას შეაქვს ჰარმონიულ კომპლექსებში.

B ჯგუფის კომპლექსები ხასიათდება კომპონენტთა ჰეტეროორგანულობით, ჰომოგენურობითა და არახლეჩადობით (ერთი მორფემის ფარგლებში კომპონენტთა შორის სხვა თანხმოვანი არ დაიშვება, მიუხედავად იმისა, კომპლექსი თავდაპირველია თუ რაიმე ფონეტიკური ცვლილებით არის მიღებული).

თუ B ჯგუფს მივიჩნევთ ამოსავლად, წყვილ თანხმოვანთაგან ქართულში შედგება ჰარმონიულ კომპლექსთა სამი ჯგუფი:

I				II			III			
ფს	ფშ	ბზ	ბჟ	ბღ	ფხ	პყ	სხ	ზღ	შხ	ჟღ
ქს	ქშ	გზ	გჟ	დღ	თხ	ტყ				
ჴს	ჴშ	—	—	ძღ	ცხ	წყ				
				ჯღ	ჩხ	ჭყ				

I ჯგუფში ორი კომპლექსი არა გვაქვს /ჴ/-ს მჟღერი კორელატის უქონლობის გამო. B ჯგუფიდანვე ამოსვლით დახასიათებაში შემოვა ისიც, რომ ჰარმონიული კომპლექსის ბოლო წევრი ნაპრალოვანია უთუოდ, წინა წევრი კი შეიძლება ხშულიც იყოს (I და II ჯგუფებში) და ნაპრალოვანიც (III ჯგუფში).

* ამიტომ არის, რომ დიალექტებში მეორეული ხშ და ხს მეტათეზისით გადადიან ბუნებრივ თანამიმდევრობაზე: ხშირი /შხირი, ხსნა / სხნა და სხვ.

იმის გამო, რომ /ს, ზ, შ, ჟ/ კომპონენტები ჰარმონიულ კომპლექსთა ჯგუფებში მეორე წევრადაც გვევლინებიან (ფს, ფშ, ბზ, ბჟ...) და პირველ წევრადაც (სხ, ზღ, შხ, ჟღ), ქართულში თეორიულად სავარაუდებელია ჩქამიერ თანხმოვანთა სამწევრიანი ჰარმონიული კომპლექსებიც, რომლებიც შეადგენენ IV ჯგუფს.

IV

ფსხ, ფშხ, ბზღ, ბჟღ

ფსხილი, ფსხიტი, ფსხლიკურწა; ფშხვნა, ფშხალვა; ბზღალი, ბზღელი; ბჟღალი, ბჟღარები.

IV ჯგუფშიც სამივე წევრი ჰეტერორგანულია, ჰომოგენური და არახლეჩადი.

ფონემატურ სისტემაში შეიძლება გამოიყოს ქართული ენის შემდეგი გენეტიკური თვისებები:

(1) სიტყვის ბოლოს მარცვლის დახურვის ტენდენცია, რაც მკვეთრად არის გამოხატული აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში.

(2) ბუნებრივია სიტყვათა ერთმარცვლიანი და ორმარცვლიანი ფუძეები.

(3) არ არის ბუნებრივი ხმოვანთა კომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში.

(4) ერთი მორფემის ფარგლებში ბუნებრივია თანხმოვანთა მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსები.

მორფოლოგია

ქართული ენის ბრუნების სისტემა

ბრუნება არის სახელის ფორმაცვალება ზმნასთან კავშირში: ზმნასთან კავშირი ქმნის ბრუნების კატეგორიის ზოგად მნიშვნელობას (კატეგორიის საფუძველს) — აქტანტობას. ბრუნების კატეგორიის ელემენტებია ბრუნვები. ბრუნების კატეგორიის ასეთი გაგება არის ნაწილობრივ ნავარაუდები ბრუნვის განმარტებაში, რომელსაც იძლევა ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი (32): „**Падеж грамматическая категория имени, выражающая его синтаксические отношения к другим словам высказывания или к высказыванию в целом...**“ (32, **падеж**).

რამდენადაც ციტირებულ ადგილას მითითებაა საერთოდ სინტაქსურ კავშირზე, რომელიც ბრუნვის მქონე სახელს აქვს წინადადების სხვა წევრებთან, პირველ რიგში, სავარაუდებელია ზმნასთან კავშირი, მაგრამ ეს განმარტება არ იძლევა ბრუნვის გაჩენის აუცილებელ პირობად მხოლოდ ზმნასთან კავშირით შემოფარგვლის საშუალებას. ჩვენთვის ამჟამად არსებითი იყო ზმნასთან კავშირზე მითითება. სახელის სხვა რიგის სინტაქსურ კავშირზე ბრუნვებთან (resp. ბრუნებასთან) მიმართებით ქვემოთ საგანგებოდ ვიმსჯელებთ.

ბრუნვათა ზმნასთან კავშირის ასპექტით მსჯელობა არის რ. იაკობსონის, ჩ. ფილმორის და სხვათა ცნობილ ნაშრომებში. რ. იაკობსონი იძლევა ცალკეულ ბრუნვათა ზოგად მნიშვნელობებს და მათ კერძო გამოვლინებებს სინტაქსურ ურთიერთობათა სახით. მისი განმარტებით, კერძო სინტაქსური მნიშვნელობები ზოგადი მნიშვნელობის ვარიანტებია(21, 143). ამ ნაშრომის მიხედვით, ვფიქრობთ, ასეთი დასკვნის გამოტანაც შეიძლება: თვით ზოგადიც ზმნასთან კავშირიდან გამომდინარეობს. ამის დამადასტურებლად მიგვაჩნია შემდეგი დებულებები: „**Значение винительного так тесно и непосредственно связано с действием, что он может управляться только глаголом... предмет обозначенный винительным падежом представлен как объект, по отношению к которому говорящий активно выражает свою точку зрения...**“ (21, 140).

სახელობითი და ბრალდებითი ბრუნვების ლიტერატურაში არსებულ სინტაქსურ დახასიათებას, როგორც სუბიექტისა და ობიექტისა, ბრალდებითთან დაკავშირებით რ. იაკობსონი სწორად მიიჩნევს (21, 139, 140), ოღონდ სახელობითის დახასიათებას — „падеж обозначающий субъекта деятельности“ (გვ. 139) არასრულყოფილად აცხადებს იმიტომ, რომ რუსულ ენაში სახელობითი ბრუნვის ზოგადი ფუნქცია დახასიათების გარეშე რჩება: ეს ბრუნვა ისეთ შემთხვევებშიც გამოიყენება, როდესაც ქმედება არ ხდება საერთოდ (время — деньги): ზოგ შემთხვევაში კი სახელობითი ბრუნვით ობიექტია გადმოცემული (сын наказан отцом). მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ქვემდებარის როლში შესაძლებელია სხვა ბრუნვის ფორმაც.

ბრუნების სისტემის გაგების თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანია ის, რომ რ. იაკობსონი სახელობით და ბრალდებით ბრუნვათა დახასიათებას ახდენს ბრუნების კატეგორიის არსიდან ამოსვლით: „...Винительный как бы указывает, что на объект направлено действие, именительный же, напротив, сам по себе не содержит указания ни на наличие, ни на отсутствие отношения к действию“ (გვ.141). მაშასადამე, **სახელობითი** და **ბრალდებითი ბრუნვები**, როგორც ბრუნების კატეგორიის ელემენტები, აქ დაპირისპირებულია საერთო ამოსავალთან (კატეგორიალურ მნიშვნელობასთან) — ქმედებასთან **ურთიერთობის მიხედვით**, დასკვნაც ამ ასპექტით კეთდება: „Указание на наличие отношения (Bezug) является, таким образом, признаком винительного в противоположность именительному...“ (გვ. 141) სახელობითი ~ ბრალდებითი ბრუნვების კორელაციაში ამიტომ მარკირებულად ბრალდებითია მიჩნეული (21, 141). სწორედ ამის გამო არის ბრუნება მორფოლოგიური კატეგორია, რომ იგი ემყარება ელემენტთა (ბრუნვათა) პარადიგმატულ მიმართებებს.

სახელთა ბრუნებაზე მსჯელობის დროს არც ჯ. ლაიონზის სინტაქსთან მიმართებით გაკეთებული განცხადებაა შემთხვევითი: „Принцип на котором, видимо, основаны традиционные парадигмы, сводится к следующему: выделяется именно шесть падежей, потому что это минимальное число синтаксически релевантных различий, с помощью которых оказывается возможным формулировать правила

выбора формы, пригодные для всех склонений как в единственном, так и во множественном числе" (30, 309).

მნიშვნელოვანია ჯ. ლაიონზის ეს დებულებაც: „Главная проблема, связанная с определением падежа как грамматической категории, состоит в решении вопроса о том, сколько из этих черт частных "индоевропейских" свойств мы хотим сохранить в нашем определении" (30, 307-8).

ჩ. ფილმორს ბრუნვათა თეორიაში შემოაქვს კონცეპტუალური ჩარჩო, სადაც ცალკე განიხილება სიღრმისეული სტრუქტურა, რომელშიც წინადადება წარმოდგენილია ზმნითა და მასთან ბრუნვით დაკავშირებული სახელით ან სახელებით. იქვე შენიშნავს: „Важно понимать что объяснительная ценность универсальной системы глубинных падежей заключается в их синтаксической, а не в (просто) морфологической природе". მეორე წერილშიც — Дело о падеже открывается вновь, რომლის თარგმანიც НЗЛ-ის იმავე ტომშია დაბეჭდილი, ჩ. ფილმორი ბრუნებას უკავშირებს შინაგან სემანტიკას, რომელიც განისაზღვრება არა პარადიგმატულად (კონტრასტებისა და ოპოზიციების სისტემით) (58, 400), არამედ სინტაქსურად — სტრუქტურულ ელემენტთა ურთიერთობის კონტექსტში: სცენებში (ანუ სიტუაციაში) როლების მიხედვით განისაზღვრება ის, თუ წინადადების რომელი შემადგენელი გამოდის სუბიექტის როლში და რომელი — ობიექტის როლში. სწორედ ამ კონტექსტში ხდება მითითება ლ. ტენიერის ვალენტობის თეორიაზე.

ლ. ტენიერი სტრუქტურულ წყობას (საპირისპიროდ ხაზობრივისა) მიიჩნევდა ჰუმბოლდტის „ენის შიდაფორმად" (47, 45).

ჩ. ფილმორი სანიმუშოდ იღებს მექანიკური ქმედების გამომხატველ სიტუაციას hit „დარტყმა". იგი წერს, ასეთ სიტუაციებში ადვილია კონცეპტუალური ჩარჩოს შედგენა: „...Предмет, который используется, это поциенс, предмет на который с его помощью оказывают воздействие это цель, а тот, кто оперирует первым предметом, - это агенс" (58, 523). ამ მსჯელობაში ნათლად არის წარმოჩენილი ზმნის არსებითი როლი სახელთა გრამატიკული მნიშვნელობისა და ფორმის განსაზღვრაში.

საჭიროა მკაცრად გაიმიჯნოს სინტაქსური და მორფოლოგიური ბრუნების კატეგორიაში. უდავოა, რომ: (1) ზმნით გამოხატულ

ქმედებაში წინადადების ყველა არსებითი სახელი იღებს მონაწილეობას; (2) ქმედებაში განსხვავებული სახის მონაწილეობა (ანუ განსხვავებული როლი) განაპირობებს სახელთა განსხვავებულ გრამატიკულ ფუნქციებსა და შესაბამის ფორმებს.

ზემოთ წარმოდგენილ დებულებათა საფუძველზე სახელის ზმნასთან ურთიერთობა უნდა მივიჩნიოთ ბრუნების კატეგორიის წარმოქმნის პირობად, ანუ **ბრუნების კატეგორიის ზოგადი მნიშვნელობა არის აქტანტთა გამოხატვა, რაც ხორციელდება პარადიგმატული მიმართებით**: კატეგორიის ელემენტების ფორმათა და ფუნქციათა შეპირისპირების საფუძველზე, **რის გამოც ბრუნება მორფოლოგიური კატეგორიების რიგში დგება.**

> **ანალოგიისათვის**: ხილთა გამაერთიანებელია მცენარეული წარმომავლობა (ყველა სახეობას ხე ისხამს) ხილის სახეობათა დაპირისპირება კი ხდება გემოს (და კონფიგურაციის) მიხედვით: ვაშლი – მსხალი – კომში და სხვ.

ჩვენი მსჯელობა შეიძლება დავამთავროთ ფერდინანდ დე სოსიურის უარყოფითი დამოკიდებულებით ფორმისა და ფუნქციის დანაწილებაზე მორფოლოგიასა და სინტაქსს შორის: „Отделяя морфологию от синтаксиса, ссылаются на то, что объектом этого последнего являются присущие языковым единицам функции, тогда как морфология рассматривает только форму“ (45, 168). ასეთი დაყოფა არასწორად მიიჩნია, რადგან, მისი აზრით, ბრუნების პარადიგმაში წევრთა გაერთიანება ხდება სწორედ ფუნქციის საფუძველზე: „...Разные формы существительного... объединяются в единую парадигму склонения только благодаря сравнению функций, свойственный этим формам“ (45, 168). აქვეა ეს დებულებაც: ეს განსხვავებული ფუნქციები მორფოლოგიაში შედიან იმდენად, რამდენადაც ყოველ ფუნქციას შეესაბამება განსაზღვრული ბგერითი მაჩვენებელი.

სახელს წინადადებაში, გარდა ზმნისა, კავშირი აქვს მსაზღვრელთანაც. ზემოთ მსჯელობა გვქონდა ზმნასთან კავშირზე, როგორც ბრუნების კატეგორიის ზოგადი მნიშვნელობის განმსაზღვრელ მოვლენაზე, ახლა შეიძლება დავსვათ კითხვა, რამდენად მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით წინადა-

დებაში არსებით სახელთა კავშირი მსაზღვრელთან, ანუ მსაზღვრელთან კავშირს აქვს თუ არა რაიმე გავლენა ცალკეული ბრუნვების წარმოქმნასთან? ეს კითხვა ჩნდება იმასთან დაკავშირებით, რომ წინადადებაში არსებითი სახელის სხვა სიტყვებთან კავშირი ზოგადად მიჩნეულია ბრუნვათა სისტემის საფუძვლად: „სახელის ნაირ-ნაირ ფორმებს შორის გამოიყოფა ერთი ჯგუფი, რომლის წევრებს ლექსიკური მნიშვნელობა ერთი აქვთ, მაგრამ განსხვავდებიან წინადადებაში მოხმარების მიხედვით, სიტყვათშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით“ (62, 44). ამ განმარტებას გვერდით დაუდგება ЛЭС-ის დებულება, რომელიც დასაწყისში მოვიყვანეთ. მის მიხედვით გამონათქვამის ფარგლებში ბრუნვის კატეგორია სინტაქსურ კავშირებს ამყარებს სახელსა და გამონათქვამის სხვა წევრებს შორის.

შემდგომი მსჯელობის სიცხადისათვის დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ აქტანტის როლში მხოლოდ არსებითი სახელი გამოდის. სხვა მეტყველების ნაწილთათვის აუცილებელია სუბსტანტივაცია — არსებით სახელად მოქცევა, რომ ქმედების მონაწილედ იქცნენ*.

ამ შესავლის შემდეგ შეიძლება კითხვა კონკრეტულად დავსვათ: ბრუნების კატეგორიის ელემენტთა (ბრუნვათა) შექმნაში რა როლი ენიჭება საზღვრულის კავშირს მსაზღვრელთან?

საზღვრულისა და მსაზღვრელის კავშირი საზღვრულით იმართება, ამდენად საზღვრულის გვერდით **მსაზღვრელის რაიმე გავლენა ბრუნების სისტემის ჩამოყალიბებაზე გამორიცხულია**: მსაზღვრელი საზღვრულის რომელიმე თვისების გამომხატველი სიტყვაა, იგი ფორმალურად (ან რაიმე სხვა გზით**) იმეორებს საზღვრულს, რათა არ მოხდეს კომუნიკაციური გაუგებრობა — ამა თუ იმ საზღვრულის მსაზღვრელი არ მიეწეროს სხვა სახელით გამოხატულ საზღვრულს. ეს ვითარება კარგად ჩანს ბრუნების,

---

* Л. Теньер: "Актанты - это всегда существительные или их эквиваленты" (47, 117).

** მხედველობაში გვაქვს ნულოვანი ალომორფით წარმოდგენილი მსაზღვრელი, რომლის საზღვრული ისევე მკაცრად არის მითითებული, როგორც მატერიალურად რეალიზებული ბრუნვის ნიშნის მქონე მსაზღვრელის საზღვრულისა (იხ. ქვემოთ).

რიცხვისა და სქესის მქონე აგლუტინაციურ და ფლექსიურ ენებში, სადაც მსაზღვრელი ამ კატეგორიათა მიხედვით იმეორებს საზღვრულის ფორმებს, მაგ., ძვ. ქართ.: კაც-**ი** სახიერ-**ი**, კაც-**მან** სახიერ-**მან**, კაც-**სა** სახიერ-**სა**... კაც-**ნ-ი** სახიერ-**ნ-ი**, კაც-**თა** სახიერ-**თა**; რუს.: **родная сестра, родной брат... родные сестр-ы, родн-ые братья**...

საზღვრულისა და მსაზღვრელის ურთიერთობის ბუნების შეცნობის თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა აქტიური ტიპოლოგიის ენათა ჩვენება. მსაზღვრელისა და საზღვრულის ურთიერთობის ოთხი ფორმულიდან, რომლებსაც იძლევიან თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი, ჩვენ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მე-2 და მე-4 ფორმულები: A—In ⌜-os⌝ და In—A ⌜-om⌝, რომლებშიც **-os** აქტიურ კლასს გამოხატავს, **-om** კი — ინაქტიურს. ფორმულათა მიხედვით ცხადია, რომ მსაზღვრელები საკუთარი კლასის ნიშნებს კი არ ატარებენ, არამედ საზღვრულის კლასისას (In ⌜-os⌝ და A ⌜-om⌝) (11, 277). ამნაირი გაფორმება მსაზღვრელისა დაკავშირებულია განკუთვნების მკაცრ პრინციპთან — **მსაზღვრელი თავისი საზღვრულის კლასის ნიშანს უნდა ატარებდეს ამ უკანასკნელისადმი მისი სრული განკუთვნების გამოსახატავად - უფრო მკაფიოდ**: საზღვრული **ანგარიშს არ უწევს** მსაზღვრელის კლასს, **მას საკუთარი კლასის ნიშანს აძლევს და ამით იჩემებს მას, რითაც სხვა საზღვრულებს უსპობს მასთან გრამატიკული ურთიერთობის საშუალებას**.

ამავე ნაშრომში საყურადღებოა აქტიურ და ინაქტიურ კლასთა მარკერების ზმნაში გამოჩენა, ერთი მხრივ, და მათი მონაწილეობა ბრუნვათა ჩამოყალიბებაში, მეორე მხრივ: (1) ხდება განზოგადება **-os** ნიშნისა აგენსისათვის, ხოლო **-om** ნიშნისა — პაციენსისათვის, მიუხედავად იმისა, აგენსი და პაციენსი კონკრეტულად რომელ კლასს განეკუთვნებიან; (2) განზოგადებისავე საფუძველზე წარმოიქმნებიან **სტრუქტურულ-სინტაქსური აქტივი და ინაქტივი**, რომლებიც მიჩნეულია სახელობითი და ბრალდებითი ბრუნვების წინარე საფეხურად (11, 277).

როცა ლაპარაკია აგენსისა და პაციენსის ტერმინებში, გასაგებია, რომ საქმე გვაქვს ზმნისა და სახელის ურთიერთობასთან. ერ-

თიც: „სტრუქტურულ-სინტაქსური“ წინაპირობა ჩანს „კონცეპტუალური ჩარჩოს“ ჩამოყალიბებისათვის, რომელსაც შევეხეთ ჩ. ფილმორის ბრუნების თეორიაში.

„სტრუქტურულ-სინტაქსური აგენსისა და პაციენსის“ წარმოქმნა ვარაუდობს სტრუქტურული ელემენტების სიღრმისეული ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესის გაშლას, ამის შედეგია როგორც ლ. ტენიერის „სტრუქტურული მიმდევრობა“, ისე ჩ. ფილმორის „კონცეპტუალური ჩარჩო“. ყოველივე ეს გამოიხატება ვ. ჰუმბოლდტის „ენის შიდაფორმის ტერმინებში“.

ზემოთ რამდენჯერმე ხაზგასმით აღინიშნა, რომ აქტანთა ზმნასთან მიმართება არის ის ზოგადი თვისება, რაც ბრუნების კატეგორიაში აერთიანებს სახელთა ერთიმეორესთან პარადიგმატულად მიმართულ განსხვავებულ ფორმებს — ბრუნვებს. ბუნებრივია, ფუნქციურად განსხვავებული აქტანტები გამოხატულების პლანშიც არსებითად განსხვავებულნი არიან, რაც აყალიბებს ბრუნების სისტემას.

ქართული ზმნების აქტანტთაგან ზოგი პირმიმართია, ზოგი — პირმიუმართავი. პირმიმართობა-პირმიუმართაობა წარმოქმნის განსხვავებული ფუნქციებისა და ფორმების ელემენტთა — ბრუნვათა ორ ჯგუფს. ქართული ენის სახელთა ბრუნების სისტემა შეიძლება დახასიათდეს ზემოთ წარმოდგენილი ორი ჯგუფის მიხედვით ორ საფეხურად: პირველ საფეხურზე სახელობითი, მოთხრობითი მიცემითი, როგორც **პირმიმართ აქტანტთა ბრუნვები**, უპირისპირდებიან ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებს. I ჯგუფის სამეულში (სახ., მოთხრ., მიც.) წარმოდგენილი არიან სუბიექტის, პირდაპირი ობიექტისა და ირიბი ობიექტის ბრუნვები. ამ როლებში არ გვხვდება არც ერთი ბრუნვა მეორე ჯგუფიდან (ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი). მეორე საფეხურზე ორივე ჯგუფის შიგნით ცალ-ცალკე ხდება ბრუნვათა პარადიგმატული შეპირისპირება აღნიშნული ჯგუფური დაპირისპირების ფონზე. ამ ორ ჯგუფს გამოყოფდა ჰ. აარონსონიც იმაზე დამყარებით, რომ სახ., მოთხ. და მიც. ბრუნვებს შეეძლოთ გამოეხატათ გარდამავალი პრედიკაციის აგენსი (ვარაუდობს, რომ III სერიის აქტივთა მიც. ბრუნვაში დასმული აქტანტიც სუბიექტია) (3).

პირმიმართ აქტანთა ბრუნვები: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი.

სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვები მარტივი წინადადების ფარგლებში შემდეგნაირად ინაწილებენ სუბიექტური, პირდაპირობიექტური და ირიბობიექტური აქტანტების როლებს: მოთხრობითი ბრუნვა მხოლოდ სუბიექტის ბრუნვაა. მარტივ წინადადებაში თუ სახელი დგას მოთხრობით ბრუნვაში, იგი უთუოდ სუბიექტია; თუ მარტივ წინადადებაში არ არის მოთხრობითი ბრუნვა, მაშინ სუბიექტს გამოხატავს სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი; სახელობითი ბრუნვა მოთხრობითის გვერდით მარტივ წინადადებაში არის პირდაპირი ობიექტის ბრუნვა.

სახელობითი ბრუნვის ფორმა შეიძლება მხოლოდ სახელდებისათვის იყოს ნახმარი ზმნასთან კავშირის გარეშე (სათაურები, აბრები...), ამიტომ, როგორც სუბიექტის ბრუნვა, მოთხრობითი უფრო მარკირებულია სახელობითთან შედარებით. სახელობითი ნაკლებ მარკირებულია მიცემით ბრუნვასთან შედარებითაც: სახელდების ფუნქციის გარდა, სახელობითს შეუძლია სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის გამოხატვა.

მაშასადამე, მოთხრობითი ~ სახელობითი და მოთხრობითი ~ მიცემითი დაპირისპირებებში მოთხრობითი სუბიექტის ბრუნვაა; სახელობითი და მიცემითი კი, შესაბამისად რიგისა, პირდაპირი და ირიბი ობიექტების ბრუნვებია: სუბიექტური მოთხრობითი ბრუნვის გვერდით სახელობითი მხოლოდ პირდაპირი ობიექტის ბრუნვაა, მიცემითი კი — ირიბი ობიექტისა.

სუბიექტური სახელობითი ბრუნვის გვერდით პირდაპირი და ირიბი ობიექტები ორივე მიცემით ბრუნვაში დგას. ეს ხდება ზმნათა I სერიის ფორმებთან. ამ ობიექტთა განსხვავება I სერიაში შესაძლებელია ფუნქციათა მიხედვით: პირდაპირი ობიექტი მიცემით ბრუნვაში (O^dD) პაციენსია, ირიბი ობიექტი მიცემით ბრუნვაში ($O^{ind}D$) კი — ადრესატი, ვისთვისაც ხდება ქმედება. პაციენსი ~ ადრესატი სემანტიკური დაპირისპირება მკაფიოდ მიჯნავს მიცემით ბრუნვაში დასმული აქტანტების განსხვავებულ გრამატიკულ მნიშვნელობას. ჩ. ფილმორის კონცეპტუალურ ჩარჩოში პირდაპირი და ირიბი ობიექ-

ტები ერთიმეორესთან დაპირისპირებულია პაციენსობა-ადრესატობით, შდრ. რ. იაკობსონი: უსულო სახელთა საერთო ფორმით წარმოდგენილი სახელობითი და ბრალდებითი ბრუნვები რუსულ ენაში გარჩეულია ზმნასთან განსხვავებული კავშირებით.

ჩვენი მსჯელობა უფრო გამოკვეთილ სახეს მიიღებს, თუ ბრუნვათა განსხვავებას მოვახდენთ ინიციატორისა და არაინიციატორის ტერმინებში (52, 12). სახელობით ბრუნვაში დასმული აქტანტი პირმიმართიც არის და ინიციატორიც, ასევე მოთხრობით ბრუნვაში დასმული აქტანტი როგორც პირმიმართი, ისე ინიციატორია. მათ შორის განსხვავება იმით მყარდება, რომ მოთხრობითი ბრუნვის ფორმა ამ თვისებას ყოველთვის ატარებს, სახელობითი კი მაშინ, როცა წინადადებაში არ არის მოთხრობითი.

თუ წინადადებაში არის მოთხრობითი ბრუნვის მქონე სუბსტანტივი, მის გვერდით სახელობითი რჩება პირმიმართად, მაგრამ იძენს მეორე თვისებას — მოიქცევა პაციენსად.

პირმიმართი და პაციენსი შეიძლება იყოს მიცემით ბრუნვაში დასმული სახელიც, ამიტომ არის, რომ ერთი და იგივე სუბსტანტივი განსხვავებულ მწკრივებში შეიძლება სახელობით ან მიცემით ბრუნვაში იყოს წარმოდგენილი, როგორც პირმიმართი და პაციენსი. სახელობითისაგან მიცემითი განსხვავდება იმით, რომ არასოდეს იქნება ინიციატორი და თუ მოთხრობითი და სახელობითი ფორმების გვერდით იქნება წინადადებაში, ამ დროს იქნება ადრესატი ბენეფაციანტი (ანუ ექსპერიენცერი, რეციპიენტი). მაშასადამე, მიცემითის გვერდით სახელობითი არის ან (ა) ინიციატორი, რაც ვერ იქნება მიცემითში დასმული სახელი ვერსად, ან (ბ) პაციენსი, რაც ვერ იქნება იმავე წინადადებაში მიცემითი ბრუნვით წარმოდგენილი მეორე სახელი.

რაც შეეხება პირმიუმართავ აქტანტთა ბრუნვებს, მათი ფუნქციებიც კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში.

ნათესაობითი განკუთვნებითი ფუნქციის მქონე ბრუნვაა. უპირველეს ყოვლისა, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად ვერ ჩაითვლება ე. წ. მართული და მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელის -**ის** სუფიქსი (კაც**ის**ა ძეც, ძეც კაც**ის**აც). აქ ეს სუფიქსი წარმოქმნის ელემენტია, ბრუნვის ნიშნები მის შემდეგ მოდის (კაცისა-Ø, კაცისა-**ც**).

ვითარება ანალოგიურია თანამედროვე ქართულში: კაცის-Ø ძე-Ø, ძე-Ø კაცისა-Ø. თანამედროვე ქართულში „კაცის ძეგლი“ რა გაგებითაც არ უნდა ვიხმაროთ [(1) კაცის საკუთრება, (2) კაცმა რომ გამოაქანდაკა, (3) კაცს რომ გამოხატავს], ყველგან განკუთვნებასთან გვექნება საქმე.

რაც შეეხება ე შ ი ნ ი ა კ ა ც ი ს ა ტიპის შესიტყვებების სუბსტანტივის ფორმებს (ერიდება, ეკრძალება... სწამს, ჰმართებს... კ ა ც ი ს ა), მათი სახით საქმე გვაქვს ყოფილ მსაზღვრელებთან, რომელთაც განხორციელებული ელიპსის საფუძველზე დაუკავებიათ დაკარგული (ჩავარდნილი) საზღვრულის ადგილი (29, 145). გეშინის, გუეშინის ე- პრეფიქსიან ფორმებში მოსალოდნელია ორი აქტანტი სახელობითი და მიცემითი ბრუნვების ფორმით (*ეშინის მას იგი, *გუეშინის ჩუენ იგი). სუბიექტი (იგი) ჩავარდნილა და ადგილი დაუკავებია მის მსაზღვრელს: „გუეშინის ე რ ი ს ა ამის“ (მ. 21, 26); „გუეშინის ე რ ი ს ა გ ა ნ (გ. 21, 26C). სავარაუდებელია ე რ ი ს ა იყო მსაზღვრელი რ ი ს ხ ვ ა საზღვრულისა წარმოდგენილი სიტუაციის მიხედვით (*გუეშინის რისხვაჲ ერისა ამის > გუეშინის ერისა ამის); შდრ. „ჰრწმენა წიგნისაჲ და სიტყუაჲ იგი“ ი. 2.22. აქაც წიგნისაჲ ყოფილი მსაზღვრელია, რომელსაც საზღვრული დაუკარგავს — წინასწარმეტყველის **ამბავი** (ე. ი. ამბავი წიგნისაჲ > წიგნისაჲ); ამ შერწყმულ წინადადებაში „სიტყუაჲ იგი“ სწორედ ის სუბიექტია, რომელიც იკარგებოდა, აქ იგი მსაზღვრელის გარეშეა წარმოდგენილი („ჰრწმენა... სიტყუაჲ იგი“).


ნათესაობითი ბრუნვის ადგილი ასეთ შესიტყვებებში ზოგჯერ მიცემითს უკავია: „ჰეროდეს ეშინოდა იოვანესა“ (მრ. ხ, 20). ორი მიცემითი გარდაუვალ ზმნაში არაბუნებრივია, შეუძლებელია ეს სიღრმისეული მიმართებიდან მოდიოდეს. ასეთი ზმნური ფორმები ორი მიცემითით უთუოდ იმ პერიოდისაა, როცა მსაზღვრელი იწყებდა საზღვრულის ადგილის დაკავებას და გამოწვეულია სუბიექტის კომპენსირების ცდით, ე. ი. რაღაცნაირი ცდაა სუბიექტზე მითითებისა პერფექტულ ფორმაში. ასეთი არაბუნებრივი შეხამება აქტანტებისა ე შ ი ნ ი ს, ე კ რ ძ ა ლ ვ ი ს ტიპის ზმნებთან [„ეკრძალებოდა მას“ (მრ. 6, 20C)., მაგრამ „ეკრძალებოდეთ კაცთაგან“ (მ. 10, 17)] ქმედების ინიციატორის გამოხატვის გზების ძიების შედეგია.

მოქმედებითი ბრუნვა რამდენიმე ერთიმეორისგან განსხვავებულ მნიშვნელობას აერთიანებს, როგორიცაა: გ ა მ ო ს ვ ლ ი თ ი, საჭურვლისა და თ ა ნ ა ო ბ ი ს (აბლატივი, ინსტრუმენტალისი და კომუტატივი).


ვითარებითი ბრუნვა გარდაქმნითი ფუნქციით (კონვერსივი) გამოირჩევა სხვა ბრუნვათაგან.

აღნიშნული ორი ჯგუფის ბრუნვები სხვამხრივაც უპირისპირდებიან ერთიმეორეს. წარმოქმნის უნარი ყველა ბრუნვის ნიშანს აქვს, მაგრამ ამას განსხვავებულად ახორციელებენ პირმიმართი და პირმიუმართავი აქტანტების ბრუნვის ნიშნები, კერძოდ: პირმიმართი აქტანტების (სახ., მოთხ., მით.) ბრუნვის ნიშნები ნებისმიერ არასახელს სახელად მოაქცევენ ისე, რომ თვითონ ინარჩუნებენ ბრუნვის ნიშნის ფუნქციას, სხვანაირად: პირმიმართი აქტანტების ბრუნვის ნიშანთა წინ სხვა მეტყველების ნაწილთა ფორმა სახელის ფუძედ მოიქცევა, მაგალითად: ღირ-ს (ზმნა) ~ ღირს-ი, ღირს-მა, ღირს-ს (სახელი). ასევე ხდება ზმნიზედების მოქცევა სახელად: პირველად (ზზ.) ~ პირველად-ი, პირველად-მა, პირველად-ს (სახელი), პირობით (ზზ.) ~ პირობით-ი, პირობით-მა, პირობით-ს (სახელი); ძველი ქართულიდან: მრწამ-ს (ზმნა) ~ მრწამს-ი (სახ.), მრწამს-მან, მრწამს-სა; აქა (ზზ) ~ აქა-ჲ, აქა-მან, აქასა (სახ.) „აქაური...“ მუნ (ზზ.) ~ მუნ-ი (სახ.) ~ მუნ-მან, მუნ-სა (სახ.) „იქაური...“

ლ. ტენიერის სქემით ეს გარდაქმნები ასე გამოიხატება:




პირმიმართ აქტანთა ფორმებიც შეიძლება მოიქცნენ სხვა მეტყველების ნაწილებად, მაგალითად, ზმნიზედად წარმოქმნის ელემენტით (შემოკლებით წე) ან ფლექსიური ელემენტის (ბრუნვის ნიშნის) დაკარგვით:




წარმოქმნილი დ ღ ე ს და შ ა ბ ა თ ს ზმნიზედები არ დაიშლება — წარმოქმნის ელემენტი ფუძეში შედის, განსხვავებით სახელისგან, სადაც -ს (დღე-ს, შაბათ-ს) ბრუნვის ნიშანია და ჩანაცვლებადი ელემენტია (დღე-ს, დღე-მ...), ზმნიზედას პარადიგმა არა აქვს, ფორმაუცვლელი სიტყვაა, ის არ დაიშლება. ამნაირი წარმოებისაა დ ი ლ ა ს, ს ა ღ ა მ ო ს; დიალექტებში (მაგ., თუშურში) წარმოქმნის ეს მოდელი ფართოდ გამოიყენება: თენებას „გათენებისას“, ღამებას „დაღამებისას“, წველას „წველის დროს“, ჯვნას „ხვნის დროს“ და სხვ.

ქართულში ტრანსლაცია სახელი / ზმნიზედა ფლექსიური ელემენტის დაკარგვითაც ხორციელდება: „ღ ა მ ე მუშაობს, დ ღ ე სძინავს“.



სქემაში არსებითი სახელის ბრუნვა {-ი} სუფიქსის ნულოვანი ალომორფით (/-Ø/ გამოიხატა, მისი დაკარგვა კი გამოკლების ნიშნით (—), მაშასადამე, დღე-Ø (სახ.)~დღე (ზზ.) ფლექსიური ელემენტის (ბრუნვის ნიშნის) ქონა-არქონით ხორციელდება: დ ღ ე ფუძე თუ მიიღებს ბრუნვის ნიშანს, სახელია (დღე-Ø<დღე-ი) და ბრუნების პარადიგმის წევრი ხდება; თუ დაკარგავს ბრუნვის ნიშანს (ე. ი. პარადიგმის წევრობას), ზმნიზედაა.

მეორე ჯგუფის აქტანტთა (ნათ., მოქ., ვით.) ბრუნვის ნიშნები ტრანსლაციის დროის თვითონ მოიქცევიან წარმოქმნის ელემენტებად და ფუძის შემადგენლობაშიც შედიან, მაგ.: პირობა (სახ.) ~ პირობით (ზზ.), პირველი (სახ.) ~ პირველად (ზზ.)... ამ ზმნიზედებიდან პირველი ჯგუფის აქტანტთა ბრუნვის ნიშნებით ზემოთ წარმოდგენილი სქემით შეიძლება სახელთა ახალი ფორმები მივიღოთ.



მაგ.: პირობით (ზზ.)~პირობითი (სახ.); პირველად (ზზ.)~პირველადი (სახ.).

როგორც ვხედავთ, ტრანსლაციის საშუალებით ენას უაღრესად მოქნილი იარაღი ეძლევა: განსაზღვრული რაოდენობის ფუძეებისგან სხვადასხვა რიგის ფორმათა თითქმის განუსაზღვრელი რაოდენობის წარმოება შეუძლია.

ჩვენს მსჯელობაში ვერ შემოვიდა „წოდებითი ბრუნვა“, რომლის სტატუსი, როგორც ბრუნვისა, დიდი ხანია სადავოდ არის გამხდარი ჩვენში. რადგან ჩვენ ბრუნვები არსებით სახელთა აქტანტობას დავუკავშირეთ, ამ კრიტერიუმით „წოდებითი“, რა თქმა უნდა, ვერ შევიდოდა ბრუნვათა რიგში.

დამატებით შეიძლება ვთქვათ შემდეგი: იმ ფონზე, საკუთარი სახელები რომ გაუთანაბრდნენ საზოგადო სახელებს ბრუნვის ნიშნებითა და სავრცობებით*, ყურადღებას იქცევს ძველი ქართული მიმართვის ფორმების შემონახვა მიმართვის დროს (შოთა! თამარ! ივანე!...). უფრო მეტი, ზოგ დიალექტში მეტი გამომხატველობისთვის ადამიანის სახელთა ფუძე იცვლება გამარტივებისკენ: მაყვალ! ნათელ! (კახურში); შრთ! ივან! (ქალთა მეტყველება თუშურში); დიალექტებში მიმართვის სრული სახეებიც იხმარება (ნათელა!) და -ო სუფიქსით დაბოლოებულებიც (დავითო, შოთავ, მათევ < მათეო...).

რატომ გვაქვს ასეთი ჭრელი სურათი, რატომ ვერ დასრულდა საკუთარ სახელთა გრამატიკული ქცევის იდენტიფიკაცია საზოგადო სახელებთან?

— მიზეზი ადვილი მისაგნებია: რქმევის სახელით ადრესატი უკვე გამორჩეულია სხვათაგან და, ბუნებრივია, საჭირო აღარ გახდა მიმართვის სპეციალური მაწარმოებელი მისი ყურადღების მისაქცევად. რქმევის სახელებთან გამოყენებული მიმართვის -ო სუიფქსი ანალოგიის შედეგია და ენობრივი თვალსაზრისით საქმე გვაქვს სიჭარბესთან: თუ შრთ! შოთა! და შოთავ! ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებს თუშურ დიალექტში, ასევე მაყვალა! მაყვალ! და მაყვალავ! (<მაყვალაო) — კახურში, რა აუცილებელი ფუნქცია აქვს „მაყვა-

* განსხვავება ძველებურად რჩება ფუძეთა კუმშვა-კვეცის მიხედვით. ადამიანის რქმევის სახელები ძველებურად უკუმშველ-უკუვეცელია. ამ მორფონოლოგიურ ცვლილებებს ბრუნების სისტემის ჩამოყალიბებასთან საერთო არაფერი აქვს. მორფონოლოგიური ცვლილებები უკვე ჩამოყალიბებული სისტემის ფარგლებშია განხორციელებული.

ლავ!“, „შოთავ!“ ფორმათა -ვ სუფიქსს ამ დიალექტებში? მისი ხმარება არ არის აუცილებელი, რასაც ვერ ვიტყვით აქტანტთა ფორმებში ბრუნვის ნიშნებზე. ეს ნიშნები ქმნიან ბრუნების სისტემის ერთეულებს (ბრუნვებს); **მათ გარეშე სახელს გრამატიკული ფუნქცია ეკარგება**.

რაც შეეხება მსაზღვრელ სახელთა მარკირებული და ნულოვანი ალომორფებით წარმოდგენას, მათ შესახებ ვიმსჯელებთ მორფოსინტაქსურ ნაწილში.

ბოლოს შევეხებით ლოკალურ ბრუნვებს. ამ სახელით თანამედროვე ქართულში გამოიყო სამი ბრუნვა. მათი გამოყოფის საფუძველია ისტორიულად განხორციელებული მორფონოლოგიური ცვლილებები, ეს ბრუნვებია: სადაობითი (სახლში, სახლზე), გამოსვლითი (სახლიდან) და მიწევნითი (სახლამდე). ამათ გვერდით მთის კილოებში გამოიყო „ორმაგი ბრუნების“ ფორმები: სადაობით-გამოსვლითი (სახლშიით და სახლზეით), სადაობით-მიწევნითი (სახლშიამდი). ამ ორი ბრუნვის ფორმათა შესახებ ნათქვამია, რომ მათ „ორი ბრუნვის მნიშვნელობა აქვს (62, 77).

ადრე აღვნიშნეთ, რომ მორფონოლოგიურ ცვლილებებს ბრუნვათა მორფოლოგიური სტატუსი არ შეუცვლია. დამატებით ვიტყვით, რომ თეორიულად გამორიცხულია ორი ბრუნვის ნიშანი სახელის ერთ ფორმაში, რადგან ბრუნვები ბრუნების კატეგორიის ელემენტებია, მათ მხოლოდ ჩანაცვლება შეუძლიათ.

ის ფორმები, რომელთაც ა. შანიძე „ლოკალური ბრუნვის“ ფორმებს უწოდებს, უმეტეს წილად ზმნიზედებია, რის ერთ-ერთი ნიშანი არის მათი ხელახალი წარმოება **-ით** სუფიქსით; სახელთა ბრუნვის ფორმებს კი **-ით** არ დაერთვის: სახლში თუ თანდებულიანი მიცემითი ბრუნვაა („ამ სახლში ბევრი გადაიხადა“ ან „ამ სახლზე ბევრს ფიქრობს“), მისი გართულება -ით სუფიქსით შეუძლებელია იმ თეორიულ საფუძველზე, რომ ერთი ფორმა ორ ბრუნვას ვერ გამოხატავს. მაგრამ თუ ეს ფორმები ამოვარდნილია ბრუნების პარადიგმიდან და ზმნიზედის ფუნქციით არიან წარმოდგენილი, მათ გართულება -ით სუფიქსით ჩვეულებრივია მთის დიალექტებში. სწორედ ესენია ორ ბრუნვისნიშნიანებად მიჩნეული,

მაშინ როცა ორივე ნიშანი ზმნიზედის მაწარმოებელია. ზმნიზედათა გართულება **-ით** სუფიქსით ძველ ქართულშიც ხდებოდა და განსაკუთრებით ბევრია საშუალ ქართულში, მაგ.: მუნ ~ მუნით „იქ ~ იქიდან“ (შდრ. სახლზე ~ სახლზეით „სახლზე“ ~ „სახლზეიდიან“), მუნ ~ მუნითგან „იქ ~ იქიდან“, მუნ ~ მუნითკე „იქ ~ იქითკენ“, აქა ~ აქათ (<აქაჲთ) „აქ ~ აქედან“... როგორც ვხედავთ, ესენი პირველადი ზმნიზედები და მათგან **-ით** სუფიქსით ნაწარმოები მეორადი რთული ზმნიზედებია.

ამავე **-ით** სუფიქსით ჩანს მიღებული დღისით ზმნიზედა. ჩანს, პირველადი იყო *დღის (შდრ. ზამთრის „ზამთარში“, ზაფხულის „ზაფხულში“), რომელსაც დართვია **-ით** და მიღებულია რთული ფორმის დღისით. ამ რთული ფორმის ცვეთით ჩანს მიღებული დღისი („ქალაქს შეხვალ ნათლივ, დღისი“, ვეფხისტყაოსანი, 1071, 4). უფრო სრულად იხ. ქვემოთ.

სუბიექტური მეორე პირისა და ობიექტური მესამე პირის {ჰ-} პრეფიქსი ქართულში

ა. შანიძე {ჰ-} მორფემას „საერთო ქართულისთვის“ პროტოტიპულ სახედ მიიჩნევს (64, 360).

„საზოგადოდ ყველა ის ქართული კილოები, რომელთაც ვიცნობთ ჩვენ ისტორიულად, ძველი ძეგლებიდან, თუ ცოცხლად დღეს, ისეთ ფორმებს გვაძლევს უღვლილებაში, რომ აღნიშნული პრეფიქსების ძირითად ფონეტიკურ სახედ უნდა მივიჩნიოთ ჰ. დანარჩენი სახეები (ნული, ჲ, ხ, ღ, ს, ზ, შ, ჟ) ამ ძირითადი სახისგან არის განვითარებული ბგერათა შენაცვლების ნიადაგზე“ (64, 360). აქ წარმოდგენილი დებულებები ჩვენი შემდგომი მსჯელობის ამოსავალია.

თანამედროვე ქართულ დიალექტებს შორის ერთ-ერთ ძირითად განსხვავებას [ჰ] ბგერის ფონეტიკური გარდაქმნის განსხვავებული შესაძლებლობა იძლევა, კერძოდ: (ა) [ჰ] შეიძლება გაქრეს უკვალოდ ნებისმიერ პოზიციაში. ამის ფონემატური უდავო დადასტურებაა ის, რომ /ჰ/ ქართულში, გარდა ექსპრესიული ნაწილაკებისა (ჰა! ჰო! უჰ! ეჰ! ოჰ!...), არა გვხვდება სხვა ფონემათა მეზობლად ერთი მორფემის ფარგლებში; (ბ) იმის გამო, რომ ლარინგალური [ჰ]-ს წარმოთქმა სამეტყველო აპარატში არ ხასიათდება სპეციფიკური კონფიგურაციით, ადვილად ხერხდება მისი ასიმილირება ენისმიერი განსხვავებული ჯგუფის (წინაენის, შუაენის, უკანაენის) თანხმოვნების მიერ: /დ, თ, ტ; ძ, ც, წ/ ჯგუფის წინ, შესაბამისად სახმო სიმების მოქმედებისა, [ჰ] გადადის [ს] ~[ზ] ბგერებში, უკანანუნისმიერი ჯგუფის /ჯ ჩ ჭ/-ს წინ [შ] ~ [ჟ] ვარიანტებში, ხოლო უკანაენისმიერი /გ ქ კ ჰ ყ/ ჯგუფის წინ — /ხ/ ~ /ღ/ ვარიანტებში. რაც შეეხება ასიმილაციას ბაგისმიერ თანხმოვანთა /ბ ფ პ/ ჯგუფის წინ, იგი ემყარება ამ ბგერების უკანაენისმიერ თანხმოვნებთან საზიარო აკუსტიკურ ეფექტს (22). ამ ჯგუფის თანხმოვნების წინაც /ხ/~/ღ/ ვარიანტებია.

იმ დიალექტებში, სადაც წინაენისმიერი ნაპრალოვნები [ს, ზ, შ, ჟ] ხმოვანთა მომდევნოდ იძლევიან [ჲ] ბგერას (მაგ.: ბოჲტანი,

მუდტი, გაჲრდის „გაზრდის“, ეჲ „ეს“, იჲ „ის“ და სხვ.) მოხდა ვარიანტთა ნიველირება [ჲ] ბგერად. ამ მხრივ გამორჩეულია ქართლური და კახური დიალექტები.

იქ, სადაც არა ხდება წინაენისმიერ ნაპრალოვანთა გადასვლა [ჲ]-ში (მაგ., მთის დიალექტებში), [ჰ] განსხვავებულად ასიმილირდება სხვადასხვა საწარმოთქმო ჯგუფთა თანხმოვნებთან. უთუოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლებელია ზემოთ მითითებულ გარდაქმნათა რეალიზაცია სრულად არა ხდებოდეს ან შემთხვევით ვერ მოხერხდეს რომელიმე ფორმის დაფიქსირება დიალექტებში. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ წესები უნდა შესწორდეს. ჯერ კიდევ გამოუვლენელი ან არარეალიზებული ფორმები ვირტუალურად უნდა ჩაითვალოს.

აქ უთუოდ უნდა გავიხსენოთ ა. შანიძის ცდა 1920 წლის მონოგრაფიაში, მოეხდინა დიალექტთა კლასიფიკაცია S_2-ისა და O_3-ის {ჰ-} მორფემის ხმარების სახეთა მიხედვით. იგი წერდა: „მეორე პირის სუბიექტურისა და მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ჴმარების მიხედვით დღეს-დღეობით ცოცხალი კილოები ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: აღმოსავლურად და დასავლურად“ (63, 144).

„აღმოსავლური კილოები თავის მჴრით კიდევ ორ ჯგუფად გაიყოფა, თუ ამ გაყოფას S_2-ის ჴმარების წესი დაედო, მაშინ ქართლის კილო ცალკე გამოიყოფა, ერთ მჴარეს, და დანარჩენი კილოების (კახური, ქიზიყური, ფშაური და თუშური) მეორე მჴარეს იქნება, ხოლო უკეთუ გადაჯგუფ-გადმოჯგუფების საზომად O_3-ის ჴმარების წესს მივიღებთ, მაშინ ცალკე გამოიყოფა ჴევსურული და სხვები კი (ქართლური, კახური, ქიზიყური, ფშაური და თუშური) მეორე მჴარეს მოექცევა“ (63, 145).

„ქართლის კილოს ერთი რამ თვისება ახასიათებს, რომელიც მას სხვა აღმოსავლური კილოებიდან განსხვავებულ ბეჭედს ასვამს. ეს გახლავს მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსის დაკარგვა და ამიტომ მოთხრობითისა და ბრძანებითის ერთმანეთში არევა და ფორმალური განურჩევლობა“ (63, 147).

აქვეა წარმოდგენილი დასავლურ კილოთა დახასიათება ამავე ნიშნებით: „მეორე პირის სუბიექტურისა და მესამე პირის ობიექტუ-

რი პრეფიქსის ჴმარების საკითხი დასავლურ კილოებში სულ უბრალოდ არის გადაწყვეტილი: სხვადასხვა მიზეზის გამო აქ დაიკარგა ერთი პრეფიქსიცა და მეორეც“ (63, 178). ამ საკმაოდ მკაცრად ჩამოყალიბებულ წესებს ახლავს ფრთხილი განცხადებები: (1) „ქართლი დიდია და შეუძლებელია, ყველგან ერთგვაროვნად იყოს“ (63, 147_1); (2) „სპეციალურმა შესწავლამ შესაძლებელია გამოარკვიოს, რომ S_2 და O_3 ზოგიერთ ზმნაში მაინც, დასავლურ კილოებსაც მოეპოვებოდეს, როგორც წარსულის ნაშთი“ (63, 172).

ეს სიფრთხილე გამოწვეულია იმით, რომ ქართული დიალექტური მასალის მოძიება მას უწევდა პირველი მსოფლიო ომის დასავლეთის ფრონტის ლაზარეთებში მიმოფანტულ ქართველ ჯარისკაცებთან — დიალექტთა თითო-ოროლა წარმომადგენლებთან. ა. შანიძე ამ დროს კარგად იცნობდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებს, რომელთაც სწავლობდა 1911-1913 წლებში, და, რა თქმა უნდა, მშობლიურ გურულ კილოს.

ახლა იმის შესახებ, რით დაუპირისპირდა „ჰევსურული“ დანარჩენ დიალექტებს: „აწმყოსა და მყოობადის ფორმებს შორის ახალ ქართულში საზოგადოდ განსხვავებული ნიშანია მხოლოდ თანდებული (=ზმნისწინი — თ. უ.). ჰევსურული კი უფრო შორს წავიდა: იგი შეეცადა, რომ აწმყოსა და მყოობადის დიფერენციაციას მეტი ფორმალური მჴარე ჰქონოდა და ამ მიზნისთვის მან მესამე პირის ობიექტური ნაწილაკი გამოიყენა: იგი მიუჩინა მყობადის ფორმებს (მო-**ხ**კლავს, და-**ს**წერს), ხოლო აწმყოსა და ნამყო უსრულის ფორმები უპრეფიქსოდ დატოვა (კლავს, კლევდა; წერს, წერდა), მიუხედავად იმისა, რომ სინტაქსური კონსტრუქცია ზმნის აწყმოშიაც და მყობადშიაც ერთი და იგივეა (კლავს **მას**, მოხკლავს **მას**; წერს **მას**, დასწერს **მას**)... (63, 164).

აქ წარმოდგენილი დებულებები თეორიული თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა. მათ დაწვრილებით განვიხილავთ.

{ჰ}-ს ვარიანტთა სიმცირიდან თუ ამოვალთ, **I ჯგუფს** ქმნიან ქართლური და კახური. S_2-ისა და O_3-ის {ჰ-} ამ ჯგუფში რეალიზებულია */ჲ-/~/Ø/* ვარიანტებით: */ჲ-/* გვხვდება ხმოვანთა მომდევნოდ, */Ø-/* კი — პაუზის მომდევნოდ. */ჲ-/*-ს წინ ხმოვანი ან ზმნისწინისაა, ან

რომელიმე ნაწილაკისა (ნუ, არა, ვერა, განა...), ან წინ მდგომი სიტყვის დამაბოლოებელია; მაგ.: ნუ ⟨ა⟩წერ, ნუ და⟨ა⟩წერს, ძმასა ⟨ა⟩წერს... მეტყველებაში [ა] წინ მდგომ ხმოვანს ეკედლება: /ვერა⟨ა⟩ წერს/, /ნუ⟨ა⟩ წერ/ და სხვ., რაც დაკავშირებულია დამარცვლის მოთხოვნილებასთან (55).

II ჯგუფში შედიან აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებიდან ფხოური ჯგუფის კილოები (ხევსურული, მოხეური, თუშური) და ყველა დასავლური დიალექტი; ამათ {ჰ-} გამოეხატებათ /ს-/ ~ /ზ-/ ~ /შ-/ ~ /ჟ-/ ~ /ხ-/ ~ /ღ-/ ~ /Ø-/ ვარიანტებით. სხვაობა ვარიანტთა მეტნაკლებ გავრცელებულებაშია.

III ჯგუფის დიალექტებია: ფშაური, მთიულური, გუდამაყრული. ესენი ქართლურის დიდ გავლენას განიცდიან, S_2-ისა და O_3-ის მარკირების წესებით სცილდებიან მთის დიალექტებსა და იხრებიან ქართლურისკენ. ამ ჯგუფში ვხვდებით თვით /ჰ-/ ალომორფს და მის გვერდით — ხმოვანთა მომდევნოდ, /⟨ა⟩-/ ~ /⟨ას⟩-/ ~ /⟨აჰ⟩-/ ვარიანტებს. ამათ I და II ჯგუფის დიალექტებში ვერ შევხვდებით.

საილუსტრაციო მასალა III ჯგუფის დიალექტებიდან

გ უ დ ა მ ა ყ რ უ ლ ი

ცხორს გა⟨ა⟩ხედოდე (ქდ 81, 19), გ ა ⟨ა⟩კ ვ ე ბ ა ვ ს ჯარსა (ქდ 83, 22); მაგსა — ⟨ა⟩ჰქონდა (ქდ 81, 12), წეკვას ვერ მო⟨ა⟩სწევ (81, 27); ვინ გაჰყვებოდა (ქდ 82, 19), მიხყვა (ქდ 82, 19); გადავჰყრი (ქდ 83, 31) და სხვ.

მ თ ი უ ლ უ რ ი

არა ⟨ა⟩დგებითო? (ქდ 64, 16), მი⟨ა⟩ხედა (ქდ 64, 41); და⟨ას⟩ჩირდება (ქდ 56, 28), არ მი⟨ა⟩სცა (ქდ 65, 14), გაა⟨ა⟩ჰწრო (ქდ 65, 4); ნუ შჰამ (ქდ 56, 7), თავებ დასჩირისო (ქდ 62, 24), ცოლი ასტყდომია (ქდ 62, 41), დავჰკუწავთ (ქდ 58, 22).

მთიულური

ბატარასაცა — ⵔქვიან ჯიელაი (ქდ 127, 18), დაⵔფენენ და გაშრება (ქდ 129, 9); ჩხირ-წინდის მეტი არა ⵔჰქონია (ქდ 132, 34); გივიაი გაⵔსთიბს და აⵔხვეტოდი (ქდ, 127, 19); მტერს რო მაⵔჰკლავდეს, მაⵔშჭრიდეს ჯელს და დაⵔჰკრავდეს სახლსა (ქდ 138, 18); თუ ჰჯნევდი სვილსაო (ქდ 134, 37) და სხვ.

I ჯგუფიდან ქართლურში გვაქვს /ⵔ-/ ნიშნით წარმოდგენილი S_2: „ხუთკუნჭულა, გამაⵔსწარი?“ (ქდ 296, 12) „გამაⵔსწარ, ხუთკუნჭულაო!“ (ქდ, 296, 3); შდრ. იქვე „გაგასწარი კი არა, ზედმეტიც იყოო“ (ქდ, 296, 13). ამ ფორმათა შეპირისპირებით უდავოა, რომ /ⵔ-/ აქ S_2-ს ნიშანია. ეს ატენის ხეობის ნიმუშია.

ბ. ჯორბენაძის მიხედვით /ⵔ-/ S_2-ის ნიშნად დადასტურებულია ჩრდილო და ცენტრალურ ქართლურში, დასავლურში კი არ გვხვდებაო (78, 291). ეს უთუოდ დასავლურ დიალექტებთან მეზობლობით აიხსნება. ოღონდ არ იქნება გასაკვირი, რომ ქართლის დასავლეთშიც, სადაც ხშირია მიგრაცია დასავლეთ საქართველოდან, ნულოვანი ვარიანტის გვერდით სუბიექტური მეორე პირი /ⵔ-/ ნიშნითაც იხმარონ, როგორც, მაგალითად, დასავლურ კილოებში, სადაც S_2 და O_3 ძირითადად ნულოვანი ვარიანტით არიან წარმოდგენილი, აქა-იქ მაინც II ჯგუფისთვის დამახასიათებელი ნიშნებით აღინიშნება O_3, თუმცა გაცილებით ნაკლები ინტენსივობით, ვიდრე ეს ფხოური ჯგუფის დიალექტებისთვის არის დამახასიათებელი.

ქართლურში, უბრალოდ, /ⵔ-/ პრეფიქსის მქონე ფორმაში პაუზის მომდევნოდ და თანხმოვნის წინ (სიტყვის თავკიდურად) იქმნება არაბუნებრივი კომბინაცია — #ⵔC თანმიმდევრობის სახით (ამ პოზიციაში კახურში იკარგება /ⵔ-/) და [ⵔ] ვარდება ფორმიდან. ამას გავლენა მოუხდენია ხმოვნის მომდევნო [ⵔ]-ს ხმარებაზეც, ე. ი. ფონემატური დაწოლით ყველგან დუნდება მორფოლოგიური მოთხოვნა, მსგავსად სალიტერატურო ქართულისა, სადაც თხრობითი და ბრძანებითი კილოების ფორმები II პირში ერთიმეორეს ემთხვევა. სალიტერატურო ქართულში ეს უთუოდ ქართლურიდან მოდის.

ქვემოთ წარმოვადგენთ მასალას II ჯგუფის დასავლური დიალექტებისთვის.

გ უ რ უ ლ ი

დასთანხმდა (ქდ 420, 38); დავშჰამ (ქდ 421, 9), ხავდა (421, 6) „ჰყავდა“, ხოლია (ქდ 422, ბ. 6) „ჰყოლია“, ხავს (ქდ 421, 16) „ჰყავს“; შდრ. მთის დიალექტების ხ ყ ა ვ „ჰყავს“, ზდია, ზდია ბზისუნახავს (ქდ 428, 9), ნუ გასცინეფ (429, 26), როცა ხარი დაშჰირდენ (ქდ 430, 13), მილგვარენ (ქდ 419, 38) „მიჰგვარეს“

ი მ ე რ უ ლ ი

ბ. ჯორბენაძე უთითებს შემდეგ ფორმებზე (68, 467); დასჩეხავ, დახდგავ, დასწექი, დასწყვიტე; დასჩეხავს, დახდგავს, ხყავს || ხავს, მოშჰრიან, დახკრა.

ა ჭ ა რ უ ლ შ ი

ბ. ჯორბენაძე უთითებს შემდეგ ფორმებზე (78, 557): დაჰცქერი, შეჰჭამ, მოჰწყდა, შჰირდება, შეშჰამს || შეჰჭამს; ჟჯობნის, დაჟჯერდა; ახკიდა, გამოხყვა, ხყოლია || ხოლია, ხყავს || ხავს, მიხყავს || მიხავს.

როგორც ვხედავთ, S_2, O_3 პირთათვის დასავლური დიალექტები სრულად ხმარობენ {ჰ-} მორფემის იმ ვარიანტებს, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს ფხოური ჯგუფის არქაულ დიალექტებში გვაქვს, ესენია: /ს-/~/ზ-/~/შ-/~/ჟ-/~/ღ-/~/ხ-/. არა გვხვდება /ჲ-/ ალომორფი, რომელიც I ჯგუფის დიალექტთა სპეციფიკას წარმოადგენს.

რაც შეეხება ნულოვან ვარიანტს (/Ø-/), მას შეუძლია დასავლურ დიალექტებში აქ წარმოდგენილი ვარიანტები შეცვალოს, იქ გავრცელების მხრივაც 90%-მდე აღწევს.

არსებითი ამ შედარებით გამოვლინდა ის, რომ თანამედროვე აღმოსავლური არქაული დიალექტები და დასავლური დიალექტები S_2-ისა და O_3-ის მ ა რ კ ი რ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო გ ზ ა ს გ ა დ ი ა ნ; **მათ შორის განსხვავება ამ მხრივ ზმნურ ფორმათა მარკირების მიხედვით რაოდენობრივია და არა თვისობრივი.**

ქართლურსა და კახურში უნიფიკაცია მოხდა {ჰ-}-ს მორფონოლოგიური გარდაქმნის განსხვავებული გზით წარმართვის (ჰ>ჲ) გამო,

რაც ქართლურის გავლენით მეზობელ ფშაურსა და მთიულურ-გუდამაყრულშიც მიმდინარეობს.

მიუღებელია დებულება ხევსურულის სპეციფიკის შესახებ, რითაც ა. შანიძე ამ დიალექტს უპირისპირებს ყველა დანარჩენს: თითქოს აწმყო ~ მყოფადი დაპირისპირებისთვის ამ დიალექტში საკმარისი არ აღმოჩნდა ზმნისწინი და „ამ მიზნისთვის მესამე პირის ობიექტური ნაწილაკი გამოიყენა: იგი მიუჩინა მყობადის ფორმებს (მო-ხკლავს, და-სწერს), ხოლო აწმყოსა და ნამყო უსრულის ფორმები უპრეფიქსოდ დატოვა (კლავს, კლავდა; წერს, წერდა)... (63, 164).

დებულების საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითების მიხედვით კარგად ჩანს, რომ აწმყოსა და ნამყო უსრულის ფორმებს ზმნისწინიც აკლიათ, გარდა პირის ნიშნისა, ამიტომ დებულება დამატებით არგუმენტაციას მოითხოვდა, ეს ერთი, მეორეც, ის ზმნები, რომელთაც არა აქვთ O$_3$ მშვენივრად აწარმოებენ მყოფადის ფორმებს მხოლოდ ზმნისწინით, როგორიცაა ერთპირიანი პასივები: უნიშნო ვნებითები და -დ სუფიქსიანი ვნებითები: ქრების ~ გაქრების, შრების ~ გაშრების; შავდების ~ გაშავდების, ბრუნდების ~ დაბრუნდების... ორპირიან აქტივებშიც, რომელთაც პირდაპირი დამატება I სერიაში მიცემით ბრუნვაში აქვს, კარგად ჩანს ზმნისწინის დამოუკიდებელი როლი მყოფადის წარმოებაში, მაგალითად არაყს სწურავს ~ არაყს მოსწურავს, ბალახს სთიბს ~ ბალახს მასთიბს. აი, ადგილი ბ. გაბურის ტექსტიდან: „მთაში თუ სთიბს, ეს გაბური“ (ქდ 20, 28), იქვეა ესეც: „ხის ცელ რას მასთიბს?“ (ქდ 20, 30).

მიზეზი კლავს ~ მახკლავს, წერს ~ დასწერს ფორმათა დაპირისპირებისა პირის ნიშნის მარკირების მიხედვით მხოლოდ მორფონოლოგიურია, დროის წარმოების მორფოლოგია აქ არაფერ შუაშია.

ხევსურულში, ისე როგორც ძველ ქართულში, აწმყოს უზმნისწინო ფორმებში პირის ნიშანი იკარგება ფონემატური შეუთავსებლობის გამო: ამ კონკრეტული საილუსტრაციო ფორმების მიხედვით არ არის ბუნებრივი პაუზის მომდევნოდ (სიტყვის დასაწყისში) /ხკ/ და /სწ/ კომპლექსები, რადგან მათში გაერთიანებულია, ერთი ორგანოთი ნაწარმოები თანხმოვნები (უკანაენისმიერები და წინაენისმიერები) ეს

კომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში საერთოდ არ დასტურდება ქართულში.

რაც შეეხება ზმნისწინიან ფორმებს, დამარცვლისას პირის ნიშანი და ფუძისეული თანხმოვანი სხვადასხვა მარცვალში ექცევიან და ბუნებრივად რეალიზდებიან (მოხ-კლავს, დას-წერს). ანალოგიური ახსნა ექნება ძველი ქართულის კლავს ~ მოჰკლავს, წერს ~ დასწერს ფორმათა შეპირისპირებასაც.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ხევსურულისნაირი დაპირისპირება კახურსაც ახასიათებს: კლავს ~ მაჲკლამს, წერს ~ დაჲწერს; /ჲ-/ კახურში O_3-ის ნიშანია და უზმნისწინო ფორმებში იმავე მიზეზით იკარგება, რა მიზეზითაც ხევსურულში O_3-ის /ხ-/ ან /ს-/ პრეფიქსები.

ობიექტთა მარკირებისათვის ქართულ ზმნაში

ქართული ზმნის არსებითი მახასიათებელია პირისა და რიცხვის კატეგორიები და მათი მარკირების საკმაოდ რთული სისტემა. ამ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენი ზოგი მოსაზრება წარმოვადგინეთ 2002 წლის მონოგრაფიაში (52). წინამდებარე ნაშრომში ზოგი საკითხი დამატებით არის შესწავლილი, ზოგიც განსხვავებულ ინტერპრეტაციას იღებს. ერთ-ერთია პირდაპირი ობიექტის მარკირების საკითხი სამპირიან ზმნაში. ამას ჩვენ განვიხილავთ არნ. ჩიქობავას თვალსაზრისის ფონზე. მხედველობაში გვაქვს „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, ამ ნაშრომის 1968 წლის „მეორე გამოცემის წინასიტყვაობა“ და ზოგი დებულება ძირითად ნაწილში.

არნ. ჩიქობავას „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ არსებითი მოსაბრუნია ქართული ენის სინტაქსის შესწავლის ისტორიაში. იგი მნიშვნელოვანია „მეთოდოლოგიური იმანენტიზმის“ მანიფესტაციითა და სრულიად ახალი კოორდინაციის თეორიით. აღნიშნული მონოგრაფიის მეორე გამოცემაში (1968) ავტორმა უპასუხა კითხვას, რომელიც პასუხგაუცემელი დარჩენია პირველ გამოცემაში (1928). ეს ეხება „პირველი MO-ისა“, ანუ პირველი მორფოლოგიური ობიექტისა და „მეორე MO-ის“ განსხვავებულ სინტაქსურ კავშირს შემასმენელთან.

„პირველი MO“ ორპირიანი გარდამავალი ზმნის პირდაპირი დამატებაა, რომელიც შემასმენელს მართავს პირში და ითანხმებს რიცხვში; „მეორე MO“ კი სამპირიანი გარდამავალი ზმნის პირდაპირი დამატებაა, რომელიც შემასმენელს ვერ მართავს პირში, მაგრამ ითანხმებს რიცხვში. შესაბამისად კოორდინაციის თეორიაში მათ განსხვავებული სახელები აქვთ: „პირველი MO“ არის **დიდი კოორდინატი**, „მეორე MO“ კი — **უმცირესი კოორდინატი**.

მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში სწორედ ამ სხვაობის მიზეზის გარკვევას ცდილობს ავტორი. იგი პასუხს სცემს კითხვას — „შე-

იძლება აღინიშნებოდეს მრავლობითი რიცხვი ობიექტისა, პირი კი აღუნიშვნელი რჩებოდეს?“ (68, 013), როგორც ეს ხდება ძველი ქართულის სამპირიანი ზმნით გამოხატულ შემასმენელში.

ავტორის პასუხი დადებითია, რაც ემყარება იმას, რომ ქართული ზმნის უღვლილებაში ჩანს კლასოვანი უღვლილების კვალი (ვ. თოფურია, 1942): კლასოვანი უღვლილება გარდამავალი ზმნისა აღნიშნავს ობიექტს სახელობითს ბრუნვაში — მის კლასსა და მრავლობითობას, პირს კი — არა (68, 013). ამ ფაქტთან დაკავშირებით კეთდება დასკვნა: „ამრიგად, მოიხსნა საკითხი ორი ობიექტის პირის აღნიშვნისა ქართული ენის გარდამავალ ზმნაში; გასაგები გახდა, რატომაა, რომ გარდამავალი ზმნის სუბიექტურ-ობიექტურ უღვლილებაში შეიძლება გვქონდეს სუბიექტისა და მხოლოდ ერთი ობიექტის პირის ნიშანი, ორი ობიექტის პირი კი ზმნაში არ დასტურდება“ (68, 013).

კავკასიურ ენათაგან წოვა-თუშურში არის ის ვითარება, რომელზეც უთითებს არნ. ჩიქობავა ობიექტის რიცხვის მარკირებასა და პირის ნიშნის აღუნიშვნელობასთან დაკავშირებით, კერძოდ, წოვა-თუშურის პიროვან-კლასოვან უღლებაში პირი უჩნდება ან სუბიექტს, ან პირდაპირ ობიექტს; გარდამავალ ზმნაში სუბიექტის პირის ნიშნის გვერდით აღნიშნულია პირდაპირი ობიექტის კლასი და მრავლობითობა, მაგ.: ას კნათი ბაჯბინას „მე ბიჭები დავზარდე“ (ძვ. ქართულით: გავზარდენ). ბ-აჯ-ბ-ინ-ას ფორმაში **-ას** სუბიექტის ნიშანია (S_I), ორივე ბ- პრეფიქსი გამოხატავს ობიექტის კლასს მრავლობით რიცხვში; შდრ. ვ-აჯ-ვ-ინ-ას „გავზარდე“ (ის, ადამიანი მამრ. სქესის).

ჩვენ გადმოვეცით არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი და მოვახდინეთ მისი ილუსტრირება წოვა-თუშური ზმნის მიხედვით.

ვფიქრობთ, გარკვეულ დაზუსტებას ითხოვს „პირველი MO-ისა“ და „მეორე MO-ის“ განსხვავებული კვალიფიკაცია მათი მარკირებისა და სინტაქსური ფუნქციონირების მხრივ.

(1) უპირველეს ყოვლისა, თუ „ორობიექტიან“ ზმნაში „მეორე MO არ არის მარკირებული, **ასეთი ზმნა სამპირიანად ვერ ჩაით-**

გლება; ამ ტერმინის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ობიექტები ერთდროულად იქნება მარკირებული.

(2) პირმიუმართავი აქტანტები ქართულ ზმნაში რიცხვის ნიშანს ვერ აჩენენ.

(3) დიაქრონიულად კარგად ჩანს, რომ ზმნის ფორმაში რიცხვის ნიშანი უჩნდება აქტანტს, რომლის პირიც უკვე მარკირებული იყო მასში, კერძოდ: (ა) ზმნათა ფორმებში რიცხვი აღენიშნა მრავლობითობის **-ებ** სუფიქსიან სუბიექტურ პირებსა და (ბ) ირიბ ობიექტს II და III პირებში, რომელთა სიმრავლე ძველ ქართულ ენაში არ აღინიშნებოდა.

სავარაუდებელია, რომ მრავლობით რიცხვში ორმხრივი მარკირება (გარდა აქტანტისა, ზმნის ფორმაშიც) საკმაოდ გვიან მოხდა პირის ნიშანთა მარკირებასთან შედარებით, ე. ი. თუ რიცხვი წარმოდგენილია ზმნის ფორმაში, უთუოდ სავარაუდებელია პირის ნიშანიც, რაც **„მეორე MO-ის“ არსებობის შემთხვევაშიც დასტურდება რიგ ზმნებთან**.

წარმოვადგენთ მაგალითებს, სადაც სამპირიან ზმნაში მარკირებულია სწორედ პირდაპირი დამატება, ანუ „მეორე MO“: **„შენ საუგარელსა გაგეარო, ესე რად გენაცვალებოს“** (ვეფხისტყაოსანი 299, 4); **„მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა“** (ვეფხისტყაოსანი 810, 3) და სხვ., **მ-** და **გ-** პრეფიქსები O^d აქტანტის ნიშნებია I და II პირებში.

სამპირიან ზმნაში მარკირებულია პირდაპირი ობიექტის პირიცა და მრავლობითი რიცხვიც: „მე შეგასმინნე **თქუენ** მამასა“ (ი. 5, 45); „ღმერთმან მი**გ**უცნა ჴელთა თქუენთა“ (I 167, 28); „მი**გ**ცნენ **თქუენ** ჭირსა“ (მ. 24, 9) და სხვ.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით კარგად ჩანს, რომ (1) სამპირიან ზმნაში შეიძლება მარკირებული იყოს პირდაპირი ობიექტის პირიცა და მრავლობითი რიცხვიც (შეგასმინნე); (2) როცა მარკირებულია პირდაპირი ობიექტი, ზმნის ფორმაში არ გამოიხატება ირიბი ობიექტის ნიშანი და პირიქით, რაც ნიშნავს იმას, რომ ორობიექტიან ზმნაში მატერიალურად მარკირებულია ერთ-ერთი ობიექტი, **მეორე კი უთუოდ ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი**, მაშასა-

დამე, „ხთხოვნა“ (მან იგი მას) ფორმაშიც პირდაპირი ობიექტი ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი, ისევე როგორც „შეგასმინნე“ ფორმაში — ირიბი ობიექტი.

ქართულ ზმნაში სუბიექტიც არ არის მარკირებული მატერიალურად ობიექტთა პირველი და მეორე პირების ნიშანთა გვერდით: მომეც და მოგეც (მომცემ და მოგცემ) ფორმებში სუბიექტური პირებიც ივარაუდება, მაგრამ ისინი ზმნურ ფორმებში მატერიალურად მარკირებული არ არის, მათ სიმრავლე კი ყოველთვის გამოიხატება ამავე კომბინაციებში: მომცემ**თ თქვენ** მე (S_2^P).

ზემოთ განხილულ ფორმებში ნულოვანი ალომორფები ფონეტიკურად არის შეპირობებული.

ობიექტური აქტანტები — პირდაპირი და ირიბი I სერიის მწკრივებში ფორმალურად ემთხვევიან ერთიმეორეს, გარდა იმისა, რომ პირის ნიშნებიც საზიარო აქვთ. გრამატიკული თვალსაზრისით ობიექტთა გარჩევა ჯობს დავუკავშიროთ კონვერსიას: „კაცი ურემს კედელს აჯახებს“ ~ „ურემი კედელს ეჯახება“. ამ სიტუაციაში, როდესაც ძნელდება იმის გარჩევა, რომელია პირდაპირი ობიექტი სამპირიანი გარდამავალი ზმნის ობიექტური აქტანტებიდან — „ურემს“ თუ „კედელს“, კონვერსიული გარდაქმნით ადვილად გამოვარჩევთ პირდაპირ ობიექტს — „ურემს“, რომელმაც პასიურ ზმნასთან ბრუნვა შეიცვალა („ურემი“) სუბიექტად მოქცევისას, ირიბი („კედელს“) კი ისევ მიცემით ბრუნვაში დარჩა.

როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირები უკვე ძველ ქართულშია ჩამოყალიბებული და გამოყოფილიც არის სამეცნიერო ლიტერატურაში, რასაც ვერ ვიტყვით პირთა მრავლობითი რიცხვის ფორმებზე სამწერლობო ენაში. პირთა მარკირება ძველ ქართულსა და თანამედროვე ქართულში (განსაკუთრებით დიალექტებში) სერიოზულად არის განსხვავებული.

პირთა მარკირებისათვის დიაქრონიულ პლანში

ისტორიულად ქართულიც აქტიურ ენებს განეკუთვნება (გ. კლიმოვი; თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი). აქტიური ენების ზმნაში დასაწყის პერიოდში აღინიშნებოდა აქტიური ან ინაქტიური ერთ-ერთი აქტანტი (-OS ~ -OM). მეორე საფეხურზე, გარდა სუბიექტისა, პირდაპირი ობიექტის რანგიც ჩნდება, რაც ვარაუდობს გარდამავლობის ასახვას ზმნის ფორმაში. ცვლილების მესამე საფეხურზე ქართულ ზმნაში ირიბი ობიექტის მარკირებაც ხდება. ირიბი ორიექტი, როგორც ბენეფაქტივი, პირდაპირი ობიექტის არსებობას ითხოვს.

ძველ ქართულში (V-X სს.) პირთა მარკირების პროცესი დამთავრებულია. ისინი ძალიან ძველია. მათი რეკონსტრუქცია შესაძლებელია საერთოქართველურ დონეზე (იხ. ეტიმოლოგიური ლექსიკონები).

ძველი ქართული გვიჩვენებს იმ პერიოდის ვითარებას, როცა ფორმდება ზმნათა და მის აქტანტთა ორმხრივი კავშირი მრავლობით რიცხვში. ამ დროს უკვე ჩამოყალიბებულია სახელთა ორი რიგის პარადიგმები მრავლობით რიცხვში -ებ და -ნ/-თ სუფიქსებით. ჩამოყალიბებულია მათი კავშირის სახე შემასმენელთან: I. -ებ სუფიქსიან პირთა სიმრავლე ზმნის ფორმაში რაიმე ნიშნით არ აისახებოდა, არც სუბიექტისა და არც ობიექტისა (პირდაპირისა ან ირიბისა). ზმნა მრავლობითობის გაგებას მასთან დაკავშირებული აქტანტის მიხედვით იღებს; მაგ.: „კაცი მოვიდა (1)“ ~ „კაცები მოვიდა (2)“. „მოვიდა (1)“ ერთის ქმედებას გამოხატავს, „მოვიდა (2)“ — მრავლისა. ვერ ვიტყვით, რომ „მოვიდა (1)“ ემთხვევა „მოვიდა (2)-ს“ როგორც გრამატიკული ფორმა. ფერდინანდ დე სოსიურის ღირებულების თეორიით ამა თუ იმ ელემენტის (სიტყვის ან მორფემის) ღირებულება (გრამატიკული მნიშვნელობა) იზომება იმ კავშირებით, რომელიც მყარდება სისტემის სხვა ელემენტებთან. აქედან ამოსვლით — რადგან კაცი (მხ.) ~ კაცები (მრ.) დაპირისპირება რიცხვის მიხედვით ძვ. ქართულში უდავოა, უდავოდ

უნდა მივიჩნიოთ რიცხვის მიხედვით დაპირისპირება „მოვიდა (1)-სა“ და „მოვიდა (2)-ს“ შორისაც. მაშასადამე, გამოხატულების პლანით სრულად დამთხვეული ზმნის ეს ორი ფორმა განსხვავებულია რიცხვის მიხედვით — მათი რიცხვი განისაზღვრება სუბიექტის რიცხვის მიხედვით: „კაცები მოვიდა (2)“ შესიტყვებაში „მოვიდა“ უდავოდ მრავალთა ქმედებას გამოხატავს. ამას ჩვენ ვუწოდებთ რიცხვში ცალმხრივ მარკირებულ შეთანხმებას, რადგან მრავლობითი რიცხვის მარკირება ხდება მხოლოდ სახელის (ამ შემთხვევაში სუბიექტის) ფორმით და მასთან დაკავშირებულ ზმნასაც ეძლევა ამავე რიცხვის გაგება.

ძველ ქართულში ანალოგიური ვითარებაა ობიექტთა მრავლობითი რიცხვის ზმნათა ფორმებში მარკირებასთან დაკავშირებით: -ებ სუფიქსიანი მრავლობითის არც ირიბი და არც პირდაპირი ობიექტის ფორმალური გამოხატვა არ ხდება ზმნებში: „კაცი დახატე“ ~ „კაცები დახატე“, „კაცს დახუხატე“ ~ „კაცებს დახუხატე“.

II. ძველ ქართულში **-ნ/-თ** სუფიქსებიან სუბიექტურ აქტანტთან აუცილებელი იყო ზმნაშიც აღნიშნულიყო სუბიექტის სიმრავლე, მაგ.: „კაცნი მოვიდ**ეს**“, „კაცთა წერ**ეს**“, „კაცნი მოიქც**ეს**“; „და მოიქც**ეს** მოციქულნი და უთხრ**ეს** იესუს“ (ლ. 9, 10c); „... რომელი თქჳნ კაცთა“ (მ. 12, 36) და სხვ.

სახელთა სიმრავლის -თ(ა) სუფიქსი ხუთ ბრუნვაშია წარმოდგენილი, რის გამოც ბრუნების პარადიგმის ეს წევრები (მოთხ., მიც., ნათ., მოქ., ვით.) გამოხატულების პლანით იდენტური არიან, თუმცა, როგორც ბრუნვები, მნიშვნელობით ისინი დიდად განსხვავდებიან. ეს განსხვავება მხოლოდ ზმნასთან კავშირით ვლინდება: „კაცთა ხელმის“ შესიტყვებაში **-თა** სუფიქსი ირიბი ობიექტის მრავლობით რიცხვსა და მიცემით ბრუნვას გამოხატავს (შდრ. „კაცსა ხელმის).

ბრუნების პარადიგმის **-თა** სუფიქსით დაბოლოებული თითოეული ფორმა განსხვავებულ კავშირს ამყარებს ენობრივი სისტემის სხვა წევრებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გრამატიკული ფორმები ერ-

თიმეორისაგან ვერ გაირჩეოდა*.

პირდაპირი დამატება, როცა II სერიაში -ნ სუფიქსიანი მრავლობითი რიცხვის ფორმა აქვს, ზმნაშიც აჩენს თავისი სიმრავლის ნიშანს: „მე მცნებანი მამისა ჩემისანი დავიმარხენ“ (ი. 15.10); შდრ. „მცნებაჲ დავიმარხე“.

მიცემით ბრუნვაში დასმული -თ(ა) სუფიქსიანი დამატება ძველი ქართულის ზმნაში რიცხვის ნიშანს ვერ აჩენს. ეს იმ დროის გადმონაშთია, როდესაც აქტანტთა სიმრავლე მხოლოდ აქტანტთა ფორმით გამოიხატებოდა წინადადებაში, შემასმენელში კი არ აისახებოდა სპეციალური ნიშნით („მაშინ მოვიდა იესუ... და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა“ მ. 26,36c). I სერიაში ადგილი ჰქონდა მრავლობით რიცხვში ცალმხრივ მარკირებულ შეთანხმებას დამატებებსა და შემასმენელს შორის.

მრავლობითის რიცხვში დასმული ობიექტები უკვე ძველ ქართულში იწყებენ თავისი სიმრავლის მარკირებას ზმნის ფორმაში. ძვ. ქართულში ეს ხდებოდა მხოლოდ I პირში, სადაც ობიექტის სიმრავლე გამოიხატებოდა გუ- ([გუ]) პრეფიქსით. „გუ-ხატავს ჩუენ“ შესიტყვება გაჩნდა უფრო ძველი „მ-ხატავს ჩუენ“ შესიტყვების გვერდით. „მხატავს მე“ ~ „მხატავს ჩუენ“ შესიტყვებათა დაპირისპირება უძველესია; დაპირისპირება ხდებოდა მხოლოდ ობიექტურ აქტანტთა რიცხვის მიხედვით. ზმნას (შემასმენელს) რიცხვის გაგება ეძლეოდა ობიექტურ აქტანტთა რიცხვის საშუალებით. უფრო გვიან გაჩენილი გუხატავს ფორმა სპეციფიკურია — იგი მხოლოდ მრავლობით რიცხვში იხმარებოდა I პირში, ე. ი. არ შეიძლებოდა „გუხატავს მე“ (შდრ. „მხატავს მე“ ~ „მხატავს ჩუენ“)! მაშასადამე, მრავლობითი რიცხვის ცალმხრივი მარკირებიდან ენა გადადის ორმხრივ მარკირებაზე. ეს ჯერ მხოლოდ I პირში ხდებოდა, საშუალ ქართულში დაიწყო და დღეს უკვე II და III პირებთანაც ხდება ორმხრივი მარკირება როგორც დიალექტებში, ისე სამწერლობო ენაში: შენ გეტყვის ~ **თქვენ** გეტყვით (< გეტყვისთ); მას

* აქვე შევნიშნავთ: ენობრივი სისტემის განსხვავებულ წევრებთან კავშირის გამო უბრუნველად ვერ ჩაითვლება I და II პირთა ნაცვალსახელები, მე, შენ; ჩვენ, თქვენ.

უნდა ~ **მათ** უნდათ; შენ გხატავს ~ **თქვენ** გხატავთ (< გხატავსთ) და სხვ.

II სერიის ფორმებში მრავლობითი რიცხვის გამოხატვაში სიჭარბე აღინიშნება ძველი ქართულის ფორმებში: და-**გუ**-ხატ-**ნ**-ა ჩუენ" - **გუ** და -**ნ** $O_{1^{dp}}$-ზე (პირდაპირი ობიექტის პირსა და მრავლობით რიცხვზე) მიუთითებენ: **გუ**- პირზე და მრავლ. რიცხვზე, -**ნ** მხოლოდ მრავლობით რიცხვზე. „დაგხატ-**ენ** თქუენ", დავხატ-**ენ** იგინი" — ამ ზმნებში -**ენ** მხოლოდ პირდაპირი ობიექტის მრავლობით რიცხვს გამოხატავს, პირი კი მხოლობითი რიცხვისა მეორდება, სიჭარბეა კონვერსიულ პასივთა ფორმებშიც: დ ა ვ ი ხ ა ტ ე ნ ი თ „დავიხატეთ", დ ა ი ხ ა ტ ნ ეს „დაიხატნენ" — I პირში -**ენ** და -**თ** და III პირში -**ნ** და -**ეს** წყვილ-წყვილად ერთი და იმავე აქტანტის სიმრავლეს გამოხატავენ.

რა თქმა უნდა, ჩ უ ე ნ და თ ქ უ ე ნ ნაცვალსახელები -**ნ** სუფიქსიანი ან -**თ** სუფიქსიანი სახელებით ადვილად შეიძლება ჩავანაცვლოთ: რუსთაველის „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა" ტაეპში (ვეფხისტყაოსანი 1,3) ჩ ვ ე ნ ჩანაცვლებულია კ ა ც თ ა ირიბი ობიექტის -**თა** სუფიქსიანი ფორმით...

გავეცანით აქტანთა სიმრავლის ასახვას ზმნათა ფორმებში. ბუნებრივია, დგება კითხვა, რატომ არის ასეთი დიდი განსხვავება -**ებ** და -**ნ**/-**თ** სუფიქსებიან აქტანტთა ზმნასთან რიცხვით ურთიერთობაში — -**ებ** სუფიქსიან აქტანტთა მრავლობითი რიცხვი მატერიალურად არ აისახებოდა ზმნის ფორმაში, -**ნ**/-**თ** სუფიქსიანთა კი ძირითადად აისახებოდა. ორივე ტიპის მრავლობითი ძველია: -თ* რეკონსტრუირდება საერთოქართველურ დონეზე, -**ებ*** კი — ქართულ-ზანურ დონეზე. მიზეზი ასეთი განსხვავებისა უთუოდ -**ებ** და -**თ** სუფიქსთა გრამატიკულ მნიშვნელობაშია: -**ებ** მხოლოდ რიცხვს გამოხატავდა, მის გვერდით ბრუნვის ნიშნები უკავშირდებოდნენ ზმნის პირებს (ზმნის მართვა პირში, ზმნისაგან აქტანტისა — ბრუნვაში), -**თ** სუფიქსი კი ერთდროულად ითავსებდა ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის ფუნქციებს, ამიტომ შემასმენლის პირში მართვა ვერ განხორციელდებოდა რიცხვის გარეშე. როგორც აღინიშნა ზემოთ, -**თ**(ა) სუფიქსიან დამატებასთან უძველესი ვითარება დარჩა II და III პირებში — ადგი-

ლი აქვს მრავლობითი რიცხვის ცალმხრივ მარკირებას — სიმრავლე მატერიალურად მხოლოდ დამატების ფორმით გამოიხატება: ხედავს კაცსა“ ~ „ხედავს კაცთა“, „ხეტყჳს კაცსა“ ~ „ხეტყჳს კაცთა“ და ა. შ. პირში და ბრუნვაში მართვასთან შედარებით რიცხვში ორმხრივ მარკირებული შეთანხმება ზმნასა და ობიექტებს შორის გვიანდელია.

როგორც ჩანს, აქტანტთა მრავლობითი რიცხვის მარკირება შემასმენლის ფორმაში ქართველურმა ენებმა გაყრის პერიოდში დაიწყეს და ერთიმეორისგან დამოუკიდებლად განახორციელეს. სვანურის ზმნის ფორმაში გამოყოფენ **-ᲐᲚ, -ᲐᲚ, -ᲒᲠ, -ᲣᲠ** სუფიქსებს ობიექტთა სიმრავლის გამომხატველად: ახტაუ ‖ ახტაუᲐᲚი (ეჯიაჽს) „ხატავს მათ“. ალ. ონიანმა ეჭვის ქვეშ დააყენა აღნიშნულ სუფიქსთა მრავლობითობის ფუნქცია რიგ შემთხვევაში, მაგრამ არც მთლად უარუყვია, იგი წერს: „იგივე სუფიქსები მრავლობითი რიცხვის გამომხატველადაც, მართლაც, აღიქმება“ (39, 145). ნიმუშად მოყვანილია ობიექტის რიცხვის მიხედვით დაპირისპირებული ზმნური ფორმები და ობიექტი განსხვავებული რიცხვით: ატურე მუტუჲრს „ანთებს სანთელს“ ~ ატურაᲚი მუტურაᲚს „ანთებს სანთლებს“. ამ დაპირისპირებაში ატურე „ანთებს მას“ ~ ატურაᲚი „ანთებს მათ“ ზმნური ფორმები მხოლოდ ობიექტთა რიცხვით განირჩევიან, Ꭵლ სუფიქსი ობიექტის სიმრავლეზე მიუთითებს. რომელიმე ჩუადგრმე „დაიჭირა“ (ის) მნიშვნელობასაც გამოხატავს და „დაიჭირა“ (ისინი) მნიშვნელობასაც, მაგრამ ამათ გვერდით არის ჩუადგრმᲐᲚე ფორმა, რომელშიც O_3^{dp} მატერიალურად არის გამოხატული -Ꭵლ სუფიქსით.

ჩუადგრმე ~ ჩუადგრმᲐᲚე დაპირისპირება არის ძველი ქართულისა და თანამედროვე მთის დიალექტების დაიჭირა ~ დაიჭირნა ფორმათა დაპირისპირების ანალოგიური მოდელით შექმნილი წყვილი. ორივეგან ობიექტის სიმრავლე ზმნის ფორმაში მარკირებულია მრავლობითობის სუფიქსით (ქართ. =ნ (< ენ) და სვან. -Ꭵლ).

უთუოდ საყურადღებოა ისიც, რომ პირდაპირი ობიექტის სიმრავლემარკირებული აქტივები კონვერსიულ პასივებს ძველ ქართულსა და სვანურში ერთნაირად იკეთებენ: ძვ. ქართ. დაიჭირნეს (ისინი) „დაჭერილ იქნენ“; შდრ. სვან. ჩუადგრმაᲚᲐნხ „დაჭე-

რილ იქნენ". ესენი განსხვავებული მასალით, მაგრამ ანალოგიური ფუნქციით შექმნილი ერთი მოდელის ფორმებია.

განსხვავებით ქართულისა და სვანურისაგან, მეგრულს არა აქვს გუ- (ახალი ქართული გვ-) პრეფიქსი ობიექტთა I პირის სიმრავლის (O_1^{dp} და O_1^{indp}) გამოსახატავად. არნ. ჩიქობავამ **გუ**- გვიან გაჩენილ აფიქსად მიიჩნია, რასაც II და III პირებზე და ობიექტის სიმრავლის {-ენ} სუფიქსზე მითითებით ამტკიცებდა — თუ **გუ** ობიექტის სიმრავლეს გამოხატავდა, /-ენ/ ~ /-ნ/ რაღა საჭირო იყოო?

მეგრულში ობიექტის სიმრავლეს გამოხატავენ სუბიექტის სიმრავლის ნიშნები: -ან ~ -ეს ~ -ნ ~ -ენ. პირი გამოხატულია პრეფიქსით, ხოლო სიმრავლე ამ პირისა — აღნიშნული სუფიქსებით: მ-ხანტუნ-**ან** „გვხატავს", რ-ხანტუნ-**ან** „გხატავთ თქვენ"... „დომხანტე**ს** თიქ ჩქი" ძვ. ქართ. „დაგვხატნა მან ჩუენ" და სხვ. (14, 129), როგორც ვხედავთ, ქართველურ ენებში ობიექტთა სიმრავლე ერთიმეორისგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბებულა, მაგრამ შესაბამის ფორმათა წარმოების მოდელი საერთოა.

საყურადღებოა, რომ ქართული ენის აღმოსავლურმა და დასავლურმა დიალექტებმაც თავ-თავისი გზა აირჩიეს ზმნაში ობიექტთა სიმრავლის გამოხატვისათვის: (1) აღმოსავლურმა დიალექტებმა სუბიექტის I და II პირების -თ სუფიქსი განაზოგადეს ობიექტთა II და III პირების სიმრავლის გამოსახატავად (განსხვავებით ძვ. ქართულისგან): მე გ-ხატავ-თ **თქვენ**, ის ხატავ-თ **მათ**; მე გიხატავთ **თქვენ**, ის უხატავ-თ **მათ** (< უხატავსთ).

ძველ ქართულთან შედარებით ინოვაციურია მთის დიალექტების I სერიაში ობიექტთა სიმრავლის გამომხატველი ფორმები, მსგავსი საშუალი ქართულის მეორე ნახევრის პერიოდისა: ის გხატავს-თ **თქვენ** (O_2^{dp}), ის გიხატავს**თ თქვენ** (O_2^{indp}) მას...

(2) დასავლურმა დიალექტებმა, აღმოსავლურთაგან განსხვავებით, ობიექტურ პირთა სიმრავლის გამოსახატავად მიმართეს სუბიექტის მე-3 პირის სიმრავლის გამომხატველ -ენ, -ან, -ნ, -ეს სუფიქსებს (შდრ. მეგრული და ლაზური); ასე მაგალითად: -ენ იმერულში გამოხატავს როგორც S_1^p-ს, ისე ორივე სახის ობიექტის მრავლობით რიცხვს: „**მათ** დაგხატე**ნ** შენ" — „მათ დაგხატეს შენ"; „მან დაგხატე**ნ**

თქვენ“ (O_2^{dp}) — „მან დაგხატათ **თქვენ**“; „მან დახატენ **იმგენი**“ — „მან დახატათ **ისინი**“; „მან დაგხატონ **თქვენ**“ — „მან დაგხატოთ **თქვენ**“; „მან დოუხატენ მათ (O_3^{indp}) იგი“ — დაუხატათ; დაგვიხატენ ჩვენ „დაგვიხატა“; შდრ. გუშციქუა-თ ანტონ I პარადიგმაში; **გუ-** და **-თ** ერთი და იმავე ობიექტის სიმრავლეს გამოხატავენ, როგორც **გვ-** და **-ენ** იმერულ ფორმაში. იმგენს ეძინენ (O_3^{indp}) „ეძინათ“; უნდებლარიენ „უნდათ“, უყვარლარიენ „უყვართ“ და სხვ.

გურული: **გყავენ** თქვენ (O_2^{indp}) „გყავთ“, **ხავენ** „ჰყავთ“ (O_3^{indp}); ჩვენ **გვყავენ** „გვყავს“ (აქაც სიჭარბეა რიცხვის გამოხატვაში: **გვ-** და **-ენ** ობიექტური პირის სიმრავლეს გამოხატავენ I პირში).

აჭარული: დამელიენ „გაგვითავდა“, დიელიენ „გაუთავდათ“ (O_3^{indp}), შემხდებიან „შეგვხვდება“, მეძინებიან „გვეძინება“, მქონდენ „გვქონდა“, დამავიწყდეს „დაგვავიწყდა“ მკითხვენ „გვკითხავს და სხვ. (46).

ფუძისეული -ან დაბოლოება მედიუმთა ფორმებში

მედიუმთა ერთი ჯგუფის ფორმებში S^{P}_{3}-ის **-ან** სუფიქსის წინ მდგომი **-ან** (მყვ-**ან**-ან, დგ-**ან**-ან, ჩ-**ან**-ან, ძვ. ქართ. მჭონან ← მჭუან-ან)... ერთი თვალსაზრისით, მიჩნეულია თემის ნიშნად (ლ. კიკნაძე, ა. შანიძე, ი. და ვ. იმნაიშვილები), სხვა თვალსაზრისით, **-ან** იშლება **-ა** და **-ნ** შემადგენლებად, **-ნ** სუბიექტური მესამე პირის ნიშანია (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია).

აღნიშნულ **-ან** სუფიქსს პირველად ა. შანიძე შეეხო 1920 წ.: „ამ ზმნას (ჰყვანან — თ. უ.), და რამდენიმე კიდევ სხვას, მრჩობლი დაბოლოება აქვს მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტურ პირში (ან+ან) და ამ მჯრივ გამონაკლისს შეადგენს (შდრ. სძულ-ან)“ (63, 72_2). გვიან ა. შანიძემ **-ან** სუფიქსს მისცა თემის ნიშნის კვალიფიკაცია: „თემის ნიშანი **-ან** ნაშთის სახით არის შემონახული რამდენიმე ზმნაში. ეს ზმნებია: ჰ-ყავ-ს, ა-ქვ-ს (< ჰაქუს), ჩ-ან-ს, ჰ-გავ-ს. ამათ **-ან** სუფიქსი გამოაჩნდებათ სავრცობიან მწკრივებში: ჰ-ყვ-ან-და, ჰ-ყვ-ან-დეს, ჰ-ა-ქუ-ნ-და (*ჰაქუნდა), ჰ-ა-ქუნ-დეს (*ჰაქუნდეს) და ჰ-გვ-ან-და, ჰ-გვ-**ან**-დეს. ამათგან ჰაქუნდა და ჰაქუნდეს ძველი ქართულის ფორმებია, რომელთაგან **უა** ჯგუფის **ო**-დ შერწყმის გამო მივიღეთ ჰ-ქონ-და (*ჰ-ქუ-ან-და), ჰ-ქონ-დეს (ჰ-ქუ-ან-დეს). („ჰ-ყვ-ან-და“-სა და „ჰგვან-და“-ში შერწყმა არ ხდება, რადგან ვა ჯგუფი იყო და არა უა. ამას გარდა, იგივე ან ჩანს აწმყოს მე-3 სუბ. პირის მრ. რიცხვში: ჰ-ყვ-ან-**ან** (*ჰ-ქუ-ან-**ან** >) ჰ-ქონ-ან, ჰ-გვ-ან-ან. „ჰქონან“ ძველი ქართულის კუთვნილებაა, „ჰყვანან“ და „ჰგვანან“ ეხლაც გვხვდება, თუმცა იშვიათად“ (62, 416).

ა. შანიძე აქ იზიარებს ლ. კიკნაძის თვალსაზრისს და ჩანს, რომ მისი საბოლოო დებულება დამყარებულია უწყვეტლის ფორმებზე, სადაც **-ან თემის ნიშანთა ადგილზეა**, წინ უძღვის სავრცობს.

განსხვავებული თვალსაზრისი ეკუთვნის არნ. ჩიქოავას: „ძველ ქართულში არის აშკარა ნიშნები იმისა, რომ **-ან** წინათ მხოლოდ მრავლობითობას აღნიშნავდა, პირის ფორმანტი კი ცალკე იყო:

დგა-ნ-ან: **-ნ** მესამე პირის სუფიქსი, **-ან** მრავლობითობის მაჩვენებელი; შდრ. ვ-დგა-თ, რომელშიც პირის მაჩვენებელიც არის (ოღონდ პრეფიქსი) და რიცხვისაც. ესე იგი მესამე პირი მრავლობითისა იმავე პრინციპის მიხედვით იყო აგებული, როგორითაც მეორე და პირველი“ (68, 163₉).

ვ. თოფურია ამ საკითხს ქართველური მასშტაბით განიხილავს: „ძველ ქართულში III პირს გამოხატავს **-ნ** და **-ს**. ამათგან **-ნ** ახალმა ქართულმა არ იცის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დგანან, ჩანან... შემთხვევებს...“ (20, 139) ცოტა ქვემოთ განაგრძობს: მეგრულ-ჭანურში „ნ'ს რიგიდან ცოცხალია ზმნაში III პირისა და მრავლობითობის **-ნ** და **-ან** პარალელურად **-ს** და **-ეს**'ისა (განაწილებული არიან დრო-კილოსა და გარდამავლობის მიხედვით)...“

ქვემოთ წარმოვადგენთ ლ. კიკნაძის დებულებებსა და შესაბამის მასალას, რომელიც წარმოდგენილია ი. და ვ. იმნაიშვილების ერთობლივ ნაშრომში „ზმნა ძველ ქართულში“ (24). აქ არის ცდა — უარიყოს **-ან** დაბოლოებიდან S_3-ის ნიშნად -ნ'ს გამოყოფა და **-ან** მიჩნეულ იქნეს ფუძის საწარმოებელ ერთიან სუფიქსად.

-ან -ან დაბოლოებაში ბოლო **-ან** დავას არ იწვევს, იგი S^p_3-ის ნიშანია, პრობლემას ქმნის მარცხნიდან პირველი **-ან** (დგ-**ან**-ან).

ვისაც **-ან** ფუძის საწარმოებელ ერთიან სუფიქსად (თემის ნიშნად) მიაჩნია, მათი აზრით, **-ნ**'ს S_3-ის ნიშნად გამოყოფას ხელს უშლის შემდეგი: (1) დგა-ნ-ან ტიპის დაყოფა შესაძლებელია მხოლოდ საშუალი გვარის გარკვეული ჯგუფის ზმნათა I სერიაში. სუბიექტის პირისა და რიცხვის გამოხატვა კი ზმნის გვარზე და მწკრივზე არ არის დამოკიდებული; (2) სავრცობიან ფორმებში **-ნ** სავრცობის წინ (მარცხნივ) დგას, რაც ქართული ზმნის უღლების წესით გამორიცხულია (პირის ნიშანი სავრცობს უნდა მოსდევდეს). თანაც პირის ნიშანი თავის ადგილზეა (მყვანდ-ა) — სავრცობის მომდევნოდ. ეს არის სუფიქსი -ა და არა **-ნ**! (3) **-ნ**'ს გვერდით არის S_3-ის ნიშანი (ჩან-**ს**, ჩან-**ნ**...). ორი ნიშანი რა საჭირო იყო! თანაც ეს **-ნ** I და II პირის ფორმებშიც არის (ვჩან, შჩან). მესამე პირის ნიშანს I და II პირებში რა უნდა? (4) დგ-

ა-ნ-ან და ჩ-ა-ნ-ან დაყოფით ამ ფორმებში რა როლი აქვს -ა'ს? (5) რას წარმოადგენს ბოლო -ა დიალექტურ დგანა, ჩანა, წვანა ფორმებში? (6) რა უნდა პირის ნიშანს მასდარში: ჩე**ნ**ა, ქო**ნ**ა...? (24, 412).

ვფიქრობთ, ქართული (resp. ქართველური) ზმნის სისტემაში მიმდინარე ისტორიული პროცესების გათვალისწინებით ყველა ამ ერთი შეხედვით უხერხულ კითხვას შეიძლება გაეცეს პასუხი.

მედიუმთა განხილულ ფორმებში -ნ ისტორიულად იყო S_3-ის ნიშანი, რომელიც ფუძესთან შეხორცების შემდეგ ემსახურებოდა სუბიექტის როლში მყოფ აქტანტთა როგორც მხოლობითი, ისე მრავლობითი რიცხვის ფორმებს (**მაქუნ**-ს ~ **მაქუნ**-ან).

პირთა სიმრავლის მარკირება ზმნაში ახალი საფეხურია ქართული (resp. მეგრულ-ლაზური) ზმნის ისტორიაში. სწორედ ამ საფეხურის დასაწყისში უნდა მომხდარიყო დღევანდელი თვალსაზრისით უხერხული ფორმების წარმოქმნა.

საკითხის უფრო ნათლად და მკაფიოდ წარმოსაჩენად მივმართავთ მეგრულ-ლაზურ ფორმებს.

მეგრულ-ლაზურში ერთპირიანი გარდაუვალი ზმნებისა და ორპირიანი მედიოპასიური ზმნების ფორმებში განსხვავებულ კვალიფიკაციას იღებს მრავლობითის -**ნან** დაბოლოება: ღურუნან, ხენან, მანჯირენან, მიღუნან... (კვდებიან, სხედან; გვეძინება, გვაქვს...).

აღნიშნულ ტიპთა ზმნების უღლების პარადიგმები ფორმალურად (მასალობრივ) ერთნაირად არის წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში, განსხვავებულია ფორმათა ანალიზი: არნ. ჩიქობავა -**ნან** დაბოლოებაში -**ნ**-ს S_3-ის ნიშნად მიიჩნევს (ღურუ-**ნ**-ან, მიღუ-**ნ**-ან), პარადიგმის განმარტებით ნაწილშიც ამბობს: „... მესამე პირის ნიშანიცაა შემონახული და მრავლობითობის აღმნიშვნელიც მოეპოვება“ (69, 91), რაც ძირითადი პრინციპის (პირის ნიშანი ცალკე, რიცხვისა — ცალკე) რეალიზაციად არის მიჩნეული (შდრ. **პ**-ტახუმ-**თ** „**გ**-ტეხ-**თ**“). ი. ყიფშიძე, როგორც მის მიერ შედგენილი პარადიგმებიდან ჩანს, -**ნ** სუფიქსს, რომელიც მხოლობით რიცხვში S_3-ს გამოხატავს, მრავლობით რიცხვში ფუძის დანამატად მიიჩნევს: **მ**-იღუ-**ნ** ~ **მ**-იღუნ-**ან** „მაქვს“ ~ „**გვ**აქვს“ (61,

124, 132). კ. დანელიას პარადიგმები არნ. ჩიქობავას პარადიმებს მიჰყვება. გ. კარტოზია **-ნან** დაბოლოებას ერთ სუფიქსად მიიჩნევს და ურთავს განმარტებას: „**-ნან** სუბიექტური მესამე პირის **-ნ** სუფიქსისა და **-ან** სუფიქსის შეერთებით არის მიღებული, მაგრამ, სინქრონიული ანალიზის თვალსაზრისით, ერთიან სუფიქსად განიხილება“(27, 93_{63}). ჩვენ ვიზიარებთ გ. კარტოზიას თვალსაზრისს. რა თქმა უნდა, ობიექტური წყობის მედიოპასივებსა და პასივებში **-ნ** S_3-ის ნიშნად **-ან** სუფიქსთან ერთად ვერ იარსებებდა, რადგან **-ან** სუბიექტური წყობის ზმნებში დამოუკიდებლად აღნიშნავდა მესამე სუბიექტურ პირსაც და მის რიცხვსაც ერთდროულად (ტახუმ**-ან** „ტეხ-**ენ**“, ჰარუნ**-ან** „წერ-**ენ**“...).

დავუბრუნდეთ ძველ ქართულს, სადაც ადვილად დავინახავთ მეგრულ-ლაზურის მსგავს ვითარებას: (1) S_3-ის -ნ სუფიქსი ფაქტიურად ძველ ქართულშივე იწყებს ფუნქციის შესუსტება-დაკარგვას. ანალოგიურია -დ სუფიქსის (S_3) მდგომარეობაც. ძველ ქართულში სუბიექტური მესამე პირის „მოშლაზე“ მიუთითებს ზ. სარჯველაძე (44, 406).*

მთის დიალექტები საკმაოდ ხშირად გვიჩვენებენ არქაულ ფორმებს, ოღონდ აქ არ დასტურდება არც **-ნ** და არც **-დ** S_3-ის ნიშნად, არც S^p_3-ის **-ედ** სუფიქსი. საერთოდ, მთის დიალექტების არქაიზმი არ სცილდება ძველი ქართულის მიწურულს (X-XI სს.), ამიტომ უთუოდ სიმპტომატურია, მთის დიალექტები რომ არ იყენებენ ამ სუფიქსებს. მათი ხმარება X-XI საუკუნეების სამწერლობო ქართულშიც ინერციითღა აიხსნება.

-ნ სუფიქსის მიერ ფუნქციის დაკარგვის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს ძველი ქართულის ისეთი ფორმები, რომლებშიც **-ნ** ფუძეს შეერთებია და S_3-ის ფუნქციას ასრულებს ან **-ს** სუფიქსი, ან დამატებითი -ნ. ძველ ქართულში შევხვდებით ვ-დგა, ს-დგა, დგა-ს; მესამე პირში დგა-ნ ფორმაც დასტურდება („რომელი დგან და ისმენნ“, ი. 3,29c), მეორე მხრით, ვ-ჩა, შ-ჩა, ჩა-ს გვერდით ვ-ჩან, შ-ჩან, ჩან-ს ფორმებიც არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ **-ნ** უკვე ფუძეს მიერ-

* „ამგვარი ფორმები (ითქჳნ, იყვინ — თ. უ.) მიუთითებენ, რომ მესამე სუბიექტური პირის -ნ ნიშანი ენაში საზოგადოდ იშლება“ (44, 406).

თებია (ვჩან, შჩან), აღარ ფუნქციონირებს როგორც პირის ნიშანი და მესამე პირში საჭიროებს სხვა ნიშანს (ჩან-**ს**).

ანალოგიური ვითარებაა მაქუს ზმნასთან: ერთი მხრივ, მაქუ-ნ, გაქუ-ნ, აქუ-ნ, სადაც **-ნ** S_3-ის როლშია, მეორე მხრივ, მაქუნ-ს, გაქუნ-ს, აქუნ-ს, სადაც **ნ** უკვე ფუძეშია შესული. ეს ფორმები კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში*, განსხვავებულია მხოლოდ მკვლევართა ანალიზის შედეგები.

თუ მაქუ-ნ, გაქუ-ნ, აქუ-ნ ფორმებში **-ნ** სუფიქსი S_3-ის ნიშანია, რომელიმე მაქუნ-**ს** ან მაქუნ-**ნ** ფორმებში S_3, რა თქმა უნდა, ბოლო **-ს** ან **-ნ** სუფიქსებით გმოიხატება, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ მარცხნივ მდგომი ნ უკვე ფუძის კუთვნილებაა და მას პირის ნიშნად აღარ აღიქვამდნენ. ან როგორ შეიძლება დგან-ედ „დგანან“ ფორმაში არაფუძისეულ, დამოუკიდებელ სუფიქსად მივიჩნიოთ **-ნ**, როცა იქვე მხოლ. რიცხვში არსებობს დგან-ს ფორმა? ასევე დგან ფორმის **ან** დაბოლოება ვერ მიიჩნევა ერთიან სუფიქსად, როცა მის გვერდით არსებობს ვდგა და სდგა („ვდგავარ“ და „დგახარ“).

განხილულ ფორმათა მიხედვით უთუოდ ცხადია, რომ მაქუნ-**ს**, დგან-**ედ** და ჩან-**ს** ტიპის ფორმებში **-ნ** S_3-ის ნიშნად მხოლოდ **წარმოშობით ჩაითვლება**. ამ ფორმებში **ნ** ფუძის შემადგენლობაშია გადასული.

მეორეც: მორფონოლოგიურ ცვლილებათა წესების გათვალისწინებით, რიგ ფორმებში **შეუძლებელია -ნ** ჩაითვალოს **-ან** სუფიქსის ნაშთად. მხედველობაში გვაქვს მაქუნდა, გაქუნდა, აქუნდა; მაქუნდეს... ფორმები. ვფიქრობთ, ამოსავლად ნავარაუდებ ფორმებში **-ან** სუფიქსის რეკონსტრუქცია დაუშვებელია: ფონეტიკურად გაუმართლებელია „ჰ-ა-ქუ-ნ-და (< *ჰაქუანდა), ჰ-ა-ქუ-ნ-დ-ეს (< *ჰაქუანდეს)“ (62, 416). უწყვეტლის III პირის მხოლობითსა და მრავლობითში ან I კავშირებითის ამავე პირის მხოლ. რიცხვის ფორმებში არ არსებობს **-ან** → **-ნ** პრო-

* იხ. მაგალითად: ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, გვ. 209; ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, ნაწ. I, გვ. 404; ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, I, 2005 (დგომა) და სხვ.

ცესის განვითარების პირობა, რადგან **-დ** სავრცობი მოკლებულია მარედუცირებელ უნარს. მეორე მხრივ, აწმყოს მესამე პირის ჰაქუნს ფორმა, რომელშიც **ნ** ფუძის ნაწილად არის ქცეული, უწყვეტელში სწორედ ჰ-ა-ქუნ-დ-ა და ჰაქუნ-დ-ეს ხოლო კავშირებითში ჰ-ა-ქუნ-დ-ეს ფორმებს გვავარაუდებინებს.

სხვა მხრივაც შევხედოთ ამ ფორმებს. რის საფუძველზე შეიქმნა რეკონსტრუირებული ***მ-ქუ-ან-ან**, რომლისგან მიღებულადაც მიიჩნევა ძვ. ქართულის მქონან?

ძველი ქართულის აწმყოს მხოლ. რიცხვში დასტურდება ფონეტიკური ჩაწერით: მაქუს, გაქუს, აქუს (ჰაემეტობის დროს ჰაქუს), პარალელურად — მაქუნ, გაქუნ, აქუნ ან მაქუნს, გაქუნს. **არსად ჩანს თემისნიშნიანი** მქუან-ს (მე იგი), გქუანს, ჰქუანს ან მქუან-ნ, გქუან-ნ, ჰქუან-ნ, რათა სუბიექტური მესამე პირისა და მისი მრავლობითობის **-ან** სუფიქსის დამატებით აღვადგინოთ სავარაუდებელი *მ-ქუ-**ან**-ან (მე იგინი), სადაც ხაზგასმული **-ან** თემის ნიშანი იქნება, როგორც ა. შანიძე ვარაუდობს მყვ-ან-ან ფორმაში. მ-ქუ-ან-ან ფორმის რეკონსტრუქცია, ჩვენი აზრით, ძველი ქართულის მონაცემებით შეუძლებელია. მქონან ფორმას, მაშასადამე, ამ გზით ვერ მივიღებთ. საძიებელია საიდან გაჩნდა მყვ-ან-ან?

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში შემონახულია არქაული ფორმები: ხ-ქონ (< ხ-ქუ-**ან**) „აქვს მას **ისინი**“, ხ-ყონ (ხ-ყუ-ან < ხ-ყვ-**ან**) „ჰყავს **ისინი**“, გ-ი-გონ (< გ-ი-გუ-ან < გ-ი-გავ-ან) „გიგავს ისინი“, ანუ „გიგვანან“ და სხვ.

ხქონ, ხყონ, გიგონ ფორმებისთვის ამოსავალი არის მესამე პირის სუბიექტის მრავლობითი რიცხვის **-ან** სუფიქსიანი ფორმები, რომლებსაც დღესაც ვხვდებით გიგვან, გიდგან (ისინი) ფორმებში: „ბერის ჯიჯვის რქათ გიგონ წვერნიო“ (ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, გვ. 346); „სულეთს კოდნ გიდგან სამსვენი“ (თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1960; 150, 20).

ხევსურული არქაული ფორმების მიხედვით ისიც ჩანს, რომ ფუძისეულ [უ]-სთან შერწყმით **-ან** სუფიქსი იძლევა **ონ** დაბოლოებას: ხქონ, ხყონ. ამ ფორმებს შენარჩუნებული აქვთ სუბიექტური მესამე პირისა და მისი მრავლობითობის გამოხატვის ფუნქცია, ე. ი.

გიგუან და გიგონ, მყუან და მყონ პარალელური ფორმებია და სუბიექტს მრ. რიცხვში წარმოგვიდგენენ. ანალოგიური პროცესი უნდა ვივარაუდოთ ძველი ქართულის მჭონან „მაქვს მე ისინი“ ფორმაშიც, იმ განსხვავებით, რომ სიმრავლე სუბიექტისა გვიან დართული **-ან** სუფიქსით არის გამოხატული. უთუოდ ამით უნდა აიხსნას ა. შანიძის თავდაპირველი დებულება მყვანან ტიპის ფორმებში მრავლობითი რიცხვის „მრჩობლი დაბოლოების“ შესახებ. ამას ის გვავარაუდებინებს, რომ მჭონ არქაული ფორმა აღარ დასტურდება ძვ. ქართულში, მაგრამ, მეორე მხრივ, მჭონან ფორმის არსებობა, უთუოდ მიგვითითებს ხევსურულის ტიპის მჭონ ფორმის არსებობაზე ძვ. ქართულშიც. გამოდის, მჭონან ფორმის ამოსავალ მჭონ-ს დაუკარგავს სუბიექტური პირის სიმრავლის გაგება და ამიტომ დართვია ხელმეორედ **-ან** სუფიქსი (მჭონ-ან > მჭონან).

რა თქმა უნდა, ა. შანიძის თავდაპირველი დებულება მყვ-**ან-ან** ფორმის შესახებ, როგორც „მრჩობლი მრავლობითის“ სუფიქსის მჭონისა, ემყარებოდა მთის დიალექტებიდან მისთვის კარგად ცნობილ ფორმებს, რომლებიც მან ძალიან გვიან დაბეჭდა (თხზულებანი, I, 1984). ეს ტექსტები ა. შანიძემ ჩაწერა 1911 და 1913 წლებში, ე. ი. იმაზე ადრე, ვიდრე მუშაობას დაიწყებდა S_2O_3-ზე. მის მიერ ჩაწერილ ტექსტებში არის მიდგან (მ-ი-დგ-ან): „თუშნი აქ მიდგან მზასაო“ (I, 48, 19), გიგონ (< გ-ი-გუ-ან): „...გეჯას ლაშნ გიგონ (I, 53, ბ. 6). თუშურ ტექსტში არის გიდგან (გ-ი-დგ-ან): „სულეთს კოდნ გიდგან სამსენი“ (I, 233, 14), იქვეა ფორმა, რომელშიც მესამე პირის სუბიექტი მხოლ. რიცხვშია: „სუფრა გიდგ გარიგებული“ (I, 233, 16). გიდგ (< გიდგა), -ა (S_3) დაკარგულია, რაც ჩვეულებრივია ამ პოზიციაში მთის კილოებისთვის. **გიდგ** (ის) ~ გიდგან (ისინი) ნათლად წარმოაჩენს **-ან** სუფიქსის ფუნქციას. ამ ფორმათა მიხედვით ერთი **-ან** საკმარისი იყო S^p_3-ის აღსანიშნად. მაგრამ პარალელურად ნახმარი გიდგანან ფორმა უკვე ორგზის მიუთითებდა S^p_3-ზე, **თუმცა** მნიშვნელობა იგივე ჰქონდა, რაც გიდგან ფორმას: „კარზე, გიდგანან სტუმრები“ (66, 232, 35), პარალელურად გიდგენან ფორმაც ჩაუწერია: „კარზე გიდგენან სტუმრები“ (232, 3; 234, 11). ამ ფორმებს ის მეცნიერული მუშაობის დასაწყისში ეცნო-

ბა და, ბუნებრივია, S_2O_3-ზე მუშაობის დროს გასჩენოდა აზრი „მრავლობით რიცხვში მრჩობლი დაბოლოების“ შესახებ, სადაც ფუნქცია მხოლოდ ბოლო **-ან** სუფიქსს აქვს.

ყოველივე ზემოთ თქმულის მიხედვით ასეთი დასკვნა იქნება მართებული: სუბიექტური მესამე პირის -ნ სუფიქსი ძველ ქართულშივე კარგავს თავის ფუნქციას, ამის გამო ძველსავე ძეგლებში ვხვდებით ასეთ ფორმებს: მაქუნ-ს || მაქუნ-ნ; დგან-ედ (შდრ. დგა-ნ || დგა-ს || დგა).

აწმყოს მაქუნ-ს და უწყვეტლის მაქუნ-დ-ა, აგრეთვე კავშირებითის მაქუნ-დ-ე-ს (მ ა ქ უ ნ დ-**ეს** შეიძლება უწყვეტლის მესამე პირის მრ. რიცხვშიც) ფორმები განამტკიცებს იმ აზრს, რომ **-ნ** არ მოდის **-ან** თემის ნიშნისგან: პირის ნიშანი **-ს** და სავცობი **-დ** ვერ მოახდენდნენ **-ან** სუფიქსის შეკუმშვას - მათ არა აქვთ მარედუცირებელი ძალა. მაშასადამე ამ ფორმებში **ნ** უდავოდ ფუძეში შედის, დაკარგული აქვს პირის გამოხატვის (S_3) უნარი [შდრ. „დგა-ნ და ისმენ-ნ“ (ი. 3, 29c), სადაც -ნ ფუნქციის მქონეა].

S^p_3 ისტორიულად და ახლაც გარკვეული რიგის ზმნებში **-ან** სუფიქსით გამოიხატება: მიყვარ-ან, მინდ-ან, მძულ-ან (ისინი)...

მედიოპასივებს, როგორიცაა: მ ყ ა ვ ს, მ გ ა ვ ს სუბიექტის მრავლობითი რიცხვის ნიშნად მესამე პირში ეს **-ან** ჰქონდათ: მ-ყავ-ან, მ-გავ-ან. **-ან**-ს შეეძლო ფუძის შეკუმშვა. ამას გვიჩვენებენ ხევსურულის არქაული ფორმები: მ ყ ო ნ, მ გ ო ნ, სადაც განხორციელებულია შემდეგი სახის ფონეტიკური ცვლილებები: მ-ყავ-**ან** > მ-ყვ-**ან** > მ-ყუ-**ან** > მყონ; ასევე მ-გავ-**ან** > მ-გვ-**ან** > მ-გუ-**ან** > მგონ, ე. ი. მ ყ ო ნ მე **ისინი**, მ გ ო ნ მე **ისინი**.

უთუოდ ანალოგიური გზა აქვს გავლილი ხ ქ ო ნ (მქონ, გქონ) ხევსურულ ფორმებსა და ძვ. ქართულის მ ქ ო ნ ა ნ ფორმას, მაგრამ ხევს. ხ ქ ო ნ ფორმის მისაღებად აწმყოს მხოლობით რიცხვშიც უნდა დავუშვათ **ქუ** ფუძე (მ-ქუ-ს, გ-ქუ-ს), რაც იძლევა წარმოსათქმელად შეუძლებელ ფორმებს. იგივე ფუძე **-ან** (S^p_3) სუფიქსის წინ დასაშვებია, რაც რეალიზებულია ხევსურულ **ხქონ** (< ხ-ქუ-**ან**) ფორმაში; ასევე ძველი ქართული მ ქ ო ნ ა ნ ფორმის მ ქ ო ნ ნაწილის მიხედვით სავარაუდებელია **მ-ქუ-ან** ამოსავალი ფორმა.

არსებული ფორმების მიხედვით საქმე გვაქვს ა- ~ O აბლაუტთან

(**ა-ქუ** ~ **ქუ**), რაც რეალური ფორმებით არის დადასტურებული ხევს. Ø-ა-ქუ II Ø-ა-ქუ-ი-ს (იმას ისი) ~ ხ-ქონ < ხ-ქუ-**ან** (იმას ისენი).

სამეცნიერო ლიტერატურიდან აქამდე ვიცნობდით მეაბლაუტე პარალელურ ფორმებს განურჩევლად რიცხვისა: Ø-ა-ტეხს ~ ს-ტეხს, და-Ø-ა-კუეთს ~ და-ჰ-კუეთს, და-ა-წერს ~ და-ს-წერს (62, 376 (§438) და 379 (§441); ვ-ა-რქუ ~ ჰ-რქუა, ვეც ~ ს-ცა (10, 325_1). ამათ რიგში ვერ შევა რიცხვის მიხედვით მეაბლაუტე ხევს. მაქუ (ისი) ~ მ-ქონ (ისენი) და ძველი ქართულის მ-ა-ქუ-ს ~ მ-ქონ-, მქონან ფორმის ნაწილი, რომელსაც დამოუკიდებლად ვეღარ ვხვდებით ძველ ქართულში, მაგრამ სავარაუდებელი კი არის, რაზეც ხევსურულ დიალექტში შემორჩენილი ხქონ ფორმაც მიგვითითებს.

და ბოლოს: **-ანან** დაბოლოების მქონე ზოგი მედიოპასივი გვიანდელი ანალოგიით ჩანს წარმოქმნილი, ასეთია თუშური დიალექტის მინდანან, პარალელური მინდან ფორმისა: მინდ(ა) (ისი) ~ მინდ-**ან** II მინდან-**ან** (ისენი).

ზმნისართები -ით სუფიქსით

გამოხატულების პლანის მიხედვით **-ით** სუფიქსი საზიარო ელემენტია სახელისა და ზმნისართისათვის: სახელის ფორმაში **-ით** ფლექსიური ელემენტია — ბრუნვას გამოხატავს, აქვს თანაობისა (კომუტატივისა) და საშუალების (ინსტრუმენტალისის) კერძო მნიშვნელობები („ქათამი წიწილით დაგვიბრუნდა"; „ქათამმა მარცვალი ნისკარტით აკენკა"). სახელთან **-ით** სუფიქსის ზოგადი ფუნქცია, როგორც ბრუნვის ნიშნისა, არის არამარკირებული ობიექტის გამოხატვა ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობებით.

ქართული მოქმედებითი ბრუნვის ფარდ რუსულ შემოქმედებით (творительный) ბრუნვას რ. იაკობსონი პერიფერიულ ბრუნვას უწოდებს, რადგან ამ ბრუნვაში დასმული სახელი უშუალოდ არ უკავშირდება გამონათქვამის ცენტრს — მისი ჩამოცილებით გამონათქვამი სისრულეს არ კარგავს: **"Чем делает", "кому делает" не вытекают из самого существа высказывания и не связаны непосредственно с его центром"** (21,153; ხაზი ჩ. — თ. უ.). „ქათამმა მარცვალი ნისკარტით აკენკა" წინადადებაში „ქათამმა" (S) და „მარცვალი" (O^d) გამონათქვამის ცენტრში ექცევიან — მათ გარეშე გამონათქვამი, რომელიც აქ წინადადებას ემთხვევა, თავისი მნიშვნელობის არსს დაკარგავს, ანუ რომელიმე მათგანის გამოკლებით წინადადება ელიპსური გახდება. მაგრამ წინადადებას თუ „ნისკარტით" წევრს ჩამოვაცილებთ, გამონათქვამი თავის არსებით მნიშვნელობას შეინარჩუნებს, რაც გამოიხატება „ქათმის მიერ მარცვლის აკენკვაში".

ქართულ ენაში პირმიუმართავი აქტანტები ინაწილებენ ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებს*; მნიშვნელობით ეს ბრუნვები მკაფიოდ განირჩევიან ერთიმეორისგან. ამ განსხვავებათა შესახებ უფრო სრულად ვმსჯელობთ ქართული

* თუ წყვეტილის ფორმას მიცემით ბრუნვაში დასმული ორი სახელი უკავშირდება, ერთ-ერთი პირმიუმართავია (დამიწერინა მან მე **მახ** ის).

ენის ბრუნების სისტემის განხილვისას. ამჟამად მსჯელობის თემაა სახელთა -ი სუფიქსიანი ფორმების ტრანსლაცია ზმნისართებად.

ქართულ ენაში, გარდა მოთხრობითი ბრუნვისა, შეიძლება ზმნისართად მოიქცეს სხვა ნებისმიერი ბრუნვის ფორმა, ამისთვის საკმარისია სახელის ფორმის ბრუნების პარადიგმიდან ამოვარდნა (62, 588 და შემდეგ), რაც იწვევს სემანტიკურ, ანუ სალექსიკონო ცვლილებას, ამიტომ ისინი ან ცალ-ცალკეა ლექსიკონში შეტანილი, ან ერთსა და იმავე სალექსიკონო სტატიაში საკუთარი ნომრებით არიან წარმოდგენილი; მაგალითად, „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (შემდგომში — ქეგლი) დღე, როგორც არსებითი სახელი („დროის მონაკვეთი მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე...“) წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაც: „დღე (დღისა)...“ ამავე სიტყვის სტატიაში -ში თანდებულიანი ფორმა სხვა მეტყველების ნაწილად — ზმნისართადაცაა წარმოდგენილი: „...**დღეში** ზმნს. 1. დღის განმავლობაში, დღის მანძილზე...“ (ტ. II); ბუნებრივია ისიც, რომ **დღეს**, როგორც ზმნისართი, ცალკეცაა შეტანილი III ტომში: „**დღეს** ზმნს. იმ დღის განმავლობაში, როდესაც საუბარია...“

„დღე (დღისა)“ არსებითი სახელი **თავისთავად ვარაუდობს** მიცემითი ბრუნვის ფორმასაც, როგორც თანდებულით, ისე უთანდებულოდ („**დღეს** ღამე მოსდევს“ და „ღამე **დღეში** აერია“) — ისინი ერთი პარადიგმის წევრები არიან, ზმნისართი „**დღეს**“ კი, როგორც სალექსიკონო ერთეული, ფორმაუცვლელია და სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობას ატარებს: „**დღეს** ზმნს. იმ დღის განმავლობაში, როდესაც საუბარია...“ იგი ზმნური ქმედების დროს განსაზღვრავს, ზმნაზეა მიბმული.

მრავალი არსებითი სახელის მოქცევა შეიძლება ზმნისართად ისე, რომ ფორმა არ შეეცვალოს; მაგ., ზაფხულს, შემოდგომას, კვირას... „ფორმა არ შეეცვალოს“ ეხება გამოხატულების პლანს, მხოლოდ ბგერობრივ იგივეობას, გრამატიკულად ისინი (საერთო ბგერობრივი შედგენილობის არსებითი სახელი და ზმნისართი) დიდად არიან განსხვავებული: „ზაფხულს“ არსებით სახელში -ს ფუძეში არ შედის, ბრუნვის ნიშანია („ზაფხულს

შემოდგომა მოსდევს"), რომელიც პარადიგმაში შეიძლება ჩანაცვლებულ იქნეს სხვა ბრუნვის ნიშნით (ზაფხულ-ი, ზაფხულ-მა... „ზაფხულმა კარგად ჩაიარა" და სხვ.), ზმნისართ „ზ ა ფ ხ უ ლ ს" ფორმაში კი **-ს** დაბოლოება ფუძის კუთვნილებაა, როგორც წარმომქმნელი ელემენტი („ამ **ზაფხულს** ზღვაზე ისვენებდა"). ზმნისართი „ზ ა ფ ხ უ ლ ს" პარადიგმას მოკლებულია და არც შინაარსობრივად ნიშნავს არსებითი სახელის მიცემითი ბრუნვის „ზაფხულს" ფორმას, ამისთვის იყენებენ მეტყველების ნაწილთა ინდიკატორ კითხვებს: ა რ ს ე ბ ი თ ს ა ხ ე ლ ს, როგორც ს ა გ ნ ო ბ რ ი ო ბ ი ს გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ს, დაესმის კითხვა „რას?" ზ მ ნ ი ს ა რ თ „ზ ა ფ ხ უ ლ ს" კი — „როდის?" ამ კითხვის საშუალებით ზ ა ფ ხ უ ლ ს ზმნისართი ერთიანდება ფორმაუცვლელ და ამავე კითხვის მოპასუხე გ უ შ ი ნ, ხ ვ ა ლ, ზ ე გ, შ ა რ შ ა ნ დროის ზმნისართთა კლასში, სადაც ვერ მოხვდება „რას?" კითხვის პასუხი „ზაფხულს", როგორც გასაგნობრივებული არსებითი სახელი.

დავუბრუნდეთ **-ით** სუფიქსს: მსგავსად **-ს** სუფიქსისა, **-ით** სუფიქსსაც შეუძლია წარმომქმნელი ელემენტის როლში იყოს: „მას აღარა შეესმოდა, ს ო ფ ლ ი თ გაღმა გაებიჯა" (ვეფხის ტყაოსანი, 868,4). აქ **-ით** წარმომქმნელი ელემენტია, იგი ადგილის ზმნისართს აწარმოებს, მიუგებს კითხვაზე „საიდან?" (შდრ. არსებითი სახელი ს ო ფ ლ ი თ, რომელიც მიუგებს კითხვაზე „რით?" — „ს ო ფ ლ ი თ იხარებს ყოველი").

ძველი ქართული ფორმალურადაც ცდილობდა ერთიმეორისგან განესხვავებინა **-ით** სუფიქსიანი მოქმედებითი ბრუნვა **-ით** სუფიქსიანი ზმნისართისაგან: სახელის ფორმაში ბრუნვის ნიშანი **-ით** წარმოდგენილია **-ა** მავრცობით (**-ითა**), რომელიც არ იხმარება ზმნისართის ფორმებში. ეს გასაგებიცაა: **-ა**, როგორც განსაზღვრებითი ელემენტი, მხოლოდ სახელს შეეფერებოდა, მას არ საჭიროებდა ზმნისართი.

ძველ ქართულში ეს დაპირისპირება გადმოყოლილი ჩანს წინა პერიოდიდან, იმ დროიდან, როდესაც განსაზღვრებითი **-ა** ნაწილაკი მოქმედი სუფიქსი იყო. იმის შემდეგ, რაც განსაზღვრის ფუნქცია ი გ ი, ე გ ე, ე ს ე ნაწევრებზე გადავიდა, **-ა** გახდა ბრუნვის ნიშნის ნაწილი — კონსტიტუენტი და მოქმედებითი ბრუნვის სუფიქსი

მისი შემადგენლობით აგრძელებს ფუნქციონირებას **-ითა** სახით.

როგორც ვთქვით, ზმნისართად მოქცეული მოქმედებითი ბრუნვის ფორმა განსაზღვრებით სუფიქსს არ საჭიროებდა, ტრანსლაცია უმისოდ ხდებოდა და ამიტომ, ბუნებრივია, წინა პერიოდიდან ძველ ქართულში ვერც გადმოჰყვებოდა ზმნისართებს.

მაგალითები

1. **-ითა** სუფიქსი მოქმედებით ბრუნვაში: „...რ~ა აღესრულოს სიტყუად იგი უფლისად პირითა წინაჲსწარმეტყუელისაჲთა თქუმული“ მ. 1,22. „იტყოდა პირითა წმიდაჲთა“ ლ. 1,70 და სხვ. ორსავე წინადადებაში პირითა პირმიუმართავი აქტანტია — არსებითი სახელი მოქმედებით ბრუნვაში და უპასუხებს არსებითი სახელის არასულიერთა ჯგუფის კითხვას „რით?“.

2. მათეს სახარებაშივე პირით ფორმა ზმნისართის გაგებით იხმარება: „არა თუ პირით შემავალი შეაგინებს კაცსა, ა~დ პირით გამომავალი შეაგინებს კაცსა“ მ. 15,11. პირით ფორმას აქ ზმნისართის კითხვა დაესმის — „საიდან?“

სახელისა და ზმნისართის ამ ფორმალური დაპირისპირებიდან თითქოს ერთგვარი გამონაკლისია ძველი ქართულის კომპოზიტებში წარმოდგენილი **-ით** სუფიქსიანი პარმიუმართავი აქტანტი: **კირით** ხურო, **ჴელით** ხურო, **პირით** მემღერი, **ჴელით** წერილი (თანამედროვე ორთოგრაფიით კირით-ხურო, ჴელით-ხურო... შდრ. დღევანდელი ხელწერილი). **-ა** სუფიქსის დაკარგვა (ჴელითა წერილი > ჴელით წერილი) მორფონოლოგიური ცვლილების შედეგია — იგი სიტყვაში მარცვალთა ფონოლოგიურად განსაზღვრულ რაოდენობას შეეწირა, რისი დამადასტურებელი მრავალი შემთხვევა გვაქვს როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში (მაგ., სარკინოზ-ი; შდრ. ლათ. Saracēnī, ბერძნ. Σαρακήνοι, რუს. Сарацины; იხ. დამატებით 57, 84).

კომპოზიტური ბუნებისაა ასეთი წყვილებიც: „სახელით“+ადამიანის რქმევის სახელი, როგორიცაა: „სახელით ლევი“ (ლ. 5,27), „სახელით სიმონ“ (მ. 27,32), „სახელით ია-

როს“ (მრ. 5,22), „აჰა ესერა კაცი სახელით იოსებ“ (ლ. 23,50) და სხვ. „სახელით იოსებ“ დაწერილობას ვიხმართ თუ „სახელით-იოსებ“ — ეს ორთოგრაფიული პრობლემაა. იოვანეს სახარების ადიშურ ვარიანტში ვკითხულობთ „გამოვიდა მკუდარი იგი კრული ფერჯით, ჴელითა რეზითა“ (11, 44), რაც თანამედროვე ორთოგრაფიით შეიძლება ასე წარმოვადგინოთ: „გამოვიდა რეზითა („სახვევით“) ფეხ-შეკრული და ხელ-შეკრული მკვდარი (შეიძლება ასეც დაიწეროს: ფეხ-შეკრული, ხელ-შეკრული). ჯრუჭისა და პარხლის სახარებათა ვარიანტებში იგივე სახელები დამოუკიდებლად არის ნახმარი და, როგორც პირმიუმართავი აქტანტები, -ა დაბოლოებით არის წარმოდგენილი: „გამოვიდა მკუდარი იგი შეკრული ჴელითა და ფერჯითა და სახუეველითა“ (ი. 11, 44). კომპოზიტებში სახელის მოქმედებითი ბრუნვის -ა დაბოლოება დაკარგულია მორფონოლოგიურ საფუძველზე.

თანამედროვე ქართულშიც ხშირია -ით სუფიქსი ზმნისართთა მაწარმოებლად: გვერდით, ღამით, თავით... (62, 591); იგივე ფორმები პირმიუმართავ აქტანტებადაც ჩვეულებრივ გამოიყენება („გვერდით მიაწვა კედელს“).

გვერდი, ღამე და თავი არსებითი სახელებია ლექსიკონთა მიხედვით და, როგორც ზემოთ ითქვა, სალექსიკონო სიტყვა, რომელიც არსებითი სახელია, იმავდროულად ვარაუდობს მის პარადიგმატულ ცალებსაც — არსებით სახელს საგნობრიობა და ექვსბრუნვიანი პარადიგმა ევარაუდება ქართულ ენაში. ესენი ერთდროული მახასიათებლებია — ერთი მეორეს ვარაუდობს. თუ არსებითი სახელი დაკარგავს ამ ნიშნებს, ის არსებითი სახელი აღარ იქნება, სხვა მეტყველების ნაწილად მოიქცევა — ზედსართავად ან ზმნისართად, **რად გადაიქცევა**, ეს უნდა განსაზღვროს იმ ნიშნებმა, რომლებითაც ვხელმძღვანელობთ მეტყველების ნაწილებად სიტყვათა კლასიფიკაციის დროს. ავიღოთ ორი წინადადება:

(1) „საღი გვერდით კედელს ეხებოდა“.

(2) „გვერდით კედელია, ზემოთ — ჭერი“.

პირველ წინადადებაში (1) ლაპარაკია „გვერდ“ არსებით სახელ-

ზე, რომელიც ლექსიკონში განმარტებულია, როგორც 1. „გულმკერდის მარჯვენა ან მარცხენა ნაწილი...“ 2. „რისამე ერთ-ერთი განაპირა მხარე“, 3. „ქაღალდის ფურცლის (წიგნის, რვეულის და სხვ.) ერთ-ერთი მხარე“, 4. „საწყავი...“ (ქეგლი). ამ ლექსიკონის იმავე სტატიაში ზემოთ წარმოდგენილს მოსდევს **ზმნისართები**: გვერდით, გვერდზე, გვერდში, გვერდს, რომლებიც ასეა განმარტებული: „გვერდის მხარეს, რისამე ერთ-ერთ (არა წინა ან უკანა, ზემო ან ქვემო) მხარეს“.

რა თქმა უნდა, „გვერდით“ არსებითი სახელი და „გვერდით“ ზმნისართი, როგორც სალექსიკონო ერთეულები, სრულიად განსხვავდებიან ერთიმეორისგან: როცა „გვერდით“ ფორმა „გვერდი“ არსებითი სახელის პარადიგმის წევრია, მათ საერთო ფუძე (ლექსემა) აქვთ, რომელსაც მოსდევენ ფლექსიური ელემენტები: სახელობითი ბრუნვის **-ი** და მოქმედებითი ბრუნვის **-ით** სუფიქსები; „გვერდით“ ზმნისართი კი ლექსიკური მნიშვნელობის ფუძედ და ფლექსიურ შემადგენლებად ვერ გაიყოფა; განსხვავებით „გვერდით“ სახელის ფორმისგან, „გვერდი“ მნიშვნელობა, როგორც **„ნაწილი ვიღაცისა ან რაღაცისა“, აქ არ ივარაუდება**, ლაპარაკია მხოლოდ ამ ნაწილის უშუალო სიახლოვეს მდებარე ადგილზე, სადაც ვითარდება ზმნური ქმედება; **-ით** სუფიქსი ზმნისართის ლექსიკური მნიშვნელობის არსებითი კომპონენტია, **გვერდ** ლექსემასთან შეერთებით იგი ახალ სიტყვას ქმნის ახალი მნიშვნელობით — **-ით** დერივანტემაა, ფუძის შემადგენელია. სახელთაგან მიღებულ მეორად ზმნისართებში **-ით** სუფიქსი ტრანსლატივია (47, 38,6-7). როდესაც ტრანსლატივი ახალ სიტყვას წარმოქმნის და ესა თუ ის მეტყველების ნაწილი გადაჰყავს სხვა მეტყველების ნაწილში, მისაღებია ლ. ტენიერის დებულება: “Транслация имеет категориальную природу“ (47, 152,2).

ვნახეთ, რომ სახელთა ზმნისართებად ტრანსლაცია განსაზღვრული მაწარმოებლებით — ტრანსლატივებით ხდება. ამ ტრანსლატივებს ენა თვით ზმნისართებიდან ახალ ზმნისართთა წარმოების დროსაც იყენებს, კერძოდ, პირველადი აქა და იქი ზმნისართებიდან -ით სუფიქსით ქართულში ყოველთვის ხდებოდა და ხდება ახალი ზმნისართების წარმოქმნა. ტრანსლაცია, მაშასადამე, ზოგა-

დად გულისხმობს დერივაციის გზით ახალი მნიშვნელობის სიტყვის შექმნას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ერთი მეტყველების ნაწილის ფარგლებშიც.

ძველ ქართულში ერთიმეორეს უპირისპირდებოდა აქა და იქი პირველადი ზმნისართები, მათ შეეფარდებათ თანამედროვე ქართულის **აქ~იქ**. თანამედროვე ქართულში აქა ზმნისართის ბოლო **-ა** მოკლებულია დეიქტურ ფუნქციას, რადგან იგი საპირისპირო იქ-ა ზმნისართშიც მონაწილეობს (ზედმეტი აღმოჩნდა სუფიქსი, რომელიც იდენტური გახმოვანებით იმავე მნიშვნელობას ატარებდა, რასაც პრეფიქსი); **-ა** სუფიქსმა ახალ ქართულში მიიღო დიერემის ფუნქცია (შეიძლება „აქა წერს", დაუშვებელია „აქა დაწერს", რადგან ზმნისწინიც დელიმიტაციური ელემენტია). ამის შედეგად **-ა** სუფიქსმა დაკარგა ელემენტის ფუნქცია დეიქსის კატეგორიაში.

აქა~იქი დაპირისპირება მარკირებულია განსხვავებული დეიქტური ელემენტებით (ა~~ი-), ისინი განსხვავებულ სივრცეებზე მიუთითებენ; განსხვავებულ სივრცეებზე მიუთითებენ მათგან ნაწარმოები აქათ და იქით მეორადი ზმნისართებიც; ტრანსლატივი {-ით} [რომლის ვარიანტიც არის */-თ/*: აქათ (<აქადთ) და */-ით/*: იქით (<*იქ-ით)] განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობის ფორმებს ქმნის: აქა პირველი პირის გარემოს ქმნის სივრცესა და დროში; აქათ კი იწყება „აქა" სივრცის ან დროის შემდეგ; „ებრძანა: შენგან გაყრილვარ, მას აქათ თვეო სამია" (ვეფხისტყაოსანი, 473,2). ამ გამონათქვამში **„მას"** ნაცვალსახელი აღნიშნავს ერთად ყოფნის დროს, **„აქათ"** კი — **ერთად ყოფნის შემდგომ დროს**, მაშასადამე, მათი სახით (აქა~აქათ) საქმე გვაქვს განსხვავებულ დესიგნატებთან. ანალოგიური ვითარებაა **იქ(ი)~იქით** დაპირისპირებაში: „არ ეგების, ამას იქით თუმცა თავი არ გამონე" (ვეფხისტყაოსანი, 253,2). „ამას" დროში ასმათი და ავთანდილი კონფლიქტურ ურთიერთობაში არიან, „ამას იქით" კი სრულიად განსხვავებული ურთიერთობის დროა. ანალოგიური დაპირისპირება არის სივრცის (ქმედების ადგილის) მიხედვით ამ შემთხვევაშიც: „აქათ თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლვან დიდნი კლდენი" (ვეფხისტყაოსანი, 1303,3). თავის გარდაქცევა იმ

კლდეებზე შეიძლება, რომლებიც „აქა“ სივრცის გარეთ არის — იქ, სადაც „დიდნი კლდენია“.

აქა და **იქი** დაპირისპირება ასევე სივრცობრივ დაპირისპირებული **მო-** და **მი-** ზმნისწინთა მიერ წარმოქმნილ ფორმებშიც ჩანს: **მო-** იხმარება **აქა** ზმნისართის გვერდით, **მი-** კი — **მუნ** (მესამე პირის სივრცე) ზმნისართის გვერდით: მოაქამდე || აქამომდე „აქამდე“ და მიმუნდღემდე „იმ დღემდე“ გამოგვაყოფინებს მოაქა- და მიმუნ- კომპონენტებს და გვიცნობიერებს **მოაქა—მიმუნ-** დაპირისპირებას, რომელშიც **აქა** და **მუნ** ზმნისართთა სივრცითი ან დროითი მონაკვეთების დაპირისპირება გაძლიერებულია, შესაბამისად მათი მნიშვნელობისა, წარმომქმნელ ელემენტებად გამოყენებული **მო-** და **მი-** ზმნისწინებით.

როგორც ბრუნვის ნიშანთა და თანდებულთა წარმოქმნის ელემენტებად გარდაქმნაა შესაძლებელი სახელთა ფორმების პარადიგმიდან გამოთიშვით, ასევე შეეძლო ენას ზმნისწინთა მოქცევა წარმოქმნის ელემენტებად **აქა** და **იქი** ზმნისართებთან ჩართვით. ეს უთუოდ სიჭარბის განცდას იწვევდა, რამდენადაც პირველადი ზმნისართები **აქა** და **იქი** **მო-** და **მი-** ელემენტთა გარეშეც ახერხებდნენ სივრცობრივ-დროულ გარემოზე მითითებას; ამიტომაც ენა აღარ იყენებს მათ.

გავეცანით ბრუნვის ნიშნებისა და თანდებულების წარმოქმნის ელემენტებად გამოყენებას, როდესაც ისინი ზმნისართებს აწარმოებდნენ: ამ ტიპის წარმოქმნა სრულიად განსხვავებულია „სახელთა წარმოქმნისაგან“, როდესაც წარმომქმნელი ელემენტები ახალ სახელს წარმოქმნიან, როგორიცაა: ქონების, უქონლობის, აბსტრაქტულობისა და სხვა სახელები. ასეთი ტიპის წარმოქმნისას „წარმოქმნილი სახელი იმეორებს ძირეულის ფორმა-ცვალებას ბრუნვათა მიხედვით. ეს გარემოება მას უნდა გასდევდეს, თუ ყველა ბრუნვაში არა, ბრუნვათა უმეტესობაში მაინც“ (62, 109). სახელთაგან ზმნისართების წარმოების დროს ახლად ნაწარმოებ სიტყვას ესპობა ბრუნვათა მიხედვით ფორმაცვალების უნარი, არსებითი ნიშანი სახელთა წარმოქმნისა, პირიქით, სიტყვა უბრუნველი და ურიცხვო ხდება. მაშასადამე, იცვლება როგორც მორფოლოგიურად — **კარგავს პარა-**

დიგმას, ისე სინტაქსურად — **წინადადების სხვა წევრებთან შეთანხმების** (მსაზღვრელთან ან საზღვრულთან) **ან მართვის** (შემასმენელთან) **ნაცვლად მირთვით არის დაკავშირებული**.

სახელიდან სახელის წარმოქმნისგან განსხვავებით, სახელთაგან ზმნისართების წარმოქმნას განსხვავებული სახელი სჭირდება, სიცხადისათვის უმჯობესი იქნება ამ უკანასკნელს „ზ მ ნ ი ს ა რ თ უ ლ ი წ ა რ მ ო ქ მ ნ ა“ ეწოდოს, რომელიც დაუპირისპირდება „ს ა ხ ე ლ უ რ წ ა რ მ ო ქ მ ნ ას“. შემთხვევითი არ არის, რომ გამოკვლევებსა და სახელმძღვანელოებში ამ ორი ტიპის წარმოება ერთად არ განიხილება — მათ შესახებ განსხვავებულ ადგილებზე მსჯელობენ მორფოლოგიაშიც და სინტაქსშიც.

ქართულ ენაში, კარგადაა ცნობილი, თანდებულიანი ფორმებიც შეიძლება მოიქცნენ ზმნისართებად: თუ თანდებულიანი ფორმები სახელის თვისებებს ინარჩუნებენ, მაშინ პირმიუმართავ აქტანტებს გამოხატავენ; როცა ისინი სახელის თვისებებს (ბრუნებასა და რიცხვს) კარგავენ, მაშინ ზმნისართებად მოიქცევიან.

ა. შანიძემ სახელის მორფოლოგიურ სისტემაში მორფონოლოგიურ ცვლილებათა საფუძველზე, ჩვენი აზრით, გაუმართლებლად გამოყო სამი „ლოკალური ბრუნვა“: ს ა დ ა ო ბ ი თ ი, გ ა მ ო ს ვ ლ ი თ ი და მ ი წ ე ვ ნ ი თ ი; იქვე მიუთითა დიალექტებში უფრო რთულ თანდებულიან ფორმებზეც: „მთის კილოებში გვხვდება რთული ფორმა, რომელსაც ორი ბრუნვის მნიშვნელობა აქვს — სადაობითისა და გამოსვლითისა... ბანზეით... ცხვარშიით“ (62, 77); იქვეა მსჯელობა სადაობით-მიწევნით ფორმებზე (ჰალაშიამდე).

ს ა ხ ლ შ ი, ს ა ხ ლ ზ ე, ს ა ხ ლ ი დ ა ნ, ს ა ხ ლ ა მ დ ე — „სადაობითი“, „გამოსვლითი“ და „მიწევნითი“ შეიძლება პირმიუმართავი აქტანტი იყოს და ვეღარ გაამართლოს სახელწოდება „ლოკალური“ („ამ ს ა ხ ლ შ ი ამდენს ვერ გადაიხდის“; „ს ა ხ ლ ზ ე ფიქრობს“...). როცა აღნიშნული ფორმები სახელის კატეგორიებს კარგავენ, გაუმართლებელია მათი სახელებად მიჩნევა (იხ. ზემოთ ზმნისართი **დღეს**). რაც შეეხება „ორი ბრუნვის მნიშვნელობას“, ბრუნების კატეგორიის თვალსაზრისით ს ა ხ ე ლ ი ს ე რ თ ფ ო რ მ ა შ ი გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი ა ო რ ი ბ რ უ ნ ვ ა, რადგან, ჯერ ერთი, ბრუნვები ერთი პარადიგმის წევრები არიან, ამიტომ ერთი ფორმის

ფარგლებში ორი ბრუნვის ნიშანი ერთიმეორის მეზობლად ვერ განლაგდება — მათ შორის მხოლოდ პარადიგმატული მიმართებაა, ე. ი. მხოლოდ ჩანაცვლება შეუძლიათ ბრუნვის ნიშნებს, მეორეც, როგორც ვნახეთ, **-ით** სუფიქსს ზმნისართებიდან ახალი (მეორეული) ზმნისართების წარმოებაც შეუძლია (აქა-თ, მუნით...). სწორედ ამ ტიპის გარდაქმნა განხორციელდა მთის დიალექტებში. მაშასადამე, სახლზეით, სახლშიით, სახლთანით „ორი ბრუნვის მნიშვნელობის" მქონე ფორმები კი არ არის, არამედ **-ით** სუფიქსით ნაწარმოები მეორადი ზმნისართებია, ამათ აღარა აქვთ არც ერთი კატეგორია სახელისა, **მათ პირმიუმართავ აქტანტებად ვეღარ გამოვიყენებთ, როგორც მუნით ტიპის ფორმებს ძველ ქართულში**.

საყურადღებოა, რომ თუშურ დიალექტში **-ით/-ითა** ტრანსლატივს აქვს საპირისპირო მიმართულების **-ის** ტრანსლატივი: **აქითა** „აქედან"~**აქის** „აქეთკენ"; **შინითა** „შინიდან"~**შინის** „შინისკენ", **იქითა** „იქიდან"~**იქის** „იქითკენ"... ეს ჩვენ ყურადღებას მიაქცევს ძველი ქართულის ე. წ. „მიმართულებითი ბრუნვის" ფორმებს, როგორიცაა: ტაძრისა, მისა... „და მივიდოდეს მისა ვინაჲვე" (მრ. 1,45); შდრ. „გამოვიდოდა იესუ ტაძრით" მ. 24,1c. ტაძრით~ტაძრ-ისა ფორმებით დაპირისპირებულია „ტაძრიდან"~„ტაძრისკენ" მნიშვნელობის ზმნისართები.

დავუბრუნდეთ სახლშიით, სახლზეით, სახლთანით ტიპის ზმნისართთა წარმოებას, რომლის არსებითი მახასიათებელი ის არის, რომ **-ით** ტრანსლატივი ერთვის თანდებულიან იმ ფორმებს, რომლებიც ამ თანდებულებით უკვე იყვნენ მოქცეული ზმნისართებად. ეს **-ით** ტრანსლატივი არ ერთვის პირმიუმართავ აქტანტებს.

ადრე მიგვაჩნდა, რომ ეს მეორეული ზმნისართები (სახლშიით, სახლზეით, სახლთანით) მთის კილოებში მეზობელი ნახური ენების გარემოებათა ერთი სახეობის კალკირებით იყო მიღებული (57, 76), რადგან, გავრცელებული თვალსაზრისით, ამ ტიპის წარმოებას სამწერლობო ქართული და ქართული ენის სხვა კილოები არ იცნობდნენ (35, 123).

სინამდვილეში ასეთ ფორმებს ქართული სამწერლობო ენაც იცნობს, „ვეფხისტყაოსანში“ ზმნისართთა წარმოების ეს მოდელი [(სახელის ფუძე+გნ(<გან) თანდებული+**-ით** ტრანსლატივი)] ოცზე მეტ შემთხვევაშია გამოყენებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ მთის კილოებში გამოყენებულია და გავრცობილი ეს ძველი მოდელი; აი ეს ზმნისართები „ვეფხისტყაოსნიდან“: ერთგნით „ერთი მხრიდან“, ორგნით, სხვაგნით „სხვა მხრიდან“, ყოველგნით‖ ყოვლგნით „ყველა მხრიდან“. ქვემოთ მოგვყავს თითო მაგალითი აღნიშნულ ზმნისართათვის: „იქით და აქათ მომიხდეს, ერთგნით ვერ მომერეოდეს“ (606,2) — ერთგნით „ერთი მხრიდან“, **-ით** ტრანსლატივი მონაწილეობს იქით „იქიდან“ და აქათ „აქედან“ ზმნისართთა მეორეულ ფორმებშიც.

„უკუდგეს და თაყვანი-სცეს მეფემან და მისთა სპათა,

დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა“ (46,2) — სხვაგნით „სხვა მხრიდან“.

„ყოვლგნით მოვიდეს მეფენი“ (324,3) — ყოვლგნით „ყველა მხრიდან“.

„ყოველგნით მოგეხვევიან“ (435,3) — ყოველგნით „ყოველი მხრიდან“ და სხვ.

-გნით დაბოლოებული ყველა ფორმა, გარდა ერთისა (იხ. ქვემოთ), ა. შანიძის მიერ, როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის ზმნისართები, „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიაში სრულიად კანონიერად ცალკე სტატიებით არის წარმოდგენილი. ამათგან განსხვავებით, შენგნით ფორმა შეტანილია **შენ** ნაცვალსახელის სტატიაში: „ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება“ (6,2). შენგნით მოთავსებულია **შენ** ნაცვალსახელის სტატიაში შენგან, შენთვის, შენკენ პირმიუმართავი აქტანტების გვერდით. განვიხილოთ შენგან, რომელთანაც დგას შენგნით:

„შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვლიდე“ (811,2). შენგან აქ და მრავალგზის სხვა კონტექსტშიც უდავო პირმიუმართავი აქტანტია, შენგნით კი სხვა ნიუანსის შემცველია: „შეწევნა შენგნით მაქვს“ ნიშნავს შეწევნა „დახმარება“ „შენი მხრით“ მაქვს, რაც იგივეა — „შენი მხრიდან“ მაქვს. შეწევნა

შ ე ნ გ ნ ი თ თუ შ ე ნ გ ა ნ უთუოდ ნიუანსურ განსხვავებას შეიცავს, პოეტმა ამ კონტექსტში ზმნისართი ამჯობინა. მაშასადამე შ ე ნ გ ნ ი თ ფორმასაც ცალკე სტატია უნდა გამოეყოს „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიაში.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ტრანსლაცია, ლ. ტენიერის თვალსაზრისით, ატარებს კატეგორიალურ ხასიათს, ე. ი. სიტყვა გადადის სხვა მეტყველების ნაწილის ჯგუფში და, ბუნებრივია, ამყარებს ახალ სტრუქტურულ კავშირებს, სინტაქსურად იმისგან განსხვავებულს, რაც ტრანსლაციამდე ჰქონდა: “как только благодаря трансляции... слово приобретает новую категорию, структурная связь усталавнивается сама собой“ (47, 152,9). ლ. ტენიერს ტრანსლაცია მხოლოდ სინტაქსურ მოვლენად მიაჩნია, მისი თქმით, ტრანსლაციაგამოვლილი სიტყვა მორფოლოგიურად ინარჩუნებს ტრანსლაციამდელ თვისებას: “с морфологической точки зрения слово, подвергшееся трансляции, сохраняет все свойства той категории, к которой оно относилось до трансляции“ (47, 152,11).

ვფიქრობთ, კატეგორიათა ცვლა სიტყვებისთვის არსებითია გრამატიკის ორივე დონეზე, რ ა დ გ ა ნ მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა შ ი სიტყვათა კვალიფიკაცია ს წ ო რ ე დ გ რ ა მ ა ტ ი კ ულ კატეგორიებს ე მ ყ ა რ ე ბ ა. ზემოთ განხილულ მასალაში სახელი, როდესაც ის ზმნისართად მოიქცეოდა, კარგავდა თავის კატეგორიებს და სემანტიკურ ცვლილებასაც განიცდიდა. იგი, ბუნებრივია, მორფოლოგიურად სახელად ვეღარ მიიჩნევა, მორფოლოგიურად სახელი კი არა, ზმნისართია და სწორედ ეს აისახება სინტაქსურ კავშირებში. ასევე შესაძლოა თვით ზმნისართი მიიქცეს სახელად, თუ შეიძენს ამ უკანასკნელის კატეგორიებს, მაგალითად: მუნ „იქ“~მუნი „იქაური“, შიგან „შიგ“~შიგანი „შიგნით მყოფი“... ზმნისართებს აქ ზედსართავი სახელები უპირისპირდებიან სახელობითი ბრუნვის ფორმით, მათ უკვე მრავლობითი რიცხვიც ეწარმოებათ, როგორც სახელებს: შიგანნი „შიგნით მყოფები“, შიგანთა „შიგნით მყოფებმა“. ორიოდ მაგალითი „ვეფხისტყაოსნიდან“:

„შ ი გ ა ნ ნ ი მივსცნეთ სისხლისა ღვარებსა“ (1405,3).

„მათ შ ი გ ა ნ თ ა ვერა უგრძნეს“ (1413,2).

ორსავე მაგალითში საქმე გვაქვს გაარსებითსახელებულ ზედსარ-

თავთან, რომელიც პირველ შემთხვევაში სახელობით ბრუნვასა და მრავლობით რიცხვშია, მეორე შემთხვევაში კი — მოთხრობით ბრუნვასა და მრავლობით რიცხვში. ლექსიკონებშიც ხომ სიტყვათა განკუთვნება ამა თუ იმ მეტყველების ნაწილისათვის იმ კატეგორიებზე დამყარებით ხდება, რომლებიც მას ახასიათებს.

აქვე უნდა შევეხოთ თუშური დიალექტისთვის დამახასიათებელ **-გნივ** რთული ტრანსლატივით (გნ-ივ<*გან-ივ) დაბოლოებულ მიზეზის ზმნისართებს: ი მ ი ზ გ ნ ი ვ (< იმისგნივ) „იმის გამო“, ჩ ე მ - გ ნ ი ვ „ჩემ გამო“, მ ე ზ ო ბ ლ ი ზ გ ნ ი ვ „მეზობლის გამო“ და სხვ., მაგალითად:

— რად გაბრუნდ უკვენ? „რატომ გაბრუნდა უკან?“

— იმიზგნივ, რო შინ არ იყო „იმის გამო (=იმიტომ), რომ შინ არ იყო“.

აქ არსებითი ის არის, რომ უძველესი **-ივ** სუფიქსი (მ ა რ - ც ხ ნ ი ვ, მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ, ძვ. ქართულის ი გ უ რ დ ი ვ; შდრ. გვიანდელი მარცხნით, მარჯვნით, გვერდით) -გან თანდებულის შეკუმშულ ვარიანტს მოჰყვება და მიზეზის ზმნისართს აწარმოებს, ე. ი. ზმნისართთა წარმოების ასეთი მოდელი, რომელშიც ტრანსლატივი **-ივ** თანდებულს მოსდევს, უცნობი არ უნდა ყოფილიყო ქართულისათვის და, როგორც არქაიზმი, შემორჩენილია თუშურ დიალექტში, უფრო გვიანდელი **-გნით** დაბოლოება კი, გარდა „ვეფხისტყაოსნისა“, სხვაგანაც დასტურდება, მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის თხზულებაში — „მოგზაურობა ევროპაში“ (იხ. ქართული პროზა, V, 1983).

„სამგნით ზღვა ევლო, **ცალგნით** ვიწრო შესავალი“ (გვ. 180) — ს ა მ გ ნ ი თ „სამი მხრით“.

„სამგნით ზღვა ჰქონდა, **ცალგნით** — ხმელეთი“ (გვ. 189) — ც ა ლ გ ნ ი თ „ცალი მხრით“.

ამ ტიპის წარმოების მოძებნა საშუალ ქართულსა და თანამედროვე დიალექტებში კიდევ შეიძლება, მაგრამ ძიებას აღარ განვაგრძობთ, ჩვენთვის ამჟამად არსებითი იყო სამწერლობო ქართულში ზმნისართთა ერთი მოდელის ჩვენება, რომელიც მხოლოდ მთის კილოთა სპეციფიკად მიიჩნეოდა ქართულ ენაში, ამავე დროს არც სათანადო კვალიფიკაცია ეძლეოდა.

მორფონოლოგია

მორფონოლოგია, ენის შუალედური სისტემა, წარმოადგენს მორფოლოგიისა და ფონოლოგიის ურთიერთზემოქმედების შედეგს ენის გლობალურ სისტემაში: მორფემის პოზიციურ ცვლილებას მორფემათა თანამიმდევრობაში ფონემატური მოდელის დაწოლით.

ზოგადად განვიხილავთ არსებითი სახელისა და ზმნის მორფონოლოგიური ცვლილებების ძირითად სახეობებს.

არსებითი სახელი

ქვემოთ განვიხილავთ ბრუნების პარადიგმებში არსებითი სახელის ფუძისა და ფლექსიური ელემენტების (მრავლობითი რიცხვის -ებ სუფიქსისა და ბრუნვის ნიშნების) ურთიერთობაში გამოვლენილ მორფონოლოგიურ ცვლილებებს*.

მორფოლოგიური თვალსაზრისით ქართულ ენაში ბრუნება ერთია (1, 6), ფონეტიკურ ცვლილებათა მიხედვით კი რამდენიმე ტიპი გამოიყოფა. ჩვენ მათ ბრუნების მორფონოლოგიურ ტიპებს ვუწოდებთ.

არსებით სახელთა (ისევე როგორც სხვა სახელთა) მორფონოლოგიური ტიპების გამოყოფა აუცილებელია ნორმატიულ ფორმათა დასადგენად. სალიტერატურო ენის მოხმარებისას მათ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

არსებით სახელთა ბრუნების მორფონოლოგიური ტიპები ქართულში

სახელთა ბრუნების მორფონოლოგიურ ტიპებად კლასიფიკაცია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხდება სახელის ფუძის ფონემატური აგებულებისა და ფუძესა და ბრუნვის ნიშნებში განხორციელებული ფონეტიკური ცვლილებების გათვალისწინებით: ბრუნების I ტიპში გაერთიანებულია ყველა სახელი, რომლის ფუძე

* არ ვეხებით წარმომქმნელი ელემენტის ურთიერთობას ძირებთან და ერთიმეორესთან ახალ-ახალი ფუძეების ფარგლებში. მათი განხილვა აუცილებელია მეტყველების ნაწილთა ტრანსლაციის წესთა განხილვისას.

თანხმოვანზე ბოლოვდება (62, 51). ეს ფუძე ბრუნების ყველა ფორმაში ბოლო თანხმოვანს ინარჩუნებს, შესაძლებელია მხოლოდ ფუძის შიგნით ბრუნვათა ნიშნების გავლენით ამოვარდეს ხმოვანი — მოხდეს ფუძის კუმშვა, რასაც თვით ბრუნვის ნიშანზე გავლენა არა აქვს.

რთულია ვითარება ხმოვანფუძიან (ფუძე ხმოვნით დაბოლოებულ) სახელთა ბრუნების ტიპებში კლასიფიკაციისას. ამჟამად მიღებული წესებით საკლასიფიკაციო ნიშნად მიღებულია სახელის ფუძის ფონეტიკური ცვლილება მხოლობით რიცხვში: თუ ფუძის ბოლოხმოვანი იკვეცება, სახელი განეკუთვნება ბრუნების II ტიპს, თუ ეს ხმოვანი არ იკვეცება — III ტიპს (62, 61).

სახელის ფუძის ფონეტიკურ ცვლილებას **-ებ** სუფიქსიან მრავლობითში ანგარიში არ ეწევა იმ მიზეზით, რომ **-ებ** ფუძის შემადგენლობაშია შეყვანილი, როგორც წარმომქმნელი ელემენტი; მის მომდევნოდ კი ბრუნების სამივე ტიპის სახელები საერთო წარმოებას გვიჩვენებენ — ყველა ბრუნების I ტიპში ერთიანდება.

-ებ სუფიქსის წინ სახელის ფუძის კვეცა გათანაბრებულია კუმშვასთან, რადგან ხმოვნის ჩავარდნა ხდება ფუძის ნაწილად მიჩნეული -ებ სუფიქსის წინ (ძმა ~ ძმებ-ი), მაშასადამე, ფუძის შიგნით, როგორც კუმშვადი ფუძეების შემთხვევაში გვაქვს მხოლობით რიცხვში; -ებ სუფიქსის წინ უკვეცლობა (ტყე ~ ტყეებ-ი) გათანაბრებულია ფუძის უკუმშველობასთან: „ამის მიხედვით ე-ნიანი სახელები ფუძეუკუმშველ სახელებს ეკედლება, ა-ნიანი კი — ფუძე-კუმშვადებს“ (62, 61).

ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობაში სადავოა მრავლობითობის **-ებ** სუფიქსის მიჩნევა წარმომქმნელ ელემენტად, რის გამოც ის ხდება ფუძის ნაწილი.

სახელთა მრავლობითობის **-ებ** ისევე არ არის წარმომქმნელი ელემენტი, როგორც ზმნის პირთა მრავლობითობის გამომხატველი **-თ** სუფიქსი (ვწერ ~ ვწერ-**თ**). */-თ/*-ს დართვით ზმნას ლექსიკური მნიშვნელობა არ ეცვლება. როგორც */-თ/* სუფიქსის, ისე */-ებ/* სუფიქსის დისტრიბუცია შეზღუდული არ არის ფუძით, ისინი დაერთვიან ნებისმიერ ფუძეს, თუ მას საერთოდ შეიძლება ჰქონდეს მრავლობითი რიცხვი, სადერივაციო აფიქსები კი ხასიათდებიან შეზღუდული პო-

ზიციით (მაგ., არ შეიძლება მე-ქუდ-იან-ე ან სა-ქუდ-იან-ე და ა. შ.; შდრ. მექუდე-ებ-ი, სა-ქუდე-ებ-ი).

სახელთა მრავლობითის **-ებ** სუფიქსი მონაწილეობს გრამატიკულ ურთიერთობებში (**კაცი** მოვიდ-**ა** ~ კაც-**ებ**-ი მოვიდ-**ნენ**; **წერო** მოფრინდებ-**ა** ~ წეროები მოფრინდები-**ან**...), რაც არ შეუძლიათ წარმომქმნელ ელემენტებს.

კუმშვის დროს ხმოვნის რედუქცია ხდება ფუძის შიგნით, სარედუქციო სეგმენტი თანხმოვნით ბოლოვდება და წინ უძღვის მარედუცირებელ ხმოვანს (სინკოპე), კვეცისას კი სარედუქციო ხმოვანს უშუალოდ მოსდევს მარედუცირებელი ხმოვანი (აპოკოპე) — ისინი განსხვავებული პოზიციის ფონეტიკური მოვლენებია, ამიტომაც ქმნიან ბრუნების განსხვავებულ ტიპებს (62, 60).

როდესაც სახელთა ბრუნების ტიპებად კლასიფიკაცია ემყარება ფუძის ფონეტიკურ ცვლილებას და სწორედ სინკოპე და აპოკოპე წარმოადგენს ბრუნების I და II ტიპების განმასხვავებელ ნიშნებს მხოლობითი რიცხვის ფორმებში, ფონეტიკურ ცვლილებათა უგულებელყოფა გაუმართლებელია მრავლობით რიცხვში, სადაც ამ მხრივ ვითარება განსხვავებულია; ამავე დროს, რადგან -ებ სუფიქსს ვერ მივიჩნევთ ფუძის შემადგენელ ნაწილად, ფუძე საერთო ხდება მხოლობითი და მრავლობითი რიცხვების ფორმათათვის და, ბუნებრივია, ფონეტიკურ ცვლილებებზე დამყარებული კლასიფიკაცია ორივე რიცხვის ფონეტიკურ ცვლილებებს ითვალისწინებდეს.

სახელთა განაწილებას ბრუნების ტიპებში არსებითი მნიშვნელობა აქვს ენის შესწავლისთვის — მისი საშუალებით ნებისმიერი სახელის ბრუნება უნდა გახდეს შესაძლებელი მორფონოლოგიურ ცვლილებათა დაწესებული ნორმების მიხედვით.

არსებით სახელთა ბრუნების მორფონოლოგიური ტიპები

პირველ ორ ტიპს ქმნიან თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელები: **I ტიპში** გაერთიანდება ფუძეუკუმშველი სახელები, **II ტიპში** — თანხმოვანფუძიანი კუმშვადი სახელები. ფონეტიკური ცვლილების მიხედვით ეს განსხვავება არსე-

ბით სახელთა ფუძეების განსასხვავებლად ბრუნების პარადიგმებში. მათი აღრევა არაადეკვატურ ფორმებს წარმოქმნის.

I ტიპის სახელთა ფუძეები პარადიგმის მხოლობით და მრავლობით რიცხვებში უცვლელია, მეორე ტიპის არსებით სახელებს კი ფუძე ეცვლებათ (ეკუმშებათ) მხოლობითი რიცხვის ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში, **-ებ** სუფიქსიანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში.

თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელები, რომელთა სარედუქციო სეგმენტში ექცევა /ო/, ქმნიან ორ ქვეჯგუფს: I ქვეჯგუფში, რომელიც ბრუნების მორფონოლოგიურ I ტიპს უერთდება, ექცევა /ო/-ს შემცველი ყველა ერთმარცვლიანი ფუძე (გობ-ი, ღოჯ-ი, ჯორ-ი...), ისინი არ იკუმშებიან; II ქვეჯგუფში ექცევა ორ- და მეტმარცვლიანი ფუძეები, რომელთა სარედუქციო პოზიციაში /ო/ მარცვლიანობას კარგავს. ნაშთის სახით რჩება /ვ/, რომელიც ფონემატური შეუთავსებლობის მიზეზით შეძლება დაიკარგოს რედუცირებულ ფუძეში (მინდორ-ი ~ მინდვრ-ის, მონაზონ-ი ~ მონაზვნ-ის, ამილახორ-ი ~ ამილახვრ-ის, პომიდორ-ი ~ პომიდვრ-ის; ობოლ-ი ~ ობლ-ის, გოდოლ-ი ~ გოდლ-ის...). ესენი ბრუნების II ტიპს განეკუთვნებიან, როგორც თანხმოვანფუძიანი კუმშვადი სახელები.

ბუნების III ტიპს განეკუთვნება კვეცადი სახელები, რომლებიც ფუძის ბოლო ხმოვანს იკვეცენ ორსავე რიცხვში, მათი ტიპური წარმომადგენელია ძმა (ძმ-ის, ძმ-ით; ძმ-ებ-ი); ამათ აქვთ ქვეჯგუფი, რომელსაც მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოება, ესენი საწყისებია, რომელთაც მრავლობითი რიცხვი მხოლოდ სუბსტანტივაციის შემთხვევაში უჩნდებათ: წერა ~ წერები „გამოცდის სახეობა“; შდრ. წერილების წერა (არ შეიძლება წერილების წერები). III ტიპს /ა/-ზე დაბოლოებული სახელების ნაწილი განეკუთვნება, ნაწილი კი IV ტიპში ერთიანდება: ამ ტიპის სახელები არ იკვეცებიან მხოლოდ რიცხვში, იკვეცებიან მრ. რიცხვში, ესენი ქმნიან რამდენიმე ქვეჯგუფს: **IV ტიპის** პირველ ქვეჯგუფს ეკუთვნის წარმომქმნელი -ა სუფიქსით დაბოლოებული სახელები: გოგონა, მჟავა, თავკომბალა ტიპის წარმოებისა (გოგონა-Ø ~ გოგონა-ს-თვის, გოგონა-თი), **IV ტიპის** მეორე ქვეჯგუფში ერთიანდება /ა/-ზე

დაბოლოებული ისეთი სახელები, რომელთა დაბოლოების ფუძისეული უფუნქციო ხმოვნის რეინტერპრეტაცია მოხდა წარმოქმნის ელემენტად (შავჩოხა, წითელკაბა...). ჩოხა და კაბა — ორივე კვეცადია და განეკუთვნებიან III ტიპს, კომპოზიტებში კი მოხდა ფუძისეული /ა/-ს წარმოქმნის -ა-დ გარდაქმნა. ასეთი ფუძეები მხოლ. რიცხვში არ იკვეცებიან, მრავლობით რიცხვში კი იკვეცებიან (შავჩოხა-Ø ~ შავჩოხა-ს-თვის, შავჩოხ-ა-თი ~ შავჩოხ-ებ-ი).

IV ტიპის მესამე ქვეჯგუფში ერთიანდება /ი/-ზე დაბოლოებული უცხოური სახელები **პონი, სამურაი** ტიპისა. ესენიც მხოლოდ **-ებ** სუფიქსიან მრავლობითში მოიკვეცენ ფუძისეულ /ი/-ს (სამურაი-Ø ~ სამურაი-ს-თვის, სამურაი-თ ~ სამურა-ებ-ი; პონი-Ø ~ პონი-ს-თვის, პონი-თ ~ პონ-ებ-ი).

V ტიპში ერთიანდება მხოლობით რიცხვში კვეცადი და მრ. რიცხვში უკვეცელი სახელები (ხე-Ø ~ ხ-ის, ხ-ით ~ ხე-ებ-ი).

VI ტიპს ქმნიან /ო/-ზე და /უ/-ზე დაბოლოებული სახელები*. ისინი ფუძის ბოლო ხმოვანს არ იკვეცენ საერთოდ (ყრუ-Ø ~ ყრუ-ს-თვის ~ ყრუ-თი, ყრუ-ებ-ი).

VII ტიპს ქმნიან კვეცად-კუმშვადი სახელები (ქვეყანა-Ø ~ ქვეყნ-ის, ქვეყნ-ით, ქვეყნ-ებ-ი). ესენი გვიან წარმოქმნილი მეორეული ფორმებია.

გარკვეული ნიუანსი ახლავს IV ტიპის მესამე ქვეჯგუფს, თითქოს ცალკე ტიპად უნდა გამოყოფილიყო, რადგან მოქმედებით ბრუნვას აწარმოებს **-თ** სუფიქსით, მაშინ როცა ხმოვანფუძიანი უკვეცელი სახელები ამ ბრუნვაში **-თი** დაბოლოებას იჩენენ (წყარო-თი, პიურე-თი, ალფა-თი და ომეგა-თი...). ცალკე ტიპად არ გამოიყო რადგან ეს /-თ/ {-ით} მორფემის ერთ-ერთი ვარიანტია. მთის დიალექტებში ამჟამადაც დასტურდება წყარო-თ „წყაროთი“ ტიპის ფორმები (წყაროთ < წყაროჲთ). წყაროთი ტიპის ფორმები ნათესაობითი ბრუნვის ფორმის (წყაროსი) ანალოგიას წარმოადგენს.

* ღვინო თავისებური ბრუნების მქონე სახელია.

მორფონოლოგიურ ცვლილებათათვის ქართულ ზმნაში

სამპირიან ზმნათა ორ ჯგუფს ჩვენ ადრეც ვიხილავდით: (52). განსხვავებით ა. შანიძისა და არნ. ჩიქობავასგან, რომელთა ნაშრომებში სამპირიან ზმნებს მწკრივის ფარგლებში აქვთ 18 ფორმა (62, 228; 70; 62), ჩვენ გამოვყოფდით ჯერ 112 ფორმას (28x4), შემდეგ 128-ს, როცა გავაცნობიერეთ იდენტურ პირთა კომბინაციების არსებობა სამპირიან ზმნებშიც.

განსხვავებას ქმნიდა გამოხატულების პლანით შექმნილი იდენტური ფორმების კვალიფიკაცია: განსხვავებით წინა მკვლევართაგან, გრამატიკულ ფორმებს გამოვყოფდით შინაარსის პლანის გათვალისწინებით, მწკრივის ფარგლებში არა გვქონდა დამთხვეული ფორმები, ე. ი. რომელიმე /გაქებთ/ **თქვენ ის** და /გაქებთ/ **ჩვენ შენ** და ა. შ. ჩვენთვის სხვადასხვა გრამატიკული ფორმებია და სათვალავში შედის მწკრივის ფარგლებში, რადგან გრამატიკული ჩაწერით ისინი განსხვავებულია: გ-აქებ-Ø-თ (თქვენ ის) ~ გ-აქებ-თ (ჩვენ შენ). შეპირისპირებულ I ფორმაში **-თ** სუფიქსი ობიექტის სიმრავლეს გამოხატავს, მეორეში — სუბიექტის სიმრავლეს. მათი ფორმულებიც განსხვავებული აქვთ: $S_3O_2^{dp}$ ~ $S_1{}^pO_2{}^d$.

ამჟამად შინაარსის პლანის გათვალისწინებით იმ სამპირიან ზმნათათვის, რომელთაც შეეწყობა პირცვალებადი პირდაპირი ობიექტი (პირცვალებადი ირიბი ყველა სამპირიან ზმნას შეიძლება ჰქონდეს). ერთი მწკრივის ფარგლებში ვვარაუდობთ 120 ფორმიან პარადიგმას, რომლისთვისაც წარმოვადგენთ ასეთ სამპირიან ზმნათა სქემებს. გრამატიკულ ფორმათა გამოხატულების პლანით დამთხვევა ხშირად ხდება როგორც სქემათა მიხედვით, ისე ცალკეული სქემის ფარგლებშიც, მაგრამ შინაარსის პლანით თითოეული გრამატიკული ფორმა განსხვავებულია ყველა დანარჩენი 119 გრამატიკული ფორმისგან.

S \ O^d	1	2	3	1^p	2^p	3^p	
1	+	+	+		+	+	
2	+	+	+	+		+	
3	+	+	+	+	+	+	O_3^{ind}
1^p		+	+	+	+	+	
2^p	+		+	+	+	+	
3^p	+	+	+	+	+		

სქემა A

წარმოდგენილ სქემაში პირუცვლელია O_3^{ind} — ირიბი ობიექტი III პირში. იგი სქემისშიგნითა ყველა კომბინაციას მიერთვის, მაგ.: 113, ანუ $S_1O_1{}^dO_3{}^{ind}$, 123 — $S_1O_2{}^dO_3{}^{ind}$, 133 — $S_1O_3{}^dO_3{}^{ind}$, 12^p3 — $S_1O_2{}^{dp}O_3{}^{ind}$, და ა. შ.

სქემის შიგნითა თითოეული კომბინაცია დანარჩენი კომბინაციებისგან განსხვავებულია ან პირების მიხედვით, ან რომელიმე პირის რიცხვით, ან პირებითაც და რიცხვითაც.

11, 1^p1^p; 22, 2^p2^p იდენტური რომლობის პირთა კომბინაციებში 1- ან 2- არის სუბიექტის ინდექსი (S_1 ან S_2), მომდევნო -1 ან -2 A სქემის მიხედვით პირდაპირი ობიექტის ინდექსებია ($O_1{}^d$ ან $O_2{}^d$), მაშასადამე, 11 უდრის $S_1O_1{}^d$-ს; ამ უჯრის სრული სახე კი იქნება $S_1O_1{}^dO_3{}^{ind}$, ვთქვათ /მე თავი შევსწირე მას/, სადაც პირგაუდიფერენცირებელი „თავი" გამოხატავს $O_1{}^d$-ს, რაც კარგად ჩანს კონვერსიული ფორმის მიხედვით: მე **თავი** შევსწირე მას ~ **მე** შევწირე მას, „თავი" კონვერსიულ პასივში „მე"-თია წარმოდგენილი (აქტივის „მე" პასივში პირად ვეღარ გადმოდის). ანალოგიური მსჯელობა ჩატარდება სხვა იდენტურ პირიან უჯრებთან დაკავშირებითაც.

S \ O^d	1	2	3	1^p	2^p	3^p	
1	+	+	+		+	+	
2	+	+	+	+		+	
3	+	+	+	+	+	+	O_3^{indp}
1^p		+	+	+	+	+	
2^p	+		+	+	+	+	
3^p	+	+	+	+	+		

სქემა B

სქემა B **ახალ** 32 კომბინაციას იძლევა, რადგან A სქემის O_3^{ind} უჯრებში ყველგან შეიცვლება O_3^{indp}-ით.

C და D სქემები* A და B სქემებისგან იმით არიან განსხვავებული, რომ სქემის შიგნით, სუბიექტის მომდევნოდ, წარმოდგენილია პირცვალებადი ირიბი ობიექტი (O^{ind}), სქემის გარეთ კი — პირუცვლელი $O_3{}^d$. C და D სქემებს შორის განსხვავება მყარ-

* ამ სქემებს აქ აღარ წარმოვადგენთ.

დება სქემის გარეთა O_3^d-ის რიცხვით: C სქემაში O_3^d მხოლ. რიცხვშია, D სქემაში კი — მრავლობით რიცხვში (O_3^{indp}).

როგორც ვხედავთ, A, B, C, D სქემების პირთა კომბინაციები ერთიმეორისგან განსხვავდებიან სქემის გარეთა პირების როგორობით: მესამე პირის ირიბი ან მესამე პირის პირდაპირი ობიექტებით ან ამავე რომლობის ობიექტებით მრავლობით რიცხვში. საერთო ჯამში ერთი მწკრივის ფარგლებში ეს იძლევა 128 კომბინაციას (32x4).

C, D სქემებში გამოხატულებისა და შინაარსის პლანით 24 გრამატიკული ფორმა ემთხვევა A და B სქემებში წარმოდგენილ გრამატიკულ ფორმებს. ესენია C და D სქემების მესამე პირთა კომბინაციები, რომლებშიც (1) მესამე პირის ორივე ობიექტი ერთსა და იმავე სუბიექტთან დგას მხოლოობით რიცხვში, (2) მესამე პირის ორივე ობიექტი ერთსა და იმავე სუბიექტთან დგას მრავლობით რიცხვში, (3) ერთსა და იმავე სუბიექტთან მესამე პირის პირდაპირი ობიექტი მხოლობით რიცხვშია, ამავე პირის ირიბი — მრავლობით რიცხვში და (4), პირიქით, მესამე პირის ირიბი ობიექტი მხოლობით რიცხვში, პირდაპირი — მრავლობითში.

აღნიშნულ წყვილთა ერთსა და იმავე სუბიექტთან კომბინირებისას განსხვავებული მხოლოდ ობიექტურ პირთა რიგია — ეს რიგი შებრუნებულია სქემათა მიხედვით, მაგალითად A სქემის $S_3O_3^dO_3^{ind}$ (133) და C სქემის $S_3O_3^{ind}O_3^d$ (133) კონვერსიაში ერთსა და იმავე პასივს იძლევიან, რაც ამ აქტივთა, როგორც გრამატიკულ ფორმათა იდენტურობაზე მიგვითითებს. ავიღოთ იგივე $S_3O_3^dO_3^{ind}$ ~ $S_3O_3^{ind}O_3^d$ ობიექტთა რიგით დაპირისპირებული ფორმები („არა თუ იგი მოშორდეს, მართ ცამან დააშოროსა“ ვტ. 1569, 3). მიუხედავად ობიექტთა განსხვავებული რიგისა, (იგი მას ~ მას იგი), ამ აქტივებს საერთო პასივი აქვთ — მოშორდეს.

A, B, C, D სქემებით ვერ გამოიხატა ის 16 კომაბინაცია, რომლებსაც იძლევა იდენტურ პირთა კომბინაციები ობიექტთა I ან II პირებთან, ესენია: $S_1O_1^dO_2^{ind}$, $S_1O_1^dO_2^{indp}$, $S_1^pO_1^{dp}O_2^{ind}$, $S_1^pO_1^{dp}O_2^{indp}$, $S_2O_2^dO_1^{ind}$, $S_2O_2^dO_1^{indp}$, $S_2^pO_2^{dp}O_1^{ind}$, $S_2^pO_2^{dp}O_1^{indp}$.

მეორე ჯგუფში აგრეთვე 8 კომბინაციას ქმნის იდენტური რომ-

ლობის (I ან II პირში) სუბიექტისა და ირიბი ობიექტის კომბინაციები პირდაპირ ობიექტთან ისე, რომ, თუ იდენტური პირები პირველი რომლობისაა, პირდაპირი ობიექტი მეორე რომლობისა იქნება და პირიქით. აი, ეს კომბინაციები: $S_1O_1^{ind}O_2^{d}$, $S_1O_1^{ind}O_2^{dp}$, $S_1^{p}O_1^{indp}O_2^{d}$, $S_1^{p}O_1^{indp}O_2^{dp}$; $S_2O_2^{ind}O_1^{d}$, $S_2O_2^{in}O_1^{dp}$, $S_2^{p}O_2^{indp}O_1^{d}$, $S_2^{p}O_2^{indp}O_1^{dp}$.

საბოლოო ჯამში სამპირიანი ზმნა, რომელსაც პირცვალებადი პირდაპირი ობიექტიც შეეწყობა, ერთი მწკრივის ფარგლებში იძლევა 120 გრამატიკულ ფორმას (104+16).

ქვემოთ შეპირისპირებით წარმოვადგენთ შებრუნებულ კომბინაციებს იდენტურ პირთა მონაწილეობით, როდესაც სუბიექტთან იდენტური რომლობის პირდაპირი ობიექტი უპირისპირდება იმავე სუბიექტთან იდენტური რომლობის ირიბ ობიექტს.

მე (S_1) ჩემი თავი (O_1^{d}) შეგადარე შენ (O_2^{ind}) ~ მე (S_1) ჩემ თავს (O_1^{ind}) შეგადარე შენ (O_2^{d}).

სამპირიან აქტივთა შეგადარე (1) ~ შეგადარე (2) ფორმებს იმის მიხედვით, პირდაპირ ობიექტად I პირია თუ II, პასივთა განსხვავებული კონვერსიული ფორმები უპირისპირდება

ჩემი თავი შეგადარე შენ ~ **მე** შეგედარე შენ.

ჩემ თავს შეგადარე **შენ** ~ **შენ** შემედარე მე.

პასივთა ფორმები ერთი პარადიგმის წევრებია. აქტივთა ფორმებიც ერთ პარადიგმას განეკუთვნებიან.

პირთა კომბინაციებში მორფონოლოგიურ ცვლილებების შედეგია ნულოვანი ალომორფები. მათ შესახებ ადრეც ვწერდით (52, 87). აქ შევეხებით პირთა კომბინაციებში მომხდარ ცვლილებებს წინამდებარე ნაშრომში გამოვლენილ 16 ფორმაში.

იმ ფორმებში, სადაც იდენტურია პირველი და მეორე პირის სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი ($S_1O_1^{d}$ ან $S_2O_2^{d}$), მარკირებულია მატერიალურად მხოლოდ მათთან კომბინაციაში მოხვედრილი O_2^{ind} ან O_1^{ind} იმის მიხედვით, რომელ იდენტურ კომბინაციას უერთდება: თუ არის $S_1O_1^{d}O_2^{ind}$, მატერიალურად ფორმაში გამოხატულია O_2^{ind}, S_1 და O_1^{d} კი ნულოვანი ალომორფებით არიან წარმოდგენილი: /მე თავი ჩემი გამონე შენ/ — **გ**- პრეფიქსი ეკუთვნის O_2^{ind}-ს (შენ), S_1 (მე) და O_1^{d} (თავი) მატერიალურად არ არის წარმოდგენილი. ანალოგიუ-

რი ვითარებაა მაშინაც, როცა პირთა კომბინაცია არის $S_1^pO_1^{dp}O_2^{ind}$ — /ჩვენ თავი გამონეთ შენ/, განსხვავება მხოლობითის ფორმისგან არის მხოლოდ **-თ** სუფიქსი, რომლითაც S_1^p-ის რიცხვი აღინიშნება. ძველ ქართულში ეს გრამატიკული ფორმა სხვა მხრივაც იყო განსხვავებული, იქ, გარდა S_1^p-ის რიცხვისა, ზმნაში O_2^{dp}-ის რიცხვიც აღინიშნებოდა: /ჩუენ თავნი გამონენით თქუენ/ **-ენ** გამოხატავს O_1^{dp}-ს.

ძველ ქართულში O_2^{indp} მრავლობით რიცხვში, თანამედროვე ქართულისგან განსხვავებით, არ იყო მარკირებული მატერიალურად, ამიტომ განსხვავებული ფორმები გვაქვს $S_1O_1^dO_2^{indp}$ ფორმულის მიხედვით: ძვ. ქართ. — /მე თავი ჩემი გამონე თქუენ/, ახალი ქართული — /მე ჩემი თავი გამონე**თ** თქვენ/. საყურადღებოა კიდევ $S_1^pO_1^{dp}O_2^{indp}$ ფორმულის ფორმები ძველ ქართულსა და თანამედროვე ქართულში:

ძვ. ქართული — /ჩუენ თავნი ჩუენნი **გ**ამონე**ნ**ით თქუენ/ — აღინიშნა ირიბი ობიექტის პირი (**გ**-), არ აღინიშნა მისი მრავლობითი რიცხვი, აღინიშნა მრავლობითობა სუბიექტისა **-თ** სუფიქსით და მრავლობითობა პირდაპირი ობიექტისა **-ენ** სუფიქსით.

ახალი ქართული — /ჩვენი თავი გამონეთ თქვენ/ — აღინიშნა ირიბი ობიექტის პირი (გ-). ზმნის ფორმაში მოსალოდნელი იყო ორი -თ სუფიქსი (-თ -თ), ერთი სუბიექტის სიმრავლის (S_1^p) ნიშნად, მეორე ირიბი ობიექტის (O_2^{indp}) ნიშნად. რადგან სუბიექტს I პირში ყოველთვის გამოეხატებოდა სიმრავლე **-თ** სუფიქსით, ირიბმა ობიექტმა მეორე პირის სიმრავლის ნიშანი **-თ** გაიჩინა საშუალ ქართულში, შეიძლება გამონეთ თანამედროვე ფორმაში **-თ** S_1-ის სიმრავლის ნიშნად მივიჩნიოთ, O_2^{indp}-ის მრ. რიცხვის ნიშანი კი ნულოვანი ალომორფით გამოვხატოთ.

ირიბი ობიექტის პირი და რიცხვი ყოველთვის არის მარკირებული ძველ ქართულსა და თანამედროვეშიც, როცა ის დგას პირველი პირის მრავლობით რიცხვში. ეს ხდება შემდეგ ფორმულებში — $S_2O_2^dO_1^{indp}$ — /შენ თავი შენი **გვ**ამონე ჩვენ/ (ძველ ქართულში ამის პარალელურად შეიძლებოდა /შენ თავი შენი **მ**ამონე ჩუენ/ და $S_2^pO_2^{dp}O_1^{indp}$ — /თქვენ თავი **გვ**ამონეთ ჩვენ/ — პირდაპირი ობიექტის (თავი) პირი არ არის გამოხატული.

ძვ. ქართულით: /თქუენ თავნი თქუენნი **გუ**ამონენ**ნით** ჩუენ/ – **გუ**- ირიბი ობიექტის (ჩუენ) პირსა და მის მრავლობით რიცხვს გამოხატავს, -**ენ** პირდაპირი ობიექტის (O_2^{dp}) მხოლოდ მრავლობით რიცხვს, -თ კი სუბიექტის სიმრავლეს (S_2^p) გამოხატავს. სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის პირები ამ ფორმებში ნულოვანი ალომორფებით არიან წარმოდგენილი.

გამოყოფილი 16 კომბინაციის ფორმები არ არის ბევრი, მაგრამ ისინი საკმაო რაოდენობით გვხვდებიან ძველსა და თანამედროვე ქართულში. რამ დენიმე მაგალითი: მე ჩემ თავს გამსგავსე შენ ($S_1O_1^{ind}O_2^d$) ~ მე ჩემი თავი გამსგავსე შენ ($S_1O_1^dO_2^{ind}$) ასეთივე დაპირისპირება გვექნება მიგათვალე, მიგაყოლე, მიგაწერე... მოგწყვიტე (ჩემ თავს შენ) ~ მოგწყვიტე (ჩემი თავი შენ), მოგგლიჯე და სხვ.

მორფონოლოგიურ პროცესთა მიმართულებისა და შედეგისათვის

ფონემები ენის ნებისმიერ სეგმენტურ ელემენტთა შემადგენლობაში შედიან. რადგან ყველა ენობრივ დონეს ელემენტთა განაწილების სპეციფიკური კანონზომიერებები აქვს, წინააღმდეგობები ფონემათა განაწილების მხრივ სეგმენტთა საზღვრებზე ბუნებრივად წარმოიქმნება ენის გლობალურ სისტემაში. უპირველეს ყოვლისა, ერთიმეორეს ეჯახება ფონემატური და მორფოლოგიური კანონები. ამგვარივე წინააღმდეგობები შეიძლება გამოვლინდეს სიტყვებს შორისაც, რამდენადაც ფრაზათა შიგნით ადგილი აქვს პროკლიზიისა და ენკლიზიის შემთხვევებს.

არცთუ ისე იშვიათად ფონემათა კომბინაციებს მორფემათა საზღვრებზე სრულიად განსხვავებულ, ამავე დროს ურთიერთგამომრიცხავ მოთხოვნებს უყენებენ ფონემატურ და მორფოლოგიურ დონეთა წესები: თუ ფონემატური დაწოლა განხორციელდება, სიტყვათა ფარგლებში სეგმენტთა საზღვრებზე მოსალოდნელია ცვლილებები ფონემათა თანამიმდევრობაში; ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, თუ მორფოლოგიური მოდელი შესაბამისი რანგებით იქნა რეალიზებული, ასე მაგალითად: (1) მიმღეობის მ- პრეფიქსის დაკარგვა ფონემატური მოდელის დაწოლით ხდება, როდესაც მორფემულ საზღვართა არაბუნებრივ კომპლექსებში იკარგება მ- მორფემა: შობელი, კბენარი, კვდარი, სხვა. რადგან ფონემატური წესით #—V პოზიციაში არ არის ბუნებრივი **მშ-**, **მკ-** ... კომპლექსები. (2) პირიქით, მ- პრეფიქსი გაუჩნდება სახელს, როდესაც ხდება ფორმალური სუბსტანტივაცია, მდევი (შდრ. დევი), მჟოლი (შდრ. ჟოლო), მცხვარი (შდრ. ცხვარი, ძვ. ქართ. ცხოვარი).

განხილული პროცესების შესახებ მსჯელობა მხოლოდ ერთი დონის ტერმინებში (მხოლოდ ფონეტიკურ ან მხოლოდ მორფოლოგიურ ტერმინებში) გამართლებული ვერ იქნება, რამდენადაც მათ შესახებ მსჯელობა უნდა წარიმართოს ორივე დონის გათვალისწინებით — საქმე გვაქვს მ ო რ ფ ო ნ ო ლ ო გ ი უ რ პროცესებთან. წმინდა ფონეტი-

კური პროცესები ხდება მორფემის ფარგლებში სხვა მორფემათა გავლენის გარეშე, როგორიცაა მაგალითად: სხვა > ცხვა, ხშირი > შხირი, შხამი > ჩხამი და სხვ. კვეცა და კუმშვა, რომელთაც ადგილი აქვთ მორფემათა საზღვრებზე, მორფონოლოგიური პროცესებია და ა. შ.

მორფონოლოგიური ცვლილებები განსახილველია მიმართულებისა და შედეგის მიხედვით. გასარკვევია ცვლილების მიზეზები, ე. ი. დადგენა იმისა, რომელი მოდელის დაწოლით ხორციელდება ცვლილება. ეს საშუალებას მოგვცემს წინასწარ ვივარაუდოთ ცვლილების შედეგი; რაც შეეხება მიმართულებას, ის დგინდება კონკრეტული მონაცემებით, რამდენადაც ერთი და იმავე შედეგის მიღება შეიძლება სხვადასხვა გზით, ზოგჯერ საპირისპირო გზებითაც. ქვემოთ საერთო შედეგისა და სხვადასხვა მიმართულების გზებზე იქნება მსჯელობა.

ერთ-ერთ ასეთ შედეგზე ლაპარაკია აკად. შ. ძიძიგურის ცნობილ წერილში — „ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში“ (71).

პირველად ამ წერილში შედეგის მიხედვით გაერთიანდა საპირისპირო მიმართულების ხმოვანთცვლილებები: ასიმილაცია და დისიმილაცია, ამათ შეუერთდა იდენტურ ხმოვანთა შერწყმა ერთ ხმოვნად: ყველანაირი ხმოვანთკომპლექსი ნებისმიერი სახის ცვლილებით ქართულსა და ზანურში ერთსა და იმავე შედეგს იძლევა. თამამად შეიძლება ქართულსა და ზანურს ხმოვანთკომპლექსების ცვლილების მიხედვით გვერდით ამოვუყენოთ სვანური ენაც მისთვის დამახასიათებელი ხმოვანთა ელიზიისა და ხმოვანთა შერწყმის პროცესებით (60; 8).

ხმოვანთა კომპლექსებთან დაკავშირებული ფონეტიკური პროცესების შესახებ შეგროვებული მასალა მრავალგზის არის გაანალიზებული, მიღებულია განზოგადებული დებულებები. საჭიროდ მიგვაჩნია ხელმეორე განხილვა მასალის იმ ნაწილისა, რომელიც ამოვარდნილია ზოგადი დებულებებიდან და, თუ მოხერხდება, შექმნა ისეთი თეორიისა, რომელიც მასალას მოიცავს მთლიანად და ურთიერთგამომრიცხავი დებულებების გარეშე. ასეთი თეორია, რა თქმა უნდა უფრო ადეკვატური იქნება რეალური ვითარებისა. ჩვენი აზრით, ამის

წინაპირობა უკვე მოცემულია შ. ძიძიგურის ცნობილი დებულებით: „ყველა რიგის (A, B, C) ხმოვანთა კომპლექსი ისწრაფვის ერთხმოვნობისაკენ: კომპლექსის განვითარების საბოლოო საფეხურია ერთ ხმოვანზე დასვლა“ (71, 33).

მართალია, ეს დებულება ვარაუდობს ხმოვანთა ყველა კომპლექსს, მაგრამ ისინი ცვლილების საბოლოო შედეგს — ერთ ხმოვანზე დასვლას წარმოდგენილი თვალსაზრისით სხვადასხვა გზით აღწევენ: შ. ძიძიგური გამოყოფს კომპლექსთა სამ რიგს (A, B, C), რომლებიც ფონეტიკურად განსხვავებული გარდაქმნებით მიდიან ცალ ხმოვნამდე. აქვე შევნიშნავთ, რომ შ. ძიძიგური „ერთ ხმოვანზე დასვლაში“, როგორც ასიმილაციის პროცესის ანალიზიდან ჩანს, ვარაუდობს ერთ მარტივ ხმოვანზე დასვლას.

ქვემოთ განვიხილავთ იმ გამონაკლისებს, რომლებიც A, B, C რიგებში არ ემორჩილება რიგთა შიდაკანონზომიერებებს (28; 78; 79). კარგად არის ცნობილი თეორიულ წყვილთა 25 კომპლექსის A, B, C რიგთა შორის განაწილების პრინციპი: A რიგში „უფრო ფართო ხმოვანს მოსდევს უფრო ვიწრო (ფართო + ვიწრო)“, ესენია: აი, აუ, აე, აო, ოი, ოუ, ეი, ეუ. B რიგში უფრო ვიწროს მოსდევს უფრო ფართო ხმოვანი (ვიწრო + ფართო): ოა, ეა, იე, იო, ია, უე, უო, უა. C რიგში „თანაბარი ღიაობის ხმოვნებია“: ოე, ეო, იუ, უი, აა, ოო, ეე, უუ, იი.

რიგთა მიხედვით კომპლექსებში შემდეგი ფონეტიკური პროცესებია დაფიქსირებული: A რიგში „ადგილი აქვს რეგრესულ ასიმილაციას“. დიალექტებში ასიმილაციის პროცესი მეტ-ნაკლები სისრულით არის წარმოდგენილი: „ყველაზე შორს წასულა თუშური და აჭარული და ამით ისინი უახლოვდებიან ზანურს“ (71, 25); B რიგში „მიდრეკილებაა დიფთონგიზაციისაკენ; ხმოვანთა ჯგუფი, რომლის პირველი ნაწილი ვიწროა და მეორე ნაწილი ფართო, ისწრაფვის დიფთონგად ქცევისაკენ წინამავალი ვიწრო ხმოვნის კიდევ უფრო დავიწროების გზით“ (იქვე); C რიგში „იდენტური ხმოვნები ისწრაფვიან შერწყმისაკენ“ (71, 29). ეს უკანასკნელი თავისთავად ივარაუდება, რადგან რეგრესული ასიმილაციის დროს ჯერ სრული დამსგავსება ხდება, რასაც მოსდევს იდენტურ ხმოვანთა შერწყმა, მაგრამ C

რიგში ოე კომპლექსი ასიმილაციის გზით იცვლება დასავლურ დიალექტებში (ოე>ეე), მაშინ როცა აღმოსავლურ დიალექტებში ადგილი აქვს დისიმილაციას (ოე>უე), რის საფუძველზეც, ადრე მიღებული დებულების გათვალისწინებით, კეთდება დასკვნა: ასიმილაციის შემთხვევაში ო უფრო ფართოა ე-ზე, დისიმილაციის შემთხვევაში კი, პირიქით, ე არის უფრო ფართო ო-ზე. ამით C რიგის კომპლექსებში განხორციელებულ ცვლილებათა ზოგად დებულებებთან წინააღმდეგობა მოიხსნა, მაგრამ გამოუვალი წინააღმდეგობა შეიქმნა C რიგის ეე კომპლექსის ცვლილების მიმართულებით: მოსალოდნელი შერწყმის ნაცვლად ხდება დისიმილაცია სამხრულ დიალექტებში (ეე>იე>ე), რაც ვერ აიხსნება A, B, C წესებით („A, B, C წესებს" ვუწოდებთ A, B, C კომპლექსების ანალიზით ნაშრომში გამოვლენილ წესებს. იხ. ზემოთ).

ვიდრე ასიმილაციისა და დისიმილაციის შესახებ მსჯელობას განვაგრძობდეთ, მანამდე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესებზე მსჯელობისას (1) მხედველობაში იღებენ კომპონენტთა მხოლოდ ფონემატურ თვისებებს და (2) არც კომპლექსთა პოზიციას ასხვავებენ. ორსავე შემთხვევაში ანგარიში არ ეწევა პროცესთა მორფონოლოგიურ ხასიათს. მორფონოლოგიური თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია საზღვრის კომბინაციების შედგენილობაც: ფლექსიურ ელემენტთა კომბინაციებია ისინი თუ დერივაციულ ელემენტთა კომბინაციები, შესაძლებელია შერეული სახის კომბინაციებიც; მაგალითად: ა-ი კომპლექსის კომპონენტებს თუ მივიჩნევთ ოდენ ფონემატური დონის პარადიგმატულ ელემენტებად. აუხსნელი დაგვრჩება ამ კომპლექსის განსხვავებული ცვლილებები სიტყვის ბოლოსა და თავში: ერთი მხრით ხდება აი>აჲ>ა (ძმაი>ძმაჲ>ძმა) და, მეორე მხრივ, წ ა ი ღ ო, სადაც ადგილი არა აქვს აი>აჲ>ა პროცესს; არც ის არის გამორიცხული, რომ ამ ცვლილებათა ხასიათსა და მიმართულებაში მნიშვნელობა ჰქონდეს იმასაც, რა მეტყველების ნაწილთან გვაქვს საქმე; ასე მაგალითად: ზმნური **შალ** ფუძე აწმყოში კუმშვადია — შლი-ს, II ხოლმეობითში კი — უკუმშველი: შალ-ი-ს, თუმცა ფონემატური შედგენილობით ფორმები იდენტურია. გამოდის, განსხვავებული ფონეტიკური ცვლილება -ი სუფიქსის გრამატიკულ მნიშვნელობასთან არის და-

კავშირებული ძველ ქართულსა და თანამედროვე ზოგ დიალექტში. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ გრამატიკული ფუნქციის არმქონე -ი სუფიქსი ზმნის ფუძეზე გავლენას ვერ ახდენს (მოვ-ჴან-ი, მო-ვ-ჴან-ი-თ, წყვეტილი), მაშინ როცა II ხოლმეობითში იგივე -ი ხმოვანი, გრამატიკული ფუნქციის მქონე, ფუძეს კუმშავს (მოვ-ჴნ-ი, მოვ-ჴნ-ი-თ).

წმინდა ფონემატური მიდგომის შედეგი იყო გ. წერეთლის ცდა მახვილისა და ღია გადასვლების (მიჯნის) საშუალებით აეხსნა ი მორფემის გაუმარცვლოება სახელის ფუძის ბოლო ხმოვნის მომდევნოდ სიტყვის დასასრულ და მისი უცვლელად შენარჩუნება ქცევის ან გვარის ნიშნად ზმნისწინთა ხმოვნების მომდევნოდ: გაიცინა ფორმას ლატენტური პაუზით ასე წარმოადგენდა: გა/+/იცინა, სადაც შეიძლებოდა ორივე მახვილიანი ყოფილიყო: გა́-ი́ცინა (73, 46). ამასთან დაკავშირებით იგი წერდა: „ეს არის, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ზმნისწინის მომდევნოდ ი შემოგვენახა ზმნის ფორმებში გაიცინა, გაიღიმა, წაიტანა და სხვა. ეს ფორმები რომ ერთი მახვილით (ბოლოდან მეოთხე მარცვალზე) ყოფილიყო წარმოთქმული (გა́იცინა, გა́იღიმა, წა́იტანა) მიჯნის გარეშე, მომდევნო ი აუცილებლად შესუსტდებოდა და ბოლოს სულ დაიკარგებოდა, როგორც ეს დაემართა სახელობითის ი დაბოლოებას ხმოვნით დამთავრებული ფუძის შემდეგ (მამა-ი>მამაჲ>მამა) ან ნათესაობითი ბრუნვის აფიქსის ი ხმოვანს ო და უ-ზე დაბოლოებული ფუძეების შემდეგ (სასო-ისა>სასოჲსა>სასო-სი), სადაც მახვილი მაინცდამაინც ხელს არ უწყობდა მომდევნო ხმოვნის დასუსტებასა და დაკარგვას, რადგან წინამავალი ფუძისეული ბოლოკიდური ხმოვანი მას არ ატარებდა. და თუ, მიუხედავად ამისა, ამ ი-მ ვერ გაძლო უმახვილო ხმოვნის შემდეგ, მით უმეტეს ვერ გაძლებდა პრევერბისეული „მახვილიანი“ ხმოვნის შემდეგ. ამიტომ წაკითხვა გა́იცინა, გა́იღიმნა არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს“ (73, 46).

გ. წერეთლის თვალსაზრისში, როგორც ვხედავთ, მახვილს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ საჭიროა ქართული ენის მახვილთან დაკავშირებითაც გავეცნოთ მის ვარაუდს: „... სინამდვილეში ქართული მახვილი საერთოდ ფიქსირებულია და დაკავშირებულია ბოლოდან მეორე მარცვალთან ორმარცვლიან სიტყვებში და ბო-

ლოდან მესამესთან — სამმარცვლიან სიტყვებში. ოთხმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე მოდის" (იქვე) ამას ახლავს მითითება ს. ჟღენტის გამოკვლევაზე, რომლის მიხედვითაც ბოლოდან მესამე ხმოვანზე მახვილს ოთხ- და მეტმარცვლიან სიტყვებში თანამახვილები ახლავს მეოთხე მარცვალზე, მეხუთეზე... შემდეგი შენიშვნებით: ისინი ერთნაირი მახვილით წარმოითქმის. გ. წერეთლის თეორიაში ი-ს მარცვლიანობის შენარჩუნებისათვის არსებითია ის, რომ (1) სიტყვის ბოლოდან მესამე ხმოვანი უთუოდ მახვილიანია და (2) გვარისა თუ ქცევის ნიშანი ი- ზმნაში უთუოდ მიჯნასთან არის წარმოდგენილი და ყოველთვის შეიძლება მახვილს ატარებდეს, რაც მას იცავს გაუმარცვლოებისაგან. ეს მეორე დებულება მაშინვე ძალაში შევა, როცა ქცევის ან გვარის ი აღმოჩნდება ბოლოდან მეოთხე ან მეხუთე და ა. შ. ადგილზე ხმოვნის მომდევნოდ; მაგ.: გაიდარბაზესა. ამ ი-ს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლოდან მეხუთე მარცვალშია, გაუმარცვლოება არ ემუქრება. ამ თეორიაში ეს ხდება ო- მორფემის მიჯნაზე ყოფნის გამო, სადაც ის მახვილიანი ხდება: გა-ი-დარბაზესა.

ვფიქრობთ, განხილული თეორიის ფარგლებშივე შეიძლება უარიყოს ი ხმოვნის მარცვლიანობა-გაუმარცვლოების ზემოთ განხილული ახსნა: სახელობითი, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ი ხმოვნებიც ხომ მიჯნის მორფოლოგიური ელემენტებია, მათაც ხომ უნდა ჰქონდეს მახვილი, როცა სიტყვის ბოლოდან მესამე ადგილზე აღმოჩნდება; მაგ.: მამად-ცამცა (ი. 8, 19). განხილული თეორიით აქ მოსალოდნელი იყო მ ა მ ა ი ც ა მ ც ა, რადგან ო ერთდროულად მიჯნის მორფემაც არის და მახვილის ქვეშაც უნდა იდგეს, რადგან ბოლოდან მესამე მარცვალს ქმნის, არის კი უმარცვლო. ანალოგიური ვითარებაა სხვა მაგალითებშიც, სადაც ნათესაობითი ბრუნვის ან სახელობითი ბრუნვის ო ბოლოდან მესამე ადგილზეა, მაგრამ მაინც გაუმარცვლოებულია: რაჲსაღა (მრ. 5, 35), იწროჲსაგან (მ. 7, 13), იესუჲსაღა (ი. 19, 33), უფროჲსაღა (ი. 5,20; 14, 22) და სხვ. ამით კარგად გამოჩნდა, რომ ოდენ ფონემატური მიდგომით — ხმოვანთა პარადიგმატულ და სუპრასეგმენტურ მონაცემებზე დაყრდნობით ვერ აიხსნება /ი/ ფონემის ალოფონთა ([ი], [ჲ]) ადგილი სახელებსა და ზმნებში.

ზემოთ თქმულს იმასაც დავსძენთ, რომ 70-იანი წლების მეორე ნახევარში უარყოფილ იქნა ქართულ ენაში მახვილის ფიქსირება ბოლოდან მესამე ხმოვანზე ოთხ- და მეტმარცვლიან სიტყვებში. მხედველობაში გვაქვს ზ. ჯაფარიძის, ი. თევდორაძისა და ნ. იმნაიძის შრომები. მახვილს ქმნის სამი კომპონენტი: ინტენსიობა, სიგრძე და ტონი ხმოვნებისა (77, V თავი — ეტალონებთან შედარების წესები; 16, 34 და შემდეგ);

ქართული ენის სიტყვათა თავკიდურა მარცვლის ხმოვნის მეტი სიგრძე მომდევნო მარცვალთა ხმოვნებთან შედარებით ექსპერიმენტულად დადასტურებული აქვს ნ. იმნაიძესაც (25, 136). ექსპერიმენტულად დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ქართულ სიტყვებში ინტენსიობის, სიგრძისა და ტონის ჯამი ყოველთვის მეტია თავკიდურა მარცვლის ხმოვანში, რაც ამ მარცვალს წარმოაჩენს სხვა მარცვალთა შორის.

და ბოლოს — მახვილი რომ არაფერ შუაშია ი ხმოვნის გაუმარცვლოებაში, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ მთელ რიგ დიალექტებში სწორედ „ბოლოდან მესამე ადგილზე ფიქსირებული მახვილიანი“ ი გადადის ე-ში ზმნისწინის ხმოვნის მომდევნოდ: დაჲნახა (გლოლური), დაჲჯერეფს, დეჲჭირა (აჭარული), დაჲმალა „დაიმალა“ (სამცხური), გაჲგებენ (ფერეიდნული), დაჲკარგა „დაიკარგა“ (ინგილოური) და სხვა. სპორადულად ამას ძველ ქართულშიც ვხვდებით.

ასიმილაციისა და დისიმილაციის მოვლენათა ანალიზი ხმოვანთა კომპლექსებში მხოლოდ ფონემატური მიდგომით უხერხულობას ქმნის სხვა შემთხვევებშიც. განვიხილავთ რამდენიმე შემთხვევას: ეა > ია B კომპლექსია და წესით უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ დისიმილაციას (ხეა>ხია, შეატყო>შიატყო, შეამჩნია>შიამჩნია...), მაგრამ ზოგ დიალექტში აქ ხდება ასიმილაცია: თუშ. შაჭტყოს <შეატყოს (შდრ. შეტყობაჲ, შევატყობიოთ, შემატყობს და სხვა). B რიგის ოა კომპლექსი „უნდა ემორჩილებოდას“ დისიმილაციას (მოალის>მუალის „მოდის“, ამოსავალია მოვალის; მუატყუე<მოატყუე (<მოვატყუე), მაგრამ არც ასიმილაცია არის გამორიცხული, ზოგ დიალექტში მხოლოდ ასიმილაციაა ზმნის ფორმებში: ჩამაჭსხ (თუშ.)<ჩამოასხა, ჩამაასხ (ინგილ.) < ჩამოასხა; შდრ. საწყისი ამ დიალექტებში — ჩამოსხმაჲ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აო>ო (მუშაობა>მუშოობა, ამაობაში>ამოობაში (ამოობაჩი) ტიპის ასიმილაციის გვერდით განიხილავენ საჯილდოო ფორმასაც. მიაჩნიათ, რომ ხდება საჯილდაო>საჯილდოო გარდაქმნა, სინამდვილეში ამოსავალია საჯილდოო (საქმე გვაქვს სა— -ო წარმოებასთან: საშინაო, საბინაო...), შემდეგ მოხდა დისიმილაცია: საჯილდოო > საჯილდაო, ქართული ენისთვის დამახასიათებელი ლაბიალური კორელაციის საფუძველზე (50, 19). ამ ტიპის ცვლილებებია კინტოური>კინტაური, უთუოდ>უთაოდ, სათითოოდ > სათითაოდ და სხვა.

ვნახეთ, რომ მოვლენები ხმოვანთა ერთსა და იმავე კომპლექსებში სხვადასხვა დიალექტში და ზოგჯერ ერთი დიალექტის ფარგლებშიც შეიძლება საწინააღმდეგო მიმართულებით განვითარდეს, რაც თავისთავად გამორიცხავს ამ პროცესთა ოდენ ფონემატურ ხასიათს. ესენი მორფო-ფონოლოგიური პროცესებია, უკავშირდება ფონემატური და მორფოლოგიური კანონზომიერების ურთიერთგავლენას. ჩვენს შემთხვევაში ფონემატური მოდელით ქართულში აკრძალულია ხმოვანთა კომბინაციები ერთი მორფემის ფარგლებში (41, 105; 37, 4; 56), ზმნურ და სახელურ ფორმებში კი ხშირად იქმნება ხმოვანთა კომპლექსები მორფემათა საზღვრებზე (და-ი-წყო, და-უ-წყო, შე-ა-წყო და სხვა), რაც მორფოლოგიურ სისტემაში კანონზომიერია. ამ წინააღმდეგობათა დაძლევა შესაძლებელია რამდენიმე გზით, თეორიულად ორ ხმოვანს აქვს ხუთი შესაძლებლობა ერთიმეორე აიცილონ სიტყვის ფარგლებში (ფონემატური დაწოლა მორფოლოგიაზე), კერძოდ: (1) $V_1V_2>V_1$ (წაიღო>წაღო. გაუმარცვლოება ნიშნავს ხმოვანობის დაკარგვას), (2) $V_1V_2>V_2$ (ხეები>ხიები>ხები), (3) $V_1V_2>\bar{V}_1$ (მეორე>მერე. სიგრძე ქართული ხმოვნისათვის არ არის რელევანტური), (4) $V_1V_2>\bar{V}_2$ (მეორე>მრე), (5) $V_1V_2> V_1CV_2$ (ახლოელი>ახლობელი). ბოლოს შესაძლებელია, მორფოლოგიური მოდელი არ შეიცვალოს ფონემატური დაწოლით (წა-ი-ღო), ე. ი. V_1-ცა და V_2-ც უცვლელად რჩება.

როდესაც ენას მორფონოლოგიურ ცვლილებათათვის ასეთი ფართო შესაძლებლობები აქვს, არ არის პროგნოზირებადი, რომელ გზას აირჩევს ის. ამის დადგენა მხოლოდ ცდით — ენაზე დაკვირვე-

ბით არის შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მთის დიალექტების პოეზიის ენა, სადაც მორფონოლოგიური პროცესები მინიმალურად ხორციელდება (2) მორფოლოგიური მოდელის დაცვის მიზნით: სავარაუდებელია, რომ ქართულ დიალექტთა იდენტური მორფოლოგიური სისტემების არსებობის პირობებში **სახალხოობის და ეროვნულობის შეგნება მიჯნის** კომპლექსებს უცვლელად ტოვებს, რათა ამა თუ იმ დიალექტის მორფოფონოლოგიურმა სპეციფიკამ ხელი არ შეუშალოს სხვა დიალექტთა წარმომადგენლებს ნათქვამის გაგებაში. **იდენტური მორფოლოგიური მოდელი მორფონოლოგიურ ცვლილებათა აცილებით უზრუნველყოფს საერთოსახალხოობას**, მაშინ როცა მის გვერდით პროზაულ მეტყველებაში ვიწრო რეგიონალური მასშტაბის გამო მორფონოლოგიურ ცვლილებებს ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით. ცალკეულ დიალექტებში ისინი სპეციფიკურია.

უთუოდ ამითვე აიხსნება სალიტერატურო ენის ხელოვნური კონსერვატიზმი: იგი აქცენტს აკეთებს საერთო მორფოლოგიურ მოდელზე და მაქსიმალურად გაურბის მოსალოდნელ მორფონოლოგიურ ცვლილებებს, რომელთაც ადგილი აქვს სალიტერატურო ენის ფუძე დიალექტებში.

თუ გავცდებით ასიმილაციის, დისიმილაციისა და ხმოვანთა შერწყმის მოვლენებს ხმოვანთა კომპლექსებში, სხვა მოვლენებშიც ანალოგიური ვითარება დაგვხვდება. სანიმუშოდ ვიღებთ ელიზიას (ხმოვანთა ჩავარდნას ხმოვანთა კომპლექსებში). ამ მოვლენას მიეძღვნა გ. გოგოლაშვილის წერილი სალიტერატურო ენის სახელთა ფორმებში (13). ოცი წყვილხმოვნიანი კომპლექსის ანალიზის საფუძველზე (აკლია ი ხმოვნით დაწყებული 5 კომპლექსის ანალიზი, რამდენადაც ქართული სახელები არ ბოლოვდებიან ამ ხმოვანზე) კეთდება დასკვნა: „მაელიზირებლის როლში ყოველთვის გვევლინება შედარებით მაღალი აწეულობის ხმოვანი შედარებით დაბალი აწეულობის ხმოვნის მიმართ. აგრეთვე, ხმოვანთა აწეულობის ზრდასთან ერთად იზრდება მათი გამძლეობა ელიზიისადმი. თანაბარი აწეულობის ხმოვნებს შორის უფრო ძლიერია უკანა წარმოებისა: როგორც უკვე აღვნიშნეთ, ო უფრო გამძლეა ელიზიისადმი, ვიდრე ე“ (13, 109). ამასთან დაკავშირებით დაასკვნის: „...ხმოვანთა აწეულობასთან ერ-

თად ელიზიისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ხმოვანთა წარმოების რიგს: უკანა წარმოების ხმოვანი ელიზიისადმი უფრო გამძლეა, ვიდრე წინა წარმოებისა“ (13, 109). ამას უნდა დაემატოს „რეგრესული გავლენის პრინციპი“: აე, აო, აი, აუ; ეო, ეი, ეუ; ოუ კომპლექსთა შესახებ ნათქვამია: „ყველა მათგანში ელიზია დამყარებულია რეგრესულ გავლენაზე — ელიზირდება კომპლექსის პირველი კომპონენტი“ (13, 109).

„ელიზიისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე“ პარადიგმატულ ნიშანთა მიხედვით თუ დავალაგებთ ხმოვნებს, ელიზიის უნარის კლების მიხედვით მივიღებთ შემდეგ რიგებს: (ა) სიმაღლის მიხედვით: უ, ი, ო, ე, ა; (ბ) უკანა წარმოების მიხედვით: უ, ო, ა, ე, ი. ორსავე ნიშანს თუ განვიხილავთ ელიზიაში გამოვლენილი რეალური უნარის მიხედვით, ადგილი ექნება შეუსაბამობას რიგთა ჩვენებასთან: (1) აწეულობის (სიმაღლის) რიგში ი წინ დგას ო-ზე, მასალის მიხედვით კი ო მეტ უნარს იჩენს ელიზიაში (წყარო-სი, წყარო-თი...); (2) უკანა წარმოების მიხედვით ი ყველაზე ბოლოს დგას რიგში, მაგრამ ელიზიაში უფრო მეტ უნარს ავლენს მასზე წინ მდგომ ე და ა ხმოვნებზე (მამ-ის, დღ-ის...). ეა კომპლექსში როცა ა იჩენს მეტ ელიზიურ უნარს (ჩხნდ-არი, ზღუდ-არი; შდრ. ჩხნდე, ზღუდე), ირღვევა სიმაღლის პრინციპი, რომლის მიხედვით მეტი უნარი ე-ს უნდა გამოეჩინა; როცა აე კომპლექსში მეტ ელიზიურ ძალას იჩენს ე, მაშინ ირღვევა უკანა წარმოების პრინციპი (მთ-ები, ძმ-ები; შდრ. მთა, ძმა) და ა. შ.

ორივე პარადიგმატული ნიშნის: აწეულობისა და წარმოების ადგილის გათვალისწინებით ელიზიაში გამოვლენილი უნარის კლების მიმართულებით ხმოვნები ასე დალაგდება: უ, ო, ი, ე, ა. ეს რიგი უთუოდ მოგვაგონებს ცნობილ დებულებებს: ქართულში სახელთა ბოლოს კვეცას განიცდიან ა და ე ხმოვნები, არ იკვეცებიან უ, ო და ი (ფუძეთა კუმშვის მიხედვითაც ასე ჯგუფდებიან ქართული ხმოვნები).

ხმოვანთა გამძლეობა თუ სისუსტე, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია ხმოვანთა მარკირებასთან: რაც მეტი ნიშნით ხასიათდება ხმოვანი, მით მეტი გამძლეობა აქვს ენობრივ ცვლილებებში (სამი ნიშნის დაკარგვა უფრო ძნელია, ვიდრე ორის და ა. შ.), მაგრამ ასე-

თი დებულებები მაშინვე არაადეკვატური აღმოჩნდება, როცა მოვლენებს მორფონოლოგიური თვალსაზრისით იხილავენ, კერძოდ: (ა) ადამიანის რქმევის სახელთა ბოლოს ხმოვანი არ იკვეცება, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ხმოვანი იქნება, მაღალი თუ დაბალი აწეულობის, წინა თუ უკანა წარმოების... (ბ) განსხვავებით ადრე ნასესხებ კვეცად სიტყვათაგან (ევანგელ-ის, ოკეან-ის), გვიან ნასესხები სიტყვები არ იკვეცება [პიურე-ს (ნათ. ბრ.)]; (გ) ი იკვეცება ნასესხებ სიტყვათა -ებ სუფიქსიან მრავლობითში (სამურაები, პონ-ები; შდრ. სამურაი-Ø, პონი-Ø).

აღწერილ ვითარებათა მიხედვით შესაძლებელია ერთადერთი დასკვნა — მხოლოდ პარადიგმატულ ნიშნებზე დამყარებით შეუძლებელია მორფონოლოგიურ პროცესთა ანალიზი.

რადგან მორფონოლოგიურ ცვლილებებს მიიჩნევდნენ მხოლოდ პარადიგმატულ ნიშანთა ურთიერთგავლენის შედეგად, ბუნებრივად ჩნდებოდა შეუსაბამობა ამ ნიშანთა მიხედვით ჩამოყალიბებულ წესებსა და რეალურ მორფონოლოგიურ ვითარებას შორის. ეს აიძულებდა მკვლევართ, ეძებნათ წესთა დარღვევის მიზეზები ფონოლოგიურსავე სფეროში, რაც, რა თქმა უნდა, ვერ იქნებოდა ადეკვატური რეალური ვითარებისა, რადგან კვლევა მეთოდურად არ იყო სრულყოფილი.

ზემოთ წარმოდგენილი გაგება მორფონოლოგიური პროცესებისა და ჩვენი რეპლიკები არსებულ ფონეტიკურ წესთა მიმართ, ვფიქრობ, საკმარისია ფონეტიკურ პროცესთა კლვევის არსებული მეთოდის ნაკლის დასანახად. ქვემოთ შევეხებით მხოლოდ ე. წ. „უცხო გავლენებს“ ქართულ დიალექტებზე, გავლენებს, რომელთაც მიეწერებოდა ქართული ბუნების წესთა დარღვევა.

ქართული ენის გლობალურ სისტემაში, თუ თანაბრად გაეწევა ანგარიში მორფოლოგიურ და ფონემატური სისტემების ურთიერთგამომრიცხავ მოთხოვნებს, უწინარესად გათვალისწინებული იქნება ენის სხვადასხვა დონეთა ერთდროულად მოქმედი მოდელების ურთიერთზემოქმედების შედეგები. ამის შემდეგღა უნდა დაიწყოს სხვა ენათა გავლენების შედეგთა ძიება, რათა ტიპოლოგიური მსგავსება არ

იქნეს მიჩნეული უცხო გავლენად.

ჩვენს ადრინდელ ნაშრომებში (თუშური კილო, 1960, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, 1966) ვიხილავდით ხმოვანთა სიგრძესა და ჲ ბგერას გრძელ ხმოვანთა მომდევნოდ ქართული ენის თუშურ დიალექტში: ჩი̄ჲწერ „ჩაიწერა“, ჩე̄ჲწერ „ჩაეწერა“, ჩუ̄ჲწერ „ჩაუწერა“, შა̄ჲწერ „შეაწერა“ და სხვა. ვწერდით, რომ ხმოვანთა ასიმილაცია აქ ქართული ბუნებისაა, [ჲ] ბგერა კი ხმოვანთა შორის ნასესხებია წოვა-თუშური ენიდან.

რადგან ქართული ენის თუშურ დიალექტში და წოვა-თუშურ ენაში [ჲ] დისტრიბუციულად იდენტურ თვისებებს ავლენს, ქართული ენის სხვა აღმოსავლურ დიალექტებს კი ამ ტიპის [ჲ] არ ახასიათებს, ამის გამო ქართული ენის თუშურ კილოში ხმოვანთა შორის (resp. გრძელი ხმოვნის მომდევნოდ) [ჲ] წოვა-თუშურიდან (resp. ნახური ენებიდან) ნასესხებად მივიჩნიეთ. გრძელი ხმოვანი ორი ხმოვნის შერწყმით მიიღება: ჲაჲიქ>ჲე̄ჲქ „აიქ“, „იქ“ — დიალექტში დაცულია ორივე ფორმა; ჲა̄ჲქ < *ჲაჲაქ „აქ“ და სხვა. ასევე ზმნათა ფორმაში: ჩაიწერ>*ჩაჲიწერ > ჩი̄ჲწერ „ჩაიწერა“ და სხვა. ჩაიწერ ფორმა დაცულია თუშურ პოეზიაში.

ჩვენს თვალსაზრისზე მითითებით ო. კახაძემ ქართული ენის თუშურ დიალექტში ასიმილაციური პროცესების „ნაირფერობაც“ ნახურ გავლენად მიიჩნია; ამის ანალოგიურად მოხეურ დიალექტშიც ასიმილაციურ პროცესთა სიმრავლე მეზობელ ნახურ ენათა გავლენას მიეწერა; ასეთივე მიდგომით არის განხილული ინგილოური, ფერეიდნული და ქართული სამხრული დიალექტები, რომლებიც ცენტრალურ დიალექტებთან შედარებით ხმოვანთა კომპლექსებში მეტი ასიმილაციური გარდაქმნებით გამოირჩევიან (28).

რას ნიშნავს ასიმილაციური პროცესების „ნაირფერობა“ და მეტი ასიმილაციური გარდაქმნები?

დიალექტები დაჯგუფებულია იმის მიხედვით, (1) რომელი ხმოვნები განიცდიან ასიმილაციას სხვა ხმოვანთა გავლენით და (2) რომელი ხმოვნები იწვევენ ამა თუ იმ ხმოვნის ასიმილაციას. რაც უფრო მეტი ხმოვანი განიცდის ასიმილაციას სხვებთან შედარებით, ერთი მხრით, და რაც უფრო მეტი ხმოვანი გამოდის ასიმილატორის როლ-

ში, მეორე მხრით, მით უფრო „ნაირფერია“ ასიმილაციური გარდაქმნები დიალექტში.

დიალექტთა დაჯგუფებაში სიმძიმის ცენტრი გადადის საასიმილაციო ხმოვნებზე: რაც უფრო ნაკლები ხმოვანი ასიმილირდება მომდევნო ხმოვნის გავლენით, ივარაუდება, რომ ასეთი დიალექტები უფრო ახლოს დგას ამოსავალ ქართულ ბუნებასთან; მეორე მხრით, ასიმილატორთა სიმრავლე უფრო გვიანდელი ცვლილებების შედეგია დიალექტებში, ამაში სხვა ენათა გავლენაც ივარაუდება.

აქვე უთუოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ხმოვანთა ასიმილაციაში რეგრესული მიმართულება ითვლება ბუნებრივად ქართულში.

ასეთი მიდგომით თუშური, მაგალითად, პირველ ჯგუფში მოხვდება საასიმილაციო ხმოვანთა რაოდენობით, თუმცა ამ თეორიის მიხედვით ასიმილაციურ პროცესთა ნაირფერობის გამო უცხო გავლენის დაშვებაც აუცილებელი ხდება. პროზაულ მეტყველებაში სამი ხმოვანი განიცდის ასიმილაციას (ა, ე, ო), ოთხი კი გვევლინება ასიმილატორის როლში (ა, ე, ი, უ). მეორე მხრივ, ცნობილია ისიც, რომ თუშური პოეზიის ენა ერიდება ასიმილაციას ხმოვანთა კომპლექსებში (იხ. ზემოთ). ამ მონაცემებზე დამყარებით ივარაუდება, რომ თუშური პოეზია ინახავს ამოსავალ ფორმებს, პროზა კი სავსეა ასიმილაციური გარდაქმნებით. Mutatis mutandis მოხეურ, ინგილოურ და სხვა პერიფერიულ დიალექტებში მიმდინარე ასიმილაციური პროცესები ხმოვანთა კომპლექსებში (დაწვრილებით იხ. ო. კახიძის დასახელებული ნაშრომი). ქვემოთ კონკრეტულად განვიხილავთ ამ ე. წ. სპეციფიკურ თავისებურებებს ქართული ენის კილოებში.

[ჲ] გლაიდია ქართული ენის თუშურ დიალექტში. რადგან ხმოვანთა კომპლექსებში, რომლებსაც მორფოლოგიურ ელემენტთა კომბინაციები ქმნიან, ხმოვნიდან ხმოვანზე გადასვლა არაბუნებრივია ქართული ფონემატური წესით, ხმოვნებს შორის ჩნდება შუალედური თანხმოვანი ბგერა — გლაიდი. ქართულ ენაში გლაიდის როლს ასრულებენ ბაგისმიერი, ხახისმიერი და ხორხისმიერი ბგერები: ბ, ვ, ყ, ჲ და ჰ. მაგალითად: ახლო-ბ-ელი, მეზო-ბ-ელი, შორე-ბ-ელი; ყრუ-ვ-ი, ბლო-ვ-ელი, აჰა, ეჰე, ოჰო; აჭარულში ისტორიულად დასტურდება ჩუფაჯისაყი, მორთულაყის ფორმები; შდრ. ჩუფაჯი და მორთულა

(ტბეთის სულთა მატიანე, 1997; 216, 364). თუშურ დიალექტში სწორედ ამ პოზიციაში ვითარდება ლარინგალური [ɻ] ბგერა. აჭარულში ყ-ს და თუშურში ɻ-ს დისტრიბუციულმა მსგავსებამ აფიქრებინა მ. შანიძეს, რომ ორივეგან ყ-სა და ɻ-ს სახით ვოკალურ ელემენტთა გამყრელ ბგერასთან გვაქვს საქმე (67, 1981).

გეოგრაფიული და ისტორიული თვალსაზრისით აჭარულში ნახური ენების გავლენა გამორიცხულია. ამის გამო, რომ თვით ქართული ენის დიალექტთა შორის მყარდება სტრუქტურული იზომორფიზმი ხმოვანთა კომპლექსების გარდაქმნაში (VV>VCV), ქართული ენის თუშური დიალექტის (ჩაღმა-თუშურის) ნახურ ენებთან მსგავსება ამ მხრივ შეიძლება ტიპოლოგიურ ფაქტად მივიჩნიოთ.

რაც შეეხება ხმოვანთა კომპლექსებში ასიმილაციურ პროცესთა „ნაირფეროვნებას" პერიფერიულ დიალექტებში, აქ არც ერთი კერძო შემთხვევა არ დასტურდება, რომელსაც ვერ შევხვდებით არაპერიფერიულ დიალექტებში. რაც მთავარია, უკლებლივ ყველა გარდაქმნა ქართული ბუნებისაა: ეს არის სწრაფვა, ხმოვანთა კომპლექსი გარდაიქმნეს ერთ ხმოვნად ან დაიშალოს, ანუ შუაზე გაიყოს თანხმოვნით, ან ჩავარდეს რომელიმე ხმოვანი კომპონენტი. აქ ისევ ო. კახიძის ზემოთ განხილულ ნაშრომზე მივუთითებთ, სადაც ასიმილაციური გარდაქმნის ფორმულებთან ერთად მათი ილუსტრაციაც ხდება.

რაც შეეხება ასიმილაციის მიმართულებას ხმოვანთა კომპლექსებში, გავრცელებულია თვალსაზრისი, რომ ქართული ენის ხმოვანთა კომპლექსებისთვის, როდესაც ღიას მოსდევს უფრო ვიწრო, დამახასიათებელია რეგრესული ასიმილაცია. ამის შესახებ ნაწილობრივ ზემოთაც ითქვა, კერძოდ, ასიმილაციის მიმართულება არ არის პროგნოზირებადი მორფონოლოგიურ ცვლილებებში, როდესაც ენაში არსებობს ცვლილებების გამომწვევი მიზეზის აცილების რამდენიმე გზა და ფონემატური მიზანი. ფონემატური მოდელის დაწოლის შემთხვევაში მიზანი ხმოვანთა კომპლექსების ცვლილებისა არის მიუღებელი კომბინაციის მოშლა — დასვლა ერთ ხმოვანზე. ეს ტენდენცია შეიძლება წარიმართოს როგორც პროგრესული, ისე რეგრესული მიმართულებით. ამის კარგ მაგალითს იძლევა გლოლური მეტყველებისათვის დამახასიათებელი პროგრესული ასიმილაციის სა-

ხეობა ზმნებში: აე კომპლექსი იძლევა აა კომპლექსს (აე>აა), ქართული ენის სხვა კილოებში კი გავრცელებულია აე>ეე ცვლილება.

რ. ლანდია წერს: „ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში გვხვდება ოცამდე შემთხვევა, როდესაც წინამავალი ა იმსგავსებს მომდევნო ე-ს, მაგალითად მოყვანილია შემდეგი ფორმები: დაასხნეს (<დაესხნეს) „დაესხნენ“... იოსები დაასხნეს ამ ჩვენს ქალებს“; დააბღაუჯნეს (<დაებღაუჯნეს) „დაებღაუჯნენ“: „დააბღაუჯნეს, მარა ბაცური ვერ უქნეს...“

დაადევნეს (<დაედევნეს) „დაედევნენ“, დაარქვა (<დაერქვა), გაამზადებოდეს (<გაემზადებოდეს) „გაემზადებოდნენ“ და სხვ. ამ ტიპის ასიმილაციას ადგილი აქვს სახელის ფორმაშიც: რაღაცააბი < რაღაცეები. აქვე პროგრესული ასიმილაცია აე>აა სახისა დადასტურებულია სიტყვათა საზღვარზეც: მომიკვდა ას გოგუნა „მომიკვდა ეს გოგუნა“; და ართი... „და ერთი“ (31, 42, 43).

ა ხმოვანი რეგრესული მიმართულებითაც იმსგავსებს ე-ს. თუშურში ჩვეულებრივია შაჴსხ (<შეასხა), შაჴგდო (შეაგდო). შაყუდ „შეაყუდა“... შდრ. საწყისები შესხმაჲ, შეგდებაჲ, შეყუდებაჲ... თუშურ დიალექტში არ არსებობს შასხმა ან შავასხი „შევასხი“, შაგდება ან შავაგდი „შევაგდე“, შაყუდება ან შავაყუდი „შევაყუდე“. პოეზიაში კი შეასხ(ა), შეაგდო, შეაყუდ(ა) ფორმებსაც შევხვდებით. ა იმსგავსებს წინამავალ ო-საც: ჩამოასხა>ჩამაჴსხ (თუშ.), ჩამაასხ (ინგ.). ორსავე დიალექტში საწყისი ამ ფორმისაა: ჩამოსხმა.

ე და ო რელევანტური დიფერენციალური ნიშნებით მეტად არის მარკირებული, ვიდრე ა. აქ რომ წმინდა ფონეტიკურ პროცესთან გვქონდეს საქმე, რა თქმა უნდა, ა-სთან შედარებით ასიმილატორობის მეტი შანსი ექნებოდა ე-ს და ო-ს, როგორც უფრო მაღალი აწეულობის ხმოვნებს, ო-ს ხომ დამატებით ბაგისმიეროაც ედება ნიშნად, მაგრამ საქმე გვაქვს მორფონოლოგიურ პროცესებთან და ამიტომ ზოგ დიალექტში მარკირების ხარისხს აღარ ეძლევა გადამწყვეტი მნიშვნელობა, ისევე როგორც ასიმილაციის მიმართულებას.

სინტაქსი

მედიოაქტივთა სინტაქსური ურთიერთობა აქტანტებთან

მედიოაქტივი (M^a) შეიძლება ერთპირიანი იყოს ან ორპირიანი. ორპირიანი მედიოაქტივები (M^a2) იწარმოება ერთპირიან მედიოაქტივთაგან (M^a1) პირის მატებით, მსგავსად ორპირიან აქტივთა ერთი ჯგუფისა (იხ. ქვემოთ).

M^a1: წვალობს, ხარობს, ვაჟკაცობს, ყარაულობს „ყარაულის მოვალეობას ასრულებს“, ექიმობს, ბუღალტრობს, დარაჯობს „დარაჯის მოვალეობას სრულებს“... საერთოდ, ნებისმიერი სახელიდან შეიძლება ერთპირიანი მედიუმის წარმოება: სკამი — სკამობს („ეს სკამი ვერ სკამობს“), მღვდელი — მღვდლობს, ფილოსოფოსი — ფილოსოფოსობს, გუბერნატორი — გუბერნატორობს, ფენი „თმის საშრობი“ — ფენობს („ეს ფენი ვერ ფენობს“)...

M^a1-იდან შეიძლება მივიღოთ ორპირიანი მედიოაქტივი (M^a2) პირის მატებით, რაც პირობის არსებობის შემთხვევაში მატერიალურადაც გამოიხატება: ყარაულობს (M^a1) ~ **ჰ**-ყარაულობს (M^a2), დარაჯობს ~ **ს**-დარაჯობს... მაგრამ ექიმობს ~ ექიმობს (ფორმათა დამთხვევის მიზეზი მორფონოლოგიურია); შდრ. აქტივთა სამპირიან ფორმათა წარმოება ორპირიანთაგან: წერს ~ ს-წერს, კვეთს ~ ჰ-კვეთს, გლეჯს ~ ჰ-გლეჯს... ორპირიან აქტივებსა და ერთპირიან მედიუმებს პირთა რაოდენობის გაზრდისას ემატება ირიბი ობიექტი. მორფოლოგიური და მორფონოლოგიური წესები საერთოა.

თვით M^a1-სა და M^a2-ს შორის ფორმათა მიხედვით განსხვავება მკვეთრად ვლინდება **მყოფადის წრისა** და **II სერიის მწკრივებში**.

M^a1 — ყარაულობს „ყარაულის მოვალეობას ასრულებს“

მყოფადი — იყარაულებს, ხოლმეობითი — იყარაულებდა, მყოფადის კავშირებითი — იყარაულებდეს.

II სერია

წყვეტილი — იყარაულა, II კავშირებითი — იყარაულოს, ბრძანებითი — იყარაულოს!

M^a2 — ჰ უ ა რ ა უ ლ ო ბ ს (ის მას)

მყოფადი — უ უ ა რ ა უ ლ ე ბ ს, ხოლმ. — უ უ ა რ ა უ ლ ე ბ დ ა, მყოფ. კავშ. უ უ ა რ ა უ ლ ე ბ დ ე ს.

II სერია

წყვეტილი — უ უ ა რ ა უ ლ ა, II კავშ. — უ უ ა რ ა უ ლ ო ს, ბრძ. — უ უ ა რ ა უ ლ ო ს!

ფორმათა დამთხვევა M^a1-სა და M^a2-ს შორის მხოლოდ აწმყოს წრეში ხდება, როდესაც M^a2-ის ირიბი დამატების მე-3 პირის ნიშანი ფონეტიკური მიზეზით იკარგება. წარმოვადგენთ მხოლოდ აწმყოს მწკრივის ფორმებს, რაც აწმყოს წრის სხვა ფორმებსაც დაახასიათებს პირთა გამოხატვის მხრივ.

M^a1

I	ვ-ექიმობ	ვ-ექიმობ-თ
II	Ø-ექიმობ	Ø-ექიმობ-თ
III	ექიმობ-ს	ექიმობ-ენ

საპირისპიროდ M^a1-ის ექვსი ფორმისა, ერთი მწკრივის ფარგლებში M^a2-ს აქვს 32 გრამატიკული ფორმა (იხ. სქემა №1).

S \ O^{ind}	1	2	3
1	**ვ-ყარაულობ**	გ-ყარაულობ	**ვ-ყარაულობ**
2	მ-ყარაულობ	**ჰ-ყარაულობ**	**ჰ-ყარაულობ**
3	მ-ყარაულობ-ს	გ-ყარაულობ-ს	ჰ-ყარაულობ-ს
1^P		გ-ყარაულობ-თ	**ვ-ყარაულობ-თ**
2^P	მ-ყარაულობ-თ		**ჰ-ყარაულობ-თ**
3^P	მ-ყარაულობ-ენ	გ-ყარაულობ-ენ	ჰ-ყარაულობ-ენ

S \ O^{ind}	1^{P}	2^{P}	3^{P}
1		გ-ყარაულობ-თ	**ვ-ყარაულობ**
2	გვ-ყარაულობ		**ჰ-ყარაულობ**
3	გვ-ყარაულობ-ს	გ-ყარაულობ-თ	ჰ-ყარაულობ-ს
1^{P}	**ვ-ყარაულობ-თ**	გ-ყარაულობ-თ	**ვ-ყარაულობ-თ**
2^{P}	გვ-ყარაულობ-თ	**ჰ-ყარაულობ-თ**	**ჰ-ყარაულობ-თ**
3^{P}	გვ-ყარაულობ-ენ	გ-ყარაულობ-ენ	ჰ-ყარაულობ-ენ

სქემა №1 — M^{a}2-ის აწმყოს მწკრივის ფორმები
ნულოვანი ალომორფების გარეშე.

ნულოვანი ალომორფები არ აღგვინიშნავს, რათა გამოგვეველინა M^{a}1 პარადიგმის წევრებთან დამთხვევა გამოხატულების პლანით (ხაზგასმულია) და ასეთივე დამთხვევა თვით M^{a}2-ის პარადიგმის ფარგლებში.

თუ მედიოაქტივის ფუძე ხმოვნით იწყება (მაგ., ექიმობს), ერთპირიანი მედიოაქტივის ყველა ფორმა გამოხატულების პლანით მეორდება ორპირიანი მედიოაქტივის აწმყოს წრის მწკრივებში.

M^{a}1

I ვ-ექიმობ (მე) ~ ვ-ექიმობ-თ (ჩვენ)
II ექიმობ (შენ) ~ ექიმობ-თ (თქვენ)
III ექიმობს (ის) ~ ექიმობ-ენ (ისინი)

შდრ.

I ვ-ექიმობ (მე მას)~ვ-ექიმობ-თ (ჩვენ მას)
II ექიმობ (შენ მას)~ექიმობ-თ (თქვენ მას)
III ექიმობს (ის მას)~ექიმობ-ენ (ისინი მას)

და ა. შ., მაგალითად: ექიმობენ ისინი **მათ** და სხვ.

ამ ზმნური ფორმების კავშირი აქტანტთან / აქტანტებთან მათ გრამატიკულ შინაარსში (ღირებულებაში) შედის, და, ბუნებრივია, მიუხედავად ფორმალური დამთხვევისა, ისინი

სხვადასხვა გრამატიკულ ფორმებად უნდა მივიჩნიოთ: **ვექიმობ ~ ვიექიმე** ერთი პარადიგმის წევრებია, **ვექიმობ ~ ვუექიმე** ფორმები კი — სხვა პარადიგმისა, საქმე გვაქვს, მაშასადამე, გამოხატულების პლანის დამთხვევასთან და არა გრამატიკულ ფორმათა დამთხვევასთან.

წარმოდგენილ ფორმათა სინტაქსური ანალიზი არ ჰპირს, რადგან ქვემდებარე შემასმენელში წარმოდგენილია სუბიექტის ნიშნით, ირიბი დამატება — ირიბი ობიექტის ნიშნით.

ერთპირიანი და ორპირიანი მედიოაქტივები III სერიაში

$M^3$1-ისა და $M^3$2-ის ფორმები III სერიაში ემთხვევა ერთიმეორეს, რადგან ორპირიან მედიოაქტივთა ირიბი დამატება აქტიურ ზმნათა კვალობაზე **-თვის** თანდებულიან უბრალო დამატებად მოიქცევა და ზმნის ფორმაში არ აისახება. ამიტომ მარტივ გაუვრცობელ წინადადებებში სინტაქსურად საერთო კვალიფიკაცია უნდა მიეცეს $M^3$1-ისა და $M^3$2-ის საზიარო პარადიგმაში წარმოდგენილ ერთადერთ პირს. წარმოვადგენთ საზიარო პარადიგმას.

I **მი**ყარაულია ~ **გვი**ყარაულია

II **გი**ყარაულია ~ **გი**ყარაულია**თ**

III უყარაულია ~ უყარაულია**თ**

ეს არის ვ ყ ა რ ა უ ლ ო ბ ($M^3$1) და ვ ჰ ყ ა რ ა უ ლ ო ბ ($M^3$2) ზმნათა საზიარო პარადიგმა I თურმეობითში.

მართალია, ორპირიან მედიოქტივთა გრამატიკული ღირებულება უბრალო დამატებასთან კავშირის გამო III სერიაშიც განსხვავებულია ერთპირიანი მედიოაქტივისაგან, რომელიც მხოლოდ ერთვალენტოვანია, მაგრამ III სერიაში პირმიმართ აქტანტთან კავშირით ისინი აბსოლუტურად ემთხვევიან ერთიმეორეს და, ბუნებრივია, იდენტური კვალიფიკაცია უნდა მიეცეს.

ზემოთ წარმოდგენილი პარადიგმის ფორმებში მონაწილეობს სუფიქსი **-ა** (S_3-ის ნიშანი), რომელიც უფუნქციოა — მისი ფარდი

აქტანტი არ უკავშირდება ამ ფორმებს. ფუნქცია აქვთ მხოლოდ ობიექტური პირის ნიშნებს (**მ**-, **გ**-, Ø-), რომელთაც სამივე პირში მრავლობითობაც აღენიშნებათ **გვ**- და -**თ** აფიქსებით (იხ. ზემოთ).

რადგან მედიოაქტივები იწარმოებიან აქტივთა მოდელის წესებით, კვალიფიკაცია წინადადებისა, რომლის შემასმენელი გამოხატულია III სერიის მედიოაქტიური ზმნით, უნდა მოხდეს იმის მიხედვით, ამ საზიარო მოდელში ობიექტურ პირთა ნიშნებით გამოხატულ აქტანტს სინტაქსურად რა ფუნქცია აქვს: (1) თუ ინვერსიას დავუშვებთ III სერიის აქტივებში, მაშინ ის (გამოყოფილი ობიექტური პირი) აქაც (მედიოაქტივით გამოხატულ შემასმენელთან) ქვემდებარეს გამოხატავს; (2) თუ აქტივთა III სერიის ფორმებს არაინვერსიულად მივიჩნევთ, მაშინ ის წინადადებები, რომლებშიც აღნიშნული ზმნური ფორმები მონაწილეობენ, უქვემდებარო წინადადებებად მიიჩნევა, რადგან სუბიექტური -**ა** სუფიქსი (მიდარაჯი-ა) ფუნქციას მოკლებულია.

მედიოაქტივთა სინტაქსური ანალიზის ეს გზა გამართლებულია იმით, რომ ისინი აქტიურ ზმნათა ფორმაცვალების მოდელს იყენებენ.

განვიხილავთ თეორიებს აქტივთა III სერიის ფორმებთან დაკავშირებით. საყოველთაოდ გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ აქტივთა III სერიის ფორმები ენაში შედარებით გვიან წარმოიქმნა აქტივთა პარადიგმაში პერფექტულობის კატეგორიის გაჩენასთან დაკავშირებით. ამისთვის ენამ გამოიყენა სტატიკურ ზმნათა წარმოების მოდელი. ეს არჩევანი შემთხვევითი არ იყო: სტატიკურ ზმნებს პერფექტული ბუნება ჰქონდათ, რაც აქტივებს გადაეცათ სტატიკურ ზმნათა გამოხატულების პლანის შეუცვლელად, რასაც ხელი შეუწყო ირიბი და პირდაპირი ობიექტის საერთო ნიშნებმა. აქტივიზება ამ ფორმებისა, გარდა ობიექტის შეცვლისა, მოხდა გეზის ზმნისწინის შეყვანით საზიარო ფორმაში, რამაც მკვეთრად დააცილა ერთიმეორეს სტატიკური და დინამიკური ზმნების პარადიგმები.

თუ აქტივთა ფორმაწარმოება კატეგორიათა და აქტანტთა ზმნურ ქმედებასთან მიმართებით I და II სერიებში ზოგადი თვალსაზრისით ერთნაირი იყო, გვიან ჩამოყალიბებულ III სერიაში სტატიკურ

ზმნათა გამოხატულების პლანის აქტივთა პარადიგმაში შეყვანით ვითარება ამ მიმართებათა თვალსაზრისით გართულდა. სწორედ III სერიის აქტივთა ფორმების ელემენტთა კვალიფიკაცია განასხვავებს თეორეტიკოსთა თვალსაზრისებს.

ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973 (მაგალითად — §240)

სტატიკური ზმნა			აქტივის I თურმეობითი		
მ-იწერი-ა	———→		და-მ-იწერი-ა		
↓	↓		↓	↓	
O_1^{ind}	S_3		O_1^{ind}	S_3	
(მოქმედი,	(სამოქმედო,		(მოქმედი,	(სამოქმედო,	
მაშასადამე,	მაშასადამე,		მაშასადამე,	მაშასადამე,	
სუბიექტი)	ობიექტი)		სუბიექტი)	ობიექტი)	

ამ გარდაქმნას ეწოდა **ინვერსია**, რადგან აქტივის პარადიგმის I და II სერიების სუბიექტი („**მე ვ**-წერ წერილს"; „**მე** და-**ვ**-წერე წერილი") III სერიაში გამოიხატა ობიექტის ნიშნით („**მე** და-**მ**-იწერია წერილი"): თუ I და II სერიებში მოქმედ აქტანტს სუბიექტის **ვ**- პრეფიქსი გამოხატავდა, III სერიაში მას ობიექტის **მ**- პრეფიქსი გამოხატავს.

ა. შანიძის თეორიით, III სერიაში, გარდა სუბიექტისა, აქტივის პარადიგმის მეორე აქტანტი ირიბი ობიექტია, რადგან III პირშიც ნიშნიანია, განსხვავებით პირდაპირი ობიექტისგან. იგი წერს: „1-ლსა და მე-2 პირში ობიექტური ნიშნები ერთი და იგივეა ორივე მიმართების დროს, განსხვავება მაშინ იჩენს თავს, როდესაც ობიექტური პირი მესამეა, სადაც პირდაპირობიექტური პირი უნიშნოა, ირიბობიექტური კი — ნიშნიანი. ინვერსიის შემთხვევაში მესამე პირის სუბ. ნიშნებს, რომლებიც სუფიქსებია, ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი (პრეფიქსი) ენაცვლება. აქედან განზოგადებას ვახდენთ 1-ლისა და მე-2 პირისთვისაც და ვამბობთ: ინვერსიის დროს სუბიექტურ ნიშნებს ირიბ-ობიექტური პირის ნიშნები ენაცვლებაო" (62, 196).

ა. შანიძისთვის პირთა სუბიექტად და ობიექტად კვალიფიკაციისთვის კრიტერიუმი არის მოქმედების ჩადენა და მოქმედების ობიექტად ყოფნა: ჩამდენი ქმედებისა სუბიექტია, სამოქმედო ან ვისთვისაც ხდება ქმედება — ობიექტი. ამ საფუძველზე „მე დამიწერია წერილი"

წინადადებაში „მე“ მოქმედია, მაშასადამე, სუბიექტია; რაც დამიწერია („წერილი“), სამოქმედოა, მაშასადამე, ობიექტია.* ზმნაში მათი გამომხატველი აფიქსებიც სათანადოდ არის სახელდებული.

ეს თეორია დამაჯერებლობას კარგავს იმის გამო, რომ ამავე ავტორის თვალსაზრისით აქტივის (ანუ გარდამავალი ზმნის) პარადიგმისათვის აუცილებელია სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი**. ბუნებრივია, აქტივის III სერიის ფორმებში პირდაპირი ობიექტის ადგილზე (შდრ. I სერიის „მე ვწერ **წერილს**“ და II სერიის „მე დავწერე **წერილი**“) ირიბი ობიექტის შემოყვანით დაირღვა პარადიგმის წევრთა ჰომოგენურობის პრინციპი.

ა. შანიძის თეორიის ნაკლის გამოსწორების ცდაა ლ. კვაჭაძის თეორიაში

მ-ი წ ე რ ი-ა	———→	და-მ-ი წ ე რ ი-ა	
↓	↓	↓	↓
O_1^{ind}	S_3	O_1^{ind}	O_3^d
		(მოქმედი, ანუ სუბიექტი)	(სამოქმედო)

მართალია, ამ თეორიით აქტივის პარადიგმაში შემოვიდა აუცილებელი პირდაპირი ობიექტი, მაგრამ არ არის ნაჩვენები შესაბამისი ფორმალური ცვლილება ზმნაში: თუ S_3 იცვალა O_3^d- დ, რატომ არ მოხდა შესაბამისი ცვლილება ზმნის ფორმაში? რადგან ასეთი ცვლილება არ ხდება, ვერც აღიწერება იგი. უთუოდ ამ არაბუნებრივმა ფორმალურმა ცვლილებამ (S_3/O_3^d) არ მისცა საშუალება ა. შანიძეს იგივე გაეკეთებინა ინვერსიის მისეულ თეორიაში. მან აქტანტები თავისი ნიშნებით უცვლელად დატოვა სტატიკურ და აქტიურ ზმნათა ფორმების სრული დამთხვევის გამო, მაგრამ ფუნქციები შეუცვალა აქტანტებს: აქტივის პარადიგმაში (III სერია) ირიბი დამატება, რო-

* „ის პირი, რომელიც ზმნის ფორმაში მოქმედების ჩამდენად არის წარმოდგენილი, სუბიექტურია, ხოლო ის პირი, რომელიც ფორმაში გამოხატულია, მაგრამ მოქმედად არ არის გამოყვანილი, ობიექტურია“ (62, §208, გვ. 170).

** ყოველი ზმნა, რომელსაც პირდაპირ-ობიექტური პირის ფორმები აქვს, გარდამავალია, ხოლო, რომელსაც პირდ. ობიექტური პირის ფორმები არა აქვს ან არ შეიძლება ჰქონდეს, გარდაუვალია (62, §211, გვ. 172).

გორც მოქმედი, ქვემდებარედ გამოაცხადა, სუბიექტი კი — ირიბ დამატებად მე-3 პირში ნიშნის მქონებლობის გამო. სწორედ ირიბი დამატების დატოვებამ ორპირიანი აქტივის პარადიგმაში შეუქმნა სიძნელეები ამ თეორიას, **რაც მოუწესრიგებელი დარჩა**. ვფიქრობთ, ვერც მოწესრიგდება, ვიდრე არ შეიცვლება ამოსავალი პრინციპები ქართული ზმნის სუბიექტისა და ობიექტების გაგებაში. ამავე დროს სრულად არის გასათვალისწინებელი პერფექტულობის სპეციფიკა აქტივებში, როგორც ეს გათვალისწინებულია სტატიკურ ფორმებში.

ქართული ზმნის ნებისმიერ ფორმაში ქვემდებარე არის ქმედების ინიციატორი: (1) თუ ინიციატორი მოქმედების შემსრულებელიც არის, ბუნებრივია, ეს ორივე მახასიათებელი ერთად გამოდგება მის ქვემდებარედ მისაჩნევად წინადადებაში; მაგალითად: **„ის** წერს წერილს“ — ჩანს, რომ „ის“ მოქმედებს საკუთარი ნებით, ამდენად ის ინიციატორია და სუბიექტის ნიშნითაც არის ზმნაში წარმოდგენილი (წერ-ს). ამ ტიპის ზმნებით წარმოდგენილი შემასმენლის ქვემდებარე, ბუნებრივია, მოქმედიც არის (წერს ტიპის ზმნები ცოტაა ქართულ ენაში); (2) თუ მოქმედების ჩამდენი სხვა არის და ინიციატორი — სხვა, მაშინ ქვემდებარეა ინიციატორი და ზმნაში სუბიექტის ნიშანსაც ის ატარებს, კერძოდ: (ა) პირველად კაუზატივებში ქმედების ჩამდენი პირდაპირი დამატებაა: აცინებს, ატირებს, აწვალებს... ამ ტიპის ფორმებში სუბიექტის მხოლოდ ინიციატივაა, სუბიექტის ქმედება საერთოდ არა ჩანს; ზმნით გამოხატული ქმედება პირდაპირ ობიექტს ეკუთვნის. სუბიექტის ინიციატივა გრამატიკულად ა- პრეფიქსით არის გამოხატული. ქართულ ენაში ზმნათა უმეტესობა პირველადი კაუზატივებია. მათი რიცხვის გაზრდა უსასრულოდ შეიძლება, რადგან ნასახელარი მედიუმებისგან იწარმოებიან, მაგალითად: მენეჯერი → მენეჯერობს (M²1) → ამენეჯერებს, ასეთივე წარმოებისაა:ააქტივებს, ანეიტრალებს, აპიარებს; ათეთრებს, ასამებს, ასხვისებს და ა. შ.

(ბ) პირველად კაუზატივთა ანალოგიურია სუბიექტის მონაწილეობა მეორად კაუზატივებში: აწერინებს, ამეფებინებს, ამენეჯერები-

ნებს... სუბიექტი აქაც ინიციატორია, რომლის კონკრეტული ქმედების შესახებ ინფორმაცია არა გვაქვს ა- — -ინ კონფიქსით მხოლოდ ინიციატივა გამოიხატება. მეორად კაუზატივებში ქმედებას ასრულებს ირიბი ობიექტი.

ახლა რაც შეეხება პერფექტულობის სპეციფიკას ორპირიან სტატიკურ ვნებითებსა და აქტივთა III სერიაში: სტატიკური ვნებითები და ორპირიანი მედიოპასივები ისტორიულად პერფექტული ფორმებია, კერძოდ: სტატიკური ვნებითის მიწერია და მედიოპასივის მიყვარს ტიპის ფორმებში წარსულში განხორციელებული ქმედების შედეგია წარმოდგენილი ახლანდელ დროში, როგორც ა. შანიძე წერს, „პროცესის შედეგთან გვაქვს საქმე“ (62, 314). შემთხვევითი არ არის სტატიკურ ვნებითთა და ორპირიან მედიოპასივთა შენაცვლება პერფექტულობის გამოხატვისას: მიწერია / ჩაწერილი მაქვს, მიკავია / დაკავებული მაქვს, ყალიონი სჩრია პირში / ყალიონი აქვს გაჩრილი პირში და სხვ.

მ-იწერი-ა
↓ ↓
O_1^{ind} S_3

„ეს ლექსი უბის წიგნაკში მიწერია“.

აქტანტთა ზმნასთან ურთიერთობის აქ წარმოდგენილი სქემა გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ლ. კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“ ვკითხულობთ:

„აწმყო

(სტატიკური ვნებითი)

ჰაბუკობაში გაგონილი ლექსები ვახტანგს ახლაც უბის წიგნაკში უწერია.

ლექსები ქვემდებარეა, ვახტანგს — ირიბი დამატება“ (29, 116).

„მე მიწერია ლექსი“, „მე მიჭირავს თასი“, „მე მიკავია წიგნი“... ტიპის შესიტყვებებში რომ წარსული ქმედების შედეგს მიენიჭა ინიციატორის როლი, ეს იქიდან ჩანს, რომ სუბიექტის ნიშანი ზმნაში ამ აქტანტს უჩნდება. ზოგჯერ ინიციატორის როლი არც თუ ისე

ძნელი დასანახავია: „კედელს საღებავი უსვია“ ან „ეხლა მთას ნისლი აკრია“ (ვაჟა). უმრავლეს შემთხვევაში სახელობით ბრუნვაში დასმული აქტანტის სუბიექტობა სტატიკურ ზმნებში შედეგისთვის არსებითი როლის მინიჭებას მიეწერება — **ეს ფორმები დინამიკურ ზმნათა გვერდით ამ შედეგის საჩვენებლად არის შექმნილი** — მათი საშუალებით ხდება შესრულებული ქმედების შედეგის მანიფესტაცია. ირიბი ობიექტი ქმედების შემსრულებელია (ექსეკუტორი). სტატიკური ვნებითის ზემოთ წარმოდგენილი სქემა შეიძლება ასე გადავწეროთ:

მ - იწერი - ა
↓ ↓
O_1^{ind} (executor) S_3 (initiator)

სწორედ წარმოდგენილი მოდელით აიგო აქტივთა მესამე სერიის ფორმები, რისთვისაც ენამ გამოიყენა გააქტივების უმოკლესი გზა — სტატიკურ ფორმებს დაურთო გეზის კატეგორიის ელემენტები — **ზმნისწინები**: **და**-მიწერია, **ჩა**-მიწერია, **გადა**-მიწერია. გეზი მხოლოდ დინამიკურ ზმნათა მახასიათებელია. გეზის კატეგორიის შეძენისთანავე ეს ფორმები წარმოდგნენ დინამიკური აქტივის სახით. დინამიკურობასთან ერთად განხორციელდა სხვა რიგის ცვლილებებიც, კერძოდ: (1) რადგან აქტივთა ფორმებიც შედეგზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული, I და II სერიების პირდაპირი დამატება (რითაც შედეგი საცნაური ხდება) იღებს ინიციატორის როლს: როგორც „მიწერია ლექსი“, ისე „დამიწერია ლექსი“ შესიტყვებაში „ლექსი“ ზმნური ქმედების შედეგია, ამიტომ ორივეგან ინიციატორის როლი ეძლევა და სუბიექტის ნიშნით ფორმდება ზმნაში; (2) I და II სერიების სუბიექტი (ინიციატორი ამ სერიებში, სადაც არსებითი იყო ქმედების პროცესის მიმდინარეობის ხასიათის ჩვენება: მოქმედება გრძელდება თუ დასრულდა, რა მიმართებაშია საუბრის მომენტთან...) III სერიაში შემსრულებელი ობიექტის როლს იღებს, ისეთი შემსრულებლისა, როგორიც არის პირველად კაუზატივებში, სადაც პირდაპირი ობიექტი ზმნით გამოხატული მოქმედების ჩამდენიც არის და სამოქმედოც, მაგალითად: „მაცი-

ნებს ის მე“ — „მე“ მოქმედებს (იცინის), ამავე დროს ამ ქმედების ობიექტია, რადგან სხვისი ინიციატივით ამოქმედდა — „ის“ აცინებს „მე“-ს. სტატიკურ ფორმათა მოდელის აქტივად მოქცევის სქემა ასეთია: I სერიის სტატიკური ვნებითი → III სერიის აქტივი:

მ	- იწერი-	ა	→	და-	მ-	იწერი-	ა
↓		↓		↓			↓
O_1^{ind} (exec.)		S_3 (init.)		O_1^{d} (exec.)			S_3 (init.)

სტატიკური ვნებითისა და მოქმედებითი გვარის ზმნები განსხვავებულ პარადიგმებს ქმნიან, **მათ პერფექტულობის მოდელი აქვთ საერთო**. პერფექტულობისთვის არსებითია წარსული ქმედების შედეგის ჩვენება საუბრის მომენტში და მითითება ქმედების შემსრულებელზე. ამით ისიც გასაგები ხდება, საერთოდ რატომ გამოირიცხა ირიბი დამატება აქტივთა III სერიის წარმოებაში.

ახლა შეიძლება დავუბრუნდეთ მედიოაქტიურ ზმნებს, რომლებიც ფორმაწარმოებით აქტივებს მიჰყვებიან. III სერიაში მედიოაქტივთა ფორმებში სუბიექტის ნიშანი უფუნქციოა (29, 128) და აქტივთან საზიარო მოდელში ფუნქცია რჩება მხოლოდ შემსრულებელი ობიექტის ნიშნებს (**მ**იდარაჯია, **გ**იდარაჯია). ამ ზმნებს, მსგავსად მღვიძავს, მძინავს ტიპის ზმნებისა, უსუბიექტო ფორმებად მივიჩნევთ, შესაბამისად მათი შემცველი წინადადებები უქვემდებაროა.

P. S.

2007 წელს გამოცემულ კრებულში — „ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სახელმწიფო პროგრამა, თბ., 2007 — დაბეჭდილ პროფ. თ. მახარობლიძის წერილში ჩვენი თვალსაზრისის მისამართით დამაფიქრებელი რეპლიკაა წარმოდგენილი. შევეცდებით, ჩვენი თვალსაზრისი უფრო დეტალურად წარმოვადგინოთ, რისთვისაც ზოგი რამის გამეორება დაგვჭირდება.

აი, ეს რეპლიკა: „ის პირთა ნიშნები, რომლებიც მოცემული გვაქვს III სერიაში, დიაქრონიული თვალსაზრისით სრულიად ცხადია,

რომ არის არა პირდაპირი ობიექტის, არამედ ირიბი ობიექტის კუთვნილება, რამდენადაც სტატიკურ ზმნათა ფორმებში, რის საფუძველზეც გაფორმდა III სერია, პირდაპირი ობიექტი არასოდეს ყოფილა... რომ გავიზიაროთ ეს მოსაზრება, თითქოს არ ხდება ინვერსია, უნდა ჩავთვალოთ, რომ **დაუხატავს** (კაცს სურათი დედისთვის) ფორმაში **სურათი** არის სუბიექტი (გნებავთ ინიციატორი). თუ პირველ და მეორე სერიაში სუბიექტი არის **კაცი**, პარადიგმა წინააღმდეგობრივი იქნება, თუ მას მესამე სერიაში სხვა გრამატიკული სუბიექტი გაუჩნდება. ეს ეწინააღმდეგება ფლექსიის ძირითად კანონებს. ნათელია, რომ III სერიაში არა გვაქვს ორდინარული სიტუაცია, მაგრამ მარკერთა ფორმობრივი ცვლა უფრო მისაღებია, ვიდრე შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებანი პარადიგმაში“ (დასახ. კრებული, გვ. 193).

რეპლიკაში შენიშვნები, უპირველეს ყოვლისა, III სერიაში აქტივის ფორმათა ჩამოყალიბების არსებითი ასპექტებით არის გაკეთებული. აქ განზოგადებულად ორი კითხვა დგას: საიდან მომდინარეობს აქტიურ ზმნათა პერფექტული ფორმები და რამდენად ჯდებიან ისინი სათანადო პარადიგმაში, ანუ III სერიის ფორმები როგორ ერთიანდება აქტივის I და II სერიების ფორმებთან პარადიგმაში?

პირველი კითხვის პასუხი დავას არ იწვევს: აქტივის პერფექტულ ფორმათა მოდელი (ანუ III სერიის აქტივის ფორმათა წარმოების მოდელი) ემთხვევა აწმყო დროში სტატიკური ზმნის ფორმათა წარმოების მოდელს, რომლის არსებითი მახასიათებელია ის, რომ წარსულ ქმედებასთან ორგანული კავშირის გამო (წარსული აწმყოში) აწმყო დროში **სუბიექტის როლი** და, შესაბამისად ამისა, **სუბიექტის ნიშანიც შედეგის გამომხატველ აქტანტს ეძლევა**: „მე მიჰირავს **თასი**“; „მე მიკავია **წიგნი**“; „მწყემსს გუდა **ჰკიდია**“ და სხვ. ირიბი ობიექტი ამ ფორმებში (მიჰირავს, ჰკიდია...) შემსრულებელი აქტანტია (**მე** მიჰირავს, **მწყემსს** ჰკიდია). აი, ეს მოდელია გამოყენებული აქტიურ ზმნათა პარადიგმაში. მოდელის გამოყენებაზე მითითება ჩვენთვის არ ნიშნავდა არითმეტიკულ გადასვლას ერთი მდგომარეობიდან მეორეში, ე. ი. ირიბი დამატებისა და სუბიექტის გადასვლას I სერიის სტატიკური ფორმიდან III სერიის აქტიური ზმნის პარადიგმაში.

აქტიურ ფორმებში ენამ გამოიყენა მოდელი, რომელშიც წარსული ქმედების შედეგი სუბიექტის ნიშნით აღინიშნება, ხოლო შემსრულებელი ამ ქმედებისა — ობიექტის ნიშნით. ეს ალგებრული მიმართება სტატიკური ზმნით გადმოცემულ ქმედების შედეგსა და მოქმედს შორის მოერგო აქტივის პარადიგმის წევრებს: „მას დაუხატავს სურათი". „სურათი" წარსული ქმედების შედეგია (შედეგი ყოველთვის, პირდაპირი დამატებით არის გამოხატული) და პერფექტულობის მოდელით, **როგორც შედეგი**, იღებს სუბიექტის ნიშანს, ხოლო „მას" აქაც შემსრულებელი აქტანტია და ობიექტის ნიშნით გამოიხატება.

აქტანტთა როლებს პერფექტულობის კატეგორია ანაწილებს. როდესაც ვწერდით I და II სერიების პირდაპირი ობიექტი III სერიაში ინიციატორის როლს იღებსო, მხედველობაში გვქონდა ის, რომ ყველა ტიპის ზმნურ ფორმაში სუბიექტი არის ინიციატორი. შეიძლება აქტანტი ერთდროულად ინიციატორიც იყოს და ქმედების შემსრულებელიც (პირველად აქტივებში: წერს, ხატავს...), მაგრამ ქმედების შემსრულებელი პირველად და მეორად კაუზატივებში **სუბიექტი არ არის**; მაგალითად: „მე მატირა მან" წინადადების შემასმენელში „ტირილ" ქმედების შემსრულებელია პირდაპირი ობიექტი. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ეს კარგადაა წარმოჩენილი: **„მატირა** ტირილი მაქნევინა". ჩანს, რომ პირდაპირი ობიექტია ქმედების შემსრულებელი, სუბიექტი ინიციატორია და სუბიექტის ნიშანი სწორედ მას აქვს (-ა) ზმნის ფორმაში და არა ქმედების შემსრულებელს. ეს კონტექსტი ივარაუდება, როდესაც ვმსჯელობთ ინიციატორის როლის მიღებაზე I და II სერიების პირდაპირი ობიექტების მიერ III სერიაში.

რაც შეეხება დებულებას — „მარკერთა ფორმობრივი ცვლა უფრო მისაღებია, ვიდრე შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებანი პარადიგმაში" (33, 194), ლაპარაკია სუბიექტისა და ობიექტის მარკერთა შენაცვლებაზე. ამას ადგილი აქვს კონვერსიის დროს (აქტივი → პასივი), როდესაც აქტივის პირდაპირი ობიექტი პასივის სუბიექტად მოიქცევა (ხდება გრამატიკული შინაარსის შეცვლა):

გა-გ-ათავისუფლეს – გა-ს-თავისუფლდი (დღევანდელი ნორმით გა-Ø-თავისუფლდი). მარკერთა შენაცვლება კანონზომიერია, რასაც გრამატიკული შინაარსის შეცვლაც მოჰყვა და ეს ფორმებიც სხვადასხვა პარადიგმაში ექცევიან.

თუ ძალადობას არ ვიხმარებთ, როგორც ამას ადგილი აქვს ინვერსიის თეორიაში, პარადიგმის შიგნით აქტანტებს მარკერები არ შეეცვლებათ: ინიციატორს ყოველთვის ექნება სუბიექტის ნიშანი, არაინიციატორს — ობიექტისა, ფუნქციის მიხედვით პირდაპირი ან ირიბი ობიექტისა.

ინვერსიის თეორიით, სუბიექტს გამოხატავს ობიექტის ნიშანი, ობიექტს — სუბიექტისა. გამოდის, ნიშნები სწორად არ იქნა განაწილებული სუბიექტსა და ობიექტს შორის. ეს, ასე ვთქვათ, მომხმარებლის შენიშვნაა ენის ქმედების მიმართ. ძალადობა ენაზე ემყარება დებულებას — **მოქმედი** უთუოდ სუბიექტია, ე.ი. თუ მოქმედია, გინდ ობიექტის ნიშანი ჰქონდეს, უთუოდ სუბიექტად უნდა მივიჩნიოთო და პირის ნიშანთა ინვერსიის დაშვებაც აუცილებელი ხდება.

როცა ვამბობთ „ის კაცი ბოლოს მაინც მეცემინა მე“, ნათელია, რომ ქმედების შემსრულებელი „მე“ ქართულ ენას ირიბ ობიექტად გამოჰყავს, ხოლო ქმედების გამომწვევი (ინიციატორი) „კაცი“ — სუბიექტად.

კაუზაციის კატეგორიის მქონე ზმნებში ქმედების გამომწვევი (ანუ ინიციატორი) ყოველთვის სუბიექტია, ქმედების შემსრულებელი კი — ობიექტი, ამიტომ ვითარება ანალოგიური იქნება თუ ამ ზმნას მოქმედებით გვარში გადავიყვანთ: „მე ვაცემინე მას ის კაცი“. აქ „მე“ მხოლოდ ინიციატორია (ქმედებაში ფიზიკურად არ მონაწილეობს) და სუბიექტის ნიშანიც ამიტომ „მე“ აქტანტს აქვს, ქმედების შემსრულებელი კვლავ ირიბი ობიექტია. ინვერსიის თეორიას თუ დავემყარებით, აქაც (მეცემინა, ვაცემინე) პირის ნიშანთა ინვერსია უნდა გვევარაუდა, რადგან მოქმედ აქტანტს ირიბი ობიექტის ნიშანი აქვს და ა. შ.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ: თუ სუბიექტი განისაზღვრება ქმედების შემსრულებლის როლით, პირის ნიშანთა ინვერსიის და-

შვება აუცილებელია. ინვერსიულ ზმნათა გაფართოებული წრეც (ორპირიანი მედიოპასივები: მყავს. მიყვარს, მიდგას...) ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ წრის გაფართოება ქმედების შემსრულებლის სუბიექტად გამოცხადებას მოჰყვა. ეს წრე შეივსება სტატიკური ვნებითებით (მიჭირავს ~ მეჭირება ~ მეჭირა ~ მჭერია და სხვ.).

მეორე მხრით, ქართული ენის მიერ ნაკარნახები პერფექტულობის კატეგორიის გათვალისწინება საშუალებას იძლევა ნებისმიერ ფორმაში პირის ნიშანთა მიხედვით ცალსახად განვსაზღვროთ ზმნის სუბიექტი (-ს ~ -ა ~-ო... ნიშნებით), რაც ავტომატურად ობიექტთა სახეობებსაც გამოგვაყოფინებს.

მორფოსინტაქსი

ქართული ენის მორფოსინტაქსის საკითხები

შესავალი

მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენები გრამატიკაში საკმაოდ მკაფიოდ არის გამიჯნული ერთიმეორისგან შემადგენელი ელემენტებისა და ელემენტთა ურთიერთობის კანონზომიერებათა მიხედვით სათნადო დონეთა ფარგლებში, მაგრამ მათი აბსოლუტური გამიჯვნა შეუძლებელია, რადგან ენის გლობალურ სისტემაში ისინი ერთდროულად მოქმედებენ და ერთიმეორის ფუნქციათა რეალიზაციაში სრულიად ბუნებრივად იღებენ მონაწილეობას. ასე მაგალითად: მსაზღვრელი საზღვრულს უნდა ეთანხმებოდეს ბრუნვაში. ბრუნება სახელის მორფოლოგიური კატეგორიაა, ბრუნვა კი — ამ კატეგორიის ელემენტი. სინტაქსისა აქ ის არის, მმართველი წევრი მასთან დაკავშირებული წევრისგან იმავე ბრუნვას ითხოვს, რაც თვითონ აქვს.

იმისთვის, რომ სუბსტანტივმა (არსებითი სახელით გამოხატულმა წინადადების რომელიმე წევრმა) თავისი მსაზღვრელი (იგივე განსაზღვრება — თვისება სუბსტანტივისა არ დაკარგოს, საჭიროა მათ შორის განსაკუთრებული ფორმალური ურთიერთობის დამყარება, რასაც სინტაქსში შეთანხმება ჰქვია.

„შეთანხმება“ ვარაუდობს წინადადების ორ წევრს შორის ერთი და იმავე კატეგორიის არსებობას და სინტაგმის ერთი წევრის მიერ მეორისაგან ამ კატეგორიის საზიარო სახეობის შეძენას, მაგალითად, თუ საზღვრული მოთხრობით ბრუნვაში დგას, მსაზღვრელიც მოთხრობით ბრუნვაში უნდა დადგეს. შეთანხმების გზით მიიღწევა კავშირი წინადადების ამ ორ წევრს შორის, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს კომუნიკაციის პროცესში.

რაც შეეხება რიცხვს, თუ მსაზღვრელი საზღვრულთან ბრუნვაშია შეთანხმებული, ის რიცხვშიც უთუოდ შეთანხმებული იქნება, მიუხედავად იმისა, მსაზღვრელის მრავლობითობა ფორმალურად გამოხატულია თუ არ არის ფორმალურად გამოხატული. ამის მიზეზი ის არის, რომ მსაზ-

ღვრელს, თვისების გამომხატველ წევრს წინადადებისა, რეალურად რიცხვი არა აქვს, მას, როგორც თვისებას, არ გააჩნია დისკრეტულობა (ვერ დაითვლება) მაშინაც კი, როცა მსაზღვრელად დისკრეტული არსებითი სახელია მოქცეული, მაგალითად: „ქალი მასწავლებლები“ ან „მოწაფე ჭაბუკები“... შდრ. „ქალები მოვიდნენ“ ან „მოწაფეები შეიკრიბნენ“, სადაც „ქალები“ და „მოწაფეები“ არსებითი სახელების სიმრავლეს გამოხატავენ.

არ ვამბობთ „ქალები მასწავლებლები“, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში იმ „მასწავლებლებზეა“ ლაპარაკი, რომლებიც „ქალები“ არიან. „ქალი მასწავლებლები“ შესიტყვებაში „ქალი“ გაზედსართავებული სახელია — თვისების გამომხატველ სიტყვად არის ქცეული, დაკარგული აქვს არსებითი სახელისთვის დამახასიათებელი დისკრეტულობა და, როგორც თვისება, „მასწავლებელი“ სუბსტანტივში ნავარაუდები ყველა სახელის მახასიათებელია.

რაც ზემოთ ითქვა, ყველა დროის საზღვრულსა და მსაზღვრელს ეხება ზოგადად. მიუხედავად ამ კავშირის მუდმივობისა, საზღვრულისა და მსაზღვრელის ურთიერთობა გამოხატულების პლანში განსხვავებულ სახეს იღებს ცვლილებათა ვერტიკალური (დროის) ღერძის სხვადასხვა წერტილში. არც თუ იშვიათად განსხვავება გამოხატულების პლანის მიხედვით ჰორიზონტალურ ხაზზეც (თანადროული დიალექტები და სამწერლობო ენა) გვაქვს.

შესავალ ნაწილში აღარ წარმოვადგენთ პირმიმართი აქტანტებისა და შემასმენლის ურთიერთობებს ისტორიულ ასპექტში ორივე პლანის მიხედვით, მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ. ქვემოთ შევეცდებით იმ მიზეზთა გამოვლენას, რამაც განსხვავებული გამოხატულების პლანის მიმართებები შეაპირობა და, რაც არსებითია ჩვენი თემისთვის, შევეცდებით, ვაჩვენოთ შუალედური მორფოსინტაქსური სისტემის სპეციფიკა, რითაც ის განსხვავდება წმინდა მორფოლოგიური და სინტაქსური მიმართებებისგან.

შემდგომ მსჯელობისთვის არსებითია, გამოვკვეთოთ შიდაფორმის ცნება. შიდაფორმა არის ალგებრული გრამა-

ტიკული მიმართება სინტაქსურ წყვილებს შორის.

შიდაფორმა გენეტიკური მახასიათებელია. იგი ენებს არსებობის ბოლომდე გასდევს. ალგებრული ფორმულის მუდმივობის (ისტორიულად სამწერლობო ენაში, მონათესავე ენებში თუ დიალექტებში) მიუხედავად, მისი გამოხატულების პლანი, როგორც ზემოთ ითქვა, შეიძლება სერიოზულად შეიცვალოს, მაგალითად: ატრიბუტული მსაზღვრელი ძველ ქართულში გამოხატულების პლანშიც ყოველთვის გამოხატავდა შეთანხმებას: „დარბაზმან მცირემან“ და „მცირემან დარბაზმან“. ისტორიული ვითარება სამწერლობო ენაში შეიცვალა. დღეს ბუნებრივია „დარბაზმა მცირემ“ და „მცირე დარბაზმა“. თუ პოსტპოზიციური მსაზღვრელი ძველ წესს იმეორებს (დარბაზ-მან მცირე-მან და დარბაზ-მა მცირე-მ), პრეპოზიციაში მსაზღვრელს გამოხატულების პლანში შეთანხმების გამომხატველი ბრუნვის ნიშანი აღარა აქვს. შეთანხმებისთვის აუცილებელია ნულოვანი ალომორფის მიწერა ამ ბრუნვაში (მცირე-Ø დარბაზ-მა), რადგან შეთანხმება საზღვრულსა და მსაზღვრელს შორის ბრუნვაში აუცილებელია — მხოლოდ შეთანხმების საფუძველზე შეიძლება განეკუთვნოს ესა თუ ის მსაზღვრელი მის საზღვრულს. სწორედ ეს მიმართება ქმნის გრამატიკულ ალგებრულ ფორმულას, რომლის არითმეტიკულ რეალიზაციას წარმოადგენს გამოხატულების პლანი, სადაც ნულოვანი ალომორფი სინტაქსური ძალით მატერიალური ნიშნის ტოლფასია. ამის შესაძლებლობა ენას მხოლოდ შუალედურ მორფოსინტაქსურ სისტემაში ეძლევა (დაწვრილებითი ანალიზი იხ. ქვემოთ).

შეთანხმება

განვიხილავთ რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმებას სახელთა შორის, ერთი მხრით, და რიცხვში შეთანხმებას სახელთა და ზმნას შორის, მეორე მხრით. მანამდე კი განსახილველია თვით რიცხვისა და ბრუნების კატეგორიები და მათი რეალიზაცია სახელთა და ზმნათა ფორმებში.

სახელთა მრავლობითი რიცხვი ქართულში

-ებ და **-ნ / -თა** სუფიქსები ძველსა და თანამედროვე ქართულში სახელთა მრავლობით რიცხვს გამოხატავენ. **-ებ** სახელს ყველა ბრუნვაში გასდევს, **-ნ** სუფიქსი მხოლოდ სახელობით ბრუნვაშია და მიმართვის ფორმაში. ამათგან განსხვავებით, -თ სახელის ბრუნვისა და რიცხვის ნიშნად მიიჩნევა ძველი ქართულის ხუთ ბრუნვაში: მოთხრობითში, მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში.

სახ.	კაც-ებ-ი	კაც-ნ-ი
მოთხ.	კაც-ებ-მან	კაც-თა
მიც.	კაც-ებ-სა	კაც-თა
ნათ.	კაც-ებ-ისა	კაც-თა
მოქ.	კაც-ებ-ითა	კაც-თა
ვით.	კაც-ებ-ად	კაც-თა

-ა დაბოლოებით გავრცობილი ბრუნვის ნიშანი მხოლობითში და **-ებ** სუფიქსიან მრავლობითში ძველ ქართულს ვითარებით ბრუნვაში არ გააჩნდა. რაც შეეხება სხვა ბრუნვებს, ბრუნვათა ნიშნების დაბოლოებებში **-ა** სუფიქსს ვერტიკალურ ღერძზე განსხვავებული ფუნქცია აქვს სხვადასხვა წერტილში, ანუ სხვადასხვა პერიოდში: ძველ ქართულამდე, ეს **-ა** სახელთა ფორმებში განსაზღვრებითი ელემენტი ჩანს. ასეთი ვარაუდის საბაბს იძლევა ის, რომ -ა ძველ ქართულში არ დაერთვის ანთროპონიმებს, თვითგანსაზღვრულ სახელებს, მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში; საზოგადო სახელებში კი ძველ ქართულს განსაზღვრულობის ახალი სისტემა აქვს, რომელზეც ჰ. ფოგტი მიუთითებდა (იხ. ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში; „მიმომხილველი“, 4/5, 1968) — ესაა ნაწევრიანი ფორმები აღნიშნულ ბრუნვებში (კაცსა **მას**, კაცისა **მის**, კაცითა **მით**). ძველ ქართულში ეს **-ა** ბრუნვებში შედის, ბრუნვის ნიშნის შემადგენელია (მიც. — **-სა**, ნათ. — **-ისა**,

მოქ. — **-ითა**), მისი ძველი ფუნქცია ნაწევარმა მიიღო, თვითონ კი უფუნქციობის გამო ბრუნვის ნიშანს შეუერთდა.

ახალ ქართულში -ა სუფიქსი გამოეყო ბრუნვის ნიშანს და შეიძინა დელიმიტაციური ფუნქცია სახელთა ბოლოს: „კაცსა ჰკითხავს“, მაგრამ არ შეიძლება „კაცსა **მო**ჰკითხავს“, „კალმითა წერს“, მაგრამ არ შეიძლება „კალმითა **და**წერს“... -ა სუფიქსის ეს ფუნქცია გადავიდა იმ ზმნისართებსა და ნაწილაკებზე, რომელთაც გააჩნდათ **ა** ხმოვნით დაბოლოებული ფორმები: **აქა** ~ აქ, **იქა** ~ იქ, **სადა** ~ სად, **ზედა** ~ ზედ... **არა** ~ არ, **მცა** ~ მც, **ცა** ~ ც... ვარიანტებში უფრო ძველია -ა დაბოლოებიანი ფორმები. რამდენიმე ნიმუში: „**აქ** დაწერს“, არ შეიძლება „**აქა** დაწერს“, „**არ** დაწერს“, არ შეიძლება „**არა** დაწერს“ და სხვ.

დელიმიტაციის -ა ზმნისწინიანი ფორმების წინ იმიტომ იკრძალება, რომ ზმნისწინიც დელიმიტაციური ელემენტია (თანაც უფრო ძველი ამ ფუნქციის მიხედვით) — ზმნის ფორმაში მის წინ გამორიცხულია ზმნური სხვა კატეგორიის ელემენტი. ასეთი რამ როცა ხდება, ზმნისწინს უკვე დაკარგული აქვს თავის ფუნქცია, იგი ფუძის ნაწილად არის ქცეული (მაგ.: ვა**ღ**იარებ, შდრ. აღიარება; ვაღორძინებ; შდრ. აღორძინება. ი ა რ ე ბ ა და ო რ ძ ი ნ ე ბ ა ფორმები აღარ არსებობს ქართულში, ა ღ ი ა რ ე ბ ა და ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ა ფორმებში **აღ** ლექსიკურ მნიშვნელობათა აუცილებელი შემადგენელია.

თანამედროვე ქართულში დელიმიტაციის -ა სინტაქსურ ელემენტად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც იგი განსაზღვრავს მსაზღვრელი წევრის ბლოკირებას წინადადებაში, რის საფუძველზეც სრულიად განსხვავებულ სახეს იღებს პოსტპოზიციური მსაზღვრელი, კერძოდ, -ა განაპირობებს ნულოვან ალომორფებს: წიგნი კაცისა-Ø, წიგნმა კაცისა-Ø, წიგნს კაცისა-Ø... წიგნები კაცისა-Ø, წიგნმა კაცისა-Ø... წარმოდგენილ პარადიგმაში ყველა ნული დაკავშირებულია დელიმიტაციურ -ა სუფიქსთან. მაგალითად: „წ ი გ ნ ს კ ა ც ი ს მ ე გ ო ბ ა რ ს ვაძლევ“. თანამედროვე ქართულში ეს წინადადება ასე დანაწევრდება: „წიგნს / კ ა ც ი ს მ ე გ ო ბ ა რ ს ვაძლევ“, ე. ი. დელიმიტაციის -ა სუფიქსის გარეშე ორ სუბსტანტივს შორის მოქცეული მსაზღვრელი ეკუთვნის მარჯვნივ მდგომ საზღვრულს; შდრ. „წ ი გ ნ ს

კაცისა / მეგობარს ვაძლევ". დელიმიტაციის -ა სუფიქსმა დიამეტრალურად შეცვალა საზღვრულის ადგილი წინადადებაში — ახლა მარცხნივ მდგომი საზღვრულის კუთვნილება გახდა ორ სუბსტანტივს შორის მოქცეული მსაზღვრელი.

რიცხვში შეთანხმება განსხვავებულად ფორმდება შემასმენელსა და პირმიმართ აქტანტებს შორის ძველსა და ახალ ქართულში: ძველ ქართულში შემასმენელი ფორმალურად ყოველთვის ორმხრივ იყო შეთანხმებული რიცხვში **-ნ** სუფიქსიან ქვემდებარესა და პირდაპირ დამატებასთან: „მოვიდ**ეს** მოწაფენ**ი** მისნი" (მ. 14, 12c), „...ხოლო მოწაფენი შენნი ჭამ**ენ** და სუმ**ენ**" (ლ. 5, 33c); „და მოუვლინ**ნეს** მას მოწაფენი იგი მათნი" (მ. 22, 16c), „იხილ**ნა** მოწაფენი თჳსნი" (მრ. 8, 33c).

სიმრავლის გაგება შემასმენელში პირმიმართ აქტანტებს (S, O^d, O^{ind}) **შეაქვთ**, ე. ი. თუ რომელიმე ამ აქტანტთაგანი მრავლობით რიცხვში დგას, იგი უთუოდ შეითანხმებს შემასმენელს რიცხვში, მიუხედავად იმისა ამ აქტანტის სიმრავლე შემასმენელში მარკირებული იქნება თუ არა. **შეთანხმება რიცხვში იმიტომ უნდა ვივარაუდოთ**, რომ მთქმელიცა და ადრესატიც ზმნურ ქმედებაში მონაწილეთა რიცხვს პირმიმართი აქტანტის რიცხვის მიხედვით განსაზღვრავენ: „კაცები იყო" შესიტყვებაში ქვემდებარის მრავლობითი რიცხვის ფორმა — „კაცები" მთქმელსაც და ადრესატსაც ზმნურ ქმედებაში ავარაუდებინებს **უველას, ვინც** „კაცები" ფორმაში მოიაზრება და არა მხოლოდ ერთ კაცს იმის გამო, რომ „იყო" ფორმა ძირითადად ერთის მიმართ იხმარება: „ვეფხისტყაოსნის" **„კაცები და სახედრები** ერთობ **იყო** შაოსანი" (1579,2) კარგად გვიჩვენებს, რომ „კაცები" და „სახედრები" ქვემდებარეთა გვერდით შედგენილი შემასმენელი „იყო შაოსანი" გამოხატავს არა ერთს, არამედ უველას, ვინც „კაცები", „სახედრები" ფორმებში მოიაზრება. რიცხვში შეთანხმების ასეთ სახეობას ჩვენ ვუწოდებთ „რიცხვში შეთანხმების ცალმხრივ მარკირებულ შეთანხმებას". შევადაროთ ამას „კაცნი იუვნეს", მაგალითად: **„კაცნი** ჩუენისა რჩულისანი **იყვნეს**" (ძველი ქარ-

თული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I[1], 32, 23). ამ მეორე შემთხვევაში ქვემდებარის („კაცნი") სიმრავლე შემასმენელშიც აისახა — „იყვნეს" (ჭარბადაც კი აისახა : **-ნ** და **-ეს** სუფიქსები — ორივე ქვემდებარის სიმრავლეს გამოხატავს). რიცხვში შეთანხმების ამ სახეობას კი ვუწოდებთ „რიცხვში ორმხრივ მარკირებულ შეთანხმებას".

მსგავსად **-ნ** სუფიქსისა, **-თა** სუფიქსიანი ქვემდებარის მრავლობითის ფორმაც ორმხრივ არის მარკირებული: „ეგრეცა ყოველთა მოწაფეთა თქუეს" (მ. 26, 35c); შდრ. **-ებ** სუფიქსიანი მრავლობითის ცალმხრივ მარკირებული შეთანხმება რიცხვში: „ინაჯ-იდგა კაცებმან მან" (ი. ნ. 10c).

ზემოთ წარმოდგენილი დებულებების მიხედვით რიცხვში შეთანხმება **-ნ/-თ** სუფიქსებიანი აქტანტებისა და **-ებ** სუფიქსიანი აქტანტისა შემასმენელთან, მიუხედავად გამოხატულების პლანში სერიოზული განსხვავებისა, ერთნაირია — **შეთანხმება ორივე შემთხვევაში გვაქვს**.

(2) **-ნ /-თ** სუფიქსიანი სუბსტანტივები მრავლობით რიცხვში აგრეთვე ორმხრივი მარკირებით უკავშირდებოდნენ მსაზღვრელს: კაცნი კეთილნი ~ კეთილნი კაცნი, კაცთა კეთილთა ~ კეთილთა კაცთა...

-ებ სუფქსიან სუბსტანტივთა მსაზღვრელი ძველსა და ახალ ქართულში მხოლობით რიცხვში დგას : კაცები კეთილი ~ კეთილი კაცები, კაცებმან კეთილმან ~ კეთილმან კაცებმან...

საშუალ ქართულში და მთის დიალექტებში იყო მცდელობა, მსგავსად **-ნ/-თ** სუფიქსიან სახელთა, **-ებ** სუფიქსიან სუბსტანტივებთან ორმხრივი მარკირებით დაეკავშირებინათ მსაზღვრელი: კაცებს კეთილებს ~ კეთილებს კაცებს: ...ავთანდილ გასცა პასუხი, სიტყვები ლამაზებია („ვეფხისტყაოსანი", 285, 1); ხევსურულში, მაგალითად: თეთრებ ციხეებს, (ქერით) ნაკვებებ ცხენები და სხვ. ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა: თანამედროვე ქართულ მწერ-

[1] ქვემოთ ყველგან დამოწმებულ მასალაში I, II, III, IV რიცხვები აღნიშნავენ „ძველი ქართული ორიგინალური აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლთა" ტომეულებს.

ლობაში და დიალექტებშიც მრავლობითის ორმხრივ მარკირებული **-ებ** სუფიქსიანი საზღვრული და მსაზღვრელი აღარ გვხვდება, მსაზღვრელი **-ებ** სუფიქსიან საზღვრულთან მხოლობით რიცხვში დგას: თეთრი ციხე**ები**, თეთრ ციხე**ებს** და სხვ.

განხილული ვითარების მიხედვით გასარკვევია ის, თუ გამოხატულების პლანში რატომ ჰქონდათ მრავლობით რიცხვში შეთანხმების განსხვავებული სახეობები, ერთი მხრით, **-ნ / -თ** სუფიქსებით და, მეორე მხრით, **-ებ** სუფიქსით გაფორმებულ აქტანტებს შემასმენელთან და მსაზღვრელ სახელებთან. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული პასუხი (ჩვენი აზრით, არადამაკმაყოფილებელი) ამაზე არსებობს. დგება მეორე კითხვაც: მართალია, შინაარსის პლანში ურთიერთობა შემასმენელსა და აქტანტებს შორის, ასევე საზღვრულსა და მსაზღვრელს შორის ისტორიულად უცვლელი რჩება მრავლობით რიცხვში, მაგრამ სერიოზული ცვლილებები მოხდა გამოხატულების პლანში. რას უკავშირდება გამოხატულების პლანის ცვლილებები? რასთან გვაქვს საქმე — მორფოლოგიურ თუ მორფოსინტაქსურ ცვლილებებთან?

მართალია, გამოითქვა თვალსაზრისი, რომ მრავლობითობის სუფიქსთაგან **-ნ / -თ** „ინდეფერენტულია“ — გამოხატავს ყოველგვარი საგნის სიმრავლეს, განსხვავებით **-ებ** სუფიქსისგან, რომელსაც თავისი „გენეტიკური მოწოდებით“ ნივთთა კლასის სახელები უნდა გადაეყვანა მრავლობით რიცხვში და ამ ფუნქციიდან განუვითარდა მას კრებითობის ფუნქცია, რაც, კ. დონდუას თვალსაზრისით, კარგად შეიმჩნევა ძველ ქართულში (15, 143, 153, 157). არგუმენტები, რომელთაც ამ დებულებისთვის იყენებს, თვით ავტორს არ მიაჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ, იგი წერს: «Сложность вопроса заключается в том, что ни в древнелитературном грузинском, и ни в совремненом нет строгого разграничения функций между двумя формами множественного числа. Именно, Pl^{n} является «индеферентной» формой множественности: она не приурочена к определенному кругу понятий и весьма часто выступает рядом с Pl^{eb} в тех же случаях и с той же функцией, что и последняя» (15, 158).

-ებ სუფიქსის კრებითობის ფუნქციაზე წერდნენ გ. დეეტერსიც და ფ. ცორელიც (15, 141, 164). ნ. მარს **-ებ** სუფიქსი ხალხური წარმომავლობისად მიაჩნდა, მწიგნობრული ენის დამახასიათებლად

მხოლოდ **-ნ / -თ** სუფიქსებს მიიჩნევდა. უფრო გვიან ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, დ. მელიქიშვილი, ზ. სარჯველაძე და სხვანი **-ებ** სუფიქსს მრავლობითი რიცხვის ჩვეულებრივ (კ. დონდუას ტერმინოლოგიით „ინდეფერენტულ“) მაწარმოებლად მიიჩნევენ — არ ეხებიან არც **-ნ / -თ** სუფიქსებთან ფუნქციურ დაპირისპირებას საწარმოებელ სახელთა ჯგუფების გარჩევის საფუძველზე და არც მის წარმომავლობას. ასეთი ჯგუფების გამოყოფა არავის უცდია.

თუ შემოვიფარგლებით ქართული ენის ხილული პერიოდით და არ დავიწყებთ უფრო ადრეული ფუნქციის / ფუნქციების ძიებას, კითხვები ამ სიბრტყეზე დადგება: რატომ განსხვავდებიან $Pl^{ნ/თ}$ და $Pl^{ებ}$ შემასმენელთან და წინადადების მსაზღვრელ წევრთან ურთიერთობის ფორმალური სახეობებით: (1) $Pl^{ნ/თ}$ ქვემდებარედ და დამატებად შემასმენელში მარკირებულია, $Pl^{ებ}$ კი — არა; (2) $Pl^{ნ/თ}$ მსაზღვრელში მარკირებულია, $Pl^{ებ}$ კი არ არის მარკირებული?

უპირველეს ყოვლისა: **რიცხვის გაგება შემასმენელში შეაქვს პირმიმართ აქტანტებს**: ქვემდებარეს, პირდაპირ და ირიბ დამატებებს, ე. ი. **სუბსტანტივებს, რომლებიც ზმნაში პირის ნიშნებით წარმოდგებიან**.

ძველი ქართულის მონაცემებით პირმიმართი აქტანტები ზმნაში უკვე ნიშანდებული არიან პირთა მიხედვით: სუბიექტსაც და ობიექტებსაც (პირდაპირსა და ირიბს) თავ-თავისი ნიშნები აქვთ ზმნაში. მართალია, პირდაპირ და ირიბ ობიექტებს ერთი და იგივე ნიშნები აქვთ, მაგრამ ეს პრობლემას არ ქმნის, რადგან ისინი განსხვავებულ კატეგორიებს წარმოადგენენ, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთი და იგივე ნიშანი გამოიყენონ განსხვავებული კატეგორიის პირთა მიხედვით. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ირიბმა ობიექტმა პირდაპირი ობიექტისგან გადაიღო ნიშნები (52, 43).

პირის ნიშნების გაჩენის შემდეგ საჭირო ხდება ამ პირთა რიცხვის მიხედვით განსხვავებაც. ძველ ქართულში **-ნ / -თ** სუფიქსებიან აქტანტთა რიცხვის მარკირებაც უკვე დასრულებისკენ მიემართება: სუბიექტი რიცხვის მიხედვით ორმხრივი მარკირებით არის გაფორმე-

ბული; ასევე ორმხრივ არის მარკირებული სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტი; რიცხვში შეთანხმებას იწყებს **მიცემით ბრუნვაში დასმული ობიექტიც** (პირდაპირიცა და ირიბიც) — **გუ-** პრეფიქსი მხოლოდ მრავლობით რიცხვში იხმარება I პირის პირმიმართი ობიექტების აღსანიშნავად (ის **გუ**აქებს **ჩუენ**, მან **გუ**რქუა **ჩუენ**): ობიექტის სიმრავლე **გუ-** პრეფიქსით ცალსახად არის გამოხატული I პირში, მაგრამ სიმრავლე არ არის მარკირებული მიცემით ბრუნვაში დასმული II და III პირებისა (ზოგჯერ I პირისაც, რაც ძველქართულამდელი პერიოდიდან არის გადმოყოლილი), მაგალითად: გაქებს შენ / თქუენ, აქებს მას / მათ; გევედრების შენ / თქუენ, ევედრების მას / მათ; ძველ ქართულში არც თუ იშვიათად შეგვხვდება ძველქართულამდელი მაქებს მე/ჩუენ, II და III პირთა მსგავსი ვითარება.

მრავლობით რიცხვშია ირიბი დამატება:

„ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლაჲ მერმისა მისგან მომავალისა რისხვისა?“ (მ. 3,7); შდრ. თანამედრ. ქართული **თქვენ** გიჩვენა**თ**.

„მართლიად მართალსა გეტყჳ თქუენ...“ (ი. 1, 51); შდრ. გეტყვი**თ თქვენ**.

„...რაჲცა გინდეს, ითხოვდით და გეყოს თქუენ“ (ი. 15, 17); შდრ. (მო=) გინდე**თ** და გეყო**თ** „შეგისრულდე**თ**“ **თქვენ**.

მრავლობით რიცხვშია პირდაპირი დამატება:

„მე მიგავლინებ **თქუენ**“ (მ. 10, 16); შდრ. მიგავლინებ**თ თქვენ**.

„ეგე დაგაბრკოლებს **თქუენ**?“ (ი. 6,61); შდრ. დაგაბრკოლებ**თ თქვენ**.

თანამედროვე ქართულში ამ პირებმა სახელობით და მიცემით ბრუნვებში უკვე გამოხატეს ობიექტთა სიმრავლე: შენ გაქებს ~ **თქვენ** გაქებ**თ** (XVI-XVIII საუკუნეებში გაქებსთ ის **თქვენ**), მას აქებს ~ **მათ** აქებ**თ**, შენ გევედრება ~ **თქვენ** გევედრება**თ**, მას ევედრება ~ **მათ** ევედრება**თ**... (მთის დიალექტებს დღემდე შემორჩათ გაქებსთ, აქებსთ; გევედრებისთ ტიპის ფორმები).

გაქებსთ ტიპის ფორმებმა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის დრომდე მოაღწიეს. იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით მათ ახალი ქართული ენის ამ კლასიკოსთა თხზულებებში.

სიმრავლის მარკირების თვალსაზრისით საყურადღებოა, სუბიექტს I და II პირებში, ხოლო ობიექტებს, როგორც სახელობითში, ისე მიცემითში დასმულთ, II და III პირებში დღეს **-თ** სუფიქსი გამოხატავს. მიზეზი ამ საერთო ნიშნის გამოყენებისა ის არის, რომ S, O^d და O^{ind} განსხვავებული კატეგორიებია და არა ერთი კატეგორიის — „გაუდიფერენცირებელი პირის კატეგორიის“ ელემენტი.

ეს საკითხები უფრო მწვავედ დადგება, თუ **-ნ/-თ** და **-ებ** სუფიქსებს ნივთის კლასს დავუკავშირებთ წარმოშობით (კ. დონდუა, არნ. ჩიქობავა). საერთო გენეზისის აფიქსები რატომ უნდა განსხვავდებოდნენ სინტაქსური თვისებებით?

-ნ და **-ებ** მხოლოდ მრავლობით რიცხვს აწარმოებენ. **-ნ** რომ, მსგავსად **-ებ** სუფიქსისა, ყველა ბრუნვაში გაჰყოლოდა სახელს, სტრუქტურულად იდენტურ პარადიგმებს შექმნიდნენ და **-თა** სუფიქსიან ფორმებთან შეპირისპირებით ბრუნების ორი სახეობა ჩამოყალიბდებოდა მრავლობითი რიცხვის მიხედვით:

	I სახეობა		II სახეობა
სახ.	კაც-ებ-ი	კაც-ნ-ი	——
მოთხ.	კაც-ებ-მან	*კაც-ნ-მან	კაც-თა
მიც.	კაც-ებ-სა	*კაც-ნ-სა	კაც-თა
ნათ.	კაც-ებ-ისა-	*კაც-ნ-ისა	კაც-თა
მოქ.	კაც-ებ-ითა	*კაც-ნ-ითა	კაც-თა
ვით.	კაც-ებ-ად	*კაც-ნ-ად	კაც-თა

ვარსკვლავით სავარაუდო ფორმები გამოვხატეთ. ისინი ქართულ ენას არასოდეს ჰქონია.

-თა სუფიქსიანი ფორმები პარადიგმის ფარგლებში ერთიმეორისგან სრულიად განსხვავებულ გრამატიკულ ფორმებს ერთი სახით წარმოგვიდგენს გამოხატულების პლანში. მათი გრამატიკული მნიშვნელობა შეგვიძლია ზემოთ შეპირისპირებული პარადიგმების მიხედვით წარმოვიდგინოთ.

ბრუნვათა პარადიგმის საზიარო ფორმების გარჩევა ემყარება სინტაგმატურ წესებს, რომლებიც მყარდება ზმნურ ფორმებთან ურ-

თიერთობაში, ე. ი. სინტაქსურ კანონებზე არის დამყარებული: სახელის პარადიგმის რიცხვის მიხედვით განსხვავებულ თითოეულ წევრს ზმნური პარადიგმიდან ასევე რიცხვით განსხვავებული განსაზღვრული წევრი უკავშირდება; მყარდება ურთიერთობის წესები; მაგალითად : „კაც-**მან** თქუ-**ა**“ წინადადებაში გამოყოფილ აფიქსთაგან რომელიმეს შეცვლა ავტომატურად იწვევს მეორის შეცვლას: „კაც-**თა** თქუ-**ეს**“ ან „თქუ-**ეს** კაც-**თა**“, აღარ შეიძლება „თქუ-ეს კაც-მან“. ურთიერთობის ეს წესები ენაში ავტომატიზებულია, **-თა** სუფიქსიანი სახელის ბრუნვის გამოცნობა სწორედ ამ წესებს ემყარება.

როდესაც წერენ, **-თა** სუფიქსიანი სახელის ბრუნვა **-ებ** სუფიქსიანი სახელის ჩასმით უნდა გამოვიცნოთო — ეს არაკორექტულია, რადგან **მხოლოდ ზმნის ფორმას შეუძლია გვიკარნახოს**, თვით **-ებ** სუფიქსიანი რომელი ბრუნვის ფორმა უნდა დავსვათ მის მეწყვილედ. **-თა** სუფიქსიანი ფორმის ადგილზე **-ებ** სუფიქსიანის ჩასმა განხორციელებული ოპერაციის შემოწმებადღა ჩაითვლება, თორემ უკვე ზმნის ფორმით არის განსაზღვრული **-თა** სუფიქსიანი სახელის ბრუნვა, შესაბამისად მისი, როგორც გრამატიკული ფორმის, მნიშვნელობაც.

*

* *

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ -*ებ და -*ნ სუფიქსები რეკონსტრუირდება საერთო ქართულ-ზანურ დონეზე; ასევე -*თ ზმნათა მრავლობითი რიცხვის ფორმით რეკონსტრუირდება უფრო ძველ — საერთო-ქართველურ დონეზე, ძველი ქართულისთვის სამივე სუფიქსი სახელთა ფორმებში (-ებ, -ნ, -თ) ორგანულად და ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ. ისინი პარალელურად იხმარებიან, თანაბრად გამოხატავენ მრავლობით რიცხვს, ოღონდ განსხვავდებიან სინტაქსური ურთიერთობების ფორმალური გამოხატვის წესებით, **რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა**. სწორედ ეს მიზეზებია საძებნი.

-თ სუფიქსი, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, **-ებ** მრავლობითი რიცხვის განსხვავებული ტიპის მაწარმოებლებია: **-ებ** აგლუტინაციური, **-თ** კი ფლექსიური ტიპის ელემენტია: **-ებ** სუფიქსს **ერთი ფუნქცია აკისრია** — გამოხატოს მხოლოდ სიმრავლე საგნისა, -თ სა-

განთა სიმრავლესთან ერთად ბრუნვასაც გამოხატავს.

-თა სუფიქსიან სუბსტანტივს წინადადების სხვა წევრებთან გრამატიკულად ბრუნებისა და რიცხვის კატეგორიებით უწევდა დაკავშირება. სახელებთან ურთიერთობაში ეს ორმაგი კავშირი ადვილად ხორციელდებოდა, რადგან ეს კატეგორიები ფორმალურად ორივე წევრს გამოეხატებოდათ. ივარაუდება საზღვრულის კავშირი მსაზღვრელთან: კეთილთა კაცთა, ჩუენთა კაცთა, ორთა კაცთა... ზმნასთან ურთიერთობა კი გართულებული იყო, რადგან ბრუნების კატეგორია არა ჰქონდა ამ უკანასკნელს და მისი კავშირი ბრუნების მქონე აქტანტებთან სრულიად განსხვავებულად ხორციელდებოდა. ქვემოთ ამ განსხვავებულ ურთიერთობებსა და მათ შედეგებს განვიხილავთ.

I. **მსაზღვრელი** საზღვრულის თვისების გამომხატველი სიტყვაა, რეალურად მას, როგორც თვისებას, მრავლობითი რიცხვი არა სჭირდება, მისი ფორმაცვალება იმართება საზღვრულით: მათი ურთიერთობა ისე უნდა გაფორმდეს, რომ მსაზღვრელმა საზღვრული არ დაკარგოს. ეს არის არსებითი: მსაზღვრელი — თვისება კონკრეტულ აქტანტ-სუბსტანტივზე უნდა იყოს მიჯაჭვული გრამატიკული წესებით. ამიტომ ჯერ საზღვრული სახელის ფორმაზე უნდა ვიმსჯელოთ — უნდა გაირკვეს შემასმენლისა და მასთან დაკავშირებული სუბსტანტივების გრამატიკული ურთიერთობა: აქტანტი-სუბსტანტივი ერთი მხრით თავის მსაზღვრელს უკავშირდება, მეორე მხრით ზმნური ქმედების მონაწილეა და განსაზღვრულ ფორმალურ ურთიერთობაშია ზმნასთან.

აქტანტებიდან ყველა შეიძლება იყოს მსაზღვრელიანი: ქვემდებარეც და დამატებებიც, როგორც პირმიმართი, ისე პირმიუმართავი.

საზღვრულის როლში **-ებ** სუფიქსიანი სუბსტანტივი ზედმიწევნით იმეორებს მხოლობითი რიცხვის ფორმათა ურთიერთობებს: კეთილ-**მან** კაც-**მან**, შდრ. კეთილ-**მან** კაც-**ებ-მან**...

მსაზღვრელი ორ სუბსტანტივს შორის ბრუნვის ფორმით ყოველთვის კონკრეტულ სახელზეა მიჯაჭვული: „კაც**მან** კეთილ**მან** / მეგობარსა ჰრქუა“; შდრ. „კაცმან / კეთილ**ს** მეგობარ**ს** ჰრქუა“. მსაზღვრელი ასეთ შემთხვევაში იმ სუბსტანტივის თვისებას გამოხატავს, რომლის ბრუნვასაც იმეორებს.

ძველ ქართულში ანალოგიური ვითარებაა მაშინაც, როცა საზღვრული **-ებ** სუფიქსიან მრავლობითშია — მსაზღვრელს რიცხვის მიხედვით ფორმა არ ეცვლება: „კაცებმან კეთილმან / მეგობარსა ჰრქუა“ და „კაცებმან / კეთილსა მეგობარსა ჰრქუა“.

-თა სუფიქსიან მრავლობითში ამ მხრივ გაურკვეველი ვითარებაა: „კაცთა კეთილთა მეგობართა ჰრქუეს“ — ამ წინადადებაში მსაზღვრელი „კეთილთა“ თანაბრად შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც წინ მდგომ სუბსტანტივს, ისე მომდევნოს: „კაცთა კეთილთა / მეგობართა ჰრქუეს“; შდრ. „კაცთა / კეთილთა მეგობართა ჰრქუეს“. „კეთილთა“ მსაზღვრელი რომელი სუბსტანტივის თვისებაა, ამის გარკვევა მხოლოდ კონტექსტით არის შესაძლებელი. ეს დიდი უპირატესობაა **-ებ** სუფიქსიანი ფორმებისთვის. ვფიქრობთ, სწორედ ეს ვითარება გახდა იმის საწინდარი, რომ ენა ძირითადად **-ებ** სუფიქსიანი მრავლობითის ფორმებზე გადავიდა. **-ნ/-თ** სუფიქსიანი ფორმები არსებითად სტილური დანიშნულებითღა იხმარება ახალ ქართულში.

ბრუნვის ნიშანთა საშუალებით **-ებ** სუფიქსიანი სუბსტანტივი ახდენს მსაზღვრელის ბლოკირებას ყველა პოზიციაში, რასაც, ბუნებრივია, ვერ შეძლებს **-თ(ა)** სუფიქსიანი საზღვრული (იხ. ზემოთ), მაგრამ არის პოზიცია ძველ ქართულშივე, სადაც **-თ(ა)** სუფიქსიან საზღვრულსაც შეუძლია მიიჯაჭვოს მსაზღვრელი — ეს არის მსაზღვრელისა და საზღვრულის თანამიმდევრობა (**პრეპოზიციური წყობა**) **წინადადების დასაწყისში**: „კეთილთა კაცთა / მეგობართა ჰრქუეს“. ამ წინადადებაში მსაზღვრელი „კეთილთა“ ბლოკირებულია „კაცთა“ საზღვრულის მიერ: (1) ამ მსაზღვრელს **წინ არ უძღვის სხვა სუბ-**

სტანტივი (პოტენციური საზღვრული), რომელსაც შეეძლო მისი მიტაცება; (2) წინადადების თავკიდურა მსაზღვრელი (აქ „კეთილთა“) ვერც სხვა სუბსტანტივის (აქ „მეგობართა“) მსაზღვრელი გახდება, რადგან მას უშუალოდ მოსდევს „კაცთა“ სუბსტანტივი, **რომელსაც ვერ გადაახტება, რომ სხვა სუბსტანტივს გაუწიოს მსაზღვრელობა**. სწორედ ამ პოზიციაში მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი, თვისება საზღვრული სუბსტანტივისა, უბრუნდება ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ფ ო რ მ ა ს — მ ხ ო ლ ო ბ ი თ რ ი ც ხ ვ ს (თვისებას მრავლობითი რიცხვი არა აქვს თავისი ბუნებით): თანამედროვე ქართულში უკვე ბუნებრივია „კეთილ კაცთა“, ამ პოზიციაში აღარ იხმარება „კეთილთა კაცთა“ („კეთილთა კაცთა უთხრეს მეგობრებს“).

თუ მსაზღვრელი სადავო პოზიციაში მოექცევა (ორ საზღვრულს შორის მოთავსდება), ამ ახალი წესის საფუძველზე, განსხვავებით ძველი ქართულისგან, ბუნებრივ მდგომარეობაში დაბრუნებული მსაზღვრელი მომდევნო სუბსტანტივის კუთვნილება გახდება: „კაცთა / კეთილ მეგობართა უთხრეს“, რადგან „კაცთა კეთილ“ შესიტყვება ბუნებრივი არ არის, საერთოდ არ გვხვდება ენაში ასეთი წყვილი საზღვრულ-მსაზღვრელისა (შდრ. ძველი ქართულის „კაცთა კეთილთა მეგობართა ჰრქუეს“, სადაც „კეთილთა“ მსაზღვრელი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც წინ მდგომი საზღვრულის, ისე მომდევნოს თვისება).

მეგრულსა და სვანურში, მსაზღვრელი არსებითად ბლოკირებულია — მუდამ პრეპოზიციურია, წინ უსწრებს საზღვრულს), მას თავისი განკუთვნების საჩვენებლად მატერიალურად გამოხატული არც ბრუნვის ნიშანი სჭირდება და არც რიცხვისა. ამ პოზიციაში მატერიალურად წარმოდგენილია ფუძის სახით, ე. ი. ნულოვანი ალომორფებით ამყარებს კავშირს ბრუნვათა და რიცხვთა მიხედვით ცვალებად საზღვრულთან.

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „თანამედროვე სვანურისთვის ნორმაა მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური წყობა“ (39, 95). ჩვენი ტერმინოლოგიით ეს არის ბ ლ ო კ ი რ ე ბ უ ლ ი მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი — იგი მომდევნო სუბსტანტივის თვისებაა და არ განეკუთვნება წინ მდგომს, ამიტომ, როცა სვანურში მსაზღვრელ-

საზღვრულის გამოხატულების პლანზე ვმსჯელობთ, მსაზღვრელის ფორმა უნდა განვიხილოთ მომდევნო სუბსტანტივთან მიმართებით.

ალ. ონიანი ამავე ნაშრომში აღნიშნავს: „ატრიბუტული მსაზღვრელი თანამედროვე სვანურში, ჩვეულებრივ, ფუძის სახით არის წარმოდგენილი ყველა ბრუნვაში“ (39, 95). იქვე ნათქვამია, რომ სახელთა ფუძეები ან ერთვარიანტიანია, ან — ორვარიანტიანი. აღწერილია საზღვრულისა და მსაზღვრელის ერთად ბრუნების სამი ტიპი: ერთვარიანტიანი მსაზღვრელები ყველა ბრუნვაში ერთი და იმავე ფორმით არიან წარმოდგენილი (რომელიც მატერიალურად ფუძეს ემთხვევა), მიუხედავად იმისა, საზღვრულის ფუძე რამდენ ვარიანტიანია, ე. ი. ასეთი მსაზღვრელები არც ბრუნვის ნიშანს იჩენენ და არც რიცხვისას, ავიღოთ, მაგალითად, ფგრი ბალე „ხმელი ფოთოლი“ — მსაზღვრელს ერთვარიანტიანი ფუძე აქვს, საზღვრულს — ორვარიანტიანი, მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში ფუძის სახით, უფრო ზუსტად, ნულოვანი ალომორფებით იქნება წარმოდგენილი საზღვრულის წინ (ფგრი-Ø ბალე, ფგრი-Ø ბალე-ს, ფგრი-Ø ბალე-დ...). ეს საზღვრულისა და მსაზღვრელის ერთად ბრუნების I ტიპია.

II ტიპში ერთიანდებიან ისეთი წყვილები, რომელთა საზღვრულს ფუძე ერთვარიანტიანი აქვს, მსაზღვრელს კი — ერთვარიანტიანიცა და ორვარიანტიანიც; III ტიპში კი საზღვრულის ფუძე შეიძლება იყოს ერთვარიანტიანიცა და ორვარიანტიანიც. ორივე ტიპში (II და III) მსაზღვრელი შეიძლება უცვლელი იყოს — სახელობითსა და ირიბ ბრუნვებს საერთო ფორმა აქვთ — ნულოვანი ალომორფებით დაბოლოებული; ის ცვლილება კი, რაც ირიბ ბრუნვებში ხდება მსაზღვრელის ბრუნვათა მიხედვით, ნულოვანი ალომორფებით დაბოლოებას ვერ ცვლის, რადგან მხოლოდ ფუძეს ეხება.

შეიძლება დავასკვნათ: სვანურ ენაში მსაზღვრელი ბლოკირებულია და არ საჭიროებს ბრუნვისა და რიცხვის მატარებელ ნიშნებს; მსაზღვრელი, როგორც საზღვრულთან შეთანხმებით დაკავშირებული წევრი, ყველა ბრუნვაში წარმოდგენილია ნულოვანი ალომორფებით, რომელთა ფუნქცია დგინდება საზღვრულის ამავე კატეგორიათა მატერიალური ნიშნებით.

სვანურისა და ქართულის ანალოგიური ვითარებაა ზანურში (მეგრულ-ლაზურში). კ. დანელია წერს: „ზანურში მსაზღვრელი ჩვეულებრივ წინ უსწრებს საზღვრულს, მაგრამ შეიძლება მოსდევდეს“ (14, 114). პოზიციურად განსხვავებული მსაზღვრელების ბრუნება ცალ-ცალკეა განხილული: „თუ მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვარულს, იგი არც ბრუნვაში, არც რიცხვში არ შეიცვლება“ (14, 114). სანიმუშოდ მოყვანილი მაგალითებიდან ვიღებთ მხოლოდ მოთხრობით და მიცემით ბრუნვებს: ჰითა უშქურქ „წითელმა ვაშლმა“, ჰითა უშქურის „წითელ ვაშლს“... მრავლობით რიცხვში: ჰითა უშქურენქ „წითელმა ვაშლებმა“, ჰითა უშქურენს „წითელ ვაშლებს“...

რიგის შეცვლის შემთხვევაში (როცა საზღვრულია პრეპოზიციური) ან შესიტყვების ორივე წევრი იბრუნვის (ხოჯიქ დიდქ „ხარმა დიდმა“, ხოჯის დიდის „ხარს დიდს“...), ან მხოლოდ ბოლო წევრი (ხოჯი დიდიქ „ხარი დიდმა“, ხოჯი დიდის „ხარი დიდს“...).

ავტორის დებულებებითა და ილუსტრაციებით სრულიად ნათელი ხდება, რომ მსაზღვრელისა და საზღვრულის ბრუნებისას **გვითარება ერთნაირია** ქართველურ ენებში, **როცა მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს (პრეპოზიციურია)** — მსაზღვრელს არა სჭირდება ბრუნვისა და რიცხვის მატერიალური ნიშნები. ეს ეხება როგორც ატრიბუტულ, ისე სუბსტანტიურ მსაზღვრელიან სახელებს.

სხვაობა ქართულსა და ზანურს შორის არსებითად იმით გამოიხატება, რომ ქართულს არა აქვს „სახლი ხისამ“, „სახლი ხისას“ ტიპის წარმოება; შდრ. ზანური ცუდე ჯაშიქ, ცუდე ჯაშის და ა. შ. ზანური ვარიანტი თეორიულადაც დასაშვებია — საგნისა და მისი თვისების გამომხატველ სიტყვათა გრამატიკულ ურთიერთობაში ბრუნვის მატერიალურ ნიშნებს მხოლოდ მსაზღვრელი ატარებს, საზღვრულს კი იგივე ბრუნვები და რიცხვი ნულოვანი ალომორფებით გამოეხატება, როგორც ეს იყო იმ შესიტყვებებში, რომლებშიც პრეპოზიციაში მსაზღვრელი იყო და გრამატიკული დატვირთვა საზღვრულზე მოდიოდა (ჯაშ ცუდექ „ხის სახლმა“, ჯაშ ცუდეს „ხის სახლს“...).

ქართულ ენაში შესიტყვების ასეთი ფორმები (სახლი ხისამ, სახლი ხისას...) არ განვითარებულა, რადგან ბრუნვებში გამოჩნდა დელიმიტაციური -ა (უფრო ზუსტად: ე. წ. ემფატიკური -ა რეინტერპრეტირებულ იქნა დელიმიტაციურ სუფიქსად), სახლმა ხისა-Ø, სახლს ხისა-Ø და ა. შ.

მსაზღვრელის ან საზღვრულის „უბრუნველობა“ კ. დანელიამ საზღვრულისა და მსაზღვრელის „აშკარა კავშირს“ დაუკავშირა; თვით კავშირის განხორციელება, ბუნებრივია, დაუკავშირა ბრუნვის ნიშნებს (14, 114). ესენი უდავო დებულებებია, ერთადერთი, რაც მის მსჯელობაში ჩვენს რეპლიკას იწვევს, ეს არის „მართული მსაზღვრელი“ (მანძგერეშ ბერე „მეზობლის ბავშვი“). ჩვენი თვალსაზრისით, მსაზღვრელი შეუძლებელია მართული იყოს საზღვრულის მიერ (იხ. ქვემოთ).

მსაზღვრელის, როგორც სუბსტანტივის თვისების, კავშირი საზღვრულთან სემანტიკურ დონეზე ენათა მიხედვით ერთნაირია ზოგადად. საზღვრული ძირითადად დისკრეტულ ერთეულს წარმოადგენს (საგნები), თვისება ყოველთვის მოკლებულია დისკრეტულობას, ამიტომ მსაზღვრელს ბუნებრივი „გრამატიკული მრავლობითი რიცხვი“ არასოდეს ექნება.

რიცხვისა და ბრუნვათა ნიშნები საზღვრულის მიერ მსაზღვრელის ბლოკირებას უკავშირდება (იხ. ქვემოთ) და თუ ბლოკირება სხვა გზით, აღნიშნულ კატეგორიათა გარეშე, ხერხდება, ენები, როგორც ვნახეთ, ამ კატეგორიათა მატერიალურ ნიშნებს ალარ იყენებენ, კმაყოფილდებიან სინტაქსური პოზიციით შეპირობებული ნულოვანი ალომორფებით. ზემოთ ეს ვნახეთ ქართველურ ენებში. იგივე მკაფიოდ და ნათლად გამოჩნდა წოვა-თუშურშიც (ბაცბურ ენაში), სადაც მსაზღვრელი სახელი პრეპოზიციაშია მუდამ, ე. ი. იგი მყარად არის ბლოკირებული საზღვრულის მიერ. ამის შედეგად მსაზღვრელს მრავლობითი რიცხვის ნიშანი და ბრუნვათა ნიშნები მატერიალურად არ გამოეხატება.

სახელთა ბრუნების საკითხებთან დაკავშირებით კ. ჭრელაშვილი წერს: „რაც შეეხება საზღვარულთან ერთად ბრუნებას, ზედსართავე-

ბი არც მრ. რიცხვის ნიშნებს დაირთავენ და არც ბრუნვის ნიშნებს" (75, 139). მაგალითად:

სახელობითი	მაწრი^{ნ}	ჭანიზ „ტკბილი ყურძენი"
ერგატივი	მაწრიჩრ	ჭაჲნზევ
მიცემითი	„	ჭაჲნზენ
ნათესაობითი	„	ჭაჲნზე^{ნ}
მოქმედებითი	„	ჭაჲნზევ
გარდაქცევითი	„	ჭაჲნზელ
გამსჭვალვითი	„	ჭაჲნზეხ
თანაობითი	„	ჭაჲნზეცი^{ნ} (75, 139)

-ჩო სუფიქსი მაზედსართავებელი აფიქსია, ირიბ ბრუნვებში ჩნდება და რედუცირდება კიდეც.

ანალოგიური ვითარებაა სუბსტანტიურ მსაზღვრელთან: მხოლოდ პრეპოზიციაში გვხვდება და ბრუნების დროს უცვლელია, რიცხვისა და ბრუნვათა მიხედვით იცვლება მხოლოდ საზღვრული:

სახ.	ბადრე^{ნ}	ჟაგნრ „ბავშვის წიგნი"
ერგ.	„	ჟაგნოვ
მიც.	„	ჟაგნონ
ნათ.	„	ჟაგნო^{ნ}
მოქ.	„	ჟაგნოვ
გარდაქმნ.	„	ჯაგნოლ
გამსჭვალ.	„	ჟაგნოხ
თან.	„	ჟაგნოცი^{ნ}

მრავლობით რიცხვში შეიცვლება მხოლოდ საზღვრულის ფორმა: ბადრე^{ნ} ჟაგნუდ „ბავშვის წიგნები", ბადრე^{ნ} ჟაგნუდვ „ბავშვის წიგნებმა", ბადრე^{ნ} ჟაგნუდნ „ბავშვის წიგნებს" და ა. შ.

როგორც ჩანს, სინტაქსური ურთიერთობის საერთო სახე, რაც ზემოთ ქართველური ენების მასალაზე წარმოვადგინეთ, ენათა უფრო ფართო რაოდენობაზეა შესამოწმებელი. არ გამოვრიცხავთ, რომ საქმე გვაქვს უნივერსალურ კანონთან — **ბლოკირებული მსაზღვრელი** არ საჭიროებს რიცხვისა და ბრუნვების ნიშნებს. საპირისპიროდ ამისა, ამ კატეგორიათა მიხედვით მსაზღვრელის

ცვლილება დამახასიათებელია არაბლოკირებული ატრიბუტული და სუბსტანტიური მსაზღვრელისთვის, რასაც ქვემოთ გავეცნობით ძველი ქართულის მასალაზე.

დავუბრუნდეთ ქართულ ენას. მართალია, მრავლობითი რიცხვის **-თ** და **-ებ** სუფიქსები უძველესია, ისინი ჯერ კიდევ ქართულის ცალკე ენად გამოყოფამდე, საერთო-ქართველურსა და საერთო ქართულ-ზანურ სისტემებში რეკონსტრუირდებიან, მაგრამ ხილულ პერიოდში გრამატიკული ბუნებით ქართულს უფრო -ებ სუფიქსი შეესაბამება, რადგან ეს სუფიქსი მხოლოდ სიმრავლეს გამოხატავს — აგლუტინაციური ბუნებისაა.

-თ სუფიქსის ორი ფუნქცია ინოვაცია ჩანს: ზმნურ ფორმებში **-თ** მხოლოდ სიმრავლეს გამოხატავს ქართველურ ენებში.

ნულოვანი ალომორფები ბლოკირებული მსაზღვრელის ბოლოს არც მორფონოლოგიური ბუნებისაა და არც წმინდა მორფოლოგიური, **მათი სახით საქმე გვაქვს სინტაქსურ ნულოვან ალომორფებთან, რომელთა მნიშვნელობა განისაზღვრება საზღვრულის მორფემათა** (ბრუნვისა და რიცხვის ნიშანთა) **მნიშვნელობით** — მსაზღვრელი ხომ ყოველთვის თავისი საზღვრულის ბრუნვასა და რიცხვს იმეორებს (სქესსაც, სადაც ეს კატეგორია არსებობს).

მსაზღვრელად შეიძლება მოგვევლინოს ნებისმიერი სახელი (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი), ე. ი. მისი სახით საქმე გვაქვს ბრუნებად მეტყველების ნაწილთან, ამიტომ მსაზღვრელის გაუფორმებელი სახეობები (ნულოვანი ალომორფების მქონენი) მორფოლოგიისა და სინტაქსის მიერ წარმოქმნილი შუალედური სისტემის — მორფოსინტაქსის შესწავლის საგანია გრამატიკულ მეცნიერებაში.

უფრო დაწვრილებით ამ შუალედური სისტემის შესახებ, ანუ იმ პირობათა შესახებ, რომლებიც ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური წესების უგულებელყოფით ქმნიან კანონზომიერ ფორმებს შუალედურ მორფოსინტაქსურ სისტემაში:

რა არ არის კანონზომიერი, ანუ რატომ არის უგულებელყოფილი რომელიმე „მცირე დარბაზმა“ შესიტყვებაში (ეს, რა თქმა

უნდა სხვა ბრუნვათა ფორმებსაც ეხება) ფონემატური, მორფოლოგიური და სინტაქსური წესები?

ჯერ ენის დონეთა მიხედვით განვმარტავთ, რით გამოიხატება ეს უგულებელყოფათა მთელი კასკადი: (1) /მცირემ/ ფორმაში /მ/ ბუნებრივ პოზიციაშია და მოთხრობით ბრუნვაში ხმოვნის მომდევნოდ არ უნდა დაკარგულიყო ფონემატური მიზეზით; (2) თუ ხმოვანფუძიანი სახელი მოთხრობით ბრუნვაში დგას, მორფოლოგიური კანონზომიერებით ის ბრუნვის ნიშანს არ კარგავდა ძველ ქართულში და არც ახალ ქართულში კარგავს, მხოლოდ ბრუნვის ნიშნის კონფიგურაცია განასხვავებს ძველსა და ახალ ქართულს (ძვ. ქართ. მცირე-**მან**, ახ. ქართ. მცირე-**მ**); (3) სინტაქსური მოთხოვნილებით მსაზღვრელს ბრუნვის მიხედვით საზღვრულის ფორმა უნდა ჰქონდეს, როგორც ეს ძველ ქართულში იყო (მცირე-**მან** დარბაზ-**მან** ან დარბაზ-**მან** მცირე-**მან**), მაშასადამე, ამ წესით ახალ ქართულში მოსალოდნელი იყო მცირემ დარბაზმა, გვაქვს კი მცირე დარბაზმა (შდრ. შებრუნებული წყობა, სადაც ძველი ქართულის წესი ძალაშია: დარბაზმა მცირემ).

მიზეზი ჩამოთვლილ წესთა უგულებელყოფისა გამოხატულების პლანში არის მსაზღვრელის პოზიცია: პრეპოზიციური მსაზღვრელის ფორმაში აღარ განხორციელდა სინტაქსურად და მორფოლოგიურად აუცილებელი და ფონემატურად ბუნებრივი წესების რეალიზაცია, რომლებიც უცვლელად მოქმედებენ საუკუნეთა განმავლობაში საპირისპირო პოზიციაში — **პოსტპოზიციაში**: აქ აუცილებელია დარბაზმა მცირემ (დაუშვებელია დარბაზმა მცირე); შდრ. ძვ. ქართული დარბაზმან მცირემან. ე. ი. პოსტპოზიციაში დაცულია როგორც სინტაქსური წესი — შეთანხმება, ისე მორფოლოგიური წესი — მსაზღვრელს მოთხრობით ბრუნვაში აქვს ამ ბრუნვის ნიშანი; ფუძისეული ხმოვნისა და ბრუნვის ნიშნის თანხმოვნის თანამიმდევრობაც ბუნებრივი დისტრიბუციის ფარგლებშია.

გამოვლენილია წესთა დარღვევის პოზიცია. საჭიროა იმის გარკვევა, რატომ ირღვევა ძირითად დონეთა წესები აღნიშნულ პოზიციაში ან ხდება კი წესთა დარღვევა?

— აქ საქმე გვაქვს ზემოთ **სხვადასხვა დონეზე კანონიერად მიჩნეულ წესთა განსხვავებულ გამოვლენასთან**.

პრეპოზიციაში მსაზღვრელი არსებითად ბლოკირებულია, ე. ი. მიჯაჭვულია თავის საზღვრულზე. ამიტომ ასრულებს პოზიცია იმ როლს, რაც ევალებოდა მორფოლოგიურ ელემენტებს საზღვრულისა და მსაზღვრელის სინტაქსურ ურთიერთობაში — მყარდება ცალსახა კავშირი მსაზღვრელსა და მომდევნო საზღვრულს შორის.

„კაცმან მცირესა დარბაზსა შეაბა კარი“ ძველი ქართულის წინადადებაში „კაცმან“ არ უკავშირდება სინტაქსურად მსაზღვრელ „მცირესა“, რადგან მათი ბრუნვები განსხვავებულია; მეორე მხრით, „მცირესა“ მსაზღვრელი სწორედ ბრუნვის ფორმით უკავშირდება „დარბაზსა“ საზღვრულს და ამ გზით ეჯაჭვება მას, როგორც მისი თვისება.

„მივსცემთ კაცსა მცირესა დარბაზსა“ წინადადებაში, — იმ პირობებში, როცა მსაზღვრელი დაშვებულია როგორც პრეპოზიციაში, ისე პოსტპოზიციაში, — გაურკვეველია „მცირესა“ ირიბი დამატების („კაცსა“) მსაზღვრელია თუ პირდაპირი დამატებისა („დარბაზსა“), რადგან სამივე სახელი ერთსა და იმავე ბრუნვაში — მიცემითში დგას. ამ შემთხვევაში მხოლოდ კონტექსტი გვიშველის: „კაცსა მცირესა“ თუ „მცირესა დარბაზსა“*.

ახალი ქართულის პრეპოზიციური მსაზღვრელი ბრუნვის ნიშანს მატერიალურად აღარ საჭიროებს იმიტომ, რომ წინადადების დასაწყისის მკაცრი წესი მსაზღვრელის განკუთვნებისა განივრცო წინადადების შიგნითაც. ახალ ქართულში „მივცემთ კაცს მცირე დარბაზს უპირისპირდება „მივცემთ კაცს მცირეს დარბაზს“. დაყოფით წარმოდგენილია მსაზღვრელ-საზღვრულის ერთიმეორესთან დაკავშირებული წყვილები.

შეიძლება დავასკვნათ: შუალედურ მორფოსინტაქსურ სისტემაში პრეპოზიციური მსაზღვრელისა და საზღვრულის დამაკავშირებელი ბრუნვის ნიშნის როლს ასრულებს მსაზღვრელის პოზიცია, რასაც მოჰყვა ნულოვანი ალომორფი პრეპოზიციური მსაზღვრელის ფორ-

* კონტექსტით გამოსარკვევი შემთხვევები იშვიათობაა, რადგან ნებისმიერი ბრუნვა მსაზღვრელისა და საზღვრულის ურთიერთ შეხვედრის რაოდენობით ერთდროულად დანარჩენ ხუთ ბრუნვას უპირისპირდება.

მებში, რაც დაუშვებელია პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფორმისთვის, მაშასადამე, რაც მორფოლოგიური საშუალებებით კეთდებოდა, ახლა პოზიციით ხორციელდება — შეთანხმების მორფოლოგიურ ელემენტთა გარეშე მყარდება სინტაქსური კავშირი თვისების გამომხატველ წევრსა და ამ თვისების მატარებელ წევრს შორის, ე. ი. ძველი ქართულის „მცირემან დარბაზმან“ და თანამედროვე ქართულის „მცირე დარბაზმა“ სინტაქსურად იდენტური შესიტყვებებია, ისინი მხოლოდ გამოხატულების პლანით განსხვავდებიან ერთიმეორისგან. სწორედ ამ იდენტობის აღსანიშნავად არის საჭირო ნულოვანი ალომორფის აღნიშვნა გრამატიკულ ანალიზში.

II. **-ებ** სუფიქსიან მრავლობითში დასმული ქვემდებარე ძველ ქართულში რიცხვში ცალმხრივ მარკირებულ ურთიერთობას ამყარებს შემასმენელთან, ე. ი. ამ სინტაქსურ კავშირში რიცხვითი ურთიერთობის გამოხატვა ეკისრება მხოლოდ **-ებ** სუფიქსიან ქვემდებარეს, მაგალითად: „განვიდა სულები“ (მრ. 5, 19); „გამოჰდა სულები და შეჰდა ღორებსა მას (მრ. 5. 13 C); შდრ. სულნი დაგემორჩილებიან“ (ლ. 10, 20); „ეყარის გიშრის შუბები“ (ვ.ტ. 1146, 2); შდრ. ეყარნიან შუბნი; „სულნი მათნი ზეცას რბიან“ („ვ.ტ.“ 440, 3) და სხვ. **-ნ** სუფიქსიან მრავლობითში დასმული ქვემდებარე ძველ ქართულში უთუოდ შემასმენელშიც მოითხოვს თავისი სიმრავლის მარკირებას.

-ებ სუფიქსიანი ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობის ამ სახით, უდავოა, საქმე გვაქვს უძველეს ვითარებასთან, როცა პირმიმართ აქტანტთა სიმრავლე შემასმენლის ფორმაში არ აღინიშნებოდა. ეს იყო ცალმხრივ მარკირებული შეთანხმება, რამდენადაც დიალოგის წევრთათვის **-ებ** სუფიქსიან ქვემდებარესთან დაკავშირებული ზმნათა ფორმებით ქმედებაში მრავალთა მონაწილეობა ივარაუდებოდა.

ძველ ქართულში ანალოგიური ვითარება იყო **-ებ** სუფიქსიან პირდაპირ დამატებასთანაც — მისი სიმრავლე შემასმენელში არ აღინიშნებოდა სპეციალური ნიშნით, განსხვავებით **-ნ** სუფიქსიანი დამატებისაგან, მაგალითად: „ვეშაპისა თავები შემუსრა“ (I 68, 7); შდრ. ვეშაპისა თავნი შემუსრნა; „მოგცე შენ აქლემე-

ბი“ (I 181, 10), შდრ. მოგცნე შენ აქლემნი; „გამოსხა კაცები იგი“ (I, 40, 24); შდრ. გამოსხნა კაცნი იგი; „გარეშეადგეს კარვები იგი მათ“ (I, 176, 25) შდრ. გარეშადგნეს კარავნი; „აღჰმართნეს კარავნი“ (I, 109, 8) და სხვ.

ტიპოლოგიურად ძველი ქართულის ანალოგიური ვითარებაა წოვა-თუშურში: ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების სიმრავლე სპეციალური ნიშნით არ გამოიხატება შემასმენელში, როცა კლასის ნიშნები არ არის ზმნაში წარმოდგენილი, როგორც ეს **-ებ** სუფიქსიან აქტანტთან იყო ძველ ქართულში. მაგალითები წოვა-თუშურიდან: დადას თაგდიე^{ნ} „მამამ გააკეთა“ ~ დადივ თაგდიე^{ნ} „მამებმა გააკეთა (=გააკეთეს)“; დადას თაგდიე^{ნ} ჩაკრ „მამამ გააკეთა სკამი“ ~ დადას თაგდიენ ჩაკუდ „მამამ გააკეთა სკამები“ (შდრ. ძვ. ქართ. მამამან შექმნ-**ნ**-ა სკამნი).

რადგან **-ებ** სუფიქსიან მრავლობითში ბრუნების სისტემა მხოლობითი რიცხვისა რჩება, შემასმენელთან აქტანტთა მართვითი ურთიერთობა მხოლობითის ფორმათა მოდელით ხორციელდება, **რაც ვერ მოხერხდებოდა -თ სუფიქსიან მრავლობითში**, სადაც ბრუნვა და მრავლობითი რიცხვი საერთო აფიქსით გამოიხატება. რაც შეეხება **-ნ** სუფიქსს, მართალია, ის თავისი ბუნებით აგლუტინაციური აფიქსია, მაგრამ ის **-თ** სუფიქსის სისტემაშია მოქცეული და სინტაქსურ ურთიერთობებს ამ სისტემის მიხედვით ახორციელებს.

-ებ სუფიქსიან აქტანტთა სინტაქსური ურთიერთობის ფონზე **-ნ/-თ** სუფიქსიან მრავლობითის ურთიერთობები ინოვაცია ჩანს ქართული ენისთვის. ამ აზრს ისიც განამტკიცებს, რომ მიცემით ბრუნვაში დასმული დამატება — პირდაპირიცა და ირიბიც მხოლოდ ცალმხრივ იყო მარკირებული შემასმენელთან რიცხვით ურთიერთობაში, მიუხედავად იმისა, **-ებ** სუფიქსიან მრავლობითში იდგა აქტანტი თუ **-თ** სუფიქსიან მრავლობითში. **-ებ** სუფიქსიანი აქტანტების ურთიერთობა შემასმენელთან ზემოთ განვიხილეთ, აქ მოვიყვანთ **-თ(ა)** სუფიქსიანი აქტანტების შემასმენელთან ურთიერთობის მაგალითებს ძველი ქართულიდან: „ესმოდა ესე მოწაფეთა მისთა“ (მრ. 11, 14); „და მოვართუ იგი მოწაფეთა შენთა“ (მ. 17, 16); „ვარ-

ქუ მოწაფეთა შენთა“ (მრ. 9, 18C); „..რ~ა არა უჩნდე კაცთა მმარხველ (მ. 6, 17-18C); „ყოველივე ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისათჳს გმობაჲ არა მიეტეოს“ (მ. 12, 31C); „და, აჰა, ესერა, კაცთა მოაქუნდა ცხედრითა კაცი, რომელი იყო განრღუეულ და უნდა შეღებაჲ მისი და დადგმაჲ წინაშე მისა“ (ლ. 5, 18C).

წარმოდგენილ მაგალითებში და საერთოდაც მიცემით ბრუნვაში დასმულ დამატებას შემასმენლის II და III პირებში სიმრავლე აქტანტისა არ გამოეხატება. ძველი ქართულის მონაცემებით ისიც ჩანს, რომ სიმრავლე არ გამოიხატებოდა I პირშიც ძველი ქართულის წინა პერიოდში: „მომეც ჩუენ“ ტიპის ურთიერთობა არ არის იშვიათი და გამონაკლისი ძველი ქართულისთვის. „დამასწორენ ჩუენ იგინი, რომელთა ვიტჯრთეთ სიმძიმე დღისაჲ და სიცხჱ“ (მ. 20, 12C); შდრ. დაგუასწორენ ჩუენ იგინი.

„გამომითარგმანე ჩუენ იგავი ეგე“ (მ.15,15); შდრ. გამოგჳთარგმანე ჩუენ იგავი ეგე“ (მ. 15, 15C). „პური ჩუენი სამარადისოჲ მომეც ჩუენ დღეს და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი“ (მ. 11-12); შდრ. მოგუეც ჩუნ და მოგჳტევენ ჩუენ“.

„მოგუეც ჩუენ“ ტიპის ურთიერთობა, როცა ირიბი დამატების სიმრავლე შემასმენელშიც არის ასახული, უნდა ჩაითვალოს ინოვაციად — ამით დაიწყო მიცემით ბრუნვაში დასმული დამატების ორმხრივი შეთანხმება შემასმენელთან მრავლობით რიცხვში, რაც საბოლოოდ ახალ ქართულში დასრულდა: სამწერლობო ქართულშიცა და დიალექტებშიც სამსავე პირში გავრცელდა ორმხრივ მარკირებული შეთანხმება შემასმენელსა და დამატებას შორის.

შემასმენელსა და აქტანტებს შორის ორმხრივ მარკირებული ურთიერთობის ინოვაციურობაზე ისიც მიუთითებს, რომ ქართულმა დიალექტებმა (reps. ქართველურმა ენებმაც) თავ-თავისი, ერთიმეორისგან განსხვავებული, გზა აირჩიეს ამ ურთიერთობის გამოსახატავად, კერძოდ: ქართული ენის აღმოსავლურმა დიალექტებმა შემასმენელში დამატებათა სიმრავლის მარკირება მოახდინეს სუბიექტური I და II პირების მრავლობითობის გამომხატველი -თ სუფიქსით, ხოლო დასავლურმა დიალექტებმა იმავე სუბიექტური III პირის სიმრავლის

გამომხატველი **-ენ** სუფიქსით (გვხვდება **-ეს** სუფიქსიც) (78, VIII თავი).

სუბიექტური პირები მრავლობით რიცხვში
(I და II სერიის ფორმები)

	აწმყო	წყვეტილი
I	ვ-წერ-**თ**	ვ-წერე-**თ**
II	Ø-წერ-**თ**	Ø-წერ-**თ**
III	წერ-**ენ**	წერ-**ეს**

ირიბი ობიექტის სიმრავლის მარკირება შემასმენელში

აღმოსავლური დიალექტები	დასავლური დიალექტები
II **თქვენ** გ-ემალება-**თ**	II **თქვენ** გ-ემალები-**ენ**
III **მათ** Ø-ემალება-**თ**	III **მათ** Ø-ემალები-**ენ**

პირდაპირი ობიექტის სიმრავლის მარკირება შემასმენელში

აღმოსავლური დიალექტები	დასავლური დიალექტები
II **თქვენ** და-გ-მალა-**თ** მან	II **თქვენ** და-გ-მალ-**ენ** მან
III **ისინი** დამალა-**თ** მან	III **ისინი** დამალ-**ენ** მან

შეიძლება დავასკვნათ: ქართული ენის შემასმენლისა და მასთან დაკავშირებული აქტანტების ურთიერთობა რიცხვის კატეგორიის მიხედვით დიაქრონიულად განსხვავებული სახით ხორციელდება გამოხატულების პლანში: (1) საწყის ეტაპზე (ძველ ქართულამდე და ძველი ქართული დასაწყისში) **-ებ** სუფიქსიან აქტანტებთან შემასმენლის ურთიერთობის სურათს იძლევა ძველი ქართული ენა: **-ებ** სუფიქსიან აქტანტებთან რიცხვში შეთანხმება ცალმხრივად არის მარკირებული — მრავლობითობის ნიშნით წარმოდგენილი იყო მხოლოდ პირმიმართი აქტანტები (S, O^d, O^{ind}), შემასმენელი კი სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმით ნავარაუდები უველა სუბსტანტივის ქმედებას გამოხატავდა. შეთანხმების ამ სახეს ამიტომ ვუწოდებთ ცალმხრივ მარკირებულს — რიცხვის გაგება შემასმენელში შეაქვთ აქტანტთა ფორმებს.

(2) სახელთა ფორმებში **-თ** სუფიქსი ფლექსიური ბუნებისაა (გამოხატავს ბრუნვასა და რიცხვს), ზმნათა ფორმებში კი აგლუტინა-

ციური ბუნებისაა (გამოხატავს მხოლოდ მრავლობით რიცხვს). სავარაუდოა, რომ **-თ** სუფიქსის ფლექსიური თვისება სახელებთან ინოვაციაა, გვიან შეძენილია.

(3) სახელთა ფორმებში **-თ** სუფიქსის ფლექსიურ ბუნებას უკავშირდება მრავლობით რიცხვში ორმხრივ მარკირებული შეთანხმება, ერთი მხრით, საზღვრულსა და მსაზღვრელს შორის და, მეორე მხრით, შემასმენელსა და პირმიმართ აქტანტებს შორის: (ა) მსაზღვრელის ბრუნვაში შეთანხმებას რიცხვში შეთანხმებაც მიჰყვა, რადგან ეს ორივე კატეგორია ერთი სუფიქსით არის გამოხატული; (ბ) ასევე აქტანტის მართვა მხოლოდ ბრუნვაში, მსგავსად **-ებ** სუფიქსიანი მრავლობითის ფორმებისა, შეუძლებელია **-თ** სუფიქსიანი მრავლობითის ფორმებში: შემასმენლის მიერ აქტანტის ბრუნვაში მართვა რიცხვში შეთანხმებასთან ერთად ხდება, რადგან ამ ორ კატეგორიას ერთი სუფიქსი გამოხატავს.

(4) აქტანტთა მსაზღვრელთან და შემასმენელთან ურთიერთობის უძველეს სახეს იძლევიან **-ებ** სუფიქსიანი მრავლობითი რიცხვის სუბსტანტივები, **რომელთაც სპეციფიკური მაწარმოებლით არ აღენიშნებოდათ სიმრავლე მსაზღვრელისა და შემასმენლის ფორმებში**. მათ ანალოგი მოეპოვებათ, ერთი მხრით, მონათესავე ქართველურ ენებში და, მეორე მხრით, წოვა-თუშურში, სავარაუდებელია, ბევრ სხვა ენაშიც, სადაც რიცხვის ნიშანი გამოყოფილია ბრუნვის ნიშნისგან. ამ უნივერსალურ მიმართებებს მარტივი ახსნა ეძებნება: (1) თვისებას რიცხვი არა აქვს, რადგან მოკლებულია დისკრეტულობას, ამიტომ მსაზღვრელი არ საჭიროებდა მრავლობითი რიცხვის ნიშანს; ბრუნვის ნიშანი მსაზღვრელს უჩნდება საზღვრულთან კავშირის შენარჩუნების მიზნით; თუ მსაზღვრელი ბლოკირებულია, არც ბრუნვის ნიშანი დასჭირდება; (2) რადგან აქტანტებს თვითონ შეაქვთ რიცხვის გაგება შემასმენელში, ისინი არ საჭიროებენ მრავლობითი რიცხვის ნიშანს ქმედების აღმნიშვნელ სიტყვაში. ეს ნიშნები დაკავშირებულია მრავალპირიანობასთან: როდესაც აქტანტთაგან ზოგი მხოლობით რიცხვშია, ზოგი მრავლობითში, შემასმენელში საჭირო ხდება მათი დიფერენცირება რიცხვის მიხედვითაც.

გამოხატულების პლანის ცვლილებები მორფოსინტაქსურ ურთიერთობაში ქართული ენის მონაცემთა მიხედვით

(რიცხვში შეთანხმების დიაქრონიული ანალიზი)

რიცხვი მორფოსინტაქსური კატეგორიაა: მას საკუთარი პარადიგმები აქვს სახელებსა და ზმნებში. ორივეგან პარადიგმის წევრები ნიშანდებულია (მარკირებულია); სუბსტანტივი და ზმნა რიცხვის საზიარო კატეგორიით (მხოლობითი – მრავლობითი) სინტაქსურ წყვილებსაც ქმნიან.

შემასმენელს რიცხვი მასთან დაკავშირებული აქტანტის მიხედვით ეძლევა. პირმიმართ აქტანტთაგან ეს შეიძლება იყოს სუბიექტი ან რომელიმე პირმიმართი ობიექტი: პირდაპირი ან ირიბი. ნათქვამი ლოგიკურ მიმართებას ასახავს ქმედებასა და ქმედების მონაწილეთა შორის, სინტაქსურ ურთიერთობათა აღწერის ასპექტით კი არსებითია, როგორ ხდება რიცხვის მიხედვით რომელიმე აქტანტის შემასმენელთან ურთიერთობის გაფორმება წინადადებაში. განსაკუთრებულ სირთულეს ქართულში ქმნის პოლიპერსონალური შემასმენელი, რომელთანაც ერთდროულად შეიძლება სამივე აქტანტი მრავლობით რიცხვში იდგეს; ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ისიც, რომ ამ აქტანტებს დღეს ერთი და იგივე ნიშანი აქვთ სიმრავლის გამოსახატავად: **-თ** სუფიქსი, ერთი მხრით, სუბიექტის I და II პირების სიმრავლისათვის და, მეორე მხრით, ორივე ობიექტის სიმრავლისათვის II და III პირებში.

სემანტიკური ურთიერთობის თვალსაზრისით მრავლობითობა სინტაგმის წევრებს შორის **თავიდანვე ნათელია**: თუ აქტანტი (S, O^d an O^{ind}) გაფორმებულია მრავლობითობის ნიშნით, მასთან დაკავშირებული ქმედებაც, ბუნებრივია, მრავლობით რიცხვში მოიაზრება (იხ. ზემოთ). ფორმალურად ამ ურთიერთობის გამოხატვა შეიძლება ორნაირად: (1) მრავლობითობა ნიშანდებულია მხოლოდ აქტანტის ფორმაში, შემასმენელი ავტომატურად ჩაითვლება მასთან რიცხვში შეთანხმებულად: თუ ვამბობთ „შენ კაცებს ხა-

ტავ", რადგან „ხატავ" შემასმენელი „კაცს" კი არა „კაცებს" მიემართება, პირდაპირი დამატების რიცხვი შემასმენლის რიცხვსაც განსაზღვრავს მასთან ურთიერთობაში („ხატავ" ხომ „კაცებს" ეხება!); (2) მრავლობითობა შეიძლება ორივეგან — აქტანტის ფორმაშიც და შემასმენლის ფორმაშიც იყოს ნიშანდებული (ის **თქვენ** გხატავთ, ის **მათ** ხატავთ...). ვიდრე სინქრონიულ ურთიერთობათა ანალიზზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ ისტორიული ჭრილები — დიაქრონიული ვითარება სამწერლობო ენაში, რათა გამოვლინდეს დღევანდელ ურთიერთობათა საფუძველი.

ძველი ქართული ვითარების მიხედვით უფრო წინა საფეხურზე (**ძველქართულამდე**) სავარაუდებელია, რომ აქტანტების შემასმენელთან რიცხვის მიხედვით ურთიერთობაში **ნიშანდებული იყო მხოლოდ აქტანტი**. ვითარება O^{ind}-ს მიხედვით:

მე მევედრების – **ჩუენ** მევედრების

შენ გევედრების – **თქუენ** გევედრების

მას ხევედრების – **მათ** ხევედრების

(შენ) მევედრები ჩუენ, (მე) გევედრები თქუენ და ა. შ. ყველა აქ წარმოდგენილი ურთიერთობა ძველი ქართულისაა. ოღონდ პარადიგმებში არ მოგვიყვანია ასევე დადასტურებული „ჩუენ გუეევედრების", რომელიც შედარებით გვიანდელია, რადგან, განსხვავებით II და III პირებისგან, აქ პირველი პირის სიმრავლე სინტაგმის ორივე წევრშია ნიშანდებული. სწორედ ამ II და III პირთა მიხედვით ვვარაუდობთ, რომ „ჩუენ მევედრების" ძველ ქართულამდელი ნორმაა, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენია ძველ ქართულს.

„ჩუენ **გუ**ევედრების" **ახალი ურთიერთობის დასაწყისია**, როდესაც მრავლობითი რიცხვის ნიშანდება სინტაგმის ორივე წევრში ხდება. მრავლობით რიცხვში ორმხრივი ნიშანდების ახალი პროცესი უკვე მოუმთავრებიათ სუბიექტსა და შემასმენელს (**ჩუენ** ვწერ-**თ**, **თქუენ** სწერ-**თ**, **იგინი** წერ-**ენ**). პროცესი დიდიხნის დაწყებული ჩანს, რადგან ეს ურთიერთობა მედიუმთა და აქტივ-პასივთა S აქტანტთან ურთიერთობაში უკვე დასრულებულია (**ჩუენ** ხჳწერები**თ**....). პროცესი დასრულებულია O^{d} აქტანტთანაც სახელობითი ბრუნვის მრავლობითი რიცხვის ფორმებთან (დავწერ-**ენ იგინი**, დამწერ-**ნ**-ა **ჩუენ**, და-

გწერ-ნ-ა **თქუენ**...), თუმცა იგივე პირდაპირი ობიექტი ამ უნარს ველარ იჩენს მიცემით ბრუნვაში (I სერიაში), ანალოგიურ მდგომარეობაშია ირიბი ობიექტი, ისინი **ძველებურად** შემასმენელთან რიცხვში შეთანხმებას გამოხატავენ O^d აქტანტისა და O^{ind} აქტანტის მრავლობითობის აფიქსით (**მათ** ხატავს, **მათ** ხევდრების...). მაშასადამე, რიცხვში შეთანხმება პირმიმართ აქტანტებსა და შემასმენელს შორის ყოველთვის სავარაუდებელია, ოღონდ ურთიერთობის ფორმები იცვლება დიაქრონიულად: ცალმხრივი ნიშანდებიდან ენა გადადის ორმხრივ ნიშანდებაზე. ეს თვალსაზრისი ემყარება სისტემის რეკონსტრუქციას მოვლენის დინამიკის გათვალისწინებით: (ა) ძველი ქართულის მომდევნო პერიოდში, **ახალ ქართულში**, II და III ობიექტურ პირთა სიმრავლე გამოიხატება სპეციალური ნიშნით; (ბ) თუ დავუშვებთ, რომ II და III პირებში ძველმა ქართულმა დაკარგა ობიექტთა მიხედვით მრავლობით რიცხვში ნიშანდებული ფორმები, უნდა ავხსნათ რატომ და როგორ დაიკარგა მრავლობითის ნიშანდებული ფორმები ძველი ქართულის II და III პირებში და შემდეგ როგორ აღდგა ისევ უძველესი სისტემა. ამის პირობები არ ჩანს. მოვლენის დინამიკა გვიჩვენებს, რომ შემასმენლის ფორმაში სრული მორფოლოგიზება ირიბი ობიექტის სიმრავლისა ახალია — იგი ჩვენ თვალწინ განხორციელდა მიცემით ბრუნვაში დასმულ ობიექტთან, ამიტომ ჯობს ვიმსჯელოთ არა ირიბ ობიექტზე, არამედ მიცემით ბრუნვაში დასმულ ობიექტზე, რომელიც რიცხვის მიხედვით შემასმენელთან ერთსა და იმავე მიმართებას გვიჩვენებს, მიუხედავა იმისა, ობიექტი ირიბია თუ პირდაპირი.

წარმოვადგენთ მიცემით ბრუნვაში დასმულ ობიექტთა შემასმენელთან კავშირს ორივე რიცხვის მიხედვით სამ ჭრილში: რეკონსტრუირებულს ძველ ქართულამდე, ძველ ქართულში და ახალ ქართულში.

ძველქართულამდელი	**ძველი ქართული**
მე მევედრების–ჩუენ მევედრების	მე მევედრების – ჩუენ { მევედრების, გუევედრების
შენ გევედრების–თქუენ გევედრების	შენ გევედრების – თქუენ გევედრების
მას ხევედრების–მათ ხევედრების	მას ხევედრების – მათ ხევედრების

ახალი ქართული

მე მევედრება ~ **ჩვენ გვევედრება**

შენ გევედრება ~ **თქვენ გევედრებათ**

მას ევედრება ~ **მათ ევედრებათ**

დროის ვერტიკალურ ჭრილთა ჩვენების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: რიცხვის მიხედვით ცალმხრივი ნიშანდებიდან განხორციელდა ორმხრივი ნიშანდება მიცემითში დასმულ პირმიმართ აქტანტებსა და შემასმენელს შორის, ე. ი. მოხდა ორმხრივი ნიშანდება იმ სინტაქსური მიმართებისა, რაც წინადადებაში თავისთავად ივარაუდებოდა ცალმხრივი ნიშანდების დროსაც: **„მათ** ხევედრების“ — მართალია, ირიბი დამატების სიმრავლე შემასმენელში არ არის ნიშანდებული, მაგრამ თვით დამატების **„მათ**“ ფორმა უთუოდ ავარაუდებინებდა კომუნიკაციის მონაწილეს, რომ ქმედება, რაც ზმნით არის გამოხატული, ეხებოდა ყველას, ვინც „მათ“ ფორმაში მოიაზრებოდა, მაშასადამე, შეთანხმება რიცხვში ხორციელდებოდა ცალმხრივი ნიშანდებით. ვუწოდოთ ამას რიცხვში შეთანხმების ცალმხრივი ნიშანდება. ის, რომ შემდგომ მოხდა ორმხრივი ნიშანდება, არაფერს ცვლის რიცხვით ურთიერთობაში მიცემით ბრუნვაში დასმულ დამატებებსა და შემასმენელს შორის. ამ აზრს ისიც განამტკიცებს, რომ ორმხრივ ნიშანდებული რიცხვითი ურთიერთობები შეიძლება გადავიდეს ცალმხრივზე, თუ ამის პირობა შეიქმნება (იხ. ქვემოთ). საერთოდ, როდესაც სინტაგმის წევრებს ერთი და იგივე, ანუ საზიარო, კატეგორია აქვთ, მათ შორის თეორიულად მხოლოდ შეთანხმებაა სავარაუდებელი, რაც ენაში წარმოდგენილია ან ცალმხრივ ნიშანდებული მორფოსინტაქსური სახით, ან ორმხრივი (სრულად) მორფოსინტაქსური სახით. საძიებელია ის მიზეზები, რომელთაც (ა) ენა ცალმხრივ ნიშანდებული შეთანხმებიდან გადაიყვანეს სრულად მორფოლოგიზებულ (ორმხრივ) ნიშანდებაზე და (ბ), პირიქით, სრულად მორფოლოგიზებული (ორმხრივ ნიშანდებული) შეთანხმებიდან გადაიყვანეს ცალმხრივ ნიშანდებაზე. ა შემთხვევაში ახსნა უნდა მოეძებნოს შემასმენელში I პირის სიმრავლის უფრო ადრე ნიშანდებასაც II და III პირებთან შედარებით.

აქტანტთა სიმრავლის შემასმენლის ფორმაშიც ნიშანდება დიაქრონიულად უთუოდ დაკავშირებულია ქართული ზმნის მრავალპირიანობასთან. ზმნაში ხან ერთი აქტანტია მრ. რიცხვში, ხან — ორი, ზოგჯერ — სამივე. ძველი ქართული ახერხებდა S, O^d და O^{ind} აქტანტების სიმრავლის განსხვავებული ნიშნებით ერთდროულ გამოხატვასაც (S^p O^{indp} O^{dp}) განსაზღვრულ კომბინაციებში, მაგალითად: და-გუ-იწერ-ენ-ი-თ (S_2^p O_1^{indp} O_3^{dp}), სადაც სამივე პირმიმართი აქტანტის სიმრავლეა წარმოდგენილი: S_2^p (-თ), O_1^{indp} (გუ-) და O_3^{dp} (-ენ); პირთა ზოგი კომბინაციის გამოხატვა ძვ. ქართულს არ შეეძლო. მაგალითად, სადაც ზმნის ფორმაში ივარაუდებოდა კომბინაცია O_1^{ind} O_2^d და პირიქით... მიცემითში დასმული ობიექტის მრავლობითობის I პირში ნიშანდების მიზეზი (როცა არ იყო ნიშანდებული მრავლობითი რიცხვი II და III პირებში), ვფიქრობთ, არის ამ პირის სპეციფიკა: იგი, როგორც მოლაპარაკე, ცენტრალურ ადგილს იკავებს სუბიექტურ და ობიექტურ პირთა პარადიგმატულ სისტემებში — მოლაპარაკესთან მიმართებით ინაწილებენ პირებს (II თუ III?) სუბიექტები და ობიექტები თავ-თავის პარადიგმებში. I პირს, როგორც პარადიგმის დანარჩენ წევრთა ჩამოყალიბების ორიენტირს, უთუოდ ყოველთვის სდევდა თან შეგრძნება რიცხვისა — მოლაპარაკე ერთი იყო თუ ერთზე მეტი. ეს როლია განმაპირობებელი სხვა პირებზე ადრე I პირის ობიექტთა სიმრავლის ნიშანდებისა ზმნის ფორმაში. შევეხებით თვით სიმრავლის გამომხატველ ნიშანთა წარმომავლობასაც, რაც ჯერ კიდევ ადვილი დასანახია.

იმის გამო, რომ ზმნის ფორმაში პირთა მრავლობითობის გაგება დამოკიდებულია აქტანტთა სიმრავლეზე, მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად ზმნას ნიშანიც პირველ რიგში მათგან უნდა მიეღო — **აქტანტ სახელთაგან**. ეს ნიშნები: **-ენ**, **-ეთ**; **-ნ**, **-თ** (ლი-პარიტ-**ენ**-ი, ლიპარიტ-**ეთ**; ლიპარიტ-**ნ**-ი, ლიპარიტ-**თა**), ცნობილია, ჯერ სუბიექტს მიუღია, სუბიექტისგან კი ობიექტებსაც გადაუღიათ (წერ-**ენ** იგინი: S_3^p გამოხატულია -ენ სუფიქსით; შდრ. შთაწერ-ენ იგინი: O_3^{dp} გამოხატულია -ენ სუფიქსით). როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს იმის ანალოგიასთან, რაც პირის ნიშანთა ჩამოყალიბებისას მოხდა: იქ თავად ნაცვალსახელები მოიქცნენ პირის ნიშნებად, აქ კი

თავად აქტანტთა მრავლობითობის ნიშნები მოიქცნენ პირის სიმრავლის ნიშნებად. მეორე მხრით ისიც ნიშანდობლივია, რომ პოლიპერსონალურ ზმნურ ფორმაში პირისა და რიცხვის ნიშნების განმეორება სხვადასხვა პირთა მიერ, როცა ისინი განსხვავებულ კატეგორიებს ქმნიან, ჩვეულებრივია, კერძოდ: (1) სუბიექტური მეორე პირის ნიშნები სხვადასხვა პერიოდში {ხ-}, {ჰ-} და {ჰ-} /ჰ/ ~ /ს-/ ~ /შ/ ალომორფებით (ხანმეტ, ჰაემეტ და IX-X საუკუნეებიდან დღემდე) გამოიყენეს პირდაპირმა და ირიბმა ობიექტებმა III პირში; (2) სუბიექტის სიმრავლის **-თ** სუფიქსი I და II პირებში ჩვენ თვალწინ XV-XVII საუკუნეებიდან დაწყებული გამოყენებულ იქნა ორივე ობიექტის მიერ II და III პირებში. ამის პარალელურად დასავლურ დიალექტებში ორივე სახის ობიექტთა სიმრავლე სუბიექტური მესამე პირის სიმრავლის **-ენ** სუფიქსით გამოიხატა (**მათ** აქვენ; მან გააგიჟენ **ისინი**). აჭარულში **-ენ** ამ ფუნქციით შეიძლება **-ეს** სუფიქსმა შეცვალოს: დაელიეს „დაელია“ (გაუთავდათ). ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად ზუსტად ასეთი სახის მოდელია გამოყენებული მეგრულსა და ლაზურში: სუბიექტის სიმრავლის **-ეს** და **-ან** სუფიქსები განსაზღვრული წესების დაცვით გამოხატავენ ობიექტის სიმრავლეს. ძველი ქართული I პირის მრავლობით რიცხვში ერთიმეორის გვერდით „მეტყჳს ჩუენ“ და „გუეტყჳს ჩუენ“; ასევე „დამიდგინნა ჩუენ“ და „დაგჳდგინნა ჩუენ“ ფორმათა არსებობა ყოველთვის აყენებდა ინკლუზიური და ექსკლუზიური პირების დაპირისპირების ისტორიულად არსებობის საკითხს. ძველ ქართულში ეს დაპირისპირება არ იყო რეგულარული და არც პარადიგმატულ დაპირისპირებას ემორჩილებოდა; შემდეგ კი საერთოდ გაქრა მრავლობითი რიცხვის გაგებით მეტყჳს და დამიდგინნა „დაგვიქირავა“ ტიპის ფორმები.

როგორც ვნახეთ, (1) პირველი პირის ობიექტის რიცხვი გარკვეულ პერიოდში მხოლოდ აქტანტის ფორმაში გამოიხატებოდა (**ჩუენ** მხატავს, **ჩუენ** მევედრების). ამ დროს არ ივარაუდება გუხატავს (ჩუენ), გუევედრების (ჩუენ) მრავლობითი რიცხვის ფორმები, ბუნებრივია, არც ინკლუზიურ-ექსკლუზიური დაპირისპირება იქნებოდა; (2) მეორე პერიოდში I პირის ობიექტებს მრავლობითი რიცხვის ნიშანი ზმნაშიც უჩნდება: ძველ „მხატავს“ (ჩუენ) ფორმას გვერდით

დაუდგა „გუხატავს“ (ჩუენ). ეს ვითარება გარდამავალ პერიოდს ეკუთვნის (საქმე გვაქვს ენობრივ სიჭარბესთან), რაც იმით დასრულდა, რომ ახლად გაჩენილმა **გუ-** პრეფიქსმა დაიმკვიდრა მრავლობითი რიცხვი, **მ-** პრეფიქსიანმა ფორმებმა კი ობიექტი **მხოლოდ** მხოლობით რიცხვში გამოხატეს. წარმოდგენილი ვარაუდის საფუძველს ისიც ქმნის, რომ (1) ქართულ ენაში ინკლუზიურ და ექსკლუზიურ ფორმათა დაპირისპირება არასოდეს ყოფილა სუბიექტური წყობის ზმნებში; (2) ობიექტთა სიმრავლის ნიშანდება ზმნის ფორმაში გვიანდელია, ქართველური ენები, მართალია, საერთო მოდელით, მაგრამ თავ-თავის სისტემებს ერთიმეორისგან დამოუკიდებლად ქმნიან.

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობიდან კარგად ჩანს, რომ შეთანხმება მრავლობით რიცხვში მიცემით ბრუნვაში დასმულ დამატებებსა და შემასმენელს შორის ძველ ქართულშიც ისევე იყო, როგორც დღეს გვაქვს. განსხვავებას ამ იდენტურ სინტაქსურ ურთიერთობაში ქმნის მხოლოდ მორფოლოგიზების ხარისხი: ძველ ქართულში ის გამოხატულია მხოლოდ სახელთა ფორმებით — ცალმხრივ ნიშანდებული შეთანხმებით, ახალ ქართული კი როგორც სახელის, ისე ზმნის ფორმით — ორმხრივ ნიშანდებული შეთანხმებით. ობიექტთა მრავლობით რიცხვში ნიშანდების მიხედვით სერიოზული ცვლილებები მოხდა სამწერლობო ქართულში: (1) ძვ. ქართული {-ენ} მორფემა /-ენ/ ~ /-ნ/ ალომორფებით, რომელიც მხოლოდ სახელობით ბრუნვაში დასმული პირდაპირი დამატების ნიშნად გვხვდებოდა, შეცვალა სუბიექტისეულმა **-თ** სუფიქსმა; (2) **-თ** იმავე ობიექტს მიცემით ბრუნვაშიც გაუჩნდა: დაგმალავ-**თ** (**თქვენ** მე); (3) **-თ** საერთოდ გავრცელდა მიცემით ბრუნვაში დასმული ყველა ობიექტის ნიშნად მრავლობით რიცხვში, მიუხედავად იმისა, პირდაპირია ის თუ ირიბი ობიექტი. მაგალითი ირიბი ობიექტისთვის: გეფერება-**თ** (**თქვენ** ის).

მიცემით ბრუნვაში დასმულ ობიექტთა სიმრავლის გამოსახატავად **-თ** მორფემის ჩასმამ ზმნის აბსოლუტურ ბოლოში წარმოქმნა ფონემატური სიძნელეები, რადგან პაუზის წინ და მომდევნოდ /თ/ ბუნებრივი არ არის ნებისმიერი თანხმოვნის მომდევნოდ; ამას, ბუნებრივია, მოჰყვა მორფონოლოგიური ცვლილებები: არაბუნებრივი

კომპლექსები წარმოიქმნა S_3-ის **-ს** სუფიქსის მოდევნოდ და S_3^P-ის **-ენ ~ -ან ~ -ეს** სუფიქსების მომდევნოდ, განსაკუთრებით სუბიექტის სიმრავლის გამომხატველი **-თ** სუფიქსის მომდევნოდ.

ობიექტურ პირთა სიმრავლის აღსანიშნავად **-თ** სუფიქსის შემოღების შემდეგ **მოსალოდნელი იყო** ასეთი ფორმები: გაქებს-**თ** (**თქვენ** ის), გაქებენ-**თ** (**თქვენ** ისინი), გეხმარებიან-**თ** (**თქვენ** ისინი), დაგხატეს-**თ** (**თქვენ** მათ; შდრ. დაგხატა-**თ თქვენ** მან), გესალმები-**თ-თ** (**თქვენ ჩვენ**; შდრ. გესალმები-**თ** თქვენ მე).

ამათგან ზოგი ფორმა იყო კიდეც სამწერლობო ქართულში, ზოგიც დღესაც ჩვეულებრივია დიალექტებისთვის. ესენია: გაქებს**თ** (**თქვენ** ის) და გიყვარს**თ** (**თქვენ** ის) ტიპის ფორმები. ასეთი ფორმები სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ჰქონდა ქართულ მწერლობას, მათ აკაკისა და ილიას თხზულებებშიც ვხვდებით; სავსეა ასეთი ფორმებით ანტონ I პარადიგმები, მანამდე კი მათ შევხვდებით იტალიელ მისიონერთა და სულხან-საბა ორბელიანის ტრაქტატებში; ამჟამად შემორჩენილია არქაულ დიალექტებში.

არქაულ დიალექტებში (ხევსურულში, თუშურში, მოხეურსა და ფშაურში) დასტურდება გეფერებიან**თ**, გაქებენ**თ** ($S_3^P\ O_2^{indp}$, $S_3^P\ O_2^{dp}$). პაუზის წინ /ნ-თ/ კომბინაცია ძველ ქართულშიც იქმნებოდა, როცა ერთიმეორეს ხვდებოდა პირდაპირი ობიექტის **-ენ** სუფიქსი და სუბიექტის სიმრავლის **-თ** სუფიქსი (დაგმალ-ენ-ი-თ). იმის გამო, რომ სონორი ხშულის (საერთოდ ჩქამიერ თანხმოვნის) წინ პაუზის წინა პოზიციაში და მომდევნოდ არ არის ბუნებრივი, მათ შორის ჩნდებოდა თანხმოვანთგამყარი **ი** ძლიერი პოზიციის შესაქმნელად, მთის დიალექტებში კი ეს მორფემები თანხმოვანთგამყარი ხმოვნის გარეშეც გვხვდება (იმარჯვებს მორფოლოგიური მოთხოვნა): დაგმალენთ, დავმალენთ და სხვ.

მორფონოლოგიური ცვლილება სამწერლობო ქართულსა და დიალექტებში თვით **-თ** სუფიქსსაც შეეხო — იგი ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი ფონემატური შეუთავსებლობის გამო: ერთი მხრით გვაქვს „გესალმები**თ** მე **თქვენ**“ სადაც **-თ** სუფიქსი ობიექტის სიმრავლეს გამოხატავს, მეორე მხრით, გვაქვს „გესალმებით **ჩვენ** შენ“, სადაც **-თ** სუბიექტის სიმრავ-

ლეს გამოხატავს, მაგრამ — „გესალმებით **ჩვენ თქვენ**“ წინადადებაში ერთ-ერთი აქტანტის სიმრავლე ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი, რადგან იდენტური გამოხატულების ორი აფიქსი ქართულში არასოდეს ყოფილა წარმოდგენილი ერთიმეორის გვერდით, მაშინ როცა შეიძლება იდენტურ ფონემათა კომბინაცია აფიქსთა და ძირეულ მორფემათა საზღვარზე (მაგ., ძვ. ქართულის ხ-ხედავ, თას-ს და ა. შ.). ზემოთ მითითებული აკრძალვის საფუძველზე გესალმებით (ჩვენ თქვენ) ფორმაში მოსალოდნელი ორი **-თ** სუფიქსის ადგილზე (*გესალმებითთ), გვაქვს ერთი, რაც გრამატიკულად ასე ჩაიწერება: გესალმები-თ-Ø (ან გესალმები-Ø-თ).

ნულოვანი ალომორფი მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეებზე გრამატიკული ძალით ტოლფასია მატერიალური ნიშნით გამოხატული მისი ვარიანტისა. ამის გამო მიუღებელია რიგი დებულებები, რომლებიც გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ: (1) არნ. ჩიქობავა სამპირიან აქტივთა მეორე სერიაში პირდაპირ ობიექტს მეორე სერიაში მიიჩნევს „უმცირეს კოორდინატად“, რადგან ზმნის ფორმაში ეს ობიექტი მხოლოდ რიცხვის ნიშნით არისო წარმოდგენილი („დამიწერნა მან მე წიგნნი“). მხედველობაში არ არის მიღებული ამავე მწკრივის სხვა ფორმები, მაგალითად, როგორიცაა: შემწირნა // შეგუწირნა მან ჩუენ მას“. ამ წინადადებაში პირდაპირი ობიექტი პირცვალებადია, აქვს როგორც პირის ნიშანი (**შ-** // **გუ-**), ისე რიცხვის სიმრავლის ნიშანი (**-ნ**), რის გამოც არნ. ჩიქობავას კოორდინაციის თეორიის მიხედვით ამ სამპირიან ზმნაში პირდაპირი ობიექტი უთუოდ დიდ კოორდინატად უნდა მივიჩნიოთ. ირიბ დამატებასა და შემასმენელს შორის მრავლობით რიცხვში ცალმხრივ ნიშანდებული ურთიერთობა ასევე შეთანხმებად ჩაითვლება („შეგწირა მან თქუენ იგი“), რადგან ზმნური ქმედება ეხება ყველას, ვინც „თქუენ“ ფორმაში მოიაზრება; სწორედ ამიტომ გვიან (ახალ ქართულში) შემასმენელშიც გაჩნდა ირიბი ობიექტის სიმრავლის გამომხატველი ნიშანი: „შეგწირათ **თქვენ** მან იგი“ და გარკვეულ მიზეზთა გამო ენა გადავიდა ამ ურთიერთობის ორმხრივ ნიშანდებაზე (იხ. ზემოთ). (2) ა. შანიძის დებულებაზე დაყრდნობით „ქართული ენის სინტაქსში“ ლ. კვაჭაძე მსჯელობს დამატებათა შემასმენელთან რიცხვში შეთანხმებაზე; აქ

ასეთი დებულებებია: „მეორე პირის ფორმასთან ირიბი დამატების მრავლობითობა ზმნაში შეიძლება აღინიშნოს, შეიძლება არა: ირიბი დამატების მრავლობითობა აღინიშნება, თუ შემასმენელი არ არის ქვემდებარესთან მრავლობით რიცხვში შეთანხმებული: გესალმებით მე **თქვენ**, გესალმებათ იგი **თქვენ**. თუ შემასმენელი შეთანხმებულია ქვემდებარესთან მრავლობითში, ირიბი დამატების მრავლობითობა ზმნის ფორმაში აღარ აღინიშნება: გესალმებით **ჩვენ** თქვენ, გესალმებიან **ისინი** თქვენ...“ (1996, გვ. 134). აქ „აღინიშნება“ შეთანხმებასაც ნიშნავს, ამდენად საქმე გვაქვს ნიშანდებულ მორფოლოგიურ მიმართებათა მიხედვით „სინტაქსური მექანიზმის“ აღწერასთან. მხედველობაში არ არის მიღებული ნიშანთა ნულოვანი ვარიანტები, რაც გამოიყვანება ზოგადი მიმართებიდან მორფონოლოგიურ ცვლილებათა გათვალისწინებით.

ზოგადი მიმართება წარმოადგენს პირმიმართ აქტანტთა ზმნასთან ურთიერთობის ფორმულას: ზმნაში ერთდროულად აღინიშნება როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის სიმრავლე, მაგ.: **გვ**-ესალმები-**თ** (ჩვენ თქვენ), **გვ**-ესლმები-**ან** (ჩვენ ისინი). აქ წარმოდგენილია ისეთი კომბინაციები, სადაც აქტანტთა სიმრავლის გამომხატველი აფიქსები პოზიციურად დაცილებულია — ერთი პრეფიქსია, მეორე — სუფიქსი და ფონემატური წინააღმდეგობები არ წარმოიქმნება. ეს მიმართება საყოველთაოა ქართულში: ძველი ქართულიდან მოყოლებული ზმნის ფორმაში ბუნებრივია S^p და O^p წევრთა განსაზღვრული კომბინაციების მრავლობით რიცხვში ერთდროული გამოხატვა. თუ ეს მატერიალურად არ ჩანს, ამის მიზეზი ან სინტაქსური ურთიერთობის სპეციფიკაა — აქტანტის მრავლობითი რიცხვი შემასმენელსაც მასთან მიმართებით მრავლობით რიცხვში აყენებს ავტომატურად, ან განხორციელებული მორფონოლოგიური პროცესის შედეგია. ქართულ ენაში დიაქრონიული ჭრილების მიხედვით ერთიც გვაქვს და მეორეც.

ჯერ სინტაქსური სპეციფიკის შესახებ: ძვ. ქართული „**შესწირა** მან **მათ** იგი“ წინადადებაში თუ შემასმენელსა და ირიბ დამატებას შორის რიცხვში შეთანხმებას არ ვივარაუდებთ, მაშინ მათი ურთიერთობა მართვად ან მირთვად უნდა მიგვეჩნია, რაც დაუშვებელია, რადგან (1) მირთვა შეუძლებელია, როცა სინტაგმას ფორმაცვა-

ლებადი წევრები ქმნიან; (2) მართვა კი იმით არის გამორიცხული, რომ სინტაგმის წევრებს ერთი და იგივე კატეგორია (რიცხვი) აქვთ და შეთანხმების გარდა სხვა ურთიერთობა გამორიცხულია (იხ. ზემოთ). ამის დასტურია ისიც, რომ პირველ პირში უკვე ძველ ქართულშივე მატერიალური სახითაც გამოიხატა შეთანხმება — „შე-**გუ**წყრა მან **ჩუენ** იგი“.

რაც შეეხება მორფონოლოგიურ ცვლილებებს, ამის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა „გესალმებით (ჩვენ თქვენ“) ფორმასთან დაკავშირებით, რაც გრამატიკული ჩაწერით ასე გამოვხატეთ: გესალმები-თ-Ø (ან გესალმები-Ø-თ), სადაც ნულოვანი ალომორფი ფონემატური სისტემის დაწოლის შედეგია და არა მორფოსინტაქსური მოთხოვნილებისა. მიზეზად დასახელდა მორფონოლოგიური წესი, რომლის მიხედვითაც ქართულ ენაში გამორიცხულია გესალმებით ტიპის ფორმა, სადაც ბოლო **-თ-თ** ფლექსიური ელემენტებია. მაშასადამე, თანამედროვე ქართულის „გესალმებით ჩვენ თქვენ“ წინადადებაში შემასმენელი რიცხვში უთანხმდება როგორც სუბიექტს, ისე ობიექტს.

რაც შეეხება „გესალმებიან იგინი თქვენ“ წინადადებაში შემასმენლისა და ირიბი დამატების ურთიერთობას რიცხვში, აქაც ნულოვანი ალომორფი გამოხატავს ირიბი დამატების მრავლობითობას (გესალმები-ან-Ø იგინი **თქვენ**), რაც მთის კილოებში მატერიალურადაც ხორციელდება, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი არ გაურბიან /ნ-თ/ კომბინაციას პაუზის წინ: გესალმებიანთ ჩვეულებრივი ფორმაა ამ დიალექტებისთვის:

„... წარბნ გიგვანანთ მშვილდის მალიკსა, მაზინებთ-მადგებიანა,
თვალნი ბუსლომას მიგიგვანთ, შიგ ქორნი ბუდობდიანა...
უელ გიგავთ ღვინის ჭურჭელსა, ღვინონიმც ჩადგებიანა!“ (74, 346)

ამ ლექსში ერთიმეორის გვერდით წარმოდგენილია, ერთი მხრივ, მრავლობითში დასმული სუბიექტების — (წარბნი, თვალნი) **-ან** სუფიქსი და, მეორე მხრივ, მიცემით ბრუნვაში დასმული ობიექტის (თქვენ) სიმრავლის **-თ** სუფიქსი: გიგვ-**ან-თ**, მიგიგვ-**ან-თ**. ამათ გვერდით არის მხოლობით რიცხვში დასმული სუბიექტის (უელი) გვერდით მიცემით ბრუნვაში დასმული ობიექტის სიმრავლის **-თ** სუფიქსი: გიგავ-**თ** (< გიგავსთ; შდრ. თუშ. გიგავისთ „გი-

გავთ“. პაუზის წინ /ვს/ კომბინაცია არაბუნებორივია, ამიტომ მთის კილოებში ჩვეულებრივია -ავ თემის ნიშნის მომდევნოდ -**ს** (S_3) ნიშნის დაკარგვა: უგავ, უკიდავ, ხკიდავ... ტიპის სტატიკურ ფორმებში. თუშურში S_3-ის -**ს** შეიძლება გადაარჩინოს თანხმოვანთგამყარმა **ი** ხმოვანმა: უკიდავის, ხკიდავის, ღგავის და სხვ.).

ნაშრომის ძირითადი დებულებაა: მრავლობით რიცხვში დასმულ აქტანტთა შეთანხმება ზმნასთან ამ კატეგორიის მიხედვით მუდამ სავარაუდებელია ქართულ ენაში, რადგან რიცხვის გაგება ზმნაში შეაქვს აქტანტებს. აქტანტთა შეთანხმება ზმნასთან რიცხვში შეიძლება იყოს ცალმხრივ ნიშანდებული — მატერიალურად რიცხვის ნიშანი აქტანტს გამოეხატება (მათ ესმის), ან — ორმხრივ ნიშანებული (ჩუენ გუ-ესმის). წამოყენებულია დებულება, რომ რიცხვში ცალმხრივ ნიშანდებული შეთანხმება აქტანტებსა და ზმნას შორის უძველესია, ორმხრივ ნიშანდება — შედარებით გვიანდელი. ძველ ქართულში უკვე ჩამოყალიბებულია რიცხვში ორმხრივ ნიშანდებული შეთანხმება სუბიექტსა და ზმნას შორის, პირდაპირ ობიექტსა და ზმნას შორის II სერიაში. ძველ ქართულშივე დაიწყო მიცემით ბრუნვაში დასმული დამატებისა და ზმნის მრავლობით რიცხვში ორმხრივი ნიშანდება I პირის ფორმებში (**ჩუენ გუ**-ესმის), რასაც შემდეგ მოჰყვა რიცხვის ნიშანდება ზმნის II და III პირებშიც (**თქვენ** გესმით, **მათ** ესმით). თანამედროვე ქართულში ორმხრივი ნიშანდება მრავლობით რიცხვში ზმნისა და მისი აქტანტებისა დამთავრებულია, ოღონდ ზმნათა ფორმებში ფონემატური მიზეზებით ნულოვანი ალომორფებიც ჩნდება, რაც უთუოდ უნდა აისახოს რიცხვში შეთანხმების სინტაქსურ დებულებებში როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულზე მსჯელობის დროს. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ენის ზოგ დიალექტში სამწერლობო ენის ნულოვანი ალომორფი მატერიალურად არის წარმოდგენილი („გესალმები-ან-Ø ისინი **თქვენ**“; შდრ. დიალ. „გესალმები-ან-**თ** ისინი **თქვენ**“). მორფოსინტაქსური ურთიერთობა რიცხვის კატეგორიის მიხედვით ძველსა და თანამედროვე ქართულში იდენტურია, ცვლილება ნაწილობრივ შეეხო გამოხატულების პლანს: ახალ ქართულში დამთავრდა რიცხვში შეთანხმების ორმხრივი ნიშანდება ზმნასა და აქტანტებს შორის.

ორმხრივ ნიშანდებულ ურთიერთობათა გადასვლა ცალმხრივ ნიშანდებაზე

(საზღვრული და მსაზღვრელი)

დიაქრონიულ ასპექტში შესაძლებელია როგორც ცალმხრივ ნიშანდებულ ურთიერთობათა გადასვლა ორმხრივ ურთიერთობაზე სინტაგმის ფარგლებში, ისე ორმხრივ ნიშანდებულ ურთიერთობათა ცალმხრივ ნიშანდებაზე გადასვლა.

ქართულ ენაში ბრუნება და რიცხვი მორფოსინტაქსური კატეგორიებია. ისინი, ერთი მხრით, სუბსტანტივთა (პოტენციურ საზღვრულთა) მახასიათებლებია, მეორე მხრით, ადიექტივთა (პოტენციურ მსაზღვრელთა) მახასიათებლებიც არიან. ენაში ხდება როგორც სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა სუბსტანტივაცია, ისე ადიექტივაცია და, შესაბამისად რიგისა, ისინი ასრულებენ არსებით და ზედსართავ სახელთა ფუნქციებს.

მორფოსინტაქსურ ცვლილებათა თვალსაზრისით საყურადღებოა ორმხრივ ნიშანდებულ სინტაქსურ ურთიერთობათა გადასვლა ცალმხრივ ნიშანდებულზე. ქართულ ენაში ეს ისტორიულად განხორციელდა საზღვრულისა და მსაზღვრელის ურთიერთობაში ბრუნებისა და რიცხვის კატეგორიების მიხედვით.

შეთანხმების სინტაქსური ურთიერთობა მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის უცვლელად რჩება ყველა დროში, იცვლება მხოლოდ ფორმალურ-მატერიალური მხარე ძირითადად ნულოვანი ალომორფების ხარჯზე, რაც უკავშირდება მსაზღვრელი წევრის ბლოკირებას წინადადებაში.

ბლოკირება წინადადების ფარგლებში მისი რომელიმე წევრის ისეთი კავშირია კონკრეტულად განსაზღვრულ მეორე წევრთან, როდესაც პოზიციით ან პარადიგმატული ცვლილების შეწყვეტის გზით ანალოგიური კავშირის შესაძლებლობა გამორიცხულია წინადადების სხვა წევრთან.

ნულოვანი ალომორფები კი წარმოიქმნება როგორც მორფონოლოგიური, ისე მორფოსინტაქსური მიზეზებით. ორსავე შემთხვევაში ამა თუ იმ კატეგორიის ნიშანი მატერიალურად იკარგება ისე, რომ სიტყვათა ფორმები გრამატიკულ ურთიერთობაში დაკარგულ ნიშანთა ფუნქციას ინარჩუნებენ.

მატერიალურ ნიშანთა დაკარგვა მორფონოლოგიური ცვლილებების დროს ხდება ფონემატური წესების ზემოქმედებით, მორფოსინტაქსური ცვლილებების დროს კი — წინადადების წევრი სიტყვების ბლოკირებით.

განვიხილოთ მსაზღვრელი წევრის ბლოკირება. უპირველეს ყოვლისა, აპრიორული დებულებაა: მსაზღვრელს არა აქვს საკუთარი რიცხვი, ბრუნვა და სქესი. მსაზღვრელი ფორმალურად მუდამ იმ ბრუნვასა და რიცხვშია, რომელშიც არის საზღვრული, მიუხედავად იმისა, ბრუნვის ან რიცხვის ნიშანი მატერიალურად იგივე ექნება მსაზღვრელს, რაც საზღვრულს, თუ საერთოდ არ ექნება ან სულაც სხვა ნიშანი ექნება. არ ვმსჯელობთ სქესზე, რადგან სახელებს ქართულ ენაში ეს კატეგორია არ ახასიათებს.

აპრიორული მიმართებები, რომელთაც ზემოთ შევეხეთ, გენეტიკურად არის ჩადებული მსაზღვრელის საზღვრულთან ურთიერთობაში, რათა თვისება არ დასცილდეს მის მატარებელს, ე. ი. არ მოხდეს მსაზღვრელის განკუთვნება იმ საზღვრულისთვის, რომლისთვისაც ის არ იყო ნავარაუდები, მაგალითად, თუ მსაზღვრელი **მაღალი** წინადადებაში მოხვდება ორ სუბსტანტივს შორის (ანუ პოტენციურ საზღვრულებს შორის), როგორიცაა, მაგალითად, გოგო და ბიჭი. იგი აღმოჩნდება სადავო პოზიციაში, რადგან ამ მსაზღვრელს („მაღალი") შეუძლია სინტაქსური კავშირის დამყარება (ანუ სინტაგმის შექმნა), როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ მდგომ სუბსტანტივთან: „გოგო მაღალ ბიჭს ეძახის" (1) და „გოგომ მაღალმა ბიჭს დაუძახა" (2). მეორე წინადადება თავისი წყობით შედარებით იშვიათია, მაგრამ სრულიად კანონიერია (გავიხსენოთ ა. ყაზბეგის ლექსი: „გოგომ ლამაზმა, მცინარმა წუღები შემიკერაო"). აქედან ამოსვლით შეიძლება ორი წინადადება მივიღოთ: „გოგომ ლამაზმა... წუღები შემიკერა" (3) და „გოგომ ლამაზი... წუღები შემიკერა" (4).

განსხვავება, ერთი მხრივ, პირველსა და, მეორე მხრივ, მეორე, მესამე და მეოთხე წინადადებებს შორის ის არის, რომ მსაზღვრელი პირველ წინადადებაში ბრუნვის მატერიალური ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი, დანარჩენ სამ წინადადებაში (მე-2, მე-3, მე-4) კი ბრუნვის ნიშნები მატერიალურად შენარჩუნებულია.

დგება კითხვა: სინტაქსური თვალსაზრისით რა განსხვავებაა მსაზღვრელისა და საზღვრულის ურთიერთობაში პირველ და დანარჩენ წინადადებებს შორის?

კითხვაზე სწორი პასუხის გაცემისთვის გასათვალისწინებელია, რომ არსებობს არასადავო პოზიციაც, **როცა მსაზღვრელი განეკუთვნება მხოლოდ ერთ კონკრეტულ საზღვრულს**. ასეთი იყო და არის პოზიცია წინადადების დასაწყისში საზღვრულის წინ: **„მაღალი გოგო** ბიჭს ეძახის“ (5). ამ პოზიციაში მსაზღვრელი მხოლოდ მომდევნო საზღვრულს განეკუთვნება. ეს ბუნებრივია, რადგან მსაზღვრელს წინ (მარცხნივ) სხვა სუბსტანტივი (პოტენციური საზღვრული) არ უძღვის; ეს მსაზღვრელი მომდევნო საზღვრულსაც ვერ გადაახტება, რომ ამ გზით წინადადების შიგნით სხვა სუბსტანტივის მსაზღვრელობა შეძლოს. სადავო აღარა რჩება რა: ამ პოზიციაში მსაზღვრელი მიჯაჭვულია მომდევნო საზღვრულზე; ასეთ მსაზღვრელს, რომელიც კონკრეტულ საზღვრულზე პოზიციურად არის მიმაგრებული, როგორც ზემოთ ვთქვით, ვუწოდებთ ბლოკირებულ მსაზღვრელს.

მსაზღვრელის ბლოკირების სხვადასხვა გზები არსებობს. ერთი ის არის, რომელზეც ზემოთ ვთქვით — პრეპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი წინადადების დასაწყისში. ამ პოზიციაში ჩამოყალიბდა ურთიერთობა, რომელიც მსაზღვრელ-საზღვრულთან მოქმედებს სხვა პოზიციაშიც (იხ. ქვემოთ).

ენაში არსებობს კიდევ **სუბსტანტიური მსაზღვრელი**, რომელიც ახალ ქართულში დელიმიტაციური -ა სუფიქსით პოსტპოზიციაშიც ბლოკირებული გახდა მის წინ (მარცხნივ) მდგომი საზღვრულის მიერ. ძველ ქართულში ეს მსაზღვრელი ბრუნვის ნიშნის გარეშე არაბლოკირებული იყო, ე. ი. შეიძლებოდა გამხდარიყო როგორც წინ მდგომი სუბსტანტივის მსაზღვრელი, ისე მომდევნო სუბსტანტივისა. პირობით ავიღოთ ასეთი წინადადება

„წიგნი **მეზობლისა** ნათესავს მივეც“ (6). „მეზობლისა“ ამ გარემოცვაში შეიძლება მივიჩნიოთ (ა) „წიგნი“ სუბსტანტივის მსაზღვრელად ან (ბ) „ნათესავსა“ სუბსტანტივის მსაზღვრელად. გაუგებრობის ასაცილებლად ძველი ქართული ასეთ მსაზღვრელს ბრუნვის ნიშნით უთანხმებდა იმ სუბსტანტივს, რომლის მსაზღვრელადაც მიიჩნევდა მას: (ა) „წიგნი მეზობლისაჲ ნათესავსა მივეც“ (6ა) და (ბ) წიგნი მეზობლისასა ნათესავსა მივეც“ (6ბ). გაუგებრობა გამორიცხული იყო.

ახალ ქართულში, ძველი ქართულისგან განსხვავებით, **-ა სუფიქსი დელიმიტაციურ ელემენტად იქცა**, ჩაკეტა კონსტრუქცია და ასეთი მსაზღვრელი მხოლოდ წინ (მარცხნივ) მდგომ სუბსტანტივს განეკუთვნება: „წიგნი მეზობლისა / ნათესავს მივეცი“ (7). ახალ ქართულში ბუნებრივია „წიგნი მეზობლისა“, მიუღებელია „მეზობლისა ნათესავს“ სინტაგმა (მაგალითად, მიუღებელია „მეზობლისა ნათესავს ველოდები“, კანონიერია „მეზობლის ნათესავს ველოდები“).

ნათლად გამოჩნდა, რომ მსაზღვრელის ბლოკირება იწვევს მის გადასვლას ნულოვან დაბოლოებაზე, რომლის ფუნქცია განისაზღვრება საზღვრულის ბრუნვის ნიშნის ფუნქციით. მსაზღვრელის მიჯაჭვამ კონკრეტულ საზღვრულზე ენას მისცა ამ ეკონომიის საშუალება.

თუ ძველ ქართულში პრეპოზიციური ატრიბუტული და პოსტპოზიციური სუბსტანტიური მსაზღვრელი მატერიალურად **უთუოდ** უნდა შესთანხმებოდა საზღვრულს, ახალ ქართულში ბლოკირების საფუძველზე ამ მსაზღვრელებს ყველა ბრუნვაში შეუძლიათ ნულოვანი ალომორფით ფუნქციონირება:

	ძველი ქართული		ახალი ქართული	
სახ.	მცირე-ჲ	ტჯრთ-ი	მცირე-Ø	ტვირთ-ი
მოთხ.	მცირე-მან	ტჯრთ-მან	მცირე-Ø	ტვირთ-მა
მიც.	მცირე-სა	ტჯრთ-სა	მცირე-Ø	ტვირთ-ს
ნათ.	მცირ-ისა	ტჯრთ-ისა	მცირე-Ø	ტვირთ-ის
მოქ.	მცირ-ითა	ტჯრთ-ითა	მცირე-Ø	ტვირთ-ით
ვით.	მცირე-დ	ტჯრთ-ად	მცირე-Ø	ტვირთ-ად

	ძველი ქართული		ახალი ქართული	
სახ.	ძე-ჲ	კაცისა-ჲ	ძე-Ø	კაცისა-Ø
მოთხ.	ძე-მან	კაცისა-მან	ძე-მ	კაცისა-Ø
მიც.	ძე-სა	კაცისა-სა	ძე-ს	კაცისა-Ø
ნათ.	ძ-ისა	კაცისა-ჲსა	ძ-ის	კაცისა-Ø
მოქ.	ძ-ითა	კაცისა-ჲთა	ძ-ით	კაცისა-Ø
ვით.	ძე-დ	კაცისა-(დ)	ძე-დ	კაცისა-Ø

ახალ ქართულში სუბსტანტიურ მსაზღვრელიან სახელთა ბრუნებაში ჯერ კიდევ მოქმედებს ძველი ქართულის წესი მსაზღვრელის გაფორმებაში და ნორმადაც ის არის მიჩნეული: ძე-მ კაცისა-მ (შდრ. ძვ. ქართ. ძე-მან კაცისა-მან), ძე-ს კაცისა-ს (შდრ. ძვ. ქართ. ძე-სა კაცისა-სა)... მაგრამ ახალ ქართულს ამ წესით ბრუნებაში **ველარ ეწარმოება** ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვათა სუბსტანტიურმსაზღვრელიანი ფორმები, ფარდი ძისა კაცისაჲსა და ძითა კაცისაჲთა სინტაგმებისა.

ნულოვანალომორფიანმა პოსტპოზიციურმა სუბსტანტიურმა მსაზღვრელმა აღნიშნული ნაკლი გამოასწორა, დღეს ბუნებრივია ასეთი წინადადებები: „ძისა კაცისა გვაქვს ჩვენ იმედი“ და „ძითა კაცისა ვამაყობთ ყველა“.

უნდა ითქვას, რომ სუბსტანტიურმსაზღვრელიან სინტაგმებში უკვე ძველი ქართული იყენებდა ნულოვან ალომორფებს.

უძველესი (ძველქართულამდელი) სახეობა ამ ტიპის მსაზღვრელისა ძველ ქართულში სპორადულად ჯერ კიდევ შემორჩენილია, მაგ.:

სახ.	კაცისა-ჲ	ძე-ჲ
მოთხ.	კაცისა-მან	ძე-მან
მიც.	კაცისა-სა	ძე-სა
ნათ.	კაცისა-ჲსა	ძ-ისა
მოქ.	კაცისა-ჲთა	ძ-ითა
ვით.	კაცისა-(დ)	ძე-დ

ბლოკირებული სუბსტანტიური მსაზღვრელი ძველ ქართულში ძირითადად უკვე ნულოვანი დაბოლოებებით არის წარმოდგენილი:

სახ.	კაცისა-Ø	ძე-ჲ
მოთხ.	კაცისა-Ø	ძე-მან
მიც.	კაცისა-Ø	ძე-სა
ნათ.	კაცისა-Ø	ძ-ისა
მოქ.	კაცისა-Ø	ძ-ითა
ვით.	კაცისა-Ø	ძე-დ

ბლოკირებული სუბსტანტიური მსაზღვარელის სწორედ ამ ტიპის ბრუნება გახდა ამოსავალი შემდგომ ყველა ტიპის ბლოკირებულ მსაზღვრელთათვის.

რაც შეეხება პოსტპოზიციურ სუბსტანტიურ მსაზღვრელს, როგორც ზემოთ ითქვა, მატერიალური გაფორმების თვალსაზრისით დიდი განსხვავებაა ძველ ქართულსა და ახალ ქართულს შორის.

ძველ ქართულს არა ჰქონდა დელიმიტაციის -ა სუფიქსი, ამიტომ ამ მოდელს ვერ იყენებდა პოსტპოზიციურ სუბსტანტიურმსაზღვრელიან სინტაგმაში, ახალ ქართულში კი ის ფართოდ არის გავრცელებული: გარდა ფორმაცვალებადი სიტყვებისა, ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილებთანაც ვხვდებით დელიმიტაციის -ა სუფიქსს, ასე მაგალითად: ბუნებრივია სინტაგმები: „გუშინ **დაწერა**“ და „გუშინა წერა“, მაგრამ დაუშვებელია „გუშინა **დ** აწერა“, რადგან **ზმნისწინიც**, დასაწყისი ზმნური ფორმებისა, **დელიმიტაციური ელემენტია** და თავის წინ ვერ აიტანს მეორე სასაზღვრო ელემენტს (-ა სუფიქსს); ასევე ბუნებრივია „არ **დაწერს**“, დაუშვებელია „არა **დაწერს**“ და სხვ.

რაც შეეხება ატრიბუტული მსაზღვრელისა და საზღვრულის შეთანხმებას რიცხვში. აქაც ქართული ენა **-თ(ა)** სუფიქსიან სინტაგმებში ორმხრივ ნიშანდებული ურთიერთობიდან გადავიდა ცალმხრივზე პრეპოზიციური მსაზღვრელის ბლოკირების შედეგად: ძველ ქართულში გვქონდა

„დიდთა საქმეთა“, არ შეიძლებოდა დიდ საქმეთა“, რაც ახალ ქართულში ბუნებრივია.

მსაზღვრელის ბლოკირება ამ შემთხვევაშიც დაიწყო წინადადების დასაწყისში, სადაც საზღვრულის წინ (მარცხნივ) მდგომი მსაზღვრელი მიჯაჭვულია მომდევნო ერთადერთ საზღვრულზე და ამიტომ შეუძლია გადავიდეს ბრუნვისა და რიცხვის ნულოვან ვარიანტებზე. ამანვე შეაპირობა ნულოვანდაბოლოებიანი მსაზღვარელი წინადადების შიგნითაც, როდესაც ის ექცევა ორ პოტენციურ საზღვრულს შორის. ამ შემთხვევაშიც მსაზღვრელი მხოლოდ მომდევნო საზღვრულს განეკუთვნება, მაგ.: „ცხოველთა დიდ მეგობართ უპირველესად ბავშვები წარმოადგენენ“. „ცხოველთა“ ნათესაობით ბრუნვაშია, თუ მსაზღვრელი მას დაუკავშირდება, მივიღებთ „ცხოველთა დიდთა მეგობართ უპირველესად ბავშვები წარმოადგენენ“. ახალ ქართულში „დიდთა მეგობართ“ მიცემით ბრუნვაში მხოლოდ ძველი ქართული სტილის შენარჩუნების მცდელობისას თუ მიმართავენ, უმჯობესი იქნება დღეს „ცხოველთა დიდ მეგობრებს უპირველესად ბავშვები წარმოადგენენ“. მრავლობითობის **-ებ** სუფიქსიან სუბსტანტივთან ძველ ქართულშიც უმეტესად ცალმხრივი ნიშანდებით ხდებოდა რიცხვში შეთანხმება (დიდი მეგობრები, დიდსა მეგობრებსა... მეგობრები დიდი, მეგობრებსა დიდსა და ა. შ.).

*

* *

აქვე შევეხებით ერთი და იმავე აქტანტის განსხვავებულ ნიშანდებას სამპირიან ზმნებში, რომელთაც პირცვალებადი დამატების გვერდით მეორე დამატება უთუოდ პირუცვლელი აქვთ. ასეთ ზმნებში **ბლოკირებულია პირუცვლელი დამატება**, ზმნაში მისი არც პირი აღინიშნება და არც რიცხვი, გადაყვანილია ნულოვან ალომორფებზე — ადგილი აქვს ცალმხრივ ნიშანდებას: პირი და რიცხვი თვით აქტანტს გამოეხატება.

სამპირიან ზმნებში თუ პირცვალებადია ირიბი დამატება, პირუცვლელია პირდაპირი დამატება და, პირიქით, პირცვალებადი პირდაპირი დამატების გვერდით პირუცვლელია ირიბი დამატება.

პირუცვლელია პირდაპირი დამატება

I შემწირა მან მე **ის**	შეგვწირა მან ჩვენ **ის**
II შეგწირა მან შენ **ის**	შეგწირა**თ** მან თქვენ **ის**
III შესწირა მან მას **ის**	შესწირა(თ) მან მათ **ის**
შემწირე მე შენ **ის**,	შეგწირე შენ მე **ის**
შეგვწირე ჩვენ შენ **ის**,	შეგწირე**თ** თქვენ მე **ის**.

წყვეტილის ამ მიკროპარადიგმაში პირცვალებადია ირიბი ობიექტი, ზმნაში მხოლოდ მისი პირი და რიცხვია გამოხატული, პირდაპირი ობიექტი („ის") ყველგან უნიშნოა პირის მიხედვით, მას არც რიცხვი გამოეხატება: „**ის**" რომ **ისინი** მრავლობითის ფორმით შევცვალოთ, პარადიგმის ფორმები უცვლელი დარჩება (შემწირა მან მე **ისინი**, შეგწირა მან შენ **ისინი** და სხვ.).

ვითარება ანალოგიური იქნება, თუ დამატებებს როლებს შევუცვლით: პირუცვლელი იქნება ირიბი დამატება, პირდაპირი დამატება კი — პირცვალებადი.

პირუცვლელია ირიბი დამატება

I შემწირა მე **მას**	შეგვწირა ჩვენ **მას**
II შეგწირა შენ **მას**	შეგწირათ თქვენ **მას**
III შესწირა ის **მას**	შეს წირა(თ) ისინი **მას**
I შემწირა მე **მათ**	
II შეგწირა შენ **მათ**	
III შესწირა ის **მათ**	
I შემწირე შენ მე **მას**,	შეგწირე მე შენ **მას**
II შემწირე შენ მე **მათ**,	შეგწირე მე შენ **მათ**

შეწირვა ზმნის აქ წარმოდგენილ ფორმებში პირუცვლელ ირიბ დამატებას პირი და რიცხვი არ გამოეხატება. აქ საკმარისია ნულოვანი ალომორფები; ამ ორი კატეგორიის ნიშანდებას თვით ირიბი დამატება ახორციელებს პირის ნაცვალსახელებით ან სუბსტანტივებით.

გამოდის, რომ ერთსა და იმავე დამატებას (ირიბს ან პირდა-

პირს) განსხვავებული ნიშანდება აქვს სრულ პარადიგმაში*: მათი პირი და რიცხვი ხან მატერიალურად არის წარმოდგენილი ზმნის ფორმებში, ხან — ნულოვანი ალომორფებით. როცა სხვა აქტანტებთან ზოგ კომბინაციაში პირი და რიცხვი არ გამოეხატება რომელიმე დამატებას (მაგალითად, არ შეიძლება: შემწირა**თ** მე **მათ**, შეგწირა**თ** შენ **მათ**, შემწირა**თ** მე **ისინი**, შეგწირა**თ** შენ **ისინი** და სხვ.), რა თქმა უნდა, მას შემასმენელთან მირთულად ვერ გამოვაცხადებთ, რადგან, ჯერ ერთი, საქმე გვაქვს ფორმაცვალებად სიტყვასთან და, მეორეც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ აქტანტს იმავე პარადიგმის სხვა კომბინაციებში პირის ნიშანიც აქვს და რიცხვისაც, მაშასადამე, საქმე გვაქვს არა უნიშნობასთან, არამედ ნულოვან ალომორფებთან.

ნულოვანი ალომორფები ახასიათებს ბლოკირებულ პირმიმართ დამატებებს. მათი ურთიერთობა შემასმენელთან ისე უნდა აღიწეროს, როგორც პირცვალებადი და რიცხვცვალებადი აქტანტებისა**.

ძველი ქართულის II სერიის ფორმებში სამპირიანი ზმნის პირუცვლელი აქტანტი **-ნ** სუფიქსიან მრავლობითში რიცხვის ნიშანს იჩენდა ზმნაში („მე შენ შეგწირ**ენ ოგინი**"; „ჩუენ შენ შეგწირენით **ოგინი**"...). თანამედროვე ქართულში რიცხვში შეთანხმება აღარ ხდება: „მე შენ შეგწირე **ისინი** (არ შეიძლება „მე შენ შეგწირე**თ** ისინი"). ეს ცვლილება კანონზომიერია — ბლოკირებულ აქტანტს არა სჭირდება პირისა და რიცხვის ნიშნები. ეს ნიშნები ცალმხრივ არის წარმოდგენილი თვით აქტანტის ფორმით: „მე შენ შეგწირე **ისინი**". „ისინი"*** „შეგწირე" ზმნის პარადიგმის პირუცვლელი აქტანტია პირცვალებადი ირიბის გვერდით და რიცხვიც წინასწარ განსაზღვრულია სრული პარადიგმის განსაზღვრულ ნაწილში: ამ ნაწილში პირისა და რიცხვის მიხედვით იცვლებიან მხოლოდ S და O^{ind}, უცვლელია მხოლოდ $O_3{}^{dp}$.

---

* სრულია პარადიგმა, რომელშიც ესა თუ ის კონკრეტული ზმნა წარმოდგენილი იქნება მისი პირმიმართი აქტანტების ყველა შესაძლო კომბინაციით ყველა მწკრივში.

** არის კომბინაციები, სადაც ქვემდებარის პირიც არასოდეს ყოფილა ნიშანდებული ქართულ ენაში. ესაა კომბინაციები S_1O_2 (გხატავ), S_2O_1 (მხატავ), $S_1{}^{p}O_{2}{}^{dp}$ და სხვ.

*** „ისინი" აქტანტის ადგილზე ნებისმიერი კონკრეტული სუბსტანტივი ჩაჯდება საჭიროების მიხედვით (მეგობრები, თასები, ღელები და სხვ.).

ქვემოთ წარმოვადგენთ ცხრილებს ძველი და ახალი ქართული ფორმათა პარალელური ჩვენების მიზნით პირ- და რიცხვუცვლელია ირიბი დამატება[1]

S \ O^d	1	2	3	1^p	2^p	3^p	
ძვ. ქართული 1	შევსწირე	შეგწირე	შევსწირე		შეგწირენ	შევსწირენ	O_3^{iodp} (მათ)
ახ. ქართული	შევსწირე	შეგწირე	შევსწირე		შეგწირეთ	შევსწირე	
ძვ. ქართული 2	შემწირე	შესწირე	შესწირე	შეგუწირენ		შესწირენ	
ახ. ქართული	შემწირე	შესწირე	შესწირე	შეგვწირე		შესწირე	
ძვ. ქართული 3	შემწირა	შეგწირა	შესწირა	შეგუწირნა	შეგწირნა	შესწირნა	
ახ. ქართული	შემწირა	შეგწირა	შესწირა	შეგვწირა	შეგწირათ	შესწირა	
ძვ. ქართული 1^p		შეგწირეთ	შევსწირეთ	შევსწირენით	შეგწირენით	შევსწირენით	
ახ. ქართული		შეგწირეთ	შევსწირეთ	შევსწირეთ	შეგწირეთ	შესწირეთ	
ძვ. ქართული 2^p	შემწირეთ		შესწირეთ	შეგუწირენით	შესწირენით	შესწირენით	
ახ. ქართული	შემწირეთ		შესწირეთ	შეგვწირეთ	შესწირეთ	შესწირეთ	
ძვ. ქართული 3^p	შემწირეს	შეგწირეს	შესწირეს	შეგუწირნეს	შეგწირნეს	შესწირნეს	
ახ. ქართული	შემწირეს	შეგწირეს	შესწირეს	შეგვწირეს	შეგწირეს	შესწირეს	

[1] ცხრილებში ვიღებთ ისეთ კომბინაციებს, რომლებშიც პირუცვლელი ობიექტი მრავლობით რიცხვშია. ამ კომბინაციის მიხედვით ძველსა და ახალ ქართულს შორის სხვაობა ფორმაწარმოების მიხედვით ხელშესახებია: ძველ ქართულში $O_3^{ф}$ აისახება (-ენ) სუფიქსით, ახალ ქართულში კი $O_3^{ф}$ გამოხატულია -თ სუფიქსით.

რადგან სამივე პირის ნიშანი არასოდეს ყოფილა მატერიალურად ერთდროულად წარმოდგენილი, პირუცვლელი აქტანტის მორფოსინტაქსური ნული გენეტიკურ მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ: ამას თვით პირუცვლელი აქტანტის (O_3^{indp}) პირისა და რიცხვის მიხედვით უცვლელი ფორმა (ანუ სუბსტანტივი ან ნაცვალსახელი მიცემით ბრუნვასა და მრავლობით რიცხვში) განაპირობებდა.

ანალოგიური ვითარება გვექნება მაშინაც, თუ O_3^{indp}-ს ცხრილში ჩავანაცვლებთ O_3^{dp}-ით, ხოლო ირიბ დამატებას (O^{ind}) შევიტანთ ცხრილის შიგნით: პირუცვლელი აქტანტის (პირდაპირი დამატების) პირისა და რიცხვის მატერიალური ნიშნები გაქრება ახალ ქართულში, პირის ნიშანი არც ძველ ქართულში ჰქონდა, სამაგიეროდ პირისა და რიცხვის მიხედვით ნიშანდებული გახდა პირცვალებადი ირიბი დამატება.

პირ- და რიცხვსახელია პირდაპირი დამატება

წყობილის შეკრული

S / $O^{ინ}$	1	2	3	1ᵖ	2ᵖ	3ᵖ	$O_3^{ბრ}$ (ორივე)
ძვ. ქართული 1	შევსწირენ	შევწირენ	შევსწირენ		შეგწირენ	შევსწირენ	
ახ. ქართული	შევსწირე	შევწირე	შევსწირე		შეგწირეთ	შევსწირე	
ძვ. ქართული 2	შემწირენ	შესწირენ	შესწირენ	შეუწირენ		შესწირენ	
ახ. ქართული	შემწირე	შესწირე	შესწირე	შევწირე		შესწირე	
ძვ. ქართული 3	შემწირნა	შეწირნა	შესწირნა	შეუწირნა	შეგწირნა	შესწირნა	
ახ. ქართული	შემწირა	შეგწირა	შესწირა	შევწირა	შეგწირათ	შესწირა	
ძვ. ქართული 1ᵖ		შეგწირენით	შევსწირენით	შესწირენით	შეგწირენით	შევსწირენით	
ახ. ქართული		შეგწირეთ	შევსწირეთ	შესწირეთ	შეგწირეთ	შესწირეთ	
ძვ. ქართული 2ᵖ	შემწირენით		შესწირენით	შეუწირენით	შესწირენით	შესწირენით	
ახ. ქართული	შემწირეთ		შესწირეთ	შევწირეთ	შესწირეთ	შესწირეთ	
ძვ. ქართული 3ᵖ	შემწირნეს	შეგწირნეს	შესწირნეს	შეუწირნეს	შეგწირნეს	შესწირნეს	
ახ. ქართული	შემწირეს	შეგწირეს	შესწირეს	შევწირეს	შეგწირეს	შესწირეს	

ამ პარადიგმაში ძველი ქართულის წყვეტილის მწკრივის უველა ფორმაში O_3^{dp} („იგინი“) წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის {-ენ} სუფიქსით (/-ენ/ და /-ნ/ ალომორფებით, შესაბამისად პოზიციისა), ახალ ქართულში კი O_3^{dp}-ის არც მრავლობითი რიცხვია მატერიალურად გამოხატული და არც პირის ნიშანი, ასე რომ, დღეს წარმოდგენილი ცხრილის O_3^{dp}-ს თუ შევცვლით O_3^{d}-ით, ახალი ქართულის ცხრილში არაფერი შეიცვლება. ძველი ქართულის ფორმათა ასეთი ცვლილება ახალში ბუნებრივია, როცა წინადადებაში O_3^{d} აქტანტი თვითონ არის საკუთარი პირისა და რიცხვის გამომხატველი და არ საჭიროებს ზმნაში ნიშანდებას მატერიალურად.

ყურადღებას გავამახვილებთ ზოგიერთ კომბინაციაზე სამპირიან ზმნათა აქ წარმოდგენილ ორ ცხრილში, ეს კომბინაციებია: $S_1O_1^{d}O_3^{indp}$ და $S_1^{p}O_1^{dp}O_3^{indp}$ იმ ცხრილიდან, რომელშიც პირუცვლელია და რიცხვუცვლელია ირიბი დამატება; მეორე ცხრილიდან განვიხილავთ $S_1O_1^{ind}O_3^{dp}$ და $S_1^{p}O_1^{indp}O_3^{dp}$ კომბინაციებს (ცხრილიდან, რომელშიც პირ- და რიცხვუცვლელია პირდაპირი დამატება). ეს კომბინაციები ორსავე ცხრილში წყვეტილის მწკრივშია. ისინი იმ მხრივ იქცევენ ყურადღებას, რომ მათში გაერთიანებულია ერთი და იგივე I ან II პირი სუბიექტადაც და ობიექტადაც. როგორც ძველ ქართულში, ისე თანამედროვე ქართულშიც ამ კომბინაციებს საკუთარი, სხვა კომბინაციებისგან განსხვავებული, გამოხატულების ფორმები არა აქვთ. სანიმუშოდ ავიღოთ $S_1O_1^{d}O_3^{indp}$ პირველი ცხრილიდან. მათი საზიარო ფორმაა შევსწირე: „მე თავი შევსწირე მათ“ ($S_1O_1^{d}O_3^{indp}$); შდრ. „მე ჩემ თავს შევსწირე ისინი“ ($S_1O_1^{ind}O_3^{dp}$). გარდა ამ დამთხვევისა, ეს ფორმა ერგება $S_1O_3^{d}O_3^{indp}$ („მე ის შევსწირე მათ“) და $S_1O_3^{ind}O_3^{dp}$ („მე მას შევსწირე ისინი“) კომბინაციებსაც, სადაც ობიექტური პირველი პირები შეცვლილია მესამე პირებით (დამთხვევა ხდება სხვა კომბინაციებთანაც).

მიუხედავად ბგერობრივი (გამოხატულების პლანით) დამთხვევისა, ეს ფორმები გრამატიკულად დიდად განსხვავდებიან, რაზეც ჯერ მათი შედგენილობა მიგვითითებს: ერთიმეორისგან რომელიმე პირით ან რომელიმე პირის რიცხვით განსხვავდე-

მეორეც, რაც არანაკლებ არსებითია, ისინი ფორმალურადაც განსხვავებული არიან კონვერსიულ პასივთა მიხედვით:

$S_1O_1^{d}O_3^{indp}$ ~ $S_1O_3^{indp}$, ანუ შევსწირე ~ შევეწირე (ასევეა ძვ. ქართულში)

$S_1O_1^{ind}O_3^{dp}$ ~ $S_1^{p}O_3^{ind}$, ანუ შევსწირე ~ შემეწირნენ (ძვ. ქართ. შევსწირენ ~ შემეწირნეს)

$S_1O_3^{d}O_3^{indp}$ ~ $S_3O_3^{indp}$, ანუ შევსწირე ~ შეეწირა (ასევეა ძვ. ქართულში)

$S_1O_3^{ind}O_3^{dp}$ ~ $S_3^{p}O_3^{ind}$, ანუ შევსწირე ~ შეეწირნენ (ძვ. ქართ. შევსწირენ ~ შეეწირნეს)

$S_1O_3^{indp}O_3^{dp}$ ~ $S_3^{p}O_3^{indp}$, ანუ შევსწირე ~ შეეწირნენ (ძვ. ქართ. შევსწირენ ~ შეეწირნეს)

ირიბი დამატების მესამე პირის რიცხვის შეცვლა ვერ აისახა ზმნის ფორმებში (ისინი შეეწირნენ **მას** ~ ისინი შეეწირნენ **მათ**), ანალოგიური ვითარებაა ძველ ქართულში (იგინი შეეწირნეს **მას** ~ იგინი შეეწირნეს **მათ**), მაგრამ ირიბი დამატების ფორმათა განსხვავება რიცხვის მიხედვით ასახულია I პირში: „ისინი შემეწირნენ **მე**“ ~ ისინი შეგვეწირნენ **ჩვენ**“ (შდრ. ძვ. ქართულის „მე შემეწირნეს“ და „ჩუენ შეგუეწირნეს“). ეს განსხვავება I პირში ნიშანია იმისა, რომ გრამატიკულად განსხვავება მაშინაც გვექნება, როდესაც ირიბი ობიექტის სიმრავლე ცალმხრივ არის მარკირებული, ანუ გამოხატულია ირიბი ობიექტის ფორმით (**მას** ~ **მათ**). ამ განსხვავებას სინტაქსურ მიმართებაში გვერდს ვერ ავუვლით.

შეიძლება დავასკვნათ: ენა წინადადებაში ეძებს მის წვერთა ურთიერთობის უმარტივეს ფორმებს. ერთ-ერთი გზა ამისა არის **სინტაგმის რომელიმე წევრის ბლოკირება**, ანუ მიმაგრება მეორე წევრზე სპეციალური მაწარმოებლის გარეშე: (1) მსაზღვრელისა და საზღვრულის ურთიერთობა გრამატიკულ დონეზე იგივე დარჩა, მაგრამ საგრძნობლად შეიცვალა გრამატიკული ურთიერთობის გამოხატულების პლანი: მსაზღვრელის ბრუნვასა და რიცხვში ფლექსიურად სრულად გაფორმებული ისტორიული სახეობა დღეს ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიების მატერიალური ნიშნე-

ბის გარეშე იხმარება: **მცირემან** ტკრთმან > **მცირე-Ø** ტვირთმა; **კაცისამან** ძემან > **კაცის-Ø** ძემ; **დიდთა** საქმეთა > **დიდ-Ø** საქმეთა...).

მიზეზი გამარტივებული ფორმალური ურთიერთობისა არის მსაზღვრელის ბლოკირება — მიმაგრება კონკრეტულ საზღვრულზე. ფლექსიურ ელემენტთა გრამატიკული ურთიერთობის ეს სახე აღინიშნება ნულოვანი ალომორფებით. (2) ანალოგიური ხდება სამპირიანი ზმნისა და პირუცვლელი აქტანტის, პირდაპირი ან ირიბი ობიექტის, ურთიერთობაში: **პირუცვლელი აქტანტი მხოლოდ მესამე პირში დგას და რიცხვიც უცვლელია** (ან მხოლობითია, ან მრავლობითი), რაც იმ სუბსტანტივის ფორმით გამოიხატება, რომელიც პირუცვლელ აქტანტს ახორციელებს (მე შემწირა **მას**, შენ შეგწირა **მას**, ის შესწირა **მას**... მე შემწირა **იგი**, შენ შეგწირა **იგი**, მას შესწირა **იგი**...). ზმნას ამ აქტანტთან კავშირისთვის აღარ სჭირდება მისი არც პირის და არც რიცხვის მატერიალურად გამოხატვა: აქტანტის კავშირი ზმნასთან ბლოკირებულია, ე. ი. ბლოკირებული აქტანტის პირი და რიცხვი ფლექსიურ მაწარმოებელთა გარეშე, **თვით აქტანტით, სუბსტანტივის ერთადერთი ფორმით** არის რეალიზებული წინადადებაში.

ასეთ ვითარებაში ნათელია, ძველი ქართულის სამპირიან ზმნებში სიმრავლის ნიშნით გამოხატულმა პირუცვლელმა აქტანტმა (მე შემწირნა **იგინი**, შენ შეგწირნა **იგინი**, მას შესწირნა **იგინი**...) რატომ დაკარგა ეს თვისება (სიმრავლის გამოხატვის უნარი) ახალ ქართულში (მე შემწირა **ისინი**, შენ შეგწირა **ისინი**, მას შესწირა **ისინი**... არ შეიძლება „მე შემწირა**თ ისინი** და სხვ.).

ნულოვანი ალომორფების დაშვება აუცილებელია, რადგან ისინი წარმოადგენენ მატერიალურად რეალიზებულ მორფემათა ვარიანტებს სიტყვათა განსაზღვრულ წყობასა და განსაზღვრულ ურთიერთობაში და ატარებენ იმავე მნიშვნელობას, რასაც მათი მატერიალური ვარიანტები.

პირთა ინვერსია მორფო-სინტაქსური ასპექტით

გავრცელებული განმარტებით, პირთა ინვერსია არის პირმიმართ აქტანტთა შორის პირის ნიშანთა შენაცვლება: როცა „რეალურ სუბიექტს“ გამოხატავს ობიექტის ნიშანი, ხოლო „რეალურ ობიექტს“ — სუბიექტის ნიშანი, მაგალითად, მ ძ უ ლ ს ფორმის ანალიზი სუბიექტ-ობიექტის მიხედვით ასეა წარმოდგენილი არნ. ჩიქობავას წერილში, რომელიც ქეგლის I ტომშია დაბეჭდილი (70): ობიექტის ნიშნით არის წარმოდგენილი სუბიექტი, ის პირი, „რომელსაც სძულს“ (**შ**-ძულს **მე**), ხოლო სუბიექტის ნიშნით ის პირი, რომელიც ობიექტია — „რაც სძულს“ (70, 63).

არნ. ჩიქობავა ინვერსიულად გარდამავალ ზმნათა პარადიგმებში მხოლოდ III სერიის ფორმებს მიიჩნევს: გამიზრდია, ამიშენებია... გარდაუვალ ზმნებში კი ინვერსია გარკვეული ჯგუფის ზმნებს ყველა სერიაში გასდევს: მ ყ ა ვ ს ~ მ ე ყ ო ლ ე ბ ა ~ მ ყ ო ლ ი ა, მ ი ყ ვ ა რ ს ~ მ ე ყ ვ ა რ ე ბ ა ~ მ ყ ვ ა რ ე ბ ი ა. არის „მერყევი“ წყობის **აკლებს** ტიპის ფორმებიც: **მათ** დააკლდა**თ** ის ~ **ისინი** დააკლდნ**ენ** მას. სუბიექტია პირი, რომლის სიმრავლეც არის გამოხატული ზმნის ფორმით. ჰყავთ (მათ) ~ ჰყვანან (ისინი) — „რეალური სუბიექტი“ მრავლობითი რიცხვის ფორმებით არის გამოხატული. ესენი „მერყევი (ლაბილური) წყობის“ ზმნებია ინვერსიის თვალსაზრისით. დასახელებულია კიდევ ა დ გ ა ს, ხ ვ დ ე ბ ა ზმნები*.

მთელი ეს მსჯელობა ემყარება სუბიექტის გაგებას, როგორც ქმედების ჩამდენისას („რომელსაც სძულს“). ასეთი გაგება სუბიექტისა საერთოდ მიღებულია ქართულ ენათმეცნიერებაში. ა. შანიძე პირდაპირ აცხადებს: სუბიექტია ის პირი, ვისაც ზმნით გამოხატული მოქმედება მიეწერება.

არნ. ჩიქობავასგან განსხვავებით, ა. შანიძეს ინვერსიულად მხოლოდ აქტივთა III სერიის ფორმები მიაჩნია. ორივე მეცნიერი „ქმედების ჩადენიდან“ გამოდის: ქმედება ვისაც მიეწერება, სუბიექტიც ის

* ვფიქრობთ, სუბიექტისა და ობიექტის განსაზღვრა მრავლობითი რიცხვის მარკირებით ინვერსიის საკითხს ფრიად გააბუნდოვნებს.

არის, სამოქმედო ანვისთვისაც ხდება მოქმედება, **ობიექტებია**. თვით ინვერსიის წარმოდგენილი გაგების მქონე მეცნიერთა მსჯელობაში იჩენს თავს წინააღმდეგობა სუბიექტის განსაზღვრაში. შუალობითი კონტაქტის (მეორადი კაუზაციის) ფორმებში მოქმედების შემსრულებელი ირიბი ობიექტია, მაგრამ არავის უთქვამს, რომ „აწერინებს ის მას“ წინადადებაში „მას“ პირი სუბიექტია. ა. შანიძე მას **„უშუალოდ მოქმედს“** უწოდებს, „ერთგვარ იარაღს“ ინიციატორი პირის ხელში.

ა. შანიძის განმარტებაში არსებითია „ვინც უშუალოდ მოქმედებს“ (62, 358). ცხადია, რომ „მოქმედების ჩამდენი“ არის ირიბი ობიექტი და არა ორგანიზატორი, რომელიც აიძულებს ირიბ ობიექტს, შეასრულოს ზმნით გამოხატული მოქმედება; ანალოგიური ვითარებაა პირველად კაუზატივშიც: „აჩქარებს ის მას“ — აქაც „ის“ ორგანიზატორია, „მას“ კი შემსრულებელი, რაც უფრო რელიეფურად იკვეთება „ატირებს“, „აცინებს“ ტიპის ფორმებში, სადაც მოქმედება „სიცილი“ და „ტირილი“ პირდაპირი ობიექტის მიერ სრულდება. აქაც სუბიექტის ნიშანი ორგანიზატორს აქვს. ამიტომ ორგანიზატორის სახელი შეიძლება შეიცვალოს სუბიექტით. ნებისმიერ ზმნაში სუბიექტი ორგანიზატორია ქმედებისა ან დამოუკიდებლად, ე. ი. თავის ნებით მოქმედებს (წერს, ხატავს...) ან სხვას ამოქმედებს (აცინებს, აწერინებს).

ასეთი განმარტება — „სუბიექტი ინიციატორია ქმედებისა“ საშუალებას იძლევა განსხვავებულად შევხედოთ ზემოთ განხილულ ზმნათა ჯგუფებში სუბიექტისა და ობიექტის როლს და მათ აღმნიშვნელ აფიქსებს: ინიციატორი მივიჩნიოთ სუბიექტად, მოქმედად კი ან ირიბი ობიექტი მეორად კაუზატივებში (აწერინებს **მას**) ან პირდაპირი ობიექტი პირველად კაუზატივებში (**მას** აცინებს).

ქვემოთ ჯერ შევეხებით გარდაუვალ ზმნებს, რომელთაც, არნ. ჩიქობავას მტკიცებით, ინვერსია ყველა სერიაში ახასიათებს.

ინვერსიულ ზმნებად მიიჩნევა ზმნათა შემდეგი ჯგუფები: (1) სტატიკური ზმნები (მიპყრია, მიწერია, მიკავია...), (2) მედიოპასივები (მყავს, მიყვარს...). მეტი მკაფიობისთვის ზმნები I პირში წარმოვად-

გინეთ: მე მიპყრია, მე მიკავია... მე მიყვარს, მე მყავს... მიუხედავად იმისა, რომ ყველა ჯგუფში „მე“-ს როლი, როგორც მოქმედისა, უდავოა, იგი მაინც ობიექტის **მ**- პრეფიქსით არის წარმოდგენილი. ასე იქნება სხვა პირებშიც და ორსავე რიცხვში.

რატომ?

უნდა მოიძებნოს ამ ჯგუფთა გამაერთიანებელი თვისება, რაღაც საერთო, რის გამოც ქმედების შემსრულებელს ობიექტის ნიშანი ეძლევა; შდრ. **მ**-ხატავს **მე**, **მ**-წერს **მე**... სადაც ობიექტის ნიშანი სამოქმედო აქტანტს ეძლევა და არა მოქმედს.

სადაც მოქმედს ე. წ. „ინვერსიულ ზმნებში“ ობიექტის ნიშანი ეძლევა, **ყველა ფორმა პერფექტულია** — ახლანდელ დროში გადმოგვცემს წარსულში შექმნილ ვითარებას. როცა ვამბობთ: „მიპყრია თავსი“, „მიყვარს ღვინო“, ამით ახლანდელ დროში ვახდენთ იმის კონსტატაციას, რაც თქმამდე მოხდა* — ვიდრე ვიტყოდი, უკვე მეპყრა; თქმამდე მიყვარდა, ე. ი. წარსული ქმედების შედეგზე ვუთითებდით აწმყოში; შდრ. დინამიკური ზმნები: აქტიური ვხატავ და პასიური ვიხატები, რომლებიც ქმედებისა და საუბრის მომენტებს ერთდროულად წარმოგვიდგენენ.

მიპყრია, მიყვარს ტიპის ზმნათა სახით საქმე გვაქვს ფორმებთან, რომლებშიც გრამატიკული ნიშნების მიხედვით მოქმედების ჩამდენი ოდენ შემსრულებელი ობიექტია, ხოლო იმავე ქმედებაში ჩართული თანააქტანტი, რომელიც წარსული ქმედების შედეგს გვიჩვენებს (რაც უკვე მიპყრია, რაც უკვე მიყვარს) — სუბიექტი. **ეს ქართული ენის გარკვეული რიგის ზმნათა თვისებაა**. ესენი სტატიკური ზმნებია, მათ ობიექტისა და სუბიექტის მარკირების დინამიკურ ზმნათაგან განსხვავებული წესები აქვთ. არ იქნება სწორი, თუ ერთი საზომით მივუდგებით ამ ორი რიგის ზმნებს.

ზემოთ დასმული „რატომ“ კითხვის პასუხის მოსაძებნად განვიხილოთ გგონივარ და გიპყრივარ სტატიკური ფორმები. ესენი გამოკვეთილად გვიჩვენებენ, რომ სტატიკურ ზმნებში სუბიექტის გრამატიკულ როლს ქართული ენა ანიჭებს არა მოქმედების ჩამდენ

* „პროცესის შედეგთან გვაქვს საქმე“ (62, 314).

აქტანტს, არამედ იმას, ვინც უკვე ჩადენილი ქმედება უნდა დაგვანახოს ახლანდელ დროში: **მე** გგონი-**ვარ**, **მე** გიპყრი-**ვარ**, ზმნური ქმედების ჩამდენი აქტანტი **შენ** კი (ვისაც ჰგონია, ვისაც უპყრია) ობიექტის ნიშნით არის გამოხატული: **შენ** (O_2^{ind}) **გ**-გონივარ, **შენ** (O_2^{ind}) **გ**-იპყრივარ.

პირის ნიშანთა მარკირების ასპექტით ფრიად საყურადღებოა ამ ფორმათა ისტორიული ცვლილების გათვალისწინება: ძველ ქართულში ამათ დამხმარე ზმნა არა სჭირდებოდათ; წარმოდგენილ კომბინაციებში ($O_2^{ind}S_I$, $O_2^{ind}S_I^p$) სუბიექტის პირი არ იყო მარკირებული, აღინიშნებოდა მხოლოდ ირიბი ობიექტის პირი: მე (S_I) **გ**-გონიე **შენ** (O_2^{ind}); მე (S_I) **გ**-იპყრიე **შენ** (O_2^{ind}). ენაში მიღებული საერთო წესის მიხედვით მარკირებულია მხოლოდ O_2^{ind} *.

გვიან ენამ საჭიროდ ჩათვალა სტატიკურ ზმნებში ჩადენილი ქმედების ახლანდელ დროში წარმომჩენი აქტანტიც გამოეხატა და ამისთვის მიმართა დამხმარე ზმნის I და II პირთა ფორმებს, რომლებითაც სწორედ ეს აქტანტებია მარკირებული: გგონი-**ვარ**, მგონი-**ხარ**; გიპყრი-**ვარ**, მიპყრი-**ხარ**. უდავოა, რომ წარმოდგენილ ფორმებში ქმედების შედეგი სუბიექტის ნიშნებით გამოიხატება (**-ვარ**, **-ხარ**). ***რითაც პირთა მარკირების წესებს ერთგვარი ხაზგასმა მოხდა სტატიკურ ზმნებში***. სწორედ ამის გამო უნდა დავეთანხმოთ ლ. კვაჭაძეს, რომ წინადადებაში „...ლექსები ვახტანგს... უბის წიგნაკში უწერია“ „ლ ე ქ ს ე ბ ი“ **ქვემდებარეა**, „ვახტანგს“ კი — **ირიბი დამატება** (29, 116).

მ-ი წ ე რ ი - ა
↓ ↓
O_1^{ind} S_3

ზოგჯერ ინიციატორის როლი არც თუ ისე ძნელი დასანახავია: „კედელს საღებავი უსვია“ ან „ეხლა მთას ნისლი აკრია“ (ვაჟა). უმრავლეს შემთხვევაში სახელობით ბრუნვაში დასმული აქ-

* აქტივებსა და პასივებშიც ...კომბინაციებში მხოლოდ ობიექტთა ნიშნებია წარმოდგენილი: **გ**-ხატავ მე **შენ** (O_2^d), მ-ხატავ **მე** (O_1^d) შენ... მ-ეხმარები **მე** (O_1^{ind}) შენ და სხვ.

ტანტის სუბიექტობა სტატიკურ ზმნებში შედეგისთვის არსებითი როლის მინიჭებას მიეწერება. ეს ფორმები დინამიკურ ზმნათა გვერდით ამ შედეგის საჩვენებლად არის შექმნილი — მათი საშუალებით ხდება შესრულებული ქმედების შედეგის მანიფესტაცია. ირიბი ობიექტი ქმედების შემსრულებელია (ექსეკუტორი).

აქტიურ ზმნებში პერფექტულობის კატეგორია გვიან ჩამოყალიბდა. ფაქტიურად ჩვენ თვალწინ ხდება მისი ფორმირება: თუ ძველ ქართულში აქა-იქ შევხვდებით მესამე სერიის ფორმებს, ახალ ქართულში მათი ხმარება ისევე ჩვეულებრივია, როგორც I და II სერიათა ფორმებისა.

დიდი ხანია გარკვეულია, რომ მოქმედებითი გვარის ზმნებმა პერფექტულობის კატეგორია სტატიკურ ზმნათა მოდელით აწარმოეს (ნ. ნათაძე), რა თქმა უნდა გარკვეული ცვლილებით. **საერთოა აქტანტთა ურთიერთობის პრინციპი**: წარსული ქმედების შედეგი უნდა გამოიხატოს სუბიექტის ნიშნით. ქმედების შემსრულებელი კი — ობიექტის ნიშნით.

ქართულმა ენამ ფრიად მახვილგონივრულად მოახერხა აქტივთათვის პერფექტული ფორმების შექმნა: სტატიკურ ზმნებში განხორციელებულ ძველ მოდელს მხოლოდ ზმნისწინი დაურთო, რითაც მოახდინა სტატიკურ ზმნათა დინამიზაცია (უწერია ~ და-უწერია, ჩა-უწერია, გადა-უწერია... უპყრია ~ და-უპყრია და ა. შ.). აქტიურ ზმნებში აუცილებელია პირდაპირი ობიექტის მონაწილეობა. მაშასადამე, ცვლილება შეეხო ობიექტებსაც: სტატიკური ზმნების მოდელის ირიბი ობიექტის ადგილი მოქმედებითი გვარის პერფექტულ ფორმებში დაიკავა პირდაპირმა ობიექტმა (დაუწერია მას წერილი; შდრ. წერს ის წერილს, დაწერა მან წერილი).

და-მ-იწერი-ა მე წერილი — „მე“ შემსრულებელი პირდაპირი ობიექტია მიცემით ბრუნვაში (ასეთი ობიექტი აუცილებელია პირველად კაუზატივებში (ატირებს ბავშვს); პერფექტული მოდელის მოთხოვნით I და II სერიების პირდაპირი ობიექტი, როგორც ქმედების შედეგი სუბიექტის ნიშანს იღებს III სერიაში. I და II სერიების სუბიექტი კი ქმედების შემსრულებელი აქტანტი (ექსეკუტორი) ხდება. აქ ვერ დავუშვებთ ირიბი ობიექტის მონაწილეობას, რადგან ის არ იყო

ორპირიანი აქტივის პარადიგმის I და II სერიების ფორმებში; როცა არის სამპირიანი აქტივის პარადიგმის I და II სერიების ფორმებში (მიწერს ის **მე** წერილს, დამიწერა მან **მე** წერილი), III სერიაში საერთოდ გადის მარკირებულ პირთა შემადგენლობიდან, თანდებულიან უბრალო დამატებად არის მოქცეული (მიმიწერია მისთვის, მოუწერია ჩემთვის / შენთვის); I და II სერიების პირდაპირი დამატება კი აუცილებლობით გადადის III სერიის პერფექტულ ფორმებში, რადგან მხოლოდ მას შეუძლია წარსული ქმედების შედეგი წარმოადგინოს აწმყოში და, როგორც შედეგი, მოდელის მოთხოვნით ის იღებს სუბიექტის ნიშანს. მაშასადამე, ხდება არა ნიშანთა შენაცვლება, არამედ I და II სერიების არაპერფექტული მოდელის პირის ნიშანთა ახალი გადანაწილება III სერიის პერფექტულ მოდელში, როგორც, მაგალითად, კონვერსიის დროს აქტივის პირდაპირი დამატება კონვერსიულ პასივში იღებს სუბიექტის ნიშანს.

ა. შანიძის თვალსაზრისით აქტივთა III სერიის ფორმებში მონაწილეობენ მხოლოდ ირიბი დამატება და სუბიექტი. მისი ვარაუდით, სწორედ ესენი ცვლიან პირის ნიშნებს. ამ დებულების ნაკლი ის არის, რომ ეწინააღმდეგება თეორიის საყრდენ დებულებებს, კერძოდ: აქტივისთვის აუცილებელია პირდაპირი ობიექტი. თუ III სერიის ფორმებში არ დავუშვებთ პირდაპირ ობიექტს, აქტივის პარადიგმაში როგორ უნდა გაერთიანდეს პირდაპირი ობიექტის მქონე I და II სერიების ფორმები პირდაპირი ობიექტის არმქონე III სერიის ფორმებთან?

მეორე: O_3^{ind}-ის შემოყვანა III სერიის აქტივთა ფორმებში ემყარება დებულებას, რომლის მიხედვით ქართულში O_3^d-ის მარკირება არა ხდება, ამდენად III სერიაში მარკირებული წევრი უთუოდ ირიბი დამატებაა.

ეს დებულებაც, ჩვენი აზრით, თეორიის სუსტი ადგილია, რადგან O_3^d მიცემით ბრუნვაში მუდამ იყო მარკირებული როგორც სამწერლობო ენაში, ისე ქართული ენის დიალექტებში.

მ ი მ ა ქ ვ ს, მ ი მ ყ ა ვ ს

ინვერსიულობა-არაინვერსიულობასთან დაკავშირებით განსახილველია ეს ორი სრულიად გამორჩეული ზმნური ფორმა, რომელთაც ანალოგი არ მოეპოვებათ ქართულ ენაში — ისინი **თავისებური**

ზმნებია, მათი სპეციფიკაა პირთა ინვერსიულობა, რითაც არა ჰგვანან არც მედიოპასივებსა და სტატიკურ ზმნებს და არც მოქმედებითი გვარის ზმნებს: (1) აქტანტთა ბრუნვების მიხედვით გვაგონებენ III სერიის აქტივებს, მაგრამ ესენი თავისი არსით მიმაქვს და მიმყავს ფორმათაგან მკვეთრად განსხვავდებიან: აქტივთა III სერიის ფორმები რთული დროული ფორმებია — პერფექტული ბუნებისაა — წარსული ქმედების შედეგს გადმოგვცემენ აწმყოში, მიმაქვს და მიმყავს კი ქმედებისა და თქმის მომენტებით ერთდროულია, როგორც აქტივები I სერიის ფორმებში (ვწერ, ვხატავ...), სადაც პირთა ინვერსია გამორიცხულია.

(2) **ზმნისწინებს ირთავენ** (**მი**მაქვს, **გა**მაქვს; **ჩა**მყავს, **ა**მყავს...), რაც არ შეუძლიათ მედიოპასივებსა და სტატიკურ ზმნებს; **ზმნისწინებს ირთავენ**, მაგრამ ვერ გადიან I სერიის აწმყოს წრიდან, მაშინ როცა დინამიკურ ზმნებში (აქტივებსა და პასივებში) დროის ცვლა ზმნისწინით ხდება (ვწერ ~ დავწერ, ვხატავ ~ დავხატავ...) და ბოლოს: **ზმნისწინის დართვით** მიმაქვს და მიმყავს გარდამავალი ხდებიან (62, 546), რაც არ შეუძლიათ მედიოპასივებსა და სტატიკურ ზმნებს I სერიაში.

უდავოა, რომ მიმაქვს და მიმყავს უნიკალური თავისებური ზმნებია, მათზე დაყრდნობით შეუძლებელია პირთა ინვერსია დავუშვათ I სერიის სტატიკურ ან მედიოპასიურ ზმნებში (მიკავია; მიყვარს...) და აქტიურ ზმნათა III სერიის ფორმებში (ამიშენებია, დამიწერია...).

ენობრივ მოდელთა გაფართოება-დავიწროებისათვის

სხვადასხვა დონეზე განხილული ენობრივი ცვლილებები, ბუნებრივია, წარმოშობს კითხვებს: რამდენად ახდენენ ეს ცვლილებები გავლენას ენისთვის ისტორიულად დამახასიათებელ მოდელებზე? ხომ არ ხდება ენის გენეტიკურ თვისებათა შეცვლა გვიან განვითარებული პროცესების გავლენით?

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი S_2-ისა და

Oჳ-ის ზმნურ ფორმებში ერთეული ნიშნებიდან (ხანმეტში — **ხ-**, ჰაემეტში — **ჰ-**, მომდევნოდ — **ჰხ-**) ერთზე მეტი ნიშნით გამოხატვისა (ჰ- ~ ს- ~ შ-) მომდევნო ხანის სამწერლობო ქართულში.

ჩვენი დროის დიალექტებში ზოგგან ალომორფთა რაოდენობა მატულობს (მაგ., მთის დიალექტებში, ცნობილია, შვიდამდე ადის ნულოვანი ალომორფის ჩათვლით: ზ- ~ ს- ~ ჟ- ~ შ- ~ ღ- ~ ხ- ~ Ø- (64). ზოგან კი ძველი ქართულის ბოლო პერიოდის სამი ალომორფი ერთ ნიშანზეა დაყვანილი, კერძოდ, ქართლურსა და კახურში ამ აქტანტებს არსებითად მხოლოდ /ე-/ გამოხატავს მატერიალურად. ამ გზას ადგანან ფშაური და მთიულურ-გუდამაყრული.

ასევე კარგად არის ცნობილი სუბიექტისა და ორივე ობიექტის მრავლობითობის გამოხატვაში მომხდარი ცვლილებები: ძველ ქართულში სუბიექტის სიმრავლეს I და II პირებში **-თ** სუფიქსი გამოხატავდა, პირდაპირ ობიექტს — {-ენ} სუფიქსი ყველა პირში, როცა სახელობით ბრუნვაში იდგა; ირიბი ობიექტის რიცხვი ზმნის ფორმაში არ გამოიხატებოდა II და III პირებში.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში სამივე პირმიმართი აქტანტის სიმრავლე აღნიშნულ პირებში საერთო -თ სუფიქსით გამოიხატება. მთის დიალექტებშიც კი, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ ძვ. ქართულის {-ენ} პირდაპირი ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად, გავრცელდა ეს /-თ/ იმავე ფუნქციით: /მე დაგმალენთ თქვენ/ — აქ /-ენ/ და /-თ/ — ორივე ერთი და იმავე პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს გამოხატავს; შდრ. ძვ. ქართულის /მე დაგმალენ თქუენ/, სადაც დაუშვებელი იყო მთის დიალექტების დღევანდელი „დაგმალენთ“, როცა სუბიექტი მხოლობით რიცხვში იდგა.

დასავლურ დიალექტებშიც ანალოგიური ცვლილება მოხდა ზოგადი თვალსაზრისით: ამ დიალექტებშიც ერთი და იგივე ნიშანი გამოხატავს სამივე პირმიმართი აქტანტის სიმრავლეს. ეს არის **-ენ** სუფიქსი, რომელიც ძვ. ქართულში მხოლოდ სუბიექტის სიმრავლეს გამოხატავდა აწმყოს მწკრივის III პირში (წერ-**ენ**, მალ-ვ-**ენ**...), დასავლურ დიალექტებში კი გვაქვს გააგიჟ-ენ (/ღვინომ გააგიჟენ მაგენი/), სადაც **-ენ** პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს გამოხატავს; ამის გვერ-

დით გეტყვი-**ენ** (ის გეტყვიენ თქვენ), აქ **-ენ** ირიბი ობიექტის სიმრავლეს გამოხატავს; **-ენ** სუფიქსს ამავე დროს შენარჩუნებული აქვს თავისი ძველი ფუნქციაც: წერ-ენ. აქ ის სუბიექტის სიმრავლის ნიშანია (/იმგენი წერენ წერილს/).

წარმოდგენილი ვითარების მიხედვით უდავოა, რომ სალიტერატურო ენაში, ასევე აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტებში მოხდა სუბიექტის სიმრავლის გამოხატვის მოდელის განვრცობა. მოდელის გაფართოებამ ნიშნები შეცვლა, მაგრამ ამას სტრუქტურული ცვლილება არ მოჰყოლია: **-თ** და **-ენ** რასაც აკეთებდნენ სუბიექტის ნიშნად ძველ ქართულში, ახლა იმასვე აკეთებენ ობიექტების სიმრავლის აღსანიშნადაც. **-ენ** სუფიქსმა, მსგავსად **-თ** სუფიქსისა, მხოლოდ სიმრავლე გამოხატა, ობიექტებს პირის ნიშანი საკუთარი შემორჩათ.

რიცხვი მორფო-სინტაქსური კატეგორიაა. როგორც ვხედავთ, ამ მხრივ ქართული ენის მასშტაბით სტრუქტურული ცვლილება არ განხორციელებულა (შდრ. 49), მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქართულიდან დღემდე ძალიან ჭრელი სურათი გვეხატება აქტანტთა როგორც პირის, ისე რიცხვის გამოხატვაში.

ი-/ე- პრეფიქსიან პასივთა სიმრავლის მოდელის გაფართოება თუშურ დიალექტში

ქართული ენის ბევრ დიალექტში, უფრო ხშირად აღმოსავლურ დიალექტებში **ი-** და **ე-** პრეფიქსიან პასივთა მრავლობითი რიცხვის პირველ და მეორე პირებში ფორმები ძველი ქართულის წესით იწარმოება.

I დავიმალ-**ენ**-ი-**თ**

II დაიმალ-**ენ**-ი-**თ**

III დაიმალ-ნენ, მთის დიალექტებში დაიმალ-**ნ-ეს**.

ძველ ქართულშიცა და წარმოდგენილ დიალექტურ ფორმებშიც სიჭარბეა რიცხვის წარმოებაში: /-ენ/ და /-თ/ — ორივე სუბიექტის სიმრავლეზე მიუთითებს; ასევე ძველ ქართულსა და მთის დიალექტებში — /-ეს/ და /-ნ/. ასეთი წარმოება სუბიექტის სიმრავლისა სალიტერატურო ენამ დაკარგა. ახლა ეს ხდება მარტივი ფორმებით:

დავიმალეთ, დაიმალეთ. მესამე პირის დაიმალნენ ფორმაში **-ნენ** არ იშლება.

განსხვავებით სალიტერატურო ქართულისა და სხვა ქართული დიალექტებისაგან, თუშურში მოხდა სუბიექტის სიმრავლის წარმოების წარმოდგენილი მოდელის გაფართოება სხვა რიგის პასივებშიც — უნიშნო და **-დ** სუფიქსიან ვნებითებში და ზოგიერთ საშუალი გვარის ზმნაში.

უნიშნო ვნებითი მრ. რიცხვში		დ'ონიანი ვნებითი მრ. რიცხვში	
I	გა-ვ-შრ-**ენ-თ** „გავშრით“	I	და-ვ-ბერ-დ-**ენ-თ** „დავბერდით“
II	გა-შრ-**ენ-თ** „გაშრით“	II	და-ღ-ბერ-დ-**ენ-თ** „დაბერდით“
III	გა-შრ-**ნ-ეს** „გაშრნენ“	III	და-ბერ-დ-**ნ-ეს** „დაბერდნენ“

შდრ. ძვ. ქართული გავშრით, გაჰშრით, გაშრეს; დავბერდით, დაჰბერდით, დაბერდეს.

თუ წარმოდგენილ ერთპირიან ფორმებს ორპირიანად მოვაქცევთ, სუბიექტის სიმრავლის გამოხატვის წესი არ შეიცვლება: /ჴელებ გამიშრნეს/ „ხელები გამიშრა“; /ქალებ დაგვიბერდნეს/ „ქალები დაგვიბერდნენ“ და სხვ.

ი-/ე- პრეფიქსიან პასივთა მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოების წესის განვრცობის საფუძველი თუშურში არის იდენტური გრამატიკული მიმართებები სხვადასხვა გამოხატულების პლანის მქონე ერთპირიან და ორპირიან პასივებში. სწორედ ამას მოჰყვა ბუნებრივად მრავლობითი რიცხვის წარმოებაში ერთი მოდელის გამოყენება. სალიტერატურო ქართულში ეს წავიდა რთული (ორმაგი) წარმოების გამარტივებისკენ. თუშურ დიალექტში კი — არქაული წარმოების მოდელის შენარჩუნებისა და განვრცობისკენ ყველა სახის პასივში. სალიტერატურო ქართულსა და თუშურში ყველა სახის პასივმა მრავლობითი რიცხვის წარმოების, ერთიმეორისგან განსხვავებული, მაგრამ ორივეგან უნიფიცირებული მოდელი მიიღო.

სიმრავლის {-ენ} სუფიქსი II სერიაში გაუჩნდა ზოგიერთი საშუალი გვარის ზმნასაც: (1) მედიოპასივებს, რომლებიც II სერიის ფორმებს **ი-** პრეფიქსით იკეთებენ: ვიდგ-ენ-თ „ვიდექით“, იდგენთ „იდე-

ქით“, იდგნეს „იდგნენ“, ასევე: ვიწვენთ, იწვენთ, იწვნეს.

{-ენ} სუფიქსის /-ნ/ ვარიანტი გაუჩნდა III პირის ფორმებს სვლა ზმნის II სერიაში: მო(ვ)იდ-ნ-ეს „მოვიდნენ“. მო(ვ)იდ-ნ-ე-ნ „მოვიდნენ“ (II კავშირებითი).

შეიძლება დავასკვნათ: (1) რომელიმე მორფემის ალომორფთა რაოდენობის შეცვლა (მატება ან კლება) მორფოლოგიურ სისტემაზე გავლენას ვერ ახდენს, რადგან ყველა შემთხვევაში {-ჰ} პრეფიქსია ასახული ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფებით. რაც შეეხება ხ- და ჰ- პრეფიქსებს ხანმეტ და ჰაემეტ პერიოდებში, არც მათ შენაცვლებას მოჰყოლია მორფოლოგიური სისტემის ცვლილება, რადგან მათი ფუნქციები იდენტურია. ამიტომ არის გასაზიარებელი ა. შანიძის თვალსაზრისი {-ჰ}-ს არქაულობის შესახებ.

(2) მოდელთა დავიწროება-გაფართოება ერთი სისტემის ფარგლებში პარალელური პროცესებია. ზემოთ განხილულ შემთხვევებში გაფართოება ხდებოდა უკვე არსებული მოდელის დისტრიბუციული განვრცობით, რაც იწვევდა მეორე მოდელის გამოყენების არის შემცირებას (resp. გაქრობას): ძველი ქართულის {-ენ} სუფიქსით პირდაპირი ობიექტის სიმრავლის წარმოება თანამედროვე ქართულში შეცვალა სუბიექტური I და II პირებისთვის დამახასიათებლმა {-თ} სუფიქსმა. გრამატიკული მიმართება პირდაპირი ობიექტისა ზმნასთან (შეთანხმება რიცხვში) არ შეცვლილა, ოღონდ გადავიდა სუბიექტისა და ზმნის ურთიერთობის მოდელზე, სადაც I და II პირებში შეთანხმებას ახორციელებდა ზმნური {-თ} სუფიქსი. ეს მოდელი გავრცელდა ირიბი დამატებისა და ზმნის რიცხვში ურთიერთობაზეც II და III პირებში.

ქართული ენის დასავლურ დიალექტებში {-თ}-ს ადგილი დაიკავა სუბიექტური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის {-ენ} სუფიქსმა, ე. ი. აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტებში, მიუხედავად ფორმალური განსხვავებისა, ორივეგან ობიექტები გადავიდნენ სუბიექტის მოდელზე მრავლობითი რიცხვის წარმოებაში.

შეიძლება დავასკვნათ: გამოხატულების პლანის ცვლილებებს უკვე არსებულ მოდელთა განვრცობის გზით არ მოჰყოლია სისტემური ცვლილება ქართული ენის მორფოლოგიასა და სინტაქსში.

შეიძლება კითხვა აღძრან მიცემით ბრუნვაში დასმული სახელების (ირიბი და პირდაპირი დამატებები) მრავლობითი რიცხვის ფორმებმა, რომელთაც ძველი ქართულის ზმნაში არ გამოეხატებოდათ სიმრავლე II და III პირებში, ახალ ქართულში კი გამოეხატებათ {-თ} სუფიქსით, როგორც სახელობით ბრუნვაში დასმულ ობიექტს. შეიძლება ჩაითვალოს ეს სუფიქსი ახალ ელემენტად? — იმის გამო, რომ მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელებს მრავლობითობა I პირში საშწერლობო ქართულს ყოველთვის გამოეხატებოდა (**გუ**- პრეფიქსით ძვ. ქართულში, **გვ**- პრეფიქსით ახალ ქართულში), რა თქმა უნდა, მოულოდნელი არ იყო მიცემით ბრუნვაში დასმულ ობიექტთა მარკირება II და III პირთა ფორმებშიც: სიმრავლე, ადრე რომ თვით ობიექტის ფორმით იყო გამოხატული (ჰყავდა მათ), ახლა ზმნაშიც არის მარკირებული (ჰყავდა**თ მათ**), მსგავსად I პირისა (**გუ**-ყავდა **ჩუენ**), მაშასადამე, ზმნის ფორმაში მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელთა სიმრავლის აღნიშვნა პრინციპში უკვე დაშვებული იყო I პირის მიხედვით, რაც გავრცელდა შემდეგ II და III პირებზეც, რისთვისაც ენამ გამოიყენა იგივე {-თ} სუფიქსი, რასაც სახელობით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტის სიმრავლის აღსანიშნავად იყენებდა.

შეიძლება დავასკვნათ: გრამატიკული მიმართებები ერთნაირია ქართული ენის ძველსა და ახალ პერიოდებში. ცვლილება შეეხო გამოხატულების პლანს, რაც განხორციელდა ერთი მოდელის (სუბიექტის სიმრავლის გამოხატვის მოდელით I და II პირებში) განვრცობით ისე, რომ სტრუქტურული ცვლილება ენაში არ განხორციელებულა.

Tedo Uturgaidze

On the Basic Characteristics of Levels of the Georgian Language and the Results of their Interaction in the Global System

The present study is not confined to any level of the language. It deals with the system of the phonematic, morphological and syntactic levels with the abstract form and the morphonological and morphosyntactic systems in the global system of the language.

Phenomena are considered from the diachronic and horizontal aspects: taking into account evidence the Old Georgian language and modern dialects.

Often a phenomenon is described within the limits and terms of a single level, whereas its full description is possible only within the limits of morphonological or morphosyntactic systems.

Morphonological and morphosyntactic systems cannot be qualified properly without taking into account the abstract rules at work in systems of separate linguistic levels. Due to this reason a number of concrete questions are introduced from phonology as well as morphology and syntax. Only by means of taking into consideration the genetic features of systems of these levels it is possible to offer a satisfactory qualification of the processes which are going on in the natural spoken language or those which have already occurred.

Abstract systems in the literary language and dialects are identical, if no other language dominates over any of them, whereas it may be said with confidence that every linguistic subsystem has its own global system.

In the analysis of linguistic phenomena it is essential to identify regularities of abstract systems and to demonstrate to what an extent they coincide with one another in dialects and different periods of the literary language. If there are differences, it is also necessary to establish their causes. Only after this it is possible to analyze appropriately in the morphonological and morphosysntactic directions the evidence of a really active language. Such an approach defined the

structure of the present study as well as research methods in separate parts.

The study consists of five parts: **phonology, morphology, morphonology, syntax and morphosyntax.**

In the present study it is attempted to research into such phenomena or questions that I have not touched upon formerly, I also consider according to various levels such known phenomena the qualification of which, in my view, is controversial or unacceptable.

In the phonological part, on the one hand, some paradigmatic units of the consonantal system are discussed, concerning which opinions differ in the specialist literature, and on the other hand, syntagmatic relations of vocalic and consonantal units are analyzed, which later on serve as a basis for the qualification of morphonological processes.

Allophones of /ჳ/ in Old Georgian and the Khevian dialect are discussed. This archaic dialect has preserved well the old situation. In particular, two allophones of /ჳ/ have been singled out: /ჳ/ and /ჷ/, to which a number of morphonological changes are linked in Old Georgian and Khevian, as well as those on the level of correspondence in Georgian and Megrelian. The interchange of /ჳ/ and /ჷ/ in a crossing position does not cause the change of the meaning of words - we are dealing with variants of a single phoneme.

In root morphemes the distribution of /ჳ/ and /ჷ/ in Megrelian and Georgian is identical – this is the position after noise consonants. In the position after sonorants and in reduced stems /ჳ/ has a different realization in Megrelian and Georgian.

In the same part the status of /ჴ/ in Old Georgian and archaic dialects is discussed. /ჴ/ is characterized by occlusion and friction at the beginning of the sound. Occlusion is relevant for it, as a phoneme, because the behaviour of /ჴ/ in syntagmatic relations is identical to that of occlusive consonants.

From the viewpoint of the interrelation of consonant phonemes of the Georgian language, the history of the study of natural, the so-called harmonious complexes and natural complex groups are considered. On the basis of natural and unnatural complexes, many kinds of morphonological changes in noun and verb forms are explained.

In the vocalic part, my previous opinion concerning the long vowels of the Tush dialect is rejected. At present I consider the long vowels of Tush as bi-phonematic units and do not single them out in the vowels system, some /K/ on the phonematic level is represented as /აა/.

Combinations of vowels within a single morpheme are not natural for the Georgian language. Changes occurring in the vocalic complexes formed at the boundaries of morphemes are described at length in the morphonological part.

In the morphology, the Georgian noun declension system with six cases is discussed, which satisfies the requirement of Old Georgian as well. The case functions are considered in connection with the verb – the case form is the form of the actant, therefore, the **"Vocative case"** was excluded from my system.

Cases are elements of the declension system. They can be only substituted for one another: there are no double and triple cases. In their form we are dealing with derivative forms – of two or three case markers only the terminal one expresses the case, the rest has become a derivative element. In the form /პიროპ-ით-ი/ the suffix /-ით/ is a derivative element, also in /გულ-ით-ად-მა/ form, /-ით/ and /-ად/ are derivative elements, whereas only the suffix -მა is the case marker.

"Local cases" of literary Georgian and archaic dialects are considered. It is attempted on the basis of translation rules to demarcate strictly nouns in one or another case and adverbs with no case at all, which coincide from the viewpoint of expression.

The functioning of the noun plural suffixes -ებ ($Pl^{ებ}$) and -ნ/-თ ($Pl^{ნ}$ and $Pl^{თ}$) in Old and Modern Georgian is considered. The difference of their syntactic power is well-known in the specialist literature and will not be described in the present study. Here my goal is to establish the reason of this difference.

-$Pl^{ებ}$ expresses only the plural number, whereas $Pl^{თ}$ expresses the case and number together. The suffix -თ forms the five cases (Ergative, Dative, Genitive, Instrumental, Adverbial) mostly with the form -თა. By means of the connection with the verb the case of the noun is identified, whereas the number is always the same – plural.

The plural substantive having the suffix -ებ in Old and Modern Georgian requires the modifier in the plural form: Old Georgian:

კეთილ-ი კაც-ებ-ი, კეთილ-მან კაც-ებ-მან..., cf. კეთილ-ი კაც-ებ-ი, კეთილ-მა კაც-ებ-მა... ("good men"). The modifier is the quality of the substantive, it is devoid of discreteness, it seems natural that in the above given syntactic pairs the modifier does not take the plural marker.

The agreement of the modified having the plural suffix -ებ with the modifier occurs by means of the case marker. The situation here is the same as in singular. კეთილ-მა კაც-მა; cf. კეთილ-მა კაც-ებ-მა.

Due to the fact that Pl^{m} expresses the number and case simultaneously, the agreement in the case with the modified which is in the plural number formed by the suffix -თა cannot be achieved without the material marking of number with the same suffix -თა. This results in doubly marked agreement: კეთილ-თა კაც-თა, კაც-თა კეთილ-თა. There is no other variant in Old Georgian.

In Modern Georgian კეთილ კაც-თა type collocations became natural, where the modifier is represented without the case and number markers. This situation is positional, it is related to **prepositional modifier**, in the postposition the situation of Old Georgian has survived to present: კაც-თა კეთილ-თა. This difference in situations is explained by the **blocking of the modifier** in preposition, i.e. creation of such a situation when the modifier is confined to one particular modified; prepositional modifier is linked only to the modified following it; cf. კაცთა /კეთილ მეომართ მიმართეს ("men /addressed good warriors") and კაცთა კეთილთა / მეომართ მიმართეს ("good men / addressed warriors").

Such problems are not encountered in -ებ-plural, as here the agreement between the modifier and the modified is regulated by case markers: კაცებმა /კეთილ-Ø მეომრებს მიმართეს ("men addressed / good warriors"); cf. კაცებმა კეთილმა / მეომრებს მიმართეს ("good men / addressed warriors").

In -თა-plural it depended on the context to which modified the modifier, placed between two modified, belonged: კაცთა კეთილთა მეომართა ჰრქუეს may be represented with two variants: 1) კაცთა

კეთილთა / მეომართა ჰრქუეს ("good men / told warriors") and 2) კაცთა / კეთილთა მეომართა ჰრქუეს ("men / told good warriors").

Pl$^{\text{ებ}}$ and Pl$^{\text{ო}}$ differ in the relation with the predicate too: in Old Georgian the Pl$^{\text{ებ}}$ plurality of actants is not indicated in the verb at all, the subject with the plural suffix -თ causes the appearance of the plural marker in the verb associated with it as well: კაც-თა ჰრქუ-ეს; cf. კაც-ებ-მან ჰრქუ-ა ("men told them smth.").

Objects with the suffix -თა (O^{d} and O^{ind}) do not cause the emergence of the marker showing their plurality in Old Georgian verb – this is a survival of the archaic situation. Presumably, at the initial stage the meaning of plurality in a verb form depended on the plurality of the actant marked in verb by affix – if the actant was in plural, it was assumed that everyone or everything, interpreted in the plural form, participated in the verb action related to the actant. I have referred to this phenomenon as **one-sidedly marked agreement in the plural number.** Later on syntagmas doubly agreed in the plural number appear, i.e. along with actants, plurality was reflected in the verb form too. In Old Georgian this was manifested in the agreement of the subject with the predicate in plural: მათ თქუ-ეს, კაც-თა თქუ-ეს ("they said smth.", "men said smth."). Objects with the same -თა suffix are not marked in the verb form in Old Georgian: შენ გ წ ე რ ს ("he writes thee smth."); cf. თქუენ გ წ ე რ ს ("he writes you smth."); მას ე ლ მ ი ს ("he has an ache"); cf. მათ ე ლ მ ი ს ("they have an ache"). Modern Georgian: შენ გ ხ ა ტ ა ვ ს; ("he paints thee"); cf. თქვენ გ ხ ა ტ ა ვ თ ("he paints you"); მას ს ტ კ ი ვ ა ("he has an ache"); cf. მათ ს ტ კ ი ვ ა თ ("they have an ache")...This means that from one-sided marking in number the language moves to double marking – we are dealing with the change from the viewpoint of expression in one and the same grammatical relation.

The process is not finished yet but it is obvious already that as compared to Old Georgian, in the relation of nouns and verbs Modern Georgian more often resorts to double marking in number. In this respect Pl$^{\text{ნ}}$ stands out, which is an agglutinative element, expresses only the plural number, like Pl$^{\text{ებ}}$, but due to the fact that it is a member

of the paradigm with the suffix -თა, it participates only in doubly marked relations of plurality: კაც-ნ-ი წერ-ენ ("men write smth.").

In addition to the subject, -ნ as a plural marker also appears in the direct object and forms a doubly marked relation here too: კაც-ნ-ი დავხატ-ენ ("I painted men"). In Modern Georgian Plაბ also shifts to double marking: კაც-ებ-ი წერ-ენ ("men writes smth."); cf. კაცი წერს ("man writes smth."); კაც-ებ-ს აქვ-თ ("men have smth."); cf. კაც-ს აქვს ("man has smth.").

In Old Georgian blocking of the prepositional substantive modifier began: კაცისა ძე-ჲ, კაცისა ძე-მან, კაცისა ძე-სა... ("son of man"), კაცისა ძე-ნ-ი, კაცისა ძე-თა... ("sons of man") As a result, substantive modifier in the declension paradigm is represented with zero allomorphs in cases as well as in the plural number.

The situation must have been different before Old Georgian. The material for such an assumption is preserved so far in texts of Old Georgian: კაცისა~ ძე~, კაცისა-მან ძე-მან, კაცისა-სა ძე-სა... Here agreement is found in every case; apparently agreement was in the number too: კაცისა-ნ-ი ძე-ნ-ი, კაცისა-თა ძე-თა... **In Old Georgian these forms of agreement in the case and number were simplified on the basis of blocking** and as a result the substantive modifier with zero allomorphs of case and plural number, already widespread in Old Georgian, was obtained (see above).

In Modern Georgian, unlike Old Georgian, substantive modifier took the delimitation suffix -ა. From the diachronic viewpoint, before Old Georgian this -ა was a qualifying element, it performed the function of the article, in Old Georgian it turned into a part of the case marker after the function of the article was assigned to demonstrative pronouns, whereas in Modern Georgian this suffix assumed the role of a delimiter.

The delimitation suffix -ა allows the substantive modifier to express case and plural markers with zero allomorphs **in postposition too**: წიგნ-ი კაცისა, წიგნ-მა კაცისა, წიგნ-ს კაცისა... ("book of a man"), წიგნ-ებ-ი კაცისა, წიგნ-ებ-მა კაცისა, წიგნ-ებ-ს კაცისა, etc. ("books of man"). As we see, both categories of the modified (case and number) are represented with zero

allomorphs with the modifier, on the basis of its blocking - the modified always precedes it, i.e. the modifier is confined to the modified and it will never be the modifier of the substantive following it: წიგნი ამხანაგისა / მეგობარს ვათხოვე ("I lent to a friend /the book of a comrade"), the following is not permissible: წიგნი / ამხანაგისა მეგობარს ვათხოვე.

In the analysis of forms of Georgian verb A.Shanidze's viewpoint is shared – the prefix {ვ-} is the basis for all kinds of markers of the second subjective person (S_2) and the third objective person (O_3) in the literary language and dialects, even for the *khanmeti* period /ხ-/, in spite of the fact that according to the monuments discovered to date, *khanmeti* texts are earlier than *haemeti* [ ]. But the assumption that the direct object did not have a marker in the third person is not accepted [ ]. The opinion that in the tripersonal active forms the direct object represents the "minimum coordinate" is not shared either [ ].

When analyzing the present and future forms of active verbs of the Khevsur dialect, in the opposition წერს ("he writes smth.") (present) ~ დახერს ("he will write smth.") (future) A.Shanidze regarded the prefix /ს- / of the future form (და-ს-წერს) as the formant of the future tense [64, 164]. He assumed that the present form did not have this prefix ს- . This marker is of course implied in the present form too as a zero allomorph, because the combination /სწ / after a pause is unnatural and /ს- / is dropped due to the phonematic reason; in /დასწერს / form, /ს- / is in its place, it follows the preverb და- in a syllable (დას-წერს). Thus, in the future screeve the preverb და- forms the future tense, as in all Georgian dialects and the literary language, and it does not require the prefix ს- for this purpose. By the way, in another archaic dialect, Tush, which is a neighbouring dialect of Khevsur, the prefix /ს-/ of the object is preserved in the present form as well (წერილს სწერს - "he writes a letter") ~ წერილს დასწერს - "he will write a letter").

The viewpoint is not shared as though the direct object is not marked at all in Series II forms of **tripersonal active verbs,** due to which Arn.Chikobava called this actant the "minimum coordinate" (it fails to lead to the appearance of a person marker in the verb, i.e.

cannot govern it in person, it has only the expression of the number). In some verbs, which take a direct object changing in persons, **this person is represented in the verb materially too:** შე-მ-წირ-ნ-ა// შე-გუ-წირ-ნ-ა (მან ჩვენ მას) ("he sacrificed us to him"). In these parallel forms მ-//გუ- are markers of the first person of the direct object, and the suffix ნ- is the marker of the plurality of this person. In /შე-გუ-წირ-ნ-ა/ form, გუ- at the same time denoted the person of the direct object and its plurality, i.e. the plural suffix -ნ- was redundant here, but it usually occurs in Old Georgian. In other cases the person of O_3^{dP} is expressed by a zero allomorph, which is indicated by the {-ენ-} suffix denoting its plurality (მივსწერენ მე მას წერილნი - "I wrote letters to him"). If in /მ ი ვ ს წ ე რ ე ნ/ form, /ვ-/ denotes S_1, /ს-/ following it – O_3^{ind}, the marker of the direct object cannot be preserved in such surroundings due to the phonematic reason – we are dealing with a morphonological change.

In 2002 when I traditionally excluded in bi- and tripersonal verbs combinations of identical persons, within one screeve of active verbs with the direct object changing in persons I identified 112 grammatical forms [52]. Such an increase of grammatical forms within a screeve (cf. A.Shanidze [62] and Arn.Chikobava [70], who identify 18 forms) is linked with the interpretation of the "grammatical form": in my paradigms forms identical as to their expression are regarded as different grammatical forms, if they differ according to the **combinations of persons**. On the basis of Ferdinand de Saussure's theory of value, forms identical as to their expression, but different according to their meaning (combinations of persons are different) have different attitude to other elements of the grammatical system, i.e. they are different by their value and should be regarded as independent units in paradigms; e.g.: in the sentences /გ ა ქ ე ბ თ მე თქვენ/~/გ ა ქ ე ბ თ ის თქვენ/~/გ ა ქ ე ბ თ ჩვენ შენ/~/გ ა ქ ე ბ თ ჩვენ თქვენ/ - "I praise thee"/ ~/"he praises you)"/ ~/"we praise thee"/ ~/"we praise you)", /გაქებთ/ is repeated four times from the viewpoint of expression, but it has totally different meanings according to the combinations of persons, therefore, I regard all the four as independent grammatical forms.

After the establishment that combinations of identical persons are possible in two- and tripersonal verbs (namely: S_1 O_1^d, S_2 O_2^d; S_1^P O_1^{dP}, etc.), the number of grammatical forms within one screeve in bipersonal verbs increased to 32, and in tripersonal active verbs – to 64, if the verb does not take a direct object changing in persons (e.g.: სტეხს, ჰკვეთს, უწერს, უხატავს, etc. "he breaks smth., he cuts smth., he writes smth. for smb., he paints smth. for smb.", etc.). In tripersonal active verbs taking a direct object changing in persons the number of grammatical forms reached 128 (32x4). The multiplier 4 represents the number of the schemes of person combinations: in scheme I combinations of the subject and the direct object are found inside, to which the indirect object in the third person is added from outside the scheme (see Scheme I).

S \ O^d	1	2	3	1^P	2^P	3^P	
1	+	+	+		+	+	O_3^{ind}
2	+	+	+	+		+	
3	+	+	+	+	+	+	
1^P		+	+	+	+	+	
2^P	+		+	+	+	+	
3^P	+	+	+	+	+	+	
	a_1	b_1	c_1	d_1	e_1	f_1	

Scheme I

In the scheme, the hatched sections indicate combinations that are not encountered; Arabic numerals stand for verb persons: 1 indicates I person singular, 1^P – I person plural, etc. The scheme shows such combinations of tripersonal verbs in which to all combinations of the subject and the direct object one and the same indirect object of the third person (O_3^{ind}) is added. Latin characters are placed in vertical columns, which point to one and the same person of the object changing in persons. S is the symbol of the subject, O^d – of a direct object, O^{ind} – of an indirect object.

S \ O^d	1	2	3	1^P	2^P	3^P	
1	+	+	+		+	+	O_3^d
2	+	+	+	+		+	
3	+	+	+	+	+	+	
1^P		+	+	+	+	+	
2^P	+		+	+	+	+	
3^P	+	+	+	+	+	+	
	a_2	b_2	c_2	d_2	e_2	f_2	

Scheme II

In Scheme II, person O^{ind} inside the scheme is combined to the subject, and to all their combinations a direct object of the third person (O_3^d) in singular is added from outside the scheme.

S \ O^d	1	2	3	1^p	2^p	3^p	
1	+	+	+		+	+	
2	+	+	+	+		+	
3	+	+	+	+	+	+	
1^p		+	+	+	+	+	O_3^{indp}
2^p	+		+	+	+	+	
3^p	+	+	+	+	+	+	
	a_3	b_3	c_3	d_3	e_3	f_3	

Scheme III

S \ O^d	1	2	3	1^p	2^p	3^p	
1	+	+	+		+	+	
2	+	+	+	+		+	
3	+	+	+	+	+	+	O_3^{dp}
1^p		+	+	+	+	+	
2^p	+		+	+	+	+	
3^p	+	+	+	+	+	+	
	a_4	b_4	c_4	d_4	e_4	f_4	

Scheme IV

Inside Scheme III, the combinations of Scheme I are repeated, and an indirect object of the third person in plural is added from outside the scheme.

Inside Scheme IV, the combinations of Scheme II are repeated, and a direct object of the third person in plural is added to SO^{ind} from outside the scheme.

After this the cells coinciding in person combinations according to all the four schemes are excluded. The coincidence is found only in SO_3O_3 combinations, e.g.: combinations of C_1 cells of scheme I coincide with combinations of C_2 cells of Scheme II. In these cells, one and the same persons of objects after one and the same subject are represented with the mutually inverted order (from Scheme I – $S_1\ O_3^d\ O_3^{ind}$, from Scheme II - $S_1\ O_3^{ind}\ O_3^d$; after S_2, S_3 and following subjects it will be continued in the same way: $S_2\ O_3^d\ O_3^{ind}$ (Scheme I) – $S_2\ O_3^{ind}\ O_3^d$ (Scheme II), etc.), therefore, they will be excluded.

C_2 of Scheme II (coinciding with C_1 of Scheme I), C_3 of Scheme III (coinciding with F_2 of Scheme II), C_4 of Scheme IV (coinciding with F_1 of Scheme I) and F_4 of Scheme IV (coinciding with F_4 of Scheme III) were excluded. In total, 24 grammatical forms were excluded (4x6=24), according to all the four schemes 104 different grammatical forms will remain within one screeve (128-24=104).

Tripersonal active verbs that fail to take a direct object changing in persons have only two schemes: inside the schemes the subject and the indirect object are combined, from outside a direct object not changing in persons, in singular (O_3^d), is added to the combinations of Scheme I, and in Scheme II, to the same inner combinations a direct

object of the third person in plural (O_3^{dP}) is added from outside. Coincidences do not occur here and both schemes result in 64 grammatical forms.

These schemes cannot give the connection of the identical combinations of I or II person with the opposite I or II person, such as: $S_1\ O_1^{d}\ O_2^{ind}$, $S_1\ O_1^{ind}\ O_2^{d}$, etc. – in total, 16 grammatical forms. These 16 forms are encountered only with those tripersonal actives which take a direct object changing in persons, e.g.: „არ ეგების, ამას იქით თუმცა თავი არ გამონე", *The Man in the Panther's Skin*, 253, 2 ("henceforth it is unbecoming not to make myself thy servant" (cf. "henceforth it will not be that I shall not be thy servant" – transl. by M.Wardrop). გამონე is a tripersonal active verb. In this context its subject მე ("I") (S_1) and direct object თავი (O_1^{d}="myself") are in I person, O_2^{ind} (შენ – "thou") is linked to them: „არ ეგების, ამას იქით (მე-S_1) თუმცა თავი (O_1^{d}) არ გამონე (შენ-O_2^{ind}).

All the sixteen combinations are given below:

$S_1\ O_1^{d}\ O_2^{ind}$, $S_1\ O_1^{d}\ O_2^{indP}$; $S_1^{P}\ O_1^{dP}\ O_2^{ind}$, $S_1^{P}\ O_1^{dP}\ O_2^{indP}$;
$S_2\ O_2^{d}\ O_1^{ind}$, $S_2\ O_2^{d}\ O_1^{indP}$; $S_2^{P}\ O_2^{dP}\ O_1^{ind}$, $S_2^{P}\ O_2^{dP}\ O_1^{indP}$;
$S_1\ O_1^{ind}\ O_2^{d}$, $S_1\ O_1^{ind}\ O_2^{dP}$; $S_1^{P}\ O_1^{indP}\ O_2^{d}$, $S_1^{P}\ O_1^{indP}\ O_2^{dP}$;
$S_2\ O_2^{ind}\ O_1^{d}$, $S_2\ O_2^{ind}\ O_1^{dP}$; $S_2^{P}\ O_2^{indP}\ O_1^{d}$, $S_2^{P}\ O_2^{indP}\ O_1^{dP}$.

Finally, **tripersonal active verbs even taking a direct object changing in persons have 120 grammatical forms (104+16) within one screeve.**

The 112 forms within one screeve, offered in my study of 2002 [52], coincide partialy in number with the 120 grammatical forms presented here. In the earlier study the coinciding forms were not excluded from Schemes II, III and IV and combinations of identical persons were not taken into consideration either.

Generally, with one form of Georgian verb the actualization of one and the same pronoun as the subject and the object in I and II persons does not occur, however, there are situations when such actants are required by the scenario. In similar cases the language resorts to the reflexive pronoun თავი ("oneself"). In Old Georgian there was one more pronoun for such a situation –ჴელთა ("hands").

It was not permissible to use the pronoun მე ("I, me") as the subject and the object of one and the same verb (მე მე - "I me"), but

მე თავი//მე თავი ჩემი ("I myself") was possible; შენ შენ ("thou thee") was not admissible, but შენ თავი//შენ თავი შენი ("thou thyself") was possible; e.g.: „თავი ჩემი სამსახურად თუცა ავად მოგაწონე", *The Man in the Panther's Skin*, 247, 1 ("Though I made you like me/[myself] badly in service"; cf. "Though my beginning in service has pleased thee ill" - M.Wardrop). The poet could not have written: „მე სამსახურად თუცა ავად მოგაწონე", as here this მე is a direct object and მე of I person of the subject is also supposed in the same sentence. If both the subject and the object had been formed by მე of I person, the result would have been: /მე (S_1) მე (O_1^d) ავად მოგაწონე/, which is impossible, this is not encountered anywhere in the literary language and dialects. In similar situations the direct object was replaced by the pronoun თავი: /მე თავი ჩემი ავად მოგაწონე/. There are numerous similar examples in *The Man in the Panther's Skin* and this phenomenon is not alien for Modern Georgian either (მე თავი ვერ მოგაწონე, შენ თავი ვერ მომაწონე - "I failed to make you like me [myself], you failed to make me like you/[yourself], etc.).

The pronoun ჴელთა is substituted for pronouns მე or შენ (ჩუენ, თქუენ) - "me" or "thee" ("us", "you") represented as an indirect object. ჴელთა is a plural form, but as a pronoun it has lost the meaning of number. Its number is determined by the possessive pronoun modifying it: ჴელთა ჩემთა is მე "me", and Вელთა ჩუენთა - "us", etc.

The pronoun ჴელთა is also used when next to the direct object the pronouns მე or შენ are inadmissible in the role of an indirect object – this is the combinations of I and II persons of objects. E.g. /მან მე შენ მიმცა / ("he gave me to you"). Such a sequence of these pronouns is uncommon in Modern Georgian, a few examples occur in Old Georgian, but it did not become established in general.

Here is a well-known example: „ღმერთმან მიგუცნა ჴელთა თქუენთა", i.e. ღმერთმან (S_3) მიგუცნა (ჩუენ - O_1^{dp}) ჴელთა თქუენთა (O_2^{ind})) i.e. თქუენ ("God gaven us to your hands, i.e. to you"):

Adverbs with the suffix -ით. In the Georgian language it is common to use case markers for the formation of adverbs. Almost all case forms can be turned into an adverb, except the Ergative case form.

In the present study special attention is given to the suffix -ით, which in the noun declension paradigms is the marker of the Instrumental case and at the same time, since Old Georgian to present, has also been used for the formation of simple and complex forms of adverbs. E.g., simple adverb: ს ო ფ ლ ი თ ("from this world"), cf. the Instrumental case form ს ო ფ ლ ი თ with the meaning of Instrumentalis. Similar adverbs were often used in Old Georgian and they are frequently encountered in Modern mountain dialects (Khevian, Khevsur, etc.).

Complex adverbs are: ს ა ხ ლ ზ ე ი თ ("on the house and from there"), ს ა ხ ლ შ ი ი თ ("in the house and from there"), ს ა ხ ლ თ ა ნ ი თ ("at the house and from there"). These forms were adverbs even prior to adding the suffix -ით (სახლზე, სახლში, სახლთან – "on the house, in the house, at the house") and adding the suffix -ით is natural; cf. Old Georgian: მუნ ("there") ~ მ უ ნ ი თ ("from there"), აქა ("here") ~ ა ქ ა ი თ ("from here"), etc. In mountain dialects the suffix -ით is added to adverbs with postpositions according to the same rule: სახლზე ~ სახლზეით...

Unlike adverbs, noun forms with postpositions (სახლში, სახლზე, სახლთან – "on the house, in the house, at the house") do not take the suffix -ით.

The viewpoint as though the discussed forms have "the meaning of two cases" is unacceptable [62, 76]. Cases are elements of a single category, they can only be substituted for one another, "the meaning of two cases" in one form is ruled out even theoretically. In mountain dialects where these forms are found, they always have the meaning of adverbs.

In the morphonological part, morphonological changes of nouns and verbs are discussed. From this aspect, morphonological types of the noun declension, changes in combinations of persons and changes in vowel combinations at the morpheme boundaries in the verb anlaut are considered.

It is known from the 18th c. that from the morphonological viewpoint there exists only one type of declension in the Georgian language [1, 6], which means that one or another case of any noun is formed by one and the same case marker.

In the contact with the noun stem, the case markers beginning with a vowel influence it or are themselves phonetically modified under the influence of the stem. Namely, the following occurs: syncope with the omission of a vowel in the middle of the stem or elision with loss of a vowel at the end of the stem; if the stem is unchanged, the case marker may lose a vowel or a change may occur in both parts of the stem.

In the identification of morphonological types of declension, the plural suffix -ებ was regarded as a derivatem and was included in the stem [62, 109], which is not correct. -ებ is a flexional element – **it participates in grammatical relations** (კაცი ხატავს ~ კაცები ხატავენ – "man paints smth. ~ men paint smth."; the suffix -ენ expressing plurality in the predicate is linked with the plural suffix -ებ of the noun). As a result of changes related to the suffix -ებ, the number of morphonological types of the noun declension increases: **the influence of the suffix -ებ on the stem is sometimes different from that of case markers**, e.g. stems of some derived and borrowed nouns do not elide a vowel under the influence of case markers, but they do so in the -ებ-plural, in particular: გოგონა, ბიჭუნა... სამურაი, პონი... do not elide the final vowel in the Genitive and Instrumental cases (Gen. გოგონა-ს, ბიჭუნა-ს, Inst. გოგონა-თი, ბიჭუნა-თი...Gen. სამურაი-ს, პონი-ს, Inst. სამურაი-თ, პონი-თ), but elide it in plural (გოგონ-ები, ბიჭუნ-ებ-ი; სამურა-ებ-ი, პონ-ებ-ი). Of course these changes should be taken into account in the noun declension rules, which cannot be achieved if the plural suffix -ებ is regarded as a part of the stem.

It is demonstrated that morphonological changes within words do not occur only due to a purely phonematic reason, e.g. under the pressure of the phonematic model, the sonorant /ə/ is lost before noise consonants in noun forms of almost all dialects: თელი (<Ათელი) ("whole"), შობელი (<Აშობელი) ("parent"), თა (<Ათა) ("moun-

tain")... The opposite process also occurs: /ə/ appears before noise consonants: ⵎცხვარი (cf. ცხვარი) ("sheep"), ⵎყველი (cf. ყველი) ("cheese"), ⵎჟოლი (cf. ჟოლი, ჟოლო) ("raspberry")... So, as we see, mutually exclusive changes are not alien to the language. This may be recorded even within a single sub-system, e.g. in Kakhetian both changes are found.

The reason of the loss of /ə/ is phonematic, and that of the appearance of /ə/ - morpholexical, **substantivization of the noun takes place:** many participles of the active voice, formed by the prefix ⵎ- have turned into nouns (მწერალი, მხატვარი, მასწავლებელი, მშობელი, მდინარე -"writer, painter, teacher, parent, river"...). The formal substantivization of some nouns occurs by this model.

Cases of vowel diphthongization in noun forms and preservation of vowels of the same complex in verb forms are discussed, e.g. some /აი/ complex in the auslaut of nouns resulted in [აჲ], /ოი/ - [ოჲ] ... which ended with the full loss of [ჲ]. ძმაჲ, ხეჲ, წყაროჲ...of Old Georgian and mountain dialects is represented as ძმა, ხე, წყარო...in Modern Georgian and valley dialects, in verb forms the same complexes do not undergo diphthongization: /წაიღო/, /მოიტანა/... There is an attempt to link the preservation of complexes and diphthongization with stress [73, 46]: stressed /ი/ does not lose the capability of forming a syllable (მო'იტანა), whereas unstressed /ი/ loses it ('დედაჲ, 'წყაროჲ...). G. Tsereteli assumed that the third syllable from the end of a word was stressed, due to which ი- in this position in verb forms was preserved (გა'იცინა), whereas in the initial form /დედაი/, /ი/ is in an unstressed position and therefore it loses the capability of forming a syllable ('დედაი>'დედაჲ).

This assumption is unacceptable, as stress in the Georgian language has never had such a force. This is also obvious from the fact that even in the anlaut of Old Georgian verbs diphthongization exactly in the assumed stressed position occurred sporadically (მაჲძულებს, აღმოჲვსებდა, აჲღო...), similar cases are not rare in Georgian dialects: Rachan, Acharan, southern dialects, as well as Ingilo and Fereidanian (დაჲნახა, დაჲჯერებს, გაჲგებენ, დაჲკარგა...).

The essential reason of diphthongization is that vowel complexes within a single morpheme are unacceptable for the Georgian language, this being its genetic quality. It becomes the foundation for the diphthongization of a vowel complex or the loss of some constituent at the morpheme boundaries. Numerous examples of this phenomenon are found as early as in *khanmeti* and *haemeti* texts (5th-8th cc.): ხუმჯობეს (<ხუმჯობეჲს<ხუმჯობეის) ("better"), ხუტკბოს (<ხუტკბოჲს<ხუტკბოის) ("sweeter")...

In the discussion of vowel complexes in different studies great importance was attached to paradigmatic features of constituents of a complex (highness, labiality, place of articulation, openness), but morphonological processes do not essentially follow these paradigmatic features: the process goes on differently in one and the same form as to expression not due to the phomenematic, but the morphonological reason, e.g. დახარის > დახრის ("he bends smth.") is the form of the present screeve in the present tense, დახარის ("he used to bend smth.") without a change, when the stem vowel /ა/ is not omitted, is the past tense form of permansive II (expressing repeated actions that have been completed in the past). Also, the Old Georgian form /მოვჴან-ი-თ/ ("we ploughed smth.") differs from the contracted form /მოვჴნით/ ("we used to plough smth.") in the following: in the former /ი/ has no grammatical function (it is the delimiter of consonants) and has no reduction force, and in the other form -ი is the iterative marker and has such a force. In these different processes the paradigmatic features of /ი/ have not changed, only its grammatical meaning has changed, which directed the processes going on in the stem.

In the syntactic part Series III forms of medioactive verbs (მიქიმია "I have [apparently] treated smb.", მიდარაჯია "I have [apparently] guarded smb.", etc.) and the related problems are considered.

Bipersonal medioactives in Series I and Series II have the subject and an indirect object. They are intransitive verbs. In the Future subseries of Series I and in Series II they remain bipersonal verbs, and in Series III they lose the indirect object as a person. It becomes an object not marked in verb by affix: სდარაჯობს ის მას ("he guards

him") (present) ~ უდარაჯა მან მას ("he guarded him") (aorist) ~ უდარაჯია მას ("he has [apparently] guarded him") (perfect). The indirect object here becomes a simple object (უდარაჯია მას მისთვის ("he has [apparently] guarded him").

By the specificity of Georgian verbs, in perfective forms the result is expressed by the marker of the subject: მიკავია წიგნი ("I hold a book"), მიჭერია სანთელი ("I hold a candle"), მთას აკრავს ნისლი ("mist envelopes the mountain"), etc. Series III forms of actives are also perfective, here too the result of the action, represented by the direct object of Series I and II, is formed by the subject marker: ამიშენებია სახლი ("I have [apparently] built a house"), დამიწერია წერილი ("I have [apparently] written a letter"), etc. The performer of the action is represented by the marker of the object, like primary and secondary causatives (მაცინებს მე ის ("he makes me laugh") - here the action is performed by the direct object – მე ("I"); in მაწერინებს ის მე წერილს ("he makes me write a letter") the action is performed by the indirect object – მე ("I"); the subject in both verbs is the initiator of the action, in both cases it is unknown what the subject is doing).

In perfective forms of actives of Series III the result of the action is given the marker of the subject (ამიშენებია სახლი ("I have [apparently] built a house"), დამიწერია წერილი ("I have [apparently] written a letter"), and the second actant is the performer of the action (მე ამიშენებია ("I have [apparently] built smth."), მე დამიწერია ("I have [apparently] written smth."), i.e. we are dealing not with the inversion of person markers ("the subject performing the action" has the marker of the object, and the object to be acted upon has the marker of the subject), as is assumed [62, 434; 70, 63], but with the change of roles of actants in perfective forms and, accordingly, with the new division of person markers as to roles.

Medioactives follow the model of active verbs for the formation of Series III forms. They do not have a direct object and only introduce the performer of the action (მე მიდარაჯია სახლისთვის ("I have [apparently] guarded the house"), მე მიექიმია ავადმყოფისთვის ("I have [apparently] treated a patient"), therefore, in their forms the subject marker is addressless, for the result

of the action fails to appear. Sentences represented with such a predicate are **subjectless;** cf. მღვიძავს "[I] am awake", მძინავს" [I] am asleep" mediopassives, where the object marker represents the performer of the action, and the subject marker is failed to be actualized in the sentence, therefore are regarded as subjectless predicates.

The study ends with the morphosyntactic part. The relation of the principal parts of sentence: the **subject and objects** marked in verb by affix with the **predicate** is considered according to the category of number from the diachronic aspect. Changes from the viewpoint of expression on the vertical axis of time are shown, when the syntactic relation remains unchanged: Old Georgian /კაცები წერს/ and Modern Georgian /კაცები წერენ/ ("men write smth.) **in the inner form of the language absolutely coincide with one another.** In abstraction this is an identical syntactic relation between the subject and the predicate, in spite of the great difference as to the expression, due to which in the specialist literature /კაცები წერს/ is regarded as a pair **not agreed** in number. I consider it as agreement and refer to it as **one-sidedly marked agreement** in number, as the predicate having the singular form assumes the plural meaning when used with the subject being in plural - წერს of the syntagma /კაცები წერს/ in this case expresses all actions conceptualized in the plural form of the subject (კაცები). Exactly on the basis of such an interpretation, old /კაცები წერს/ was replaced by the modern collocation /კაცები წერენ/, where the plurality of the subject is marked in the expression form of the verb as well. At present **doubly marked agreement in number** occurs.

The one-sidedly marked agreement in number between the subject having the suffix -ებ and the related predicate, encountered in Old Georgian, survived stably in *The Man in the Panther's Skin*, a work of Middle Georgian of the turn of the 12^{th}-13^{th} cc.

The situation is identical in case of objects marked in verb by affix: if they form plural by the suffix -ებ, the predicate retains the form of singular number on the level of expression, it acquires the plural meaning only on the basis of the syntactic relation with objects marked in verb by affix, which is established in the predicate by means

of person markers and in objects by means of case markers. Agreement in plural occurs by one-sided marking.

Subjects with the plural suffixes -ნ and -თ and predicates related to them agree by double marking in all tenses. Undoubtedly, this circumstance also facilitated doubly marked agreement between the subject having the suffix -ებ and the predicate related to it.

Direct object with suffix -ნ too was linked with the predicate in plural by double marking. {-ნ} suffix (with /-ენ / ~ /-ნ / allomorphs) appears in the verb in Old Georgian and archaic dialects of Modern Georgian.

It is noteworthy that in Old Georgian the suffix -თა, which in the Dative case form of direct and indirect objects expressed the plural number as well, did not show the same power as it had with the subject in the Ergative case – the agreement of these forms with the predicate in plural is marked one-sidedly – only objective actants had the plural form, which reminds of the relation of the -ებ-plural forms of objects with the predicate. **This situation is undoubtedly ancient.** Doubly marked agreement of objects with the predicate is later, which is obvious when discussing the phenomenon from the diachronic viewpoint.

In Old Georgian verb the plurality of the objects in the Dative case may be expressed only in I person, whereas the plurality was not marked in II and III persons of the predicate.

The fact that not infrequently the plurality of objects was not marked in I person of the predicate either, like II and III persons, points to the initial situation.

From the late period of Middle Georgian (15^{th}-16^{th} cc.), the number of objects in the Dative case began to be marked in the predicate of the literary language by means of the same suffix -თ, which denoted the plurality of the subject. At present this suffix -თ is common in eastern dialects, including archaic dialects. As regards western dialects, marking of the plurality of objects in the Dative case occurred here too, but this time by means of the suffix -ენ, expressing III person of the subject and its plurality. In general, marking of the number of objects in the predicate form occurred in both cases similarly. Only the plural markers are different.

Three sections of the time axis are given below: reconstructed from Old Georgian, in Old Georgian and in Modern Georgian.

Pre-Old Georgian

მე მევედრების ~ ჩუენ მევედრების
("he entreats me" ~ "he entreats us")
შენ გევედრების ~ თქუენ გევედრების
("he entreats thee" ~ "he entreats you")
მას ხევედრების ~ მათ ხევედრების
("he entreats him" ~ "he entreats them")

Old Georgian

მე მევედრების ~ ჩუენ მევედრების//გუევედრების
("he entreats me" ~ "he entreats us")
შენ გევედრების ~ თქუენ გევედრების
("he entreats thee" ~ "he entreats you")
მას ხევედრების ~ მათ ხევედრების
("he entreats him" ~ "he entreats them")

Modern Georgian and Eastern Dialects

მე მევედრება ~ ჩუენ გვევედრება
("he entreats me" ~ "he entreats us")
შენ გევედრება ~ თქვენ გევედრებათ
("he entreats thee" ~ "he entreats you")
მას ევედრება ~ მათ ევედრებათ
("he entreats him" ~ "he entreats them")

Western Dialects

ჩუენ გვევედრებიენ ("they entreat us")
თქვენ გევედრებიენ ("they entreat you")
მათ ევედრებიენ ("they entreat them")

On the basis of the demonstration of sections of the time axis, the following conclusion may be drawn: agreement in the plural number of objects in the Dative case with the predicate moved from one-sided

marking, when the meaning of plurality in the predicate form depended on the plural forms of objects, to double marking – the plurality of objects was also indicated in the predicate form by means of a special marker.

The transition of objects in the Dative case from one-sidedly marked agreement in plural to doubly marked relation was discussed above. The process went on over many centuries. It began from I person: in the 5th-10th cc. the prefix მ- in verbs is usual even when this object is in plural, in the verb it marked only the person, and the interpretation of this person in plural **depended on the plural form of the object itself**. Here is an example from the Gospel of 897:„პური ჩუენი სამარადისოი მომეც ჩუენ დღეს და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი... და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა ("Give us this day our daily bread and forgive us our debts... And lead us not into temptation (Matt. 6, 12-13 C).

In *The Man in the Panther's Skin* of the turn of the 12th-13th cc. this type of agreement in number between objects in the Dative case and the predicate are not found any longer. At that time only the prefix ⴆუ- (phonetically [ⴆუ]) expressed their plurality, which formed doubly marked agreement in plural between the predicate and objects. Alongside of the new situation in I person, the old situation remained for a long time in II and III persons – the plurality of II and III person objects in the Dative case only after the 15th c. began to be marked in verbs by the suffix ⴆ-, which before that denoted only the plurality of the subject.

It may be assumed that marking in verb forms of the subject too, which is already developed in Old Georgian, followed the same path as was demonstrated in the relation of objects in the Dative case and the subject in -ებ-plural. The following question also arises: Why almost ten centuries earlier did marking of the plurality of objects in the Dative case begin with I person form? The reason must be that the division of person roles is oriented on I person: II person is a participant of the dialogue with I person, III person is outside the dialogue – I person is central and undoubtedly more attention was devoted to its plurality as well.

As compared to that discussed above, the inverted morphological process is considered below, when from doubly marked agreement of members of a syntagma in the case or in the case and plural the language moves to one-sidedly marked agreement, i.e. one member of the syntagma is supposed without a special marker in one or another case or in the plural number.

For a full analysis of the phenomena, diachronic evidence is offered.

The syntactic agreement in the case and number between the modified and the modifier is unchanged in all tenses. Only the formal-material aspect changes mostly at the expense of zero allomorphs. **In the Georgian language these changes are linked with the blocking of the modifying member.**

In Old Georgian attributive modifier in preposition as well as postposition repeated the form of the modified in singular and in -ნ-/თა-plural – by these flexional markers it was confined to its modified. Only with the modified in -ებ-plural the modifier was represented always in the singular form. Here are several examples for each case:

(1) მცირე-ჲ ნავ-ი, მცირე-მან ნავ-მან, მცირე-სა ნავ-სა... ნავ-ი მცირე-ჲ, ნავ-მან მცირე-მან, ნავ-სა მცირე-სა... ("a small boat")

(2) მცირე-ნ-ი ნავ-ნ-ი, მცირე-თა ნავ-თა... ნავ-ნ-ი მცირე-ნ-ი, ნავ-თა მცირე-თა... ("small boats")

(3) მცირე-ჲ ნავ-ებ-ი, მცირე-მან ნავ-ებ-მან, მცირე-სა ნავ-ებ-სა... ("small boats")

With a modified having the suffix -თა the modifier certainly took this -თა ending, as -თა united the case and plural number, hence, agreement in case could not be achieved without agreement in number. On the other hand, as the quality is not characterized by discreteness, undoubtedly due to this reason in -ებ-plural where the case and number are expressed by different markers, case markers were sufficient for agreement, whereas the number was not marked in the modifier. The plural number was assumed according to the modified, as the quality represented by the modifier applied to all members assumed by the modified.

In New Georgian the change affected the form of the modifier – a tendency appeared to express the modifier by zero allomorphs in the blocked position according to the case as well as the number category. This tendency is fully realized in Modern Georgian with prepositional modifiers with the stem ending in a vowel: მცირე-Ø ნავ-ი, მცირე-Ø ნავ-მა, მცირე-Ø ნავ-ს... Prepositional modifier does not change formally in plural either: მცირე-Ø ნავ-ებ-ი, მცირე ნავ-ებ-მა... მცირე-Ø ნავ-თა, მცირე ნავ-ნ-ი...

In some dialects modifiers with the stem ending in a consonant in this position also shifted to a zero ending, e.g. mountain dialects: შავ-Ø ნავ-ი, შავ-Ø ნავ-მ(ა), შავ-Ø ნავ-ს...

As regards the same modifiers in postposition, they necessarily require case markers, in order to retain the connection with their modified: in this position attributive modifier is not blocked, it can be appropriated by the second substantive standing on its right.

Substantive modifier in preposition was blocked already in Old Georgian: ძელისა-Ø ნავ-ი, ძელისა-Ø ნავ-მან, ძელისა-Ø ნავ-სა... ("a wooden boat"). Obviously, earlier, before Old Georgian, the modifier took the case markers fully in this position too: ძელისა-ჲ ნავ-ი, ძელისა-მან ნავ-მან, ძელისა-სა ნავ-სა... Such forms of substantive modifier are sporadically preserved in Old Georgian, whereas in postposition the modifier, like the attributive modifier, was represented with full case endings: ნავ-ი ძელისა-ჲ, ნავ-მან ძელისა-მან, ნავ-სა ძელისა-სა... Here too the reason of the preservation of case markers is the danger created by the substantive following the modifier – it could have appropriated the modifier. The case markers of the modifier formed a protective cordon.

In Modern Georgian in substantive modifier the delimitation suffix -ა appeared, more exactly: the ending -ა of the extended forms of the **Dative, Genitive and Instrumental** cases (-სა, -ისა, -ითა) in New Georgian turned into a demarcation element: such a modifier belongs only to the modified on its left: ნავი ხ ი ს ა / სახლს მიაყუდეს ("They leaned against a house / the boat of wood/"). ნავი / ხ ი ს ა სახლს მიაყუდეს is not possible. /ხისა სახლს/ was permissible in Old Georgian, but it is unnatural and is not allowed in New Georgian.

The delimitation suffix -ა blocks the sentence construction in the form of the modifier – it makes impossible the contact with the members on the right. Such a modifier agrees with the modified on its left by zero allomorphs: ნავ-ი ხისა-Ø, ნავ-მა ხისა-Ø, ნავ-სა ხისა-Ø... ("a boat of wood")

It became clear that where there is a blocked modifier, it shifts to zero allomorphs in the cases, and one-sidedly marked agreement in the case and number occurs. Although a zero allomorph has the same power grammatically as its material variant identical in the function, the term **one-sidedly marked agreement** is justified on the basis of the comparison with the old situation, when both the modified and the modifier **used identical material markers** for agreement. For some reason in the specialist literature the existence of material markers having an identical function is regarded as agreement, whereas the relation of zero and material allomorphs having an identical function is not considered as agreement.

Inversion from the morphosyntactic aspect. The expression of the subject by the marker of the object, and of the object by the marker of the subject is regarded as inversion of person markers in a verb form.

There are two interpretations of inversion in Georgian specialist literature: **narrow and broad.** According to the **narrow** interpretation, inversion of person markers is typical only of active voice verbs in Series III of conjugation; according to the **broad** interpretation, it is characteristic of actives in Series III, as well as mediopassive and stative verbs in Series I.

The theory of the inversion of person markers is based on the following theses: (1) the **subject** in the Georgian verb is the actant performing the action, the **direct object** is the actant to be acted upon, and the **indirect object** is that to whom or what the action refers; (2) person markers are exchanged by the subject and the indirect object.

In my view, the **subject of the Georgian verb is the initiator of the action**; apart from the subject-initiator, a direct or indirect object may also be the performer of the action: in verb forms of წერს, ხატავს ("he writes smth., he paints smth.") type, the subject acts on its own initiative, it is the initiator-executor; in verbs of აცინებს, ატირებს ("he makes smb. laugh, he makes smb.

cry") type the subject is only the initiator, and the action is performed by the direct object – ის იცინის, ის ტირის ("he laughs, he cries"); in forms ა წ ე რ ი ნ ე ბ ს, ა ხ ა ტ ვ ი ნ ე ბ ს ("he makes smb. write smth., he makes smb. paint smth.") the action is performed by the indirect object (მას ა წ ე რ ი ნ ე ბ ს, მას ა ხ ა ტ ვ ი ნ ე ბ ს "he is made to write, he is made to paint"), the subject is the initiator of these actions. It may be concluded that the person performing the action is not necessarily the subject, whereas the initiator is always the subject.

In Series I verbs of მ ძ უ ლ ს ("I hate smb./smth.") (mediopassive) and მ გ ო ნ ი ა ("I think smth.") (stative) type, the object marker (the prefix მ-) represents the performer of the action, whereas who or what I hate and think is represented by the subject markers (-ს ~ -ა). That is why these verbs are regarded as inverted verbs.

What happened, why were verbs of this type distinguished from dynamic verbs by different functions of person markers? First of all, these verbs are of the **perfective nature**: they convey in the present the result realized in the past – they are oriented on the result of the action. In the Georgian language the role of the initiator is assigned to the result of the action and person markers are distributed according to this factor: მ ი ჭ ი რ ა ვ ს თ ა ს ი ("I hold a bowl"), მ ი კ ა ვ ი ა წ ი გ ნ ი ("I hold a book"). The situation is similar in mediopassive verbs: მ ი ყ ვ ა რ ს ი ს ("I love him"), მ ძ უ ლ ს ი ს ("I hate him")...

The conjugation of active verbs was realized in Series III according to the model of stative verbs – here too the role of the subject was assigned to the result of the action: დ ა მ ი წ ე რ ი ა წ ე რ ი ლ ი ("I have [apparently] written a letter"), დ ა მ ი ხ ა ტ ა ვ ს ს უ რ ა თ ი ("I have [apparently] painted a picture")...

So, in mediopassive and stative verbs the role of the initiator was assigned to the result of the action, and accordingly, it received the marker of the subject. The subject of such verbs is the actant in the Nominative case. The actant in the Dative case is the performer of the action: in Series I it is the indirect object, in Series III of active verbs – the direct object.

There are two peculiar verbs in the Georgian language, which are characterized by inversion of person markers, these are: მ ი მ ა ქ ვ ს

("I carry smth."), and მიმყავს ("I carry smb."). They are obtained from mediopassive verbs მაქვს ("I have smth."), and მყავს ("I have smb."), respectively. These are transitive verbs formed by a preverb (A.Shanidze). Along with the acquisition of transitiveness (resp. active voice), they lost perfectiveness – **the action and conversation are taking place simultaneously.** They differ from other dynamic transitive verbs by a number of qualities: (1) they function only in the screeves of the Present subseries; (2) They have the meaning of two verbs (მიაქვს... მიდის თან მიაქვს - "he goes and carries smth.") (Explanatory Dictionary of the Georgian Language); მიჰყავს... აიძულებს ან საშუალებას აძლევს მასთან ერთად მიდიოდეს - "he forces or allows smb. to go together with him") (Explanatory Dictionary of the Georgian Language)). Thus, these peculiar verbs unite the meanings of the verb სვლა ("to go") and verbs ქონა (მიაქვს) - ყოლა (მიჰყავს)- "to have"); (3) cases of actants are those of mediopassive verbs, but they have the meaning of active verbs; (4) by cases of actants they resemble Series III forms of actives, but by their nature they greatly differ from them: in paradigms Series III forms of actives oppose forms of Series I and II by perfectiveness, whereas მიმაქვს and მიმყავს are devoid of perfectiveness.

ლიტერატურა

1. **ანტონ I, 1885** — ანტონ I, ღრამმატიკა ქართული, 1885.
2. **არაბული ა., 1981** — ა. არაბული, დიალექტი და ხალხური პოეზია, III რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, 1984.
3. **არონსონი, 1970** — Aronson H. G. Towards semantic analysis of case subject in Georgian, Lingua, 25, N3, 1970.
4. **ახვლედიანი გ., 1999** — გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1999.
5. **ახვლედიანი გ., 1938** — გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ფონეტიკის საკითხები, 1938.
6. **ახვლედიანი გ., 1951** — Г. С. Ахведиани, Две системы гармонических смычных в грузинском языке. Памяти академика Льва Владимировича Щербы, 1951.
7. **ბუსლაევი ფ., 1959** — Ф. И. Буслаев,Историческая грамматика русского языка, 1959.
8. **გაზდელიანი ე., 1999** — ე. გაზდელიანი, ხმოვანთა პოზიციური სიგრძე სვანურში (ავტორეფერატი), 1999.
9. **გამყრელიძე თ., 2000** — თ. გამყრელიძე, ქართულ თანხმოვანთა „განდასება" (ველარი ყ და პოსტველარი ჴ სპირანტები ქართულში), კრებულში: რჩეული ქართველოლოგიური შრომები, 2000.
10. **გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., 1965** — სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965.
11. **გამყრელიძე თ., ივანოვი ვ., 1984** — Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, индоевропейский язык и индоевропейцы, I, 1984.
12. **გინეკენი ჟ., 1938** — J. van Ginneken, Contribution a la langues du Caucase, Amsterdam, 1938.
13. **გოგოლაშვილი გ., 1987** — გ. გოგოლაშვილი, მორფემათა მიჯნაზე წარმოქმნილ ხმოვანკომპლექსთა შესახებ თანამედროვე ქართულში, იკე, XXVI, 1987.
14. **დანელია კ., 2006** — კ. დანელია, კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი, 2006.

15. **დონდუა კ., 1967** — К. Дондуа, О двух суффиксах множественности в грузинском; კ. დონდუა, რჩეული ნაშრომები, I, 1967.
16. **თევდორაძე ი., 1978** — ი. თევდორაძე, ქართული ენის პროსოდიის საკითხები, 1978.
17. **თოფურია ვ., 1979** — ვ. თოფურია, ჯ და ხ სიბილანტ-აფრიკატებთან მეზობლობაში, შრომები, III, 1979.
18. **თოფურია ვ., 1956** — ვ. თოფურია, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების დაბოლოებანი. კრებულში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1956.
19. **თოფურია ვ., 2002** — ვ. თოფურია, დ- თავსართიანი ზმნები ქართულში, შრომები, II, 2002.
20. **თოფურია ვ., 1979** — ვ. თოფურია, ნ და ს ფენებისთვის ქართველურ ენებში, შრომები, III, 1979.
21. **იაკობსონი რ., 1985** — Р. Якобсон, К общему учению о падеже, Избранные труды, 1985.
22. **იაკობსონი რ., ჰალე მ., 1962** — Р. Якобсон, М. Халле, Фонология и ее отношение к фонетике, НЛ, II, М., 1962.
23. **იმნაიშვილი ი., 1971** — ი. იმნაიშვილი, ძველი ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწილი II, 1971.
24. **იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ., 1996** — ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, ნაწილი I და ნაწილი II, 1996.
25. **იმნაძე ნ., 1966** — ნ. იმნაძე, ქართული ენის ხმოვანთა გამოცნობისათვის საჭირო გრძლიობის მინიმუმისა და ოპტიმუმის დადგენისთვის, კრებულში: მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები, 1966.
26. **კარტოზია გ., 1997** — გ. კარტოზია, /ვ/ და /უ/ ფონემები ზანურში, კრებულში: ზურაბ ჭუმბურიძე, 1997.
27. **კარტოზია გ., 2005** — გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, 2005.
28. **კახაძე ო., 1981** — ო. კახაძე, ხმოვანთა ასიმილაციის ზოგიერთი საკითხის თაობაზე ქართველურ ენებში, იკეწ, VIII, 1981.
29. **კვაჭაძე ლ., 1996** — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1996.

30. **ლაიონზი, 1978** — Дж. Лайонз, Введение в теоретическую лингвистику, М., 1978.
31. **ლანდია რ., 1988** — რ. ლანდია, ერთი ფონეტიკური მოვლენისათვის გლოლურში, დიალექტოლოგიური კრებული, 1988.
32. ЛЭС, 1990 — Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.
33. **მარი ნ., 1925** — Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.
34. **მარი ნ., 1926** — Н. Я. Марр, Абхазский аналитический алфавит, Л., 1926.
35. **მარტიროსოვი ა., 1959** — ა. მარტიროსოვი, ჩემდა, შენდა... ტიპის ნაცვალსახელთა წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, იკე, IX, 1959.
36. **მაჭავარიანი გ., 1965** — გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, 1965.
37. **მაჭავარიანი გ., 1966** — Г. И. Мачавариани, К типологической характеристике общекартвельского языка-основы, ВЯ, №1, 1966.
38. **მახარობლიძე თ., 2007** — თ. მახარობლიძე, ვერსიის კატეგორიისა და მესამე სერიაში ე. წ. უფუნქციო ქცევის ნიშნების შესახებ, კრებულში: ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, 2007.
39. **ონიანი ალ., 1998** — ალ. ონიანი, სვანური ენა, 1998.
40. ონიანი ალ., 2000 — ალ. ონიანი, ხმოვანთა სისტემა თანამედროვე ქართულში, სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, 5, 2000.
41. **ჟღენტი ს., 1960** — ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, მარცვლის აგებულების პრობლემა, 1960.
42. **ჟღენტი ს., 1965** — ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, 1965.
43. **რობინსი და უატერსონი, 1968** — რ. ჰ. რობინსი და ნატალი უატერსონი, შენიშვნები ქართული სიტყვის ფონეტიკის შესახებ, „მიმომხილველი“, 4-5, 1968.

44. **სარჯველაძე ზ., 1984** — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984.
45. **სოსიური ფ., 1977** — Фердинанд де Соссюр, Курс общей лингвистики; Ф. де Соссюр, Труды по языкознанию, М., 1977.
46. **სურმავა ნ., 2009** — ლაზურის ინტერფერენციული გავლენა ჭოროხის ხეობის ქართულ მეტყველებაზე, 2009 (ხელნაწერი).
47. **ტენიერი, 1988** — Л. Теньер, Основы структурного синтаксиса, 1988.
48. **ტრედიაკოვსკი ვ., 1959** — იხ. Г. О. Винокур. Избранные работы по русскому языку, М., 1959.
49. **ტუიტი, 1998** — Kevin Tuite, Kartvelian Morphosyntax, Number Agreement and Morphosytactic Orientation in the South Caucasian languages.
50. **უთურგაიძე თ., 1976** — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1976.
51. **უთურგაიძე თ., 1978** — Т. Утургаидзе, Фонематическая структура грузинского языка, ЕИКЯ, V, 1978.
52. **უთურგაიძე თ., 2002** — თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, 2002.
53. **უთურგაიძე თ., 1971** — ჰარმონიულ კომპლექსთა დიაქრონული ინტერპრეტაციისთვის, „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, №4, 1971.
54. **უთურგაიძე თ., 1987** — თ. უთურგაიძე, ჰარმონიულ კომპლექსთა განსაზღვრისათვის ქართულში, კრებულში: აკაკი შანიძე — 100, 1987.
55. **უთურგაიძე თ., 2006** — თ. უთურგაიძე, ქართული ენის მარცვალი; ენათმეცნიერების საკითხები, I-II, 2006.
56. **უთურგაიძე თ., 1974** — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ხმოვანთა განაწილება ხმოვნებთან სიტყვის თავსა და ბოლოში, იკე, XIX, 1974.
57. **უთურგაიძე თ., 1986** — თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, 1966.

58. **ფილმორი,** НЗЛ, X — Ч. Филмор, Дело о падеже, НЗЛ, М., X; НЗЛ, X — Дело о падеже открывается вновь, НЗЛ, X.
59. **ფოგტი ჰ., 1961** — ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1961.
60. **ქალდანი მ., 1953** — ელიზია სვანურში, იკე, V, 1953.
61. **ყიფშიძე ი., 1994** — И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка; ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, 1994.
62. **შანიძე ა., 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973.
63. **შანიძე ა., 1920** — ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნაში, 1920.
64. **შანიძე ა., 1923** — ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისთვის, ტუმ, III, 1923.
65. **შანიძე ა., 1930** — ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, 1930.
66. **შანიძე ა., 1984** — ა. შანიძე, მთის კილოთა ტექსტები; ა. შანიძე, თხზულებანი, I, 1984.
67. **შანიძე მზ., 1981** — მზ. შანიძე, ზოგიერთი გვაროვნული სახელი ტბეთის სულთა მატიანეში, მრავალთავი, IX, 1981.
68. **ჩიქობავა არნ., 1968** — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, 1968.
69. **ჩიქობავა არნ., 1936** — არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1936.
70. **ჩიქობავა არნ., 2007** — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლი, I, 2007.
71. **ძიძიგური შ., 1946** — შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში იკე, I, 1946.
72. **წერეთელი გ. (გ. გორისელი), 1872** — გ. წერეთელი, ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა, „კრებული“, №7, 1872.

73. **წერეთელი გ., 1973** — გ. წერეთელი, მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, 1973.
74. **ჭინჭარაული ალ., 1960** — ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960.
75. **ჭრელაშვილი კ., 2002** — კ. ჭრელაშვილი, წოვა-თუშური ენა, 2002.
76. **ხუნდაძე ს., 1901** — ს. ხუნდაძე, სალიტერატურო ქართული ენა, ჴუთაისი, 1901.
77. **ჯაფარიძე ზ., 1975** — ზ. ჯაფარიძე, პერცეფციული ფონეტიკის ძირითადი საკითხები, 1975.
78. **ჯორბენაძე ბ., 1989** — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, 1989.
79. **ჯორბენაძე ბ., 1998** — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 2, 1998.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3
შესავალი 4

ფონემატური სისტემა

ვოკალიზმი 9
კონსონანტიზმი 12
/ჯ/-ს ფონემატური სტატუსისათვის 18
ქართული ენის თანხმოვანთა სინტაგმატური ანალიზი 28
ჰარმონიულ კომპლექსთა განსაზღვრისათვის ქართულში 29

მორფოლოგია

ქართული ენის ბრუნების სისტემა 44
სუბიექტური მეორე პირისა და ობიექტური მესამე პირის {ჰ-} პრეფიქსი ქართულში 59
ობიექტთა მარკირებისათვის ქართულ ზმნაში 67
პირთა მარკირებისათვის დიაქრონიულ პლანში 71
ფუძისეული -ან დაბოლოება მედიუმთა ფორმებში 78
ზმნისართები -ით სუფიქსით 87

მორფონოლოგია

არსებით სახელთა ბრუნების მორფონოლოგიური ტიპები ქართულში 102
მორფონოლოგიურ ცვლილებათათვის ქართულ ზმნაში 107
მორფონოლოგიურ პროცესთა მიმართულებისა და შედეგისათვის 113

სინტაქსი

მედიოაქტივთა სინტაქსური ურთიერთობა აქტანტებთან 130
ერთპირიანი და ორპირიანი მედიოაქტივები III სერიაში 133

მორფოსინტაქსი

ქართული ენის მორფოსინტაქსის საკითხები, შესავალი 146
შეთანხმება 148
გამოხატულების პლანის ცვლილებები მორფოსინტაქსურ ურთიერთობაში ქართული ენის მონაცემთა მიხედვით 173
ორმხრივ ნიშანდებულ ურთიერთობათა გადასვლა ცალმხრივ ნიშანდებაზე 185
პირთა ინვერსია მორფოსინტაქსური ასპექტით 200
ენობრივ მოდელთა გაფართოება-დავიწროებისათვის 206
On the Basic Characteristics of Levels of the Georgian Language and the Results of their Interaction in the Global System 212
გამოყენებული ლიტერატურა 238

თედო უთურგაიძე

ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთზემოქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2009

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.
☎ 39-15-22
E-mail: info@meridianpub.com